

საქართველო

**სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური
ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის
შეფასების ანგარიში**

**მომზადდა PEFA 2016 მეთოდოლოგიის
საფუძველზე**

29 ივნისი, 2018



საქართველო

სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA)
ეფექტიანობის შეფასების ანგარიში

PEFA-ს სამდივნო ადასტურებს, რომ წინამდებარე ანგარიში აკმაყოფილებს PEFA-ს ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს და ამდენად იმსახურებს შეფასებას **‘PEFA CHECK’**.

PEFA-ს სამდივნო

6 ივლისი, 2018

ვალუტა და ინდიკაციური გაცვლის კურსები

ადგილობრივი ვალუტის ერთეული: ქართული ლარი (ლარი/GEL)

1 აშშ დოლარი = 2.4010 ლარი

ფისკალური წელი

1- ლი იანვარი – 31 დეკემბერი

წინასიტყვაობა

PEFA-ს ეს შეფასება ორ ეტაპად განხორციელდა. საქართველოს მთავრობამ თავდაპირველად განახორციელა თვითშეფასება. მას მოჰყვა მსოფლიო ბანკის მხრიდან ვერიფიკაციის მისია. რამდენადაც საქართველო აწარმოებდა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) უწყვეტ რეფორმებს ევროკავშირის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (DFID), მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მხარდაჭერით, შესაბამისად დადგა მიღწეული პროგრესის შეფასებისთვის სათანადო დრო.

შემფასებელთა ჯგუფში შედიოდნენ: პატრიკ პიკერ უმაჰ ტეტე (ჯგუფის ხელმძღვანელი); პიერ პროსპერ მესალი; ჯამშიდ ირისკულოვი; სანდრო ნოზაძე და თამუნა ნამიჩეიშვილი (მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები); გიიომ ბრულე (PEFA-ს სამდივნო) და ჯონ შორტი (კონსულტანტი).

შინაარსი

PEFA-ს სამდივნო.....	ii
აბრევიატურები და აკრონიმები	vi
რეზიუმე	vii
1. შესავალი	1
2. ძირითადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ	4
3. საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის შეფასება	16
პირველი ბლოკი: ბიუჯეტის სანდოობა.....	16
PI - 1. ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები	16
PI - 2. ხარჯების შესრულების სტრუქტურა	16
PI - 3. შემოსავლების შესრულება	17
მეორე ბლოკი: საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა	20
PI - 4. საბიუჯეტო კლასიფიკაცია.....	20
PI - 5. საბიუჯეტო დოკუმენტაცია	22
PI - 6. ცენტრალური მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა	25
PI - 7. ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის	27
PI - 8. ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ.....	30
PI - 9. ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	36
მესამე ბლოკი: აქტივების და ვალდებულებების მართვა	40
PI - 10. ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ.....	40
PI - 11. სახელმწიფო ინვესტიციების მართვა	45
PI - 12. სახელმწიფო აქტივების მართვა	47
PI - 13. ვალის მართვა	51
მეოთხე ბლოკი: პოლიტიკაზე დამყარებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება	56
PI - 14. მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება	56
PI - 15. ფისკალური სტრატეგია	59
PI - 16. ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში	63
PI - 17. ბიუჯეტის მომზადების პროცესი.....	66
PI - 18. ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება.....	71
მეხუთე ბლოკი: ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი	77
PI - 19. შემოსავლების ადმინისტრირება.....	77
PI - 20. შემოსავლების აღრიცხვა.....	83

PI - 21. წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა	85
PI - 22. საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები	89
PI - 23. სახელფასო განაცემების კონტროლი	91
PI - 24. შესყიდვები	94
PI - 25. არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი	102
PI - 26. შიდა აუდიტი	105
მეექვსე ბლოკი: აღრიცხვა და ანგარიშგება	112
PI - 27. ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა	112
PI - 28. შიდა წლიური ანგარიშები	116
PI - 29. წლიური ფინანსური ანგარიშები	118
მეშვიდე ბლოკი: გარე შეფასება და აუდიტი	124
PI - 30. გარე აუდიტი	124
PI - 31. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმება	130
4. საჯარო ფინანსების მართვის სისტემების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები	136
4.1 ეფექტიანობის ინდიკატორების მიხედვით ინტეგრირებული შეფასება	136
4.2 შიდა კონტროლის ჩარჩოს ეფექტურობა	141
4.3 საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი და სუსტი მხარეები	142
4.4 ეფექტიანობის ცვლილება წინა შეფასების შემდეგ	144
5. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის პროცესი	145
დანართი 1.1: ეფექტიანობის ინდიკატორების რეზიუმე	148
დანართი 1.2: 2013 და 2017 წლების PEFA შეფასებების შედარება	156
დანართი 2: შიდა კონტროლის ჩარჩოზე დაკვირვების მოკლე მიმოხილვა	164
დანართი 3: ინფორმაციის წყაროები	170
დანართი 4: გამოთვლითი ცხრილები PI - 1, PI - 2 და PI - 3 კომპონენტებისთვის	175
დანართი 5: საჯარო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის 2017 წლის სამოქმედო გეგმა	181

აბრევიატურები და აკრონიმები

ASYCUDA	
BDD	ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი
BFC	საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი
BPN	„ბიზნესპრესნიუსი“
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
COFOG	მთავრობის ფუნქციების კლასიფიკაცია
DAP	შესყიდვის განსხვავებული პროცედურა
DFID	საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი (გაერთიანებული სამეფო)
DM FAS	ვალის მართვის და ფინანსური ანალიზის სისტემა
DSA	ვალის მდგრადობის ანალიზი
E -	ელექტრონული -
EC	ევროკომისია
EDM S	ვალის მართვის ელექტრონული სისტემა
EU	ევროკავშირი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
Ge - GP	საქართველოს მთავრობის შესყიდვები
GEL	ლარი
GFS	მთავრობის ფინანსური სტატისტიკა
GFSM	მთავრობის ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელო
CHU	ჰარმონიზაციის ცენტრი
GIZ	Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GP	სახელმწიფო შესყიდვები
GRS	საქართველოს შემოსავლების სამსახური
IBP	საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IPPF	საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო
IPSAS	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
ISSAI	აუდიტის უმაღლესი დაწესებულებების საერთაშორისო სტანდარტები
IT	ინფორმაციული ტექნოლოგიები
KfW	Kreditanstalt für Wiederaufbau (გერმანიის განვითარების ბანკი)
MOF	ფინანსთა სამინისტრო
PEFA	სახელმწიფო ხარჯები და ფინანსური ანგარიშვალდებულება
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MEP	ეკონომიკურად ყველაზე ეფექტიანი შესყიდვა
NA	არ შეესაბამება
NAT	დახურული ვაჭრობის გარეშე
NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
N(N)LE	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
PBO	პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
PFM	საჯარო ფინანსების მართვა
PFMIS	საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა
PPP	სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა
RTGS	დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა
SAO	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
NASP	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (PI—12)
SPA	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (PI - 24)
TSA	ერთიანი სახაზინო ანგარიში
WB	მსოფლიო ბანკი

რეზიუმე

1. PEFA შეფასების მიზანია საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის ობიექტური ანალიზის მომზადება PEFA ინდიკატორების გამოყენებით. ეს ანგარიში ასახავს 2013 წლის ბოლო შეფასების შემდეგ საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით მიღწეულ პროგრესს და PEFA 2016 წლის მეთოდოლოგიის გამოყენებით ადგენს ახალ საბაზისო ნიშნულს.

2. შეფასება მოიცავს ცენტრალური მთავრობის, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯებს და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებულ შემოსავლებს. არასაბიუჯეტო ორგანიზაციები არ არის წარმოდგენილი. ადგილობრივი მთავრობები ასახულია მე-7 ინდიკატორში და იგი უკავშირდება ადგილობრივი მთავრობებისათვის გამოყოფილ ტრანსფერებს. ვერიფიკაციის შემფასებელი ჯგუფი 2018 წლის 25 თებერვლიდან 3 მარტამდე (შეფასების სავსე სამუშაოების განხორციელების პერიოდი) სრული შემადგენლობით იმყოფებოდა საქართველოში. უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა PEFA ინდიკატორის მიხედვით შეაფასა საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განხორციელებული ღონისძიებები და 2016 წლის 1 ნოემბრისთვის მოამზადა თვითშეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია. ინდიკატორების შეფასებისას გამოიყენებოდა 2014 - 2016 წწ პერიოდი.

3. მთლიანობაში PEFA შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ საჯარო ფინანსების მართვის სისტემები საქართველოში ძლიერია და გაუმჯობესდა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად. ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებული მაჩვენებლები გეგმის შესაბამისად სრულდება. შთამბეჭდავია ინფორმაციის მოცულობა ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსების შესახებ. ინფორმაციის შეტანა ბიუჯეტში დროულად წარმოებს. შედეგად, საბიუჯეტო დოკუმენტები შეიცავს ძირითადი ინფორმაციის უმეტესობას და დამატებითი ინფორმაციის საკმარისად ვრცელ ნაწილს, რომლებიც საჭიროა გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის მხარდასაჭერად. საჯარო სერვისების გაწევისას, მოსალოდნელი და მიღწეული შედეგების (შუალედური და საბოლოო) შესახებ ინფორმაცია მთავრობის მასშტაბით არის ძალზე კარგი. თუმცა, საჯარო ინვესტიციების მართვის ყოვლისმომცველი და ინკლუზიური პროცესის არარსებობა უარყოფით გავლენას ახდენს რესურსების სტრატეგიულ და ეფექტურ განაწილებაზე. ვალის მართვის სტრატეგიის დამტკიცებისას (რომელიც ჯერ არ არის საბოლოო სახით მომზადებული), მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ვალის მართვას. შედეგებზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების საფუძველზე, კარგი პროგრესია ყოვლისმომცველი საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოს მიმართულებით. შემუშავებულია ეფექტური საბიუჯეტო კალენდარი, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციებს საკმარის დროს აძლევს თავიანთი ბიუჯეტების მოსამზადებლად. ის ასევე ადეკვატური დროით უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოს აწარმოოს ბიუჯეტის დეტალური განხილვები.

4. პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული შემოსავლებსა და ხარჯებზე გავლენის გაანგარიშებით გაუმჯობესდება ფისკალური სტრატეგია. დროში გაწერილი ფისკალური

მიზნების შემოღებით გაუმჯობესდება ფისკალური შედეგების შესახებ ანგარიშგება. საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირება ძლიერია, მაგრამ გარკვეული პრობლემები რჩება, კერძოდ დაგროვილი საგადასახადო დავალიანებების სახით. საქართველოს ხაზინა ყოველდღიურად ახორციელებს ფულადი ნაშთების კონსოლიდაციას ხაზინის ერთიან ანგარიშზე. ფულადი ნაკადების პროგნოზი ყოველწლიურად მზადდება მომდევნო წლისთვის და წარმოებს მისი განახლება, სულ მცირე, ყოველთვიურად ფულადი ნაკადების ფაქტიური შემოდინების და გადინების საფუძველზე. საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯების ერთ წელზე დაგეგმვა და განაწილება ყოველკვარტალური განწერის საფუძველზე, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების და ვალდებულებების შესაბამისად.

5. სახელფასო და საკადრო სისტემები ძლიერია. შესყიდვების შესახებ არსებული მონაცემთა ბაზები შეიცავს ინფორმაციას, თუ რა იქნა შემენილი, როგორი იყო შესყიდვის ფასი და ვისთან გაფორმდა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვების შედეგად. თუმცა, გასაჩივრების პროცესი არ არის სრულად დამოუკიდებელი, რადგან დავების საბჭოს სამი წევრი შესყიდვების სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელია, რომლის თავმჯდომარეც დავების საბჭოს თავმჯდომარეცაა უპირატესი ხმის უფლებით. შიდა კონტროლი არასახელფასო ხარჯებთან დაკავშირებით გამოირჩევა მოვალეობების მკაფიო გამიჯვნით, ვალდებულებების ეფექტური კონტროლით და გადახდის წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობით. შიდა აუდიტის ფუნქცია კვლავაც ძლიერდება, რამდენადაც ის ჯერ არ ფარავს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას. შიდა აუდიტის საქმიანობა ფოკუსირებულია შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებაზე, რამდენადაც ისინი მაღალრისკიან სფეროებზე ამახვილებს ყურადღებას. ანგარიშების შეჯერება და ფინანსური მონაცემების სისწორე ძლიერი მხარეებია. წლიურ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით სიტუაცია არ არის მკაფიო. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ყოველწლიურად მზადდება და ედრება დამტკიცებულ ბიუჯეტს. სახელმწიფოს კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა გარე აუდიტისთვის არ ხდება, თუმცა ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების გარე აუდიტი ტარდება. სსბასს (IPSAS) წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც გამოიყენება ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგებისთვის. მიუხედავად ამისა, სსბასს სტანდარტების მთლიანი რაოდენობის 50 % - ზე ნაკლები იყო მიღებული 2016 ფისკალური წლისთვის და მხოლოდ 9 სტანდარტი იქნა დანერგული. 2017 წლის განმავლობაში 16 სტანდარტი დაინერგა სტანდარტების მთლიანი რაოდენობიდან, რომელიც 40 - ს შეადგენს. დანერგვის გაგრძელება გააუმჯობესებს ფისკალურ დისციპლინას. გარე აუდიტი წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ სფეროს, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან აუდიტის ანგარიშის განხილვა მოითხოვს გაძლიერებას, რაც გააუმჯობესებს რესურსების განაწილებას პრიორიტეტული სფეროების მიხედვით.

6. საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის (PFM) მნიშვნელოვანი მახასიათებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და ფართო გამოყენება ბიუჯეტის მომზადებაში, ბიუჯეტის შესრულებაში (ანგარიშები, ვალდებულებების კონტროლი და ფულადი სახსრების

მართვა), საკადრო და სახელფასო სისტემების მართვაში, შემოსავლებთან დაკავშირებულ სერვისებსა და შესყიდვებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების აპლიკაციები ქვეყნის შიგნით ბიზნესპროცესების საფუძველზე შემუშავდა თითოეულ თემატურ სფეროში (საჭიროებისამებრ ხელახალი განსაზღვრით) და არა კონკრეტულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე ბიზნეს პრაქტიკის მორგებით. ინტერნეტთან კომბინირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების გადაწყვეტების დანერგვას, რომელიც უნდა განხორციელდეს კომპეტენტური და მომზადებული პერსონალის მიერ (შესაბამისი კონტროლის პირობებში), ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი მხარეების განსავითარებლად. ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტის და პერსონალის ინტეგრაციას შედეგად მოჰყვას საჯარო ფინანსების მართვის (PFM) დადებითი ეფექტურობა და ეფექტიანობა.

საერთო ფისკალური დისციპლინა

7. საერთო ფისკალური დისციპლინა მიიღწევა ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხარჯვის კონტროლის საშუალებით, ასევე შემოსავლების რეალისტური პროგნოზების მომზადებით. შემოსავლების ძლიერი ადმინისტრირება უზრუნველყოფს შემოსავლების ეფექტიან გენერაციას. დაგეგმილი ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლების გვერდის ავლა არ ხდება ხარჯების მუხლებს შორის საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებით და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გზით. სახაზინო ოპერაციები და ფულადი სახსრების მართვა შესაძლებელს ხდის ხარჯების მართვას ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში. სახელშეკრულებო ვალდებულებების კონტროლი ეფექტურია, რამაც შეზღუდა დავალიანება ხარჯვით ნაწილში. ძლიერი გარე აუდიტი აუმჯობესებს ფისკალურ დისციპლინას, მაგრამ მხოლოდ ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების დონეზე, რამდენადაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჯერ არ ხორციელდება.

რესურსების სტრატეგიული განაწილება

8. ანგარიშთა გეგმა განკუთვნილია ხარჯების მრავალგანზომილებიანი ანალიზისთვის. რესურსების სტრატეგიული განაწილების შესაბამისი შედეგების მისაღწევად, არსებობს მტკიცე კავშირი ხარჯების ბიუჯეტირების საშუალოვადიან პერსპექტივას და სტრატეგიულ გეგმებს შორის. ფისკალურ სტრატეგიასთან და პოლიტიკის ცვლილებებით გამოწვეულ შედეგებთან დაკავშირებით ანგარიშგებისა და ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია საერთო ფისკალური ჩარჩოს გაუმჯობესება. ინვესტიციის მართვა შეიძლება ასევე გაუმჯობესდეს. ეს ცვლილებები გააუმჯობესებს რესურსების სტრატეგიულ განაწილებას.

რესურსების ეფექტიანი გამოყენება სერვისების გასაწევად

9. შესყიდვების კონკურენტულ სისტემაში გასაჩივრების და დავების პროცესთან დაკავშირებით არსებულმა ნაკლოვანებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სერვისების გაწევის ეფექტიანობაზე. ანგარიშვალდებულების მექანიზმებში არსებული ძლიერი

მხარეები განაპირობებს გარე აუდიტის, როგორც გადამოწმების მექანიზმის ეფექტურობას რესურსების არაეფექტიანი გამოყენების მიმართ. თუმცა, კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები ზღუდავს აუდიტის გავლენას. აღნიშნულის დაბალანსება ხდება წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების ძლიერი მხარეებით, რომლებშიც აისახება წლიური შედეგების რეალიზაცია საბოლოო და შუალედური მიზნების მისაღწევად. მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლების და შედეგების გამოქვეყნება ასევე ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას საჯარო სერვისების გამწვევ დაწესებულებებში. შემოსავლების მხრივ, საგადასახადო დავალიანების დაგროვებით, ხდება ოპერაციული ეფექტიანობის შესუსტება. საგადასახადო დავალიანების ამოღების ეფექტური მექანიზმის არარსებობა საფრთხეს უქმნის საგადასახადო დარიცხვის სანდოობას და გადამხდელთა მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპს. უიმედო საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის გაგრძელება იძლევა საგადასახადო დავალიანების გასუფთავების და მათი მიმდინარე ვალად ფორმირების შესაძლებლობას.

ეფექტიანობის ცვლილებები წინა შეფასების შემდეგ

10. მიუხედავად იმისა, რომ PEFA შეფასება განხორციელდა 2016 წლის მეთოდოლოგიის მეშვეობით, შესაძლებელი იყო შედარების გაკეთება 2011 წლის PEFA მეთოდოლოგიის მიმართ, რომელიც გამოყენებული იყო 2013 წელს განხორციელებულ წინა PEFA შეფასებაში. 28 ცალკეული ინდიკატორის შედარების შედეგად გაუმჯობესება აღინიშნა 9 ინდიკატორთან დაკავშირებით, გაუარესება დაფიქსირდა 1 ინდიკატორის მიხედვით და არაფერი შეცვლილა 18 ინდიკატორთან მიმართებით. შეფასების საერთო გაუმჯობესება განპირობებული იყო 2013 წელს მიღწეული შედარებით მაღალი საბაზისო ნიშნულით.

11. ორი PEFA შეფასების შედარება აჩვენებს, რომ გაუმჯობესდა შემდეგი ინდიკატორები:

ფისკალური დისციპლინა

- ფაქტიური ხარჯების სტრუქტურული გადახრა თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით ;
- ფაქტიური აგრეგირებული ხარჯების გადახრა თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით; და
- აგრეგირებული ფისკალური რისკის მონიტორინგი საჯარო სექტორის სხვა სუბიექტებიდან (სახელმწიფო კორპორაციების მონიტორინგი).

რესურსების სტრატეგიული განაწილება

- ფისკალური დაგეგმვის, ხარჯების პოლიტიკის და ბიუჯეტირების მრავალწლიანი პერსპექტივა (დარგობრივი სტრატეგიები განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტით).

რესურსების ეფექტიანი გამოყენება მომსახურების გასაწევად

- სახელფასო კონტროლის ეფექტურობა (სახელფასო აუდიტი);

- შიდა აუდიტის ეფექტურობა (დაფარვა და ხარისხი);
- ანგარიშების შეჯერების დროულობა და რეგულარულობა (საბანკო მონაცემებთან დადარება);
- გარე აუდიტის მასშტაბი, ტიპი და შემდგომი ღონისძიებები (მასშტაბი/ ტიპი); და
- გარე აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხილვა.

ჩამორჩენა ძირითადად აღინიშნა წლიური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის დროულობის თვალსაზრისით, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ძირითად ფისკალურ და საბიუჯეტო შედეგზე.

12. აღნიშნული გაუმჯობესება შეიძლება მიეწეროს PFM რეფორმების პროგრამის ძლიერ მართვას, რომელიც საქართველომ განახორციელა და რომლის განახლებასაც გეგმავს ახალი შეფასების საფუძველზე. 2007 წლის შემდეგ შთამბეჭდავი პროგრესი იქნა მიღწეული შემოსავლების სამსახურის მიერ; მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სახაზინო სამსახურში; ასევე, გაფართოვდა ერთიანი სახაზინო ანგარიში, რომელიც ახლა მოიცავს ადგილობრივ მთავრობებს და ყველა საჯარო დაწესებულებას. ამასთან ერთად, ამოქმედდა ვებ-პლატფორმაზე დამყარებული საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა (PFMIS). საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ტრადიციული კონტროლის და შემოწმების ფუნქციების შემსრულებელი ორგანოდან ჩამოყალიბდა თანამედროვე, ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის განმახორციელებელ უწყებად. განისაზღვრა შიდა აუდიტის და კონტროლის სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი და ის დანერგილია მთავრობის მასშტაბით. თავისი დარსების დღიდან, ფინანსთა სამინისტროს აკადემია ჩამოყალიბდა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების და ინიციატივების შესახებ ტრენინგის განმახორციელებელ ძირითად ორგანოდ. მიმდინარე რეფორმები მოიცავს ახალ მიდგომებს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის საპარლამენტო შემოწმების ინსტრუმენტების და პრაქტიკის მიმართულებით. დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების მნიშვნელობა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის როლი ასევე გარკვეულია და რჩება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის დღის წესრიგში.¹ რეფორმის პროგრამის ეს შეფასება ადასტურებს რეფორმების მასშტაბს და სიღრმეს, ისევე როგორც მის კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ მახასიათებლებს. ის ასევე ასახავს რეფორმების დღის წესრიგის უწყვეტ ხასიათს, წინა რეფორმების მიღწევების საფუძველზე საჯარო ფინანსების მართვის დღის წესრიგის ფართო სპექტრის მიხედვით. სამუშაო უკვე დაწყებულია ინვესტიციების მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით PEFA ანგარიშის თავდაპირველი პროექტის საფუძველზე.

¹როგორც მითითებულია გამოცემაში „საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა“ (იხ. ბიბლიოგრაფია)

ცხრილი 1: PEFA ინდიკატორების შეფასებების მიმოხილვა

ინდიკატორების 2017 წლის შემჯამებელი შეფასება							
საჯარო ფინანსების მართვის (PFM) შეფასების ინდიკატორი	შეფასებების მეთოდი	ქვეინდიკატორის რეიტინგი					საერთო შეფასება
		1.	2.	3.	4.		
ბლოკი I: ბიუჯეტის სანდოობა							
PI - 1	ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები		A				A
PI - 2	ხარჯების შესრულების სტრუქტურა	M 1	A	A	A		A
PI - 3	შემოსავლების შესრულება	M 2	A	B			B +
ბლოკი II: საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა							
PI - 4	საბიუჯეტო კლასიფიკაცია		A				A
PI - 5	საბიუჯეტო დოკუმენტაცია		B				B
PI - 6	ცენტრალური მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა	M 2	A	A	NA		A
PI - 7	ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის	M 2	A	A			A
PI - 8	ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ	M 2	A	A	A	A	A
PI - 9	ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა		A				A
ბლოკი III: აქტივების და ვალდებულებების მართვა							
PI - 10	ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ	M 2	B	C	B		B
PI - 11	სახელმწიფო ინვესტიციების მართვა	M 2	C	C	C	C	C
PI - 12	სახელმწიფო აქტივების მართვა	M 2	B	C	C		C +
PI - 13	ვალის მართვა	M 2	A	A	D		B
ბლოკი IV: პოლიტიკაზე დამყარებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება							
PI - 14	მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება	M 2	A	B	A		A
PI - 15	ფისკალური სტრატეგია	M 2	D	B	D		D +
PI - 16	ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში	M 2	A	A	A	D	B +
PI - 17	ბიუჯეტის მომზადების პროცესი	M 2	A	A	A		A
PI - 18	ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება	M 1	A	A	A	A	A
ბლოკი V: ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი							
PI - 19	შემოსავლების ადმინისტრირება	M 2	A	A	A	D	B +
PI - 20	შემოსავლების აღრიცხვა	M 1	A	A	A		A
PI - 21	წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა	M 2	A	A	A	A	A
PI - 22	საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები	M 1	A	C			C +
PI - 23	სახელფასო განაცემების კონტროლი	M 1	A	A	A	A	A
PI - 24	შესყიდვები	M 2	A	A	A	D	B +
PI - 25	არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი	M 2	A	A	A		A
PI - 26	შიდა აუდიტი	M 1	A	B	A	A	B +
ბლოკი VI: აღრიცხვა და ანგარიშგება							
PI - 27	ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა	M 2	A	A	A	A	A
PI - 28	შიდა წლიური ანგარიშგება	M 1	A	B	A		B +

ინდიკატორების 2017 წლის შემჯამებელი შეფასება							
საჯარო ფინანსების მართვის (PFM) შეფასების ინდიკატორი		შეფასების მეთოდი	ქვეინდიკატორის რეიტინგი				საერთო შეფასება
			1.	2.	3.	4.	
PI - 29	წლიური ფინანსური ანგარიშები	M 1	B	D*	C		D +
ბლოკი VII: გარე შეფასება და აუდიტი							
PI - 30	გარე აუდიტი	M 1	A	A	B	A	B +
PI - 31	აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმება	M 2	C	C	C	A	C +

1. შესავალი

1.1 დასაბუთება და მიზანი

13. სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის ამ შეფასების დანიშნულებაა საქართველოში საჯარო ფინანსების (PFM) რეფორმის განხილვა, იგი აფასებს წინა, 2013 წელს განხორციელებული, PEFA - ს შეფასების შემდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების შედეგად მიღწეულ შედეგებს. აღნიშნული შეფასება ხელს უწყობს საჯარო ფინანსების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით მთავრობის საერთო ხედვისა და მიზნების შემდგომ განვითარებას. რეფორმების ეს პროგრამა განიხილება როგორც მთავრობის მიერ წარმოებული უწყვეტი ღონისძიება მუდმივი მონიტორინგით და განახლებით. იგი, PEFA -ს, TADAT-ისა და INTOSAI - ის ინსტრუმენტების გამოყენებით, პერიოდული შეფასებებით ხორციელდება.

1.2 შეფასების მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა

ჩანართი 1.1: შეფასების მართვა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

PEFA შეფასების მართვის ორგანიზაცია

- სახელმწიფო გუნდი — თავმჯდომარე და წევრები: მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი მერსი მიახ ტემბონი; და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე.
- შეფასების მენეჯერი: მსოფლიო ბანკის გლობალური პრაქტიკის მართვის მენეჯერი დანიელ ბოისი;
- შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი და ჯგუფის წევრები: მედიჰა აგარი, ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი და სახელმწიფო სექტორის უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი; პატრიკ პიკერ უმაჰ ტეტე, ჯგუფის ახალი ხელმძღვანელი და ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი; გიომ ბრულე, სახელმწიფო სექტორის უფროსი სპეციალისტი, PEFA -ს სამდივნო; ჯამშიდ ირისკულოვი, ფინანსური მართვის სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი; პიერ პროსპერ მესალი, სახელმწიფო სექტორის უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი; სანდრო ნოზაძე, შესყიდვების სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი; მარიამ დოლიძე, ჯგუფის თანახელმძღვანელი და უფროსი ეკონომისტი, მსოფლიო ბანკი; თამუნა ნამიჩეიშვილი, პროგრამის ასისტენტი, მსოფლიო ბანკი; და ჯონ შორტი, კონსულტანტი.

კონცეფციის დოკუმენტი და/ ან ტექნიკური დავალება

- კონცეფციის დოკუმენტი საქართველოს მთავრობის და სხვა რეცენზენტებისთვის მიწოდებულ იქნა 2018 წლის 28 თებერვალს.
- მოწვეული რეცენზენტები: ევა გუნცაძე, საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი, ფინანსთა სამინისტრო; ირაკლი ხმალაძე, პროექტის მენეჯერი, ევროკავშირი; იენს კრომან კრისტენსენი, PEFA -ს სამდივნო; ელენე ცხაკაია, GIZ; ჯონ ოტიენო ოგალო, მსოფლიო ბანკი.
- რეცენზენტები, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი კომენტარები: ირაკლი ხმალაძე, პროექტის მენეჯერი, ევროკავშირი (2 მარტი, 2018); იენს კრომან კრისტენსენი, PEFA -ს სამდივნო (2 მარტი, 2018); ნათია გულუა, ფინანსთა სამინისტრო (2 მარტი, 2018); ელენე ცხაკაია, GIZ, (2 მარტი, 2018); ჯონ ოტიენო ოგალო, მსოფლიო ბანკი (3 მარტი, 2018); და ანტონიო ბლასკო, მსოფლიო ბანკი (2 მარტი, 2018).

- კონცეფციის დოკუმენტის დასკვნითი ვერსია PEFA სამდივნოსთვის გაგზავნილ იქნა 2018 წლის 13 მარტს.

შეფასების ანგარიშის განხილვა

- ვალიდაციის ანგარიშის პროექტი მიწოდებულ იქნა საქართველოს მთავრობისთვის 2018 წლის 7 მაისს ხოლო რეცენზენტებისთვის 2018 წლის 9 მაისს.
- მოწვეული რეცენზენტები და მათ მიერ წარმოდგენილი კომენტარების თარიღები: ირაკლი ხმაღამე, პროექტის მენეჯერი, ევროკავშირი (25 მაისი, 2018); ევა გუნცამე, საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი, ფინანსთა სამინისტრო (21 მაისი, 2018); ელენე ცხაკაია, GIZ (25 მაისი, 2018); ჯონ ოტიენო ოგალო, მსოფლიო ბანკი (26 მაისი, 2018); ანტონიო ლეონარდო ბლასკო, მსოფლიო ბანკი (27 მაისი, 2018) და ჯულია დიმიტრი, PEFA -ს სამდივნო (30 მაისი, 2018).

PEFA Check

- PEFA -ს ორი ეტაპი შესრულდა: კონცეფციის დოკუმენტი და პასუხი ანგარიშის პროექტთან დაკავშირებულ კომენტარებზე.

14. ამ ანგარიშის მომზადებაში ჩართულმა საჯარო მოხელეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ოპერატიულად წარმოადგინა ინფორმაციის მნიშვნელოვანი რაოდენობა, ასევე მოგვარდეს თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები ყველა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. განვითარების მიმართულებით მომუშავე ზოგიერთმა პარტნიორმა (IMF და GiZ) მონაწილეობა მიიღო შეფასებაში, მხოლოდ თავისი, როგორც ჯგუფის წევრის უფლებამოსილების ფარგლებში და ამგვარად როგორც კონცეფციის დოკუმენტის რეცენზენტმა. ევროკომისია (EC), რომელმაც დააფინანსა ვალიდაციის პროცესი, ინფორმირებული იყო აღნიშნულის შესახებ და მისი წარმომადგენელი მონაწილეობდა ზოგიერთ შეხვედრაში. მსოფლიო ბანკი მონაწილეობდა როგორც მართვის, ისე განხილვის პროცესში და ასევე შემფასებელთა გუნდის აქტიურ წევრს წარმოადგენდა. შეფასების პროცესში სავსე სამუშაოების მიმდინარეობისას კერძო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებების გაცნობა წარმოებდა ბიზნეს ასოციაციის მეშვეობით, საჯარო ფინანსების მართვასთან (PFM) დაკავშირებით თავისი მოსაზრებების გასაზიარებლად და ტრიანგულაციის უზრუნველსაყოფად.

1.3 შეფასების მეთოდოლოგია

15. **შეფასების დაფარვა:** შეფასება მოიცავს ცენტრალურ მთავრობას, რომელიც შედგება 64 საბიუჯეტო დაწესებულებისგან (ესენია: დარგობრივი სამინისტროები, შესყიდვების სააგენტო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, საქართველოს ეროვნული ბანკი, და ასევე სერვისების მიმწოდებლები: სახელმწიფო რეესტრები).

16. **ვალიდაციის გუნდმა** დაადასტურა 2014 - 2016 ფისკალური წლები, როგორც დროის სათანადო მონაკვეთი. ვალიდაცია განხორციელდა 2018 წლის 25 თებერვლიდან 3 მარტამდე პერიოდში.

17. ინფორმაციის წყაროები: ინფორმაციის ჩამონათვალი თითოეული ინდიკატორისთვის მოცემულია 3.2 დანართში. იმ პირთა სრული სია, ვისთანაც შედგა შეხვედრები, წარმოდგენილია 3.1 დანართში.

18. სხვა მეთოდოლოგიური საკითხები ანგარიშის მოსამზადებლად: შეფასება განხორციელდა 2016 წლის PEFA - ს ჩარჩო პროგრამის გამოყენებით. ყველა 31 ინდიკატორი (და მათი 94 ქვეინდიკატორი) შეფასდა და დაფარვის და გამოყენების თვალსაზრისით შეესაბამებოდა მეთოდოლოგიას გადახრების გარეშე. მთავრობამ მანამდე განხორციელა თვითშეფასება 2016 წლის მეთოდოლოგიის გამოყენებით. მსოფლიო ბანკმა განხორციელა შეფასება მთავრობის თვითშეფასების ვალიდაციისთვის². შეფასებების ორივე ნაკრები წარმოდგენილია მე-3 თავში. შემფასებელთა გუნდმა ასევე განხორციელა შეფასებების მინიჭება 2011 წლის PEFA - ს მეთოდოლოგიის გამოყენებით (მთავრობის ეფექტიანობის 28 ინდიკატორი 71 ქვეინდიკატორით) ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შედარების გაკეთება მთავრობის ინდიკატორებთან, რომლებსაც შეფასებები მიენიჭა 2013 წელს PEFA - ს 2013 წლის მარტის ანგარიშში და რომელშიც იგივე მეთოდოლოგია იყო გამოყენებული. 2013 და 2017 წლების შეფასებების შედარება ჩართულია N 1 დანართში. შედარება არ მოიცავდა დონორების პრაქტიკის ყოფილ 3 ინდიკატორს, რამდენადაც მათი ექვივალენტი არ არის წარმოდგენილი 2016 წლის PEFA - ს ჩარჩოში.

² თვითშეფასებამდე არ განხორციელებულა ფორმალიზებული PEFA ტრენინგი. თვითშეფასება განხორციელდა როგორც შემფასებელთა ყოველდღიური სამუშაო პროგრამის ნაწილი.

2. ძირითადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

ანგარიშის ამ თავში წარმოდგენილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოს შესახებ, რომელიც იძლევა საკმარის შესაძლებლობას საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების ფართო კონტექსტის, ისევე როგორც ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის ძირითადი მახასიათებლების გასარკვევად.

2.1 ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა

19. მოსახლების ბოლო საყოველთაო აღწერით და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3 726,4³ ათას ადამიანს. 2017 წლის ინფორმაციით მშპ ერთ სულ მოსახლეზე 10,231.4 ლარს⁴ შეადგენს. „საქსტატის“ მონაცემებით საშუალო თვიური ხელფასი 2016 წელს იყო 940 ლარი⁵. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანახმად 476 ათასი ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას⁶.

20. **ეკონომიკური ზრდა.** 2017 წელს მშპ - ს რეალური ზრდა იყო 5 პროცენტი, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონში. აღსანიშნავია, რომ პარტნიორი ქვეყნების უმეტესობა 2015-2016 წლების კრიზისიდან გამოვიდა და საქართველოს ეკონომიკაზე ვაჭრობის, ფულადი გზავნილების და ტურისტული არხების მეშვეობით დადებითი გავლენა მოახდინა. 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი 38,042.2 მლნ ლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 11.8 პროცენტით მეტია. 2017 წელს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა კვლავაც იყო კერძო სექტორი და ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების გამო, მნიშვნელოვნად გაზრდილი სუფთა ექსპორტი. შედეგად, საქონლის ექსპორტი 24

³http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

⁴http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

⁵http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

⁶http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1191

⁶2017 წლის მეოთხე კვარტალი 2016 წელთან შედარებით

პროცენტით გაიზარდა, ხოლო შემოსავლები მომსახურებიდან, რომელიც ძირითადად ტურიზმითაა წარმოდგენილი გაიზარდა 20 პროცენტით. 2017 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვამ 11.7 პროცენტით მოიმატა, მაგრამ წინასწარმა შედეგებმა აჩვენა, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 7,000-ით შემცირდა⁷. შრომითი რესურსების ღირებულება განაგრძობდა ზრდას (რეალური ხელფასების დონე გაიზარდა), რაც კერძო სექტორში შრომის ნაყოფიერების ამალეობაზე მიუთითებს, თუმცა სამუშაო ადგილების შეზღუდული შექმნით.

21. **ინფლაცია.** 2017 წელს, ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 4 პროცენტი იყო. თუმცა, წლის განმავლობაში ინფლაციის 6 პროცენტამდე ზრდის ტენდენცია აღინიშნებოდა, რაც ნავთობზე აქციზის მომატებითა და მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდით იყო გამოწვეული.

22. **ვალუტის კურსი.** 2017 წელს ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებით 2,1 პროცენტით⁸ გამყარდა. ეროვნული ვალუტის ეს სტაბილური გამყარება ძირითადად გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებით და მეორე მხრივ ფულადი გზავნილების მოცულობის და ტურიზმის ზრდით, რაც დაკავშირებულია მსხვილ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებთან. ამ პერიოდის განმავლობაში ლარი 11.1 პროცენტით გაუფასურდა ევროსთან მიმართებით. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რომელიც წარმოადგენს ლარის საშუალო გაცვლით კურსს, ძირითადი სავაჭრო პარტნიორების სავაჭრო-შეწონილ გაცვლით კურსებთან მიმართებით, 1.2 პროცენტით გაუფასურდა.

23. **საგარეო ვაჭრობა.** 2017 წელს ქართული პროდუქციის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10,710.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 13,8 პროცენტით უფრო მაღალია წინა წელთან შედარებით. ექსპორტი გაიზარდა და შეადგინა 2,728 მლნ აშშ დოლარი (29,1%-იანი ზრდა), ხოლო იმპორტმა 7,982.7 მლნ აშშ დოლარს (ზრდა 9,4% -ით) მიაღწია.

24. **ფულადი გზავნილები.** 2016 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ფულადი გზავნილების დინამიკა პოზიტიური მიმართულებით შეიცვალა. 2017 წელს ფულადი გზავნილების სუფთა მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 22,3 პროცენტით გაიზარდა. ის მოიცავდა ფულადი გზავნილების სუფთა მაჩვენებლის ზრდას რუსეთიდან 19,1 პროცენტით, ისრაელიდან 98,3 პროცენტით, აშშ-დან 11,4 პროცენტით, თურქეთიდან 19,4 პროცენტით და იტალიიდან 18,1 პროცენტით.

25. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 16,2 პროცენტით გაიზარდა და 1,862

⁸ვალუტის გაცვლის კურსის შედარება 2017 წლის პირველი და ბოლო დღეების მდგომარეობით

მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში ყველაზე მსხვილი უცხოური ინვესტორები არიან აზერბაიჯანი (482 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (279 მლნ აშშ დოლარი).

26. **ეკონომიკური ინდიკატორები.** 2.1 ცხრილში ქვევით ნაჩვენებია, რომ ფასების უცვლელობის პირობებში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ყოველწლიურად იზრდებოდა. 2017 წელს მშპ - ის რეალურმა ზრდამ 5 პროცენტს მიაღწია, მაშინ როცა 2014-2017 წლებში ინფლაცია ყველაზე მაღალი 2017 წელს იყო და იგი 6 პროცენტს შეადგენდა.. სავალუტო რეზერვების მთლიანი მოცულობა 2014 წლიდან გაიზარდა. სახელმწიფო და საგარეო ვალის მაჩვენებლები სტაბილურია და უმეტეს ქვეყნებთან შედარებით დაბალია.

ცხრილი 2.1: შერჩეული ეკონომიკური ინდიკატორები

	2014	2015	2016	2017
მშპ (მლნ ლარი)	29,150.5	31,755.6	34,028.5	38,042.2
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	3,676.2	3,766.6	3,864.6	4,078.5
მშპ -ს რეალური ზრდა (%)	4.6 %	2.9 %	2.8 %	5.0 %
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, წლიურიზრდა(%)	3.1 %	4.0 %	2.1 %	6.0 %
სახელმწიფო ვალი(მშპ -ის %)	35.6 %	41.4 %	44.6 %	44.6 %
საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვა (წლიური პროცენტის ცვლილება)	- 25.9 %	- 30.7	- 31.0	13.8
მიმდინარე ანგარიშის სალდო (%)	- 10.6 %	- 11.7 %	- 12.6 %	- 8.7 %
სახელმწიფო საგარეო ვალი (მშპ -ის %)	26.8 %	32.5 %	34.3 %	34.9 %
საერთაშორისო რეზერვები (იმპორტის თვეების ჯერადი)	3.2	3.3	3.3	4.3

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევები და მიმდინარე რეფორმები

27. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. სავაჭრო პარტნიორებთან დაკავშირებულმა მოვლენებმა და ქვეყანაში დოლარიზაციის მაღალმა დონემ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოს არ აქვს ისეთი განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსი, რომელიც დიდ გავლენას მოახდენდა მის ეკონომიკაზე. მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკის წარმატება დამოკიდებულია მის ინსტიტუციურ განვითარებაზე და სტრუქტურულ რეფორმებზე. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველომ შეძლო გამარტივებული წესების შემოღება ბიზნესის წარმოების გასაადვილებლად (დაბალი საგადასახადო განაკვეთების და ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის ჩათვლით), მარტივ ელექტრონულ სერვისებთან წვდომისთვის და კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სტრუქტურებისთვის. აღნიშნულის მისაღწევად უმთავრესი ამოცანა იყო კორუფციისგან თავისუფალი საჯარო სექტორის შექმნა, საბჭოთა კავშირის დროინდელი მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა და ამით რეგიონში გამორჩეული მაგალითის შექმნა. მთავრობა მოწოდებულია გააგრძელოს საკუთარი რეფორმების პროგრამა, განსაკუთრებით საჯარო ფინანსების მართვის სფეროში, იმისათვის რომ უზრუნველყოს სტრატეგიული პრიორიტეტებისთვის რესურსების განაწილების გაუმჯობესება და ფისკალური დისციპლინის

შენარჩუნება. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი სისტემის და ენერჯიული კერძო სექტორის კომბინაცია ეკონომიკური ზრდისა და დაბალი ინფლაციის ძირითადი სტიმულატორია.

28. საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოს განვითარების გეგმა გაპყვება ოთხ ძირითად მიმართულებას, ესენია : (i) *განათლების რეფორმა*, რომლის მიზანია არის დასაქმების ბაზარსა და მოქალაქეთა კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს შორის არსებული უფსკრულის აღმოფხვრა და ყურადღების გამახვილება პროფესიასა და უნარებზე, რომლებიც დეფიციტური, მაგრამ მოთხოვნიანია შრომის ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის გადამზადება იმ სფეროებში, სადაც დასაქმების მოთხოვნა მაღალია და კვალიფიციური მუშაკების რაოდენობა კი მცირეა. თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვანია ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება და ამ მიზნით დაგეგმილი რეფორმების განხორციელება. ზოგადმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა შესაბამისი საერთო ცოდნა, რომელსაც მოჰყვება განათლების შემდგომი ეტაპების გავლა, რაც ახალგაზრდებს მისცემს სწორი არჩევანის გაკეთების საშუალებას კარიერის დაგეგმვაში. (ii) *ეკონომიკური განვითარების რეფორმა*, სადაც საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ასამაღლებლად აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმების და საგადასახადო რეჟიმის დამატებითი სრულყოფა. (iii) *სივრცითი მოწყობის რეფორმა*, რომელიც მოიცავს ძირითადი ინფრასტრუქტურის მშენებლობას ქვეყნის ტრანზიტისა და ტურიზმის პოტენციალის გამოყენების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით ევროპასა და აზიას შორის. (iv) *ღია მმართველობის რეფორმა*, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების ინკლუზიური პრინციპების დანერგვას, რაც ყველა დაინტერესებულ მხარეს მისცემს პროცესში ჩართვის საშუალებას. აღნიშნული ასევე მოიცავს მომავალში "ერთი ფანჯრის პრინციპის" შემდგომ განვითარებას და გაუმჯობესებას და ბიზნესის წარმოების სიმარტივისთვის *ელექტრონული სერვისების(e-services)* ხელმისაწვდომობის გაფართოებას.

29. ზემოაღნიშნული რეფორმები მიზნად ისახავს მაღალხარისხიანი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას, ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, ღია და კონკურენტუნარიანი სავაჭრო გარემოს შექმნას, ეფექტური და კარგად განვითარებული ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებას და მეწარმეობისა და ინოვაციებისთვის კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს ხელშეწყობას. ეს რეფორმები უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ზრდის დაჩქარების და მოსახლეობის შემოსავლების გაზრდის მიზნით.

2.2. ფისკალური და საბიუჯეტო ტენდენციები

30. 2.2 ცხრილში ნაჩვენებია, რომ 2014-დან 2017 წლამდე შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში დაახლოებით 28%-ს შეადგენს და უმნიშვნელოდ იზრდება, მაგრამ პროგნოზის მიხედვით 2021 წლისთვის ოდნავ მცირდება. შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს არაპირდაპირი გადასახადები, შემოსავლების შემდგომი მნიშვნელოვანი წყაროა პირდაპირი გადასახადები. არ არსებობს სოციალური შენატანები. 2017 წლამდე პერიოდში

ხარჯებმა საშუალოდ მშპ-ის 25% შეადგინა და პროგნოზით 2021 წლისთვის დაახლოებით 21% - მდე დაიკლებს. ამგვარად, ადგილი აქვს მნიშვნელოვან საოპერაციო პროფიციტს. ინვესტიციების შემდეგ (არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა) მთლიანი დეფიციტი მშპ -ის 1%-ის ფარგლებშია, რომელიც ფინანსდება საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდით.

ცხრილი 2.2: აგრეგირებული ფისკალური მონაცემები (მშპ -ის %)

მუხლი	2014 ფაქტიური	2015 ფაქტიური	2016 ფაქტიური	2017 ფაქტიური	2018 პროგნოზი	2019 პროგნოზი	2020 პროგნოზი	2021 პროგნოზი
შემოსავლები	27.9 %	28.2 %	28.5 %	28.7 %	28.0 %	27.9 %	27.7 %	27.4 %
გადასახადები	24.8 %	25.2 %	25.9 %	25.7 %	25.4 %	25.5 %	25.5 %	25.4 %
არაპირდაპირი გადასახადები	14.4 %	14.0 %	13.0 %	14.7 %	15.0 %	14.9 %	14.8 %	14.6 %
პირდაპირი გადასახადები	10.4 %	11.2 %	12.9 %	9.7 %	10.4 %	10.5 %	10.7 %	10.8 %
სოციალური შენატანები	0.0 %	0.0 %	0.0 %	0.0 %	0.0 %	0.0 %	0.0 %	0.0 %
გრანტები	1.0 %	1.0 %	0.9 %	0.8 %	0.9 %	0.8 %	0.7 %	0.7 %
სხვა შემოსავლები	2.1 %	2.0 %	1.7 %	2.2 %	1.7 %	1.6 %	1.5 %	1.3 %
ხარჯები	25.3 %	24.8 %	25.9 %	25.4 %	23.6 %	22.5 %	21.5 %	20.7 %
საოპერაციო სალდო	2.6 %	3.4 %	2.6 %	3.3 %	4.4 %	5.3 %	6.2 %	6.8 %
არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	4.6 %	4.5 %	4.0 %	4.2 %	5.9 %	6.8 %	7.3 %	7.6 %
ზრდა	5.0 %	5.6 %	5.1 %	4.5 %	6.3 %	7.1 %	7.6 %	7.9 %
კლება	-0.4 %	-1.1 %	-1.1 %	-0.4 %	-0.4 %	-0.3 %	-0.3 %	-0.3 %
მთლიანი სალდო	-2.0 %	-1.1 %	-1.4 %	-0.9 %	-1.5 %	-1.4 %	-1.1 %	-0.8 %
ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	0.7 %	1.4 %	1.4 %	2.1 %	1.8 %	1.6 %	1.7 %	1.6 %
ზრდა	0.9 %	1.6 %	1.6 %	3.5 %	2.0 %	1.8 %	1.8 %	1.7 %
კლება	-0.2 %	-0.2 %	-0.2 %	-0.2 %	-0.2 %	-0.2 %	-0.2 %	-0.1 %
ვალდებულებების წმინდა ზრდა	3.4 %	2.9 %	3.1 %	2.9 %	3.4 %	3.1 %	3.1 %	2.4 %
საშინაო	1.7 %	0.8 %	0.9 %	0.8 %	0.8 %	0.9 %	0.6 %	0.6 %
ფულად-საკრედიტო ორგანოები	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %
სხვა ვალდებულებები	1.9 %	1.0 %	1.1 %	1.1 %	1.0 %	1.0 %	0.7 %	0.8 %
სხვა კრედიტორული დავალიანება	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %	-0.1 %
საგარეო	1.7 %	2.1 %	2.2 %	2.1 %	2.6 %	2.3 %	2.5 %	1.8 %
აღება	3.4 %	3.3 %	3.2 %	2.2 %	4.2 %	4.1 %	4.0 %	5.8 %
დაფარვა	-1.7 %	-1.2 %	-1.0 %	-0.1 %	-1.6 %	-1.8 %	-1.5 %	-4.0 %
დეპოზიტებზე ნაშთის ცვლილება (+ზრდა)	0.7 %	0.5 %	0.3 %	0.0 %	0.1 %	0.1 %	0.3 %	0.0 %
ეროვნული ბანკი	0.3 %	0.8 %	0.4 %	-0.1 %	0.1 %	0.1 %	0.3 %	0.0 %
კომერციული ბანკები	0.4 %	-0.4 %	-0.2 %	0.0 %	0.0 %	0.0 %	0.0 %	0.0 %

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

31. 2.3 ცხრილი გვიჩვენებს ფაქტიური ხარჯების განაწილებას ფუნქციების მიხედვით. სოციალურ დაცვაზე მთლიანი ხარჯების დაახლოებით მეოთხედი იხარჯება, ხოლო ხარჯები ეკონომიკურ საქმიანობაზე, განათლებაზე, საზოგადოებრივ წესრიგზე და უსაფრთხოებაზე და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე შეადგენს 2014-2017 წლების მთლიანი ხარჯების 10-10%-ზე მეტს. ჯანდაცვის ხარჯები 2017 წელს 10% -მდე გაიზარდა. ხარჯების განაწილებაში არსებული ეს ცვლილებები მთავრობის პრიორიტეტებს გამოხატავს.

ცხრილი 2.3 ნაერთი ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯების (მიმდინარე, კაპიტალური) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (% მთლიან მოცულობასთან)

კოდი	მუხლი	2014 ფაქტიური	2015 ფაქტიური	2016 ფაქტიური	2017 ფაქტიური
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	11 %	13 %	12 %	13 %
702	თავდაცვა	7 %	6 %	6 %	7 %
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	11 %	12 %	11 %	10 %
704	ეკონომიკური საქმიანობა	15 %	13 %	14 %	13 %
705	გარემოს დაცვა	2 %	1 %	1 %	1 %
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4 %	4 %	4 %	4 %
707	ჯანმრთელობის დაცვა	8 %	9 %	9 %	10 %
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 %	6 %	5 %	4 %
709	განათლება	11 %	13 %	14 %	13 %
710	სოციალური დაცვა	27 %	23 %	23 %	25 %
	<i>სულ</i>	<i>100 %</i>	<i>100 %</i>	<i>100 %</i>	<i>100 %</i>

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

32. ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2.4 ცხრილში ნაჩვენებია, რომ სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დღეისთვის ყველაზე დიდი დანახარჯია, რომელიც 2014 წელს არსებული 35%-იანი მაჩვენებლიდან 2017 წლისთვის 37%-მდე გაიზარდა. ამას მოჰყვება შრომის ანაზღაურება, რომელიც 27 % -იდან (2014) 17 % -მდე (2017 წელს) შემცირდა.

ცხრილი 2.4 ნაერთი ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით (% მთლიან მოცულობასთან)

	2014	2015	2016	2017
ხარჯები	100 %	100 %	100 %	100 %
შრომის ანაზღაურება	27 %	23 %	22 %	17 %
საქონელი და მომსახურება	18 %	17 %	18 %	16 %
პროცენტი	3 %	4 %	4 %	5 %
სუბსიდიები	8 %	8 %	7 %	10 %
გრანტები	0 %	0 %	0 %	0 %
სოციალური უზრუნველყოფა	35 %	35 %	36 %	37 %
სხვა ხარჯები	8 %	12 %	12 %	15 %

წყარო: ფინანსთა სამინისტრო⁹

2.3 საჯარო ფინანსების მართვის სამართლებრივი მოწყობა

⁹2.2 - 2.4 ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია იმავე წყაროდან, საიდანაც მე-3 თავის მონაცემები, მაგრამ ოდნავ განსხვავებული წარდგენით..

33. საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სამართლებრივი საფუძველი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, მათ შორის, ფისკალური მართვის პრინციპებით და ფისკალური წესებით, ბიუჯეტის და პასუხისმგებელი პირების მომზადების, ანგარიშგების და კონტროლის ძირითადი პრინციპებით. ფისკალური მართვის ძირითადი პრინციპები და ფისკალური წესები დამტკიცებულია საქართველოს ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. 2009 წლიდან საბიუჯეტო სისტემის ძირითადი კანონია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა არსებული საკანონმდებლო აქტები და განსაზღვრა საბიუჯეტო პროცესი მთავრობის ყველა დონისთვის ერთიან სისტემაში, ერთიანი პროცესით და პრინციპებით (კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“). ამ კანონმა მოიცვა საჯარო ფინანსების მართვის ყველა სფერო, როგორებიცაა ბიუჯეტის ფორმულირება და შესრულება, ვალის საკითხები, მუნიციპალიტეტებთან შემოსავლების განაწილება, ფინანსური ანგარიშგება, შიდა კონტროლი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი. კანონში სხვადასხვა თავები ეთმობა სახელმწიფო ხელისუფლებას, ავტონომიებს და მუნიციპალიტეტებს. საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება და მათი რეალიზაცია აღმასრულებელი უწყებების პასუხისმგებლობაა საერთო ბიუჯეტის ფორმულირებისა და ბიუჯეტის შესრულების პროცესის კონტექსტში.

34. კოდექსმა დაადგინა საბიუჯეტო სისტემის ზოგადი ნორმები, ისევე როგორც სპეციალური რეგულაციები სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებისთვის. სახელმწიფო ვალის მართვასთან, სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან და ვალის ტრანსფერთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით და კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ (1998 წელი). ასევე აღსანიშნავია საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საქართველოს კანონი „შემოსავლების სამსახურის შესახებ“, და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა კანონები, რომლებიც საგადასახადო საკითხებს არეგულირებს. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ (საქართველოს კანონი № 5447; 2011 წლის 9 დეკემბერი) ვრცელდება შიდა აუდიტზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის შესაბამისად და აქვს ოპერაციული, ფუნქციონალური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2012 წლის 1-ელ იანვარს შეიქმნა 829 -ე ბრძანებით, რომელშიც ცვლილებები იქნა შეტანილი ძალაში შესვლის შემდეგ.

2.4 საჯარო ფინანსების მართვის ინსტიტუციური მოწყობა

35. საქართველოს საბიუჯეტო პროცესის მონაწილე დაწესებულებები შესაბამისობაში არიან საერთაშორისო აღიარებულ პრაქტიკასთან. საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საკანონმდებლო ორგანო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ინაწილებენ ფუნქციებს საბიუჯეტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს

მთავრობა 10 მეტი წლის განმავლობაში ახორციელებენ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმებს, რასაც მოჰყვა ყველა ამ დაწესებულების პოტენციალის გაძლიერება. მთავრობა კვლავაც გააგრძელებს რეფორმების განხორციელებას სისტემურ ნაკლოვანებებზე რეაგირების მიზნით.

36. 2.5 და 2.6 ცხრილებში ნაჩვენებია მთავრობის სტრუქტურა სუბიექტების რაოდენობის და ხარჯების მიხედვით. არასაბიუჯეტო ერთეულები არ არის წარმოდგენილი, რადგან სამინისტროსთან დაკავშირებული ყველა უწყება (საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები), ასახულია ბიუჯეტში. ცენტრალურ მთავრობას ჰყავს 2815 საბიუჯეტო ორგანიზაცია, საიდანაც 2,085 არის სკოლა, მხარჯავი დაწესებულებების რაოდენობა 57-ია და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების რაოდენობა კი 673. სოციალური დაცვის ფონდი არ არსებობს.

ცხრილი 2.5 საჯარო სექტორის სტრუქტურა - სუბიექტების რაოდენობა⁰

წელი: 2016	საჯარო სექტორი				
	მთავრობის ქვესექტორი		სოციალური დაცვის ფონდები	სახელმწიფო კომპანია ქვესექტორი	
	საბიუჯეტო ერთეული ¹⁰	არასაბიუჯეტო ორგანიზაციები		არასაფინანსო სახელმწიფო კომპანიები	ფინანსური სახელმწიფო კომპანიები
ცენტრალური	2,815	0	0	175	1
მხარჯავი დაწესებულებების ჩათვლით	57	0		91	
საბიუჯეტო ორგანიზაციების ჩათვლით	673				
საჯარო სკოლების ჩათვლით	2,085				
1- დონის ადგილობრივი (სახელმწიფო) (მუნიციპალიტეტები)	67				
ადგილობრივი ქვედა დონე (საბიუჯეტო ორგანიზაციები)	2,713				
საბავშვო ბაღების ჩათვლით	1,538				

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

¹⁰ სამინისტროსთან დაკავშირებული ყველა უწყება (სსიპ და ააიპ), ასახულია ბიუჯეტში. მათი რიცხვია 2,300, საიდანაც 2,085 სკოლაა. ისინი ცენტრალური მთავრობის სუბიექტებია და ანგარიშვალდებულნი არიან 59 მხარჯავი დაწესებულების წინაშე და არ არიან დამოუკიდებლები. სოციალური უზრუნველყოფის ფონდი არ არსებობს.

ცხრილი 2.6 საჯარო სექტორის სტრუქტურა - ფაქტიური ხარჯები

მლნ ლარი				
წელი: 2016	ცენტრალური მთავრობა			
მლნ ლარი	საბიუჯეტო ორგანიზაცია	არასაბიუჯეტო ორგანიზაციები	სოციალური დაცვის ფონდები	სულ
შემოსავლები	8,580.0	0	0	8,580.0
ხარჯები	8,498.6	0	0	8,498.6
ტრანსფერების გაცემა (-) და მიღება (+) ცენტრალური მთავრობის სხვა ორგანიზაციებიდან	- 903.7	0	0	- 903.7
სულ ხარჯები	9,402.3	0	0	9,402.3
ვალდებულებები	1,063.1	0	0	1,063.1
ფინანსური აქტივები	396.2	0	0	396.2
არაფინანსური აქტივები	876.6	0	0	876.6

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

საჯარო ფინანსების მართვის ინსტიტუციური სისტემა რამდენიმე მნიშვნელოვან ინსტიტუტს მოიცავს, ესენია:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

37. მთავრობის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) მომზადებისა და საშუალოვადიანი პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია :

- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად მაკროეკონომიკურ პროგნოზებზე და შეფასებებზე ;
- საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირებაზე და დაგეგმვაზე ;
- ანალიტიკური მასალების და საპროგნოზო გამოთვლების მომზადებაზე.

38. ამასთან ერთად, სამინისტროში ფუნქციები სტრუქტურულად ნაწილდება შესაბამის დეპარტამენტებს შორის და ფისკალური პოლიტიკა იგეგმება და ხორციელდება მათი კოორდინირებული მუშაობის შედეგად, მათ შორის:

- მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, რომელიც განსაზღვრავს ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების სავარაუდო ინდიკატორებს, ამზადებს პროგნოზებს და გეგმავს საბიუჯეტო შემოსავლებს, აკეთებს ქვეყნის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს

ფისკალური პოლიტიკის შესახებ. კოორდინაციას უწევს ქვეყნის განვითარების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავებას.

- *საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი* განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.
- *სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი* უზრუნველყოფს ქვეყნის სახელმწიფო ვალზე ანგარიშვალდებულებას და მართავს საერთაშორისო დაფინანსებას, რაც მოიცავს დონორების გრანტებს, კრედიტებს და სესხებს.
- *საბიუჯეტო დეპარტამენტი* კოორდინაციას უწევს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) შემუშავებას და ამზადებს წინადადებებს და ანალიტიკურ მასალებს საშუალოვადიანი პოლიტიკის განსაზღვრისათვის. ამზადებს ბიუჯეტის წლიურ პროექტს და აუცილებელი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმების პროექტებს. კოორდინაციას უწევს ბიუჯეტის შესრულების პროცესს და ამზადებს ანგარიშებს ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
- *ჰარმონიზაციის ცენტრი* ამოქმედდა 2010 წელს. ცენტრი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტს. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -2 მუხლის თანახმად, ცენტრი უზრუნველყოფს შეფასებას, კოორდინაციას და შიდა აუდიტის, საფინანსო მართველობის და კონტროლის სისტემების ჰარმონიზაციას საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის.
- *ფისკალური რისკების მართვის სამმართველო* აანალიზებს ფისკალური რისკების შეფასებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების ან სახელმწიფოს მიერ აღებული ირიბი ვალდებულებების შედეგად, ასევე ახორციელებს მოსალოდნელი შედეგების ანალიზს სხვადასხვა ალტერნატიული სცენარების შემუშავებაში.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

39. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია სახელმწიფო აქტივების განკარგვაზე (პრივატიზაცია) და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოების ზედამხედველობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

40. ყველა სახელმწიფო შესყიდვას ადმინისტრირებას უწევს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

საქართველოს პარლამენტი და საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი

41. პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი ახორციელებს იმ ღონისძიებების მოსალოდნელი შედეგების შეფასებას, რომლებიც უნდა განხორციელდეს საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო და სავალუტო სისტემებში და ამზადებს შესაბამის დასკვნებს, ცნობებს, რეკომენდაციებს და გადაწყვეტებს; ის ასევე განიხილავს ბიუჯეტის პროექტს, შეიმუშავებს დასკვნებს და ორგანიზებას უკეთებს მის განხილვას და სხვა კომიტეტებთან შეთანხმებას.

42. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტის კანონის განხილვის შესახებ საქართველოს პარლამენტი ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის ანგარიშების მოსმენას.

43. რამდენიმე წლის წინ საქართველოს პარლამენტში შეიქმნა საბიუჯეტო ოფისი, ამჟამად მიმდინარეობს მისი დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუტად ჩამოყალიბება, რომელიც განახორციელებს ალტერნატიულ და დამოუკიდებელ გამოთვლებს და კვლევებს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ფისკალური პოლიტიკის სისწორის და მიზანშეწონილობის ანალიზისთვის. საბიუჯეტო ოფისის უპირველესი მიზანია საჯარო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მხარდაჭერა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ანალიზის, შესწავლის, შეფასების და ფისკალური პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების საშუალებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

44. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის სახელმწიფო საფინანსო და ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს, შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, დარღვევების და ნაკლოვანებების პრევენციის და აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების ჩათვლით, ის ასევე ამზადებს წინადადებებს შესაბამისი ადმინისტრაციული და სამართლებრივი აქტების გაუმჯობესების შესახებ.

45. სამსახურის ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო ფინანსური სახსრების, ისევე როგორც სახელმწიფოს სხვა მატერიალური აქტივების გამოყენების კანონიერების და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი მთავრობების ეროვნული სიმდიდრის და ქონების დაცვა.

საქართველოს შემოსავლების სამსახური

46. ყველა გადასახადის ადმინისტრირება წარმოებს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

47. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიზანია ოფიციალური სტატისტიკის მომზადება, რომელიც ასახავს ქვეყნის სოციალური, დემოგრაფიული, ეკონომიკური და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას სტატისტიკის საერთაშორისო პრინციპების საფუძველზე. მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF).

საქართველოს ეროვნული ბანკი

48. საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებს ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და სტიმულს აძლევს ფინანსური სექტორის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ის უზრუნველყოფს ფინანსური სისტემის სტაბილურობას და გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას. ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. ეროვნული ბანკი ასევე ზედამხედველობს ფინანსურ სექტორს და უზრუნველყოფს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში მთავრობისგან დამოუკიდებელია.

2.5 საჯარო ფინანსების მართვის და მისი ოპერაციული გარემოს სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები

49. საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შექმნას ერთიანი სახაზინო ანგარიშის და საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) ირგვლივ, რომელიც აერთიანებს სახელფასო და სხვა ხარჯებს, ისევე როგორც ვალდებულებების კონტროლს. ეს მოიცავს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას. საქართველოში არ არსებობს მიზნობრივი შემოსავლები და არასაბიუჯეტო ორგანიზაციები, გარდა საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილის გადანაწილებისა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. გარე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. ასეთი მოწყობა გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა, მაგრამ მუდმივად უმჯობესდება საჯარო ფინანსების მართვის (PFM) მიმდინარე რეფორმების საშუალებით. საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს ბიუჯეტის ფორმულირებასთან დაკავშირებით საჯარო მოსმენას და ასევე საპარლამენტო მოსმენას და დებატებს, ისევე როგორც მოსმენას და დებატებს აუდიტის ანგარიშებთან დაკავშირებით.

3.საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის შეფასება

პირველი ბლოკი: ბიუჯეტის სანდოობა

PI - 1. ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

51. ეს ინდიკატორი აფასებს ბიუჯეტის სანდოობას, იმის გაანგარიშებით თუ რა ხარისხის განსხვავებაა ფაქტიურ მთლიან ხარჯებსა და პირველად ბიუჯეტს შორის ბოლო სამი წლის ხელმისაწვდომი მონაცემებით. შეფასება მოიცავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს. შეფასება ეფუძნება 2014, 2015 და 2016 ფისკალური წლების პირველად ბიუჯეტსა და ბიუჯეტიდან გაწეულ ფაქტიურ ხარჯებს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი			
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 1: ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები	A	A	
1.1 ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები	A	A	სამივე წლის განმავლობაში გადახრა იყო 5 %-ზე ნაკლები (1.2 %, 0.3 % და 1.2 %)

52. ფაქტიური და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესახებ მონაცემები შეჯამებულია შემდეგ 1.1 ცხრილში:

ცხრილი 1.1: სულ ბიუჯეტით დამტკიცებული და ფაქტიური ხარჯები (მლნ ლარი)			
	2014	2015	2016
დამტკიცებული ბიუჯეტი	8,273.7	8,809.6	9,293.6
ფაქტიური ხარჯები	8,177.8	8,838.2	9,404.2
ფაქტიური ხარჯები %	98.8 %	100.3 %	101.2 %

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

53. 1.1 ცხრილში ნაჩვენებია, რომ ფაქტიური ხარჯების (მიმდინარე და კაპიტალური) პროცენტული მაჩვენებელი ბიუჯეტის მიმართ იყო შემდეგი: 2014 წელს - 98,8 %, 2015 წელს - 100.3 %, 2016 წელს კი - 101.2 %. აქედან გამომდინარე, მაჩვენებლის შეფასება შეესაბამება A - ს , როგორც PEFA -ს 2013 წლის შეფასების შემთხვევაში.

PI - 2. ხარჯების შესრულების სტრუქტურა

54. ეს ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად განაპირობებს ბიუჯეტის შესრულების პროცესში მთავარ საბიუჯეტო კატეგორიებს შორის რესურსების გადანაწილება ხარჯების შედგენილობის ცვლილებას. შეფასება ემყარება 2014, 2015 და 2016 ფისკალური წლების პირველად ბიუჯეტსა და ფაქტიურ ხარჯებს. ინდიკატორი მოიცავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 2: ხარჯების შესრულების სტრუქტურა	A	A	
2.1 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ფუნქციების მიხედვით	A	A	სამივე წლის განმავლობაში გადახრა 5%-ზე ნაკლები იყო (2.9 % 2.5 % და 3.4 %)
2.2 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	A	A	სამივეწლის განმავლობაში გადახრა 5%-ზე ნაკლები იყო (3.1 % 4.0 % და 3.8 %)
2.3 ხარჯები სარეზერვო ფონდებიდან	A	A	სარეზერვო ფონდიდან გაწეული ფაქტიური ხარჯები შეადგენდა 1.0 %-ს 2014 წელს, 1.7 %-ს 2015 წელს და 1.9 %-ს 2016 წელს. კანონის თანახმად იგი არ შეიძლება აღემატებოდეს ბიუჯეტის 2 %-ს.

2.1 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ფუნქციების მიხედვით

55. ფაქტიური და ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები ფუნქციების მიხედვით წარმოდგენილია დანართში. გადახრა ხარჯების სტრუქტურაში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 2014 წელს 2.9 % - ს, 2015 წელს 2.5 % - ს და 2016 წელს 1.9 % - ს. შეფასება: A.

2.2 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

56. ფაქტიური და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (გაუთვალისწინებელი ხარჯების გამოკლებით) წარმოდგენილია დანართში. გადახრის დონე ხარჯების სტრუქტურაში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 3.1 %-ს 2014 წელს, 4.0 %-ს 2015 წელს და 3.8 % - ს 2016 წელს. შეფასება : A.

2.3 ხარჯები სარეზერვო ფონდებიდან

57. „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის თანახმად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განიხილება საერთო სახელმწიფო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების მთლიანი თანხის 2%-ს. ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდები შეადგენდა 1%-ს 2014 წელს, 1.7%-ს 2015 წელს და 1.9%-ს 2016 წელს. შეფასება: A.

PI - 3. შემოსავლების შესრულება

58. ეს ინდიკატორი აფასებს თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტსა და წლის ბოლოს ფაქტიურად მიღებულ შემოსავალს შორის განსხვავებას. შეფასება დაფუძნებულია 2014, 2015

და 2016 ფისკალური წლების პირველად საბიუჯეტო და ფაქტიურად მიღებულ შემოსავლებზე. შეფასება მოიცავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 ქულა		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 3: შემოსავლების შესრულება	B +	B +	
3.1 მთლიანი შემოსავლების შესრულება	A	A	მთლიანი გადახრა იყო 97%-სა და 106%-ს შორის, რაც თითოეული წლისთვის შეადგენდა 102%-ზე ნაკლებს
3.2 ფაქტიური შემოსავლების სტრუქტურა	B	B	შემოსავლების ცვლილება 10%-ზე ნაკლები იყო სამიდან ორი წლის განმავლობაში. 2014 წელს 5.5%, 2015 წელს 5.0% და 2016 წელს 1.3%.

3.1 მთლიანი შემოსავლების შესრულება

59. დანართში წარმოდგენილია ბიუჯეტით დაგეგმილი და ფაქტიურად მიღებული შემოსავლები გამსხვილებული კატეგორიების მიხედვით. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების (7,319. 0 მლნ ლარი) საწყისი საბიუჯეტო პროგნოზი გამოთვლილ იქნა ეკონომიკური ზრდის (5%) და საშუალო ინფლაციის (3.5%) გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური შემოსავლები იყო პროგნოზის 101,6%. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების (8,090. 0 მლნ ლარის) თავდაპირველი ბიუჯეტის მაჩვენებელი გამოთვლილი იყო ეკონომიკური ზრდის (5.0%) და საშუალო ინფლაციის (4.0%) გათვალისწინებით. შესაბამისად, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები პროგნოზის 101.0% იყო. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების თავდაპირველი საბიუჯეტო მაჩვენებელი (8,555.0 მლნ ლარი) გამოითვლება ეკონომიკური ზრდის (3.0%) და საშუალო ინფლაციის გათვალისწინებით (5.5%). სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა ფაქტიურმა მოცულობამ პროგნოზის 100.3 % შეადგინა.

ცხრილი 3.1 მთლიანი შემოსავლების შესრულება	
წელი	ფაქტიური შესრულება (საპროგნოზო შემოსავლების %)
2014	101.6%
2015	101.0%
2016	100.3%

60. რადგან გადახრა ფაქტიურად მიღებულ შემოსავლებს შორის შეადგენდა 2%-ზე ნაკლებს სამი წლიდან თითოეულ წელს, ეს ქვეინდიკატორი შეფასდა A შეფასებით.

3.2 ფაქტიური შემოსავლების სტრუქტურა

61. 2014 წელს შემოსავლების სტრუქტურაში გადახრის დონე იყო 5.5%, 2015 წელს 5% და 2016 წელს მიაღწია 13.3%-ს.

62. ორივე შემთხვევაში, როგორც 2014 წელს ასევე 2015 წელს, გადახრა ძირითადი გადასახადის სახეობებს შორის (საშემოსავლო, მოგების და კაპიტალის ღირებულების ზრდაზე გადასახადები და გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე), რომლებიც ერთად შეადგენს მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 93 %-ს, არის მცირე. გადახრა გამოწვეულია რთულად პროგნოზირებადი მუხლების გამო (როგორც არის გრანტები, საქონლისა და ქონების გაყიდვები და ჯარიმები). 2016 წელს გადახრის მაღალი მაჩვენებელი უკავშირდება საგადასახადო ადმინისტრირებაში შეტანილ ცვლილებებს. 2016 წლიდან ყველა გადასახადის გადასახდელად შემოღებულ იქნა ერთიანი სახაზინო კოდი. დეკლარაციის სავადო თარიღამდე გადახდილი ყველა გადასახადი აისახება ერთი კოდის ქვეშ (სხვა გადასახადები), სანამ დეკლარირების სავადო თარიღის შემდეგ არ მოხდება მათი დარიცხულ თანხებთან შედარება და გადასახადების შესაბამისი სახეების მიხედვით გადარიცხვა. 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საგადასახადო პროგნოზები გაკეთდა გადასახადის სახეების შესაბამისად წინა წლების ტენდენციების გათვალისწინებით. თუმცა, რეფორმის შედეგად, ფაქტიური გადასახადების სწორ კოდებს შორის განაწილება უკავშირდებოდა სირთულეებს. შესაბამისად, აღნიშნული მაღალი გადახრა რეფორმის გარდამავალ პერიოდთან არის დაკავშირებული. 2017 წელს ეს პრობლემა გადაიჭრა და გადახრის მაჩვენებელი დაუბრუნდა ძველ დონეს.

63. იმდენად, რამდენადაც გადახრა 5%-ზე უფრო მაღალი და 10 %-ზე დაბალი იყო სამიდან ორი წლის მანძილზე , ამ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება B .

ცხრილი 3.2 გადახრა შემოსავლების სტრუქტურაში	
წელი	გადახრა
2014	5.5 %
2015	5.0 %
2016	13.3 %

მეორე ბლოკი: საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა

PI - 4. საბიუჯეტო კლასიფიკაცია

64. ეს ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად შეესაბამება სახელმწიფო ბიუჯეტი და ანგარიშების კლასიფიკაცია საერთაშორისო სტანდარტებს. გამოიყენება შეფასების პერიოდისთვის არსებული მდგომარეობა. შეფასება ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 4:საბიუჯეტო კლასიფიკაცია	A	A	ბიუჯეტის ფორმულირება, შესრულება და ანგარიშგება ემყარება ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის თითოეულ დონეს (10 ფუნქცია) GFS/ COFOG სტანდარტების გამოყენებით. პროგრამული კლასიფიკაცია გამომდინარეობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციული კლასიფიკაციიდან.

65. საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი დებულებები განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით¹¹. მას დეტალურად განსაზღვრავს ფინანსთა მინისტრის ბრძანება.¹² კლასიფიკაციაში შედის:

- ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციები, რომელიც გამოიყენება საბიუჯეტო სისტემის ყველა საფეხურზე სახელმწიფო აღრიცხვისთვის და შესაბამისობაშია სახელმწიფოს ფინანსური სტატისტიკის 2001 (GFSM 2001¹³) წლის სახელმძღვანელოსთან და მთავრობის ფუნქციების კლასიფიკაციასთან (CoFoG). ეს სტანდარტები სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 2008 წლიდან, ხოლო 2009 წლიდან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისთვის გამოიყენება. ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციები მოიცავს შემოსავლებს, ხარჯებს, არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ეკონომიკური კლასიფიკაცია კოდირებულია GFS- თან შესაბამისობაში, 5 ნიშნა კოდების მეშვეობით, რაც იძლევა ხარჯების (ან შემოსავლების) იდენტიფიცირების საშუალებას დეტალიზაციის ყველაზე მაღალ დონეზე, რომელიც რეკომენდებულია GFS-ის მიერ.

¹¹საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 8.

¹²საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N672, 25 აგვისტო, 2010.

¹³ფინანსთა სამინისტროს თხოვნით საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) პასუხისმგებელია ტექნიკური მხარდაჭერის მიწოდებაზე GFSM 2014 წლის - საბიუჯეტო კლასიფიკაციის ახალი სტანდარტის დანერგვის პროცესში

- ორგანიზაციული კლასიფიკაცია, რომელიც ფაქტიურად უზრუნველყოფილია 5 ნიშნა კოდირებული პროგრამული კლასიფიკაციით და რომელიც იძლევა ხარჯების (ან შემოსავლების) იდენტიფიცირების საშუალებას, სულ მცირე GFS¹⁴-ის მიერ მოთხოვნილ დონეზე. საქართველოს შემთხვევაში დეტალები განსაზღვრულია ხარჯების ცენტრის დონეზე (ე.ი. GFS მე-3 დონე და ქვევით).

66. 2001 წლის სახელმწიფო ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოს თანახმად, საბიუჯეტო კლასიფიკაცია უნდა მოიცავდეს შემოსავლებთან, ხარჯებთან, არასაფინანსო აქტივებთან, ფინანსური აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების ეკონომიკურ კლასიფიკაციას. ქვემოთ მოყვანილია GFS-ის შესაბამისი ეკონომიკური კოდირების სისტემის მაგალითი:

GFS -ის შესაბამისი კოდირების სისტემის მაგალითი საქართველოში

<p><i>მაგ. ხარჯების კოდირება GFS -ის შესაბამისად</i></p> <p><i>ხარჯები - კოდი2:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - შრომის ანაზღაურება- კოდი21 - საქონელი და მომსახურება- კოდი22 - ძირითადი კაპიტალის მოხმარება - კოდი23 - პროცენტი- კოდი24 - სუბსიდიები – კოდი25 - გრანტები- კოდი26 - სოციალური უზრუნველყოფა – კოდი27 - სხვა ხარჯები – კოდი28 <p><i>არაფინანსური აქტივების ცვლილება – კოდი31</i></p> <p><i>ფინანსური აქტივების ცვლილება – კოდი32</i></p> <p><i>ვალდებულებების ცვლილება– კოდი33</i></p> <p><i>მაგ. ხარჯების კოდირება</i></p> <p><i>5 - ნიშნა ეკონომიკური კოდი: 2.2.3.12.1.</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ხარჯები: 2 - საქონელი და მომსახურება: 2 - საოფისე ხარჯები: 3 - კომუნალური მომსახურება: 12 - ელექტროენერგია: 1

67. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული კლასიფიკაცია არ წარმოადგენს GFS-ის მოთხოვნას (და არც CoFoG - ის მოთხოვნას), საქართველომ შეიმუშავა პროგრამების ბიუჯეტირების კომპლექსური სისტემა კონკრეტული კლასიფიკაციით. ეს არის პრიორიტეტების, პროგრამების (4 - ნიშნა) და ქვეპროგრამების (6 - ნიშნა) კომბინაცია და კლასიფიკაცია განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. ეს კლასიფიკაცია ცვლის GFS -ის საორგანიზაციო კლასიფიკაციას და უზრუნველყოფს, სულ მცირე, დეტალიზაციის იგივე

¹⁴ GFS მოიცავს სამ დონეს (სამინისტრო, დირექტორატი და ქვემოთ)

დონეს, რაც წარმოდგენილია GFS - ის მეორე და მესამე დონეზე. პროგრამის კლასიფიკაცია იძლევა ინფორმაციის დაფიქსირების საშუალებას ხარჯების ცენტრის ყოველ დონეზე (რაც GFS ის მოთხოვნაზე უფრო მეტად დეტალიზებულია). მაგალითი წარმოდგენილია ქვევით:

პროგრამული კლასიფიკაციის კოდირების მაგალითი, რომელიც ანაცვლებს GFS - ის შესაბამის ორგანიზაციულ კლასიფიკაციას

<p><i>განათლების და მეცნიერების სამინისტრო- კოდი 32 - 00 (1 -ლი GFS დონე)</i> <i>პროგრამა განათლების მესამე საფეხურისთვის (მე -2 დონე) - კოდი 32 - 04</i> <i>ქვეპროგრამა 32 - 04 - 01 – ეროვნული გამოცდები (მე -3 GFS დონე)</i> <i>ქვეპროგრამა 32 - 04 - 02 – სახელმწიფო სტიპენდია</i> <i>ქვეპროგრამა 32 - 04 - 02 – მიზნობრივი დახმარება განათლების მესამე საფეხურისთვის</i> <i>ქვეპროგრამა 32 - 04 - 04 – უცხოური გაცვლის პროგრამების მხარდაჭერა</i></p> <p><i>ქვექვეპროგრამა 32 - 04 - 01 - 01 – შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი (ხარჯების ცენტრი; მე-3 დონე)</i></p>

68. უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯების თითოეული ცენტრი (ქვეპროგრამის ან ლონისძიების განმახორციელებელი) ასეთად იდენტიფიცირებულია ხარჯების IT სისტემაში (ელექტრონული ხაზინა და ელექტრონული ბიუჯეტი) ისე, რომ მასთან დაკავშირებული ხარჯები დეტალურად იქნეს შესწავლილი და გაკონტროლებული.

69. ფუნქციონალური კლასიფიკაცია შეესაბამება CoFoG ის მოთხოვნებს 10 შემდგომი ფუნქციით: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება; თავდაცვა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; ეკონომიკური საქმიანობა; გარემოს დაცვა; საბინაო-კომუნალური მეურნეობა; ჯანმრთელობის დაცვა; დასვენება, კულტურა და რელიგია; განათლება და სოციალური უზრუნველყოფა. შეფასება : A.

PI - 5. საბიუჯეტო დოკუმენტაცია

70. ეს ინდიკატორი აფასებს ყოველწლიურ საბიუჯეტო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს ძირითადი და დამატებითი ელემენტების კონკრეტული ჩამონათვალის მიმართ. შესაფასებელი დროის პერიოდი არის საკანონმდებლო ორგანოსთვის უკანასკნელი ბიუჯეტის წარდგენის მომენტი (2017) და შეფასება ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 5: საბიუჯეტო დოკუმენტაცია	A	B	საბიუჯეტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ცხრა ელემენტს, რომელთაგან ოთხი ძირითადი, ხოლო ხუთი დამატებითი ელემენტია.

5.1. საბიუჯეტო დოკუმენტაცია

71. როგორც ქვევით არის ნაჩვენები, საბიუჯეტო დოკუმენტაცია 12 კრიტერიუმიდან 9-ს აკმაყოფილებს.

N	კრიტერიუმი	მიღწევა (დიახ/ არა)	შესაბამისი დასაბუთება/ კომენტარი
ძირითადი ელემენტები			
1	ფისკალური დეფიციტის ან პროფიციტის ან დარიცხული საოპერაციო შედეგის პროგნოზი	დიახ	საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას ფისკალური მონაცემების შესახებ, ფისკალური ნაშთის ჩათვლით, უკანასკნელი სამი, მიმდინარე და მომდევნო სამი წლის პროგნოზს. ¹⁵
2	წინა წლის ბიუჯეტის ფაქტიური მაჩვენებლები წარმოდგენილი იყო იგივე ფორმატით, როგორც ბიუჯეტის პროექტი. ამ ელემენტში „იგივე ფორმატით როგორც ბიუჯეტის პროექტი“ ნიშნავს, რომ მაჩვენებლები წარმოდგენილი უნდა იყოს და შესადარის იმავე აგრეგირებულ დონეზე ან რელევანტური დეტალების იმავე დონეზე, როგორც ბიუჯეტის პროექტში.	დიახ	ბიუჯეტის კანონის VI თავში წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც თითოეულ საბიუჯეტო მუხლს აქვს სვეტი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის. ¹⁶
3	მიმდინარე ფისკალური წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია იგივე ფორმატით, როგორც ბიუჯეტის პროექტი. ეს შეიძლება იყოს ან შესწორებული ბიუჯეტი ან სავარაუდო შესრულება	დიახ	ბიუჯეტის კანონის VI თავში წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც თითოეულ საბიუჯეტო მუხლს აქვს სვეტი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის.
4	აგრეგირებული საბიუჯეტო მონაცემები როგორც შემოსავლების, ისე ხარჯებისთვის გამოყენებული კლასიფიკაციების ძირითადი დასახელებების შესაბამისად, მიმდინარე და წინა წლების მონაცემების ჩათვლით, სავარაუდო შემოსავლების და ხარჯების დეტალური ჩაშლით.	დიახ	ინფორმაცია შემოსავლების და ხარჯების შესახებ წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველა ძირითადი მუხლის შესაბამისად სამივე წლისთვის (გასული, მიმდინარე და დასაგეგმი). მთლიანი შემოსავლების და ხარჯების ინდიკატორები წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების შესაბამისად საშუალოვადიანი პერიოდისთვის (გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და მომდევნო 3 წლის პროგნოზი); ¹⁷
დამატებითი ელემენტები			
5	დეფიციტის დაფინანსების წყაროები და სტრუქტურა	დიახ	დეფიციტის დაფინანსების, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წყაროები წარმოდგენილია საბიუჯეტო დოკუმენტაციაში, საგარეო ვალის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, პროექტების დასახელებების შესაბამისად დონორების და საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში ისევე როგორც ინფორმაცია ადგილობრივი ვალის სტრუქტურის შესახებ. ¹⁸

¹⁵ http://mof.ge/images/File/biujetis_kanoni2017/damtkicebuli/2017-BD-Tables-sen-16_1-BDD.pdf

¹⁶ <http://mof.ge/5027>;

¹⁷ http://mof.ge/images/File/biujetis_kanoni2017/damtkicebuli/TAVI_I.pdf

¹⁸ http://mof.ge/images/File/biujetis_kanoni2017/damtkicebuli/TAVI_IV.pdf; http://mof.ge/images/File/biujetis_kanoni2017/damtkicebuli/vali.pdf; http://mof.ge/images/File/biujetis_kanoni2017/damtkicebuli/DSA-Final.pdf;

N	კრიტერიუმი	მიღწევა (დიახ/ არა)	შესაბამისი დასაბუთება/ კომენტარი
6	მაკროეკონომიკური პარამეტრები რომლებიც, სულ მცირე, მოიცავს მშპ-ის სავარაუდო ზრდას, ინფლაციას, საპროცენტო განაკვეთებს და ვალუტის გაცვლის კურსს.	დიახ	საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს მაკროეკონომიკური პროგნოზის სამ ცხრილს (ერთს თითოეული სცენარისთვის - ძირითადი, ოპტიმისტური და პესიმისტური). მაკროეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია 2013 წლიდან 2020 წლამდე. მაკროეკონომიკური მაჩვენებლებია მშპ, მშპ -ის ზრდა, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლის კურსები და ა.შ. ¹⁹ .
7	ვალის ნაშთი, სულ მცირე, მიმდინარე ფისკალური წლის დასაწყისის შესახებ დეტალების ჩათვლით GFS-ის ან სხვა მსგავსი სტანდარტის შესაბამისად.	დიახ	ინფორმაცია ვალის მთლიანი პროგნოზირებული მოცულობის შესახებ წარმოდგენილია ბიუჯეტში. საშინაო და საგარეო ვალის სტრუქტურა წარმოდგენილია კრედიტორების/ ტიპების მიხედვით. ბიუჯეტის დანართები ასევე შეიცავს ინფორმაციას ვალის საერთო მოცულობის შესახებ (საშინაო და საგარეო ცალ-ცალკე) გასული და მიმდინარე წლებისთვის და მომდევნო 4 წლიანი პერიოდის პროგნოზს ²⁰ .
8	ფინანსური აქტივები, სულ მცირე, მიმდინარე ფისკალური წლის დასაწყისის შესახებ დეტალების ჩათვლით GFS -ის ან სხვა მსგავსი სტანდარტის შესაბამისად.	არა	2017 წლის ბიუჯეტის პროექტი შეიცავს ინფორმაციას ფინანსური აქტივების ცვლილებების შესახებ მიმდინარე და გასული წლებისთვის, ისევე როგორც დაგეგმილი წლისთვის. თუმცა, ინფორმაცია მთლიანი ფინანსური აქტივების შესახებ 2017 წლის ბიუჯეტში არ ყოფილა. წარმოდგენილი
9	შეუკამბელი ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, როგორებიცაა გარანტიები, და ფინანსური ინსტრუმენტების სტრუქტურაში ჩაშენებული პირობითი ვალდებულებები როგორებიცაა სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის კონტრაქტები (PPP) და ა.შ.	დიახ	ანგარიში ფისკალური რისკის შესახებ მომზადებულია, რომელიც იძლევა ინფორმაციას მაკროეკონომიკური რისკების, ვალის მდგრადობის ანალიზის შესახებ და ინფორმაციას სახელმწიფო საწარმოებიდან მიმდინარე ფისკალური რისკების შესახებ. ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ გამოქვეყნებულია, სადაც ინფორმაცია წარმოდგენილია სახელმწიფოს პირობითი ვალდებულებების შესახებ, რომელიც შეიცავს პირობითი ვალდებულებების დიდ ნაწილს. ის მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობით განხორციელებული პროექტების (PPP) უმეტესობისთვის ²¹ .
10	პოლიტიკასთან დაკავშირებული ახალი ინიციატივების და ძირითადი სახელმწიფო ინვესტიციების საბიუჯეტო შედეგების ახსნა, შემოსავლებთან დაკავშირებული პოლიტიკის ყველა ძირითადი ცვლილების და/ ან ხარჯების პროგრამების ძირითადი ცვლილებების საბიუჯეტო გავლენის შეფასებით	არა	ბიუჯეტის პროექტი, მისი დანართები, განმარტებითი ბარათი და დაკავშირებული/დამატებითი დოკუმენტაცია ქვეყნის „ძირითადი მონაცემების და მიმართულებების“ დოკუმენტის ჩათვლით შეადგენს დეტალურ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას ახალი სამთავრობო ინიციატივების, საბიუჯეტო დაწესებულებების პრიორიტეტების და პროგრამების და მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ; პროგრამების/ ქვეპროგრამების/ ღონისძიებების ისევე როგორც მოსალოდნელი შედეგების აღწერა. ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) გამოიყენება როგორც საბიუჯეტო მითითება (სახელმძღვანელო) საბიუჯეტო პროცესის დასაწყისში. შემდეგ წარმოებს მისი გადაამუშავება და თან ერთვის საბიუჯეტო დოკუმენტაციას. ის აღწერს მთავრობის პრიორიტეტებს და ახალ ინიციატივებს. თუმცა, ის არ იძლევა ინიციატივების ბიუჯეტზე ზემოქმედების შეფასებას.

¹⁹<http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/SFR-2016-Total-bind.pdf>; http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/2017-BD-Tables-sen-16_1-BDD.pdf; http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/2017-BD-Tables-sen-16_3-BDD.pdf; http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/2017-BD-Tables-sen-16_2%20BDD.pdf.

²⁰http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/TAVI_IV.pdf; <http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/vali.pdf>; <http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/DSA-Final.pdf>;

²¹ <http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/SFR-2016-Total-bind.pdf>

N	კრიტერიუმი	მიღწევა (დიახ/ არა)	შესაბამისი დასაბუთება/ კომენტარი
			<p>ბიუჯეტის განმარტებითი ბარათი ასახავს ნაწილობრივ ინფორმაციას ახალი ინიციატივების თაობაზე და შემოსავლებზე და ხარჯებზე მათი გავლენის შესახებ. მაგალითად, 2017 წლის ბიუჯეტისთვის მომზადებულ განმარტებით ბარათში, შეფასებულია სამი საგადასახადო ღონისძიების შედეგი (აქციზის ზრდა თამბაქოზე, ავტომობილებზე და ნავთობპროდუქტებზე).</p> <p>შემოსავლების და ხარჯების პოლიტიკის ყველა ძირითადი ცვლილება ახსნილია საბიუჯეტო დოკუმენტებში, მაგრამ მათი გავლენა ბიუჯეტზე მხოლოდ ნაწილობრივ არის შეფასებული.²²</p>
11	<p>დოკუმენტაცია საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზების შესახებ. ამ ელემენტში საშუალოვადიანი პროგნოზების შესახებ დოკუმენტაციის შინაარსი სულ მცირე უნდა მოიცავდეს ხარჯების, შემოსავლების და ფისკალური ნაშთის საშუალოვადიან პროგნოზებს.</p>	დიახ	<p>ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) შეიცავს საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს, რომლებშიც წარმოდგენილია შემოსავლების და ხარჯების ძირითადი მუხლების პროგნოზები, ისევე როგორც ფისკალური ბალანსი საბიუჯეტო წლებისა და მომდევნო სამი წლისთვის.</p>
12	<p>საგადასახადო შეღავათების რაოდენობრივი შეფასება.</p>	არა	<p>2015 წელს მომზადდა პროექტის ანგარიში დღგ -ის და მოგების გადასახადთან დაკავშირებული შეღავათების შესახებ საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით. ამ ინიციატივას არ ჰქონია ადგილი 2016 წელს 2017 წლის ბიუჯეტისთვის.</p>

72. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე ამ ინდიკატორისთვის მინიჭებულ იქნა შეფასება B. თუმცა, საგადასახადო შეღავათების რაოდენობრივი შეფასება შესწავლის პროცესშია; კერძოდ, მონაცემები გადასახადების გარკვეული ტიპების შესახებ (დღგ, მოგების გადასახადი) შეგროვებული და გაანალიზებულია. იგეგმება სათანადო რეგულაციის შემუშავება მონაცემების შეგროვების და გამოთვლის მიზნით, იმისთვის, რომ ისინი ასახულ იქნეს საბიუჯეტო დოკუმენტაციაში. ფინანსური აქტივების შესახებ ბიუჯეტში გათვალისწინებული პროექტების ასახვის პრაქტიკის შესწავლის შედეგად შემუშავდება სახელმძღვანელო სათანადო წესებით.

PI - 6. ცენტრალური მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა

73. ეს ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად წარმოებს სახელმწიფო ხარჯების და შემოსავლების შესახებ ანგარიშგება ცენტრალური მთავრობის ფინანსური ანგარიშების მიღმა. ამ ინდიკატორის შეფასება ემყარება 2016 ფისკალური წლისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას და ანგარიშებს. შეფასება ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს. საქართველოს კანონმდებლობა და საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები არ ითვალისწინებს ბიუჯეტის სტრუქტურის მიღმა არსებულ არასაბიუჯეტო/ გარესაბიუჯეტო სუბიექტებს.

²²<http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/BDD-gadamushavebuli.pdf>;
<http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/ganmartebiti.pdf>.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI-6 ცენტრალური მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	A	
6.1 ხარჯები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	A	ყველა ხარჯი შეტანილია ფინანსურ ანგარიშებში.
6.2 შემოსავლები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	A	ყველა შემოსავალი შეტანილია ფინანსურ ანგარიშებში.
6.3 არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშები	A	NA	არასაბიუჯეტო ორგანიზაციები არ არსებობს .

6.1 ხარჯები ფინანსური ანგარიშების მიღმა

74. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყოვლისმომცველობის პრინციპის შესაბამისად ყველა შემოსავალი, ხარჯი და საბიუჯეტო ნაშთის ცვლილება სრულად არის ასახული შესაბამის ბიუჯეტებში. ეს მოიცავს ყველა უწყებას, რამდენადაც კანონმდებლობა არ განიხილავს არასაბიუჯეტო ფონდების არსებობას. შეფასება: A.

6.2 შემოსავლები ფინანსური ანგარიშების მიღმა

75. სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად არ არსებობს შემოსავლები ფინანსური ანგარიშების მიღმა. შეფასება: A.

6.3 არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშები

76. ინფორმაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების²³ ბიუჯეტების შესრულების შესახებ ასახულია ყოველკვარტალურ (3, 6 და 9 თვის)²⁴ და წლიურ საბიუჯეტო ანგარიშებში (კვარტალური და წლიური საბიუჯეტო ანგარიშები მზადდება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის №112 ბრძანების შესაბამისად). შეფასება: არ შეესაბამება.

²³ არ წარმოადგენენ არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს, არამედ საბიუჯეტო მხარჯავ ორგანიზაციებს და ისინი შეტანილია ამ ქვეინდიკატორში საანგარიშგებო პროცედურების ილუსტრაციის მიზნით. სხვა ქვეყნებში ასეთი სუბიექტები ხშირად არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

²⁴http://mof.ge/images/File/biuj2016_3tve/TAVI_VI.pdf; http://mof.ge/images/File/biuj2016_6tve/TAVI_VII.pdf; http://mof.ge/images/File/biuj2016_9tv/TAVI%20VII.pdf;

PI - 7. ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის

77. ეს ინდიკატორი აფასებს ცენტრალური მთავრობის მიერ იმ ადგილობრივი მთავრობებისთვის გამოყოფილი ტრანსფერების გამჭვირვალობას და დროულობას, რომელთაც გააჩნია პირდაპირი ფინანსური კავშირები. ის განიხილავს ცენტრალური მთავრობიდან ტრანსფერების განხორციელების საფუძველს. ასევე განიხილება, საბიუჯეტო პროცესის წარმართვისთვის, იღებენ თუ არა ადგილობრივი მთავრობები დროულ ინფორმაციას მათი განაწილების შესახებ. ამ ინდიკატორის შეფასება ემყარება 2016 ფისკალური წლის მონაცემებს. შეფასება ფარავს საბიუჯეტო ორგანიზაციებს და ადგილობრივ მთავრობებს, რომლებსაც პირდაპირი ფინანსური კავშირი აქვთ ცენტრალურ მთავრობასთან.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 ქულა		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI-7: ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის	A	A	
7.1 ტრანსფერების გამოყოფის სისტემები	A	A	ცენტრალური მთავრობის მიერ ადგილობრივი მთავრობისთვის გამოყოფილი ტრანსფერების 92 %-ის ჰორიზონტალური განაწილება განისაზღვრება გამჭვირვალე წესებზე დამყარებული სისტემებით.
7.2 ტრანსფერების შესახებ ინფორმაციის დროულობა	A	A	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია ტრანსფერების წლიური მოცულობის შესახებ არანაკლებ 6 კვირით ადრე დაგეგმილი ბიუჯეტის დასრულებამდე.

7.1 ტრანსფერების გამოყოფის სისტემები

78. საბიუჯეტო კოდექსი მოიცავს ტრანსფერების შემდეგ ტიპებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის:

- **გათანაბრებითი ტრანსფერი** წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის სპეციალური ფორმულით განსაზღვრულ და გამოყოფილ თანხას. მისი მიზანია მუნიციპალიტეტების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება მათი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტი გათანაბრებითი ტრანსფერით მიღებულ შემოსავალს იყენებს თავისი შეხედულებისამებრ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესი განისაზღვრება საბიუჯეტო კოდექსით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის²⁵ ბრძანებით. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის მიზნებისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ყოველწლიურად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N904 ბრძანება გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე .

ხარჯების და არაფინანსური აქტივების მთლიან თანხას, რომელიც არ შეიძლება იყოს დასაგეგმი წლის მშპ-ის 4%-ზე ნაკლები. ფორმულის თანახმად, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა თითოეული მუნიციპალიტეტისთვის დამოკიდებულია პოტენციური შემოსავლების პროგნოზზე, გასული წლების ტენდენციების გათვალისწინებით.

- თითოეული ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: $T = E - R$.

79. სადაც:

T - არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისთვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერი;

E - არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი, რომელიც გამოითვლება სტატისტიკური მონაცემების (მოსახლეობის რაოდენობა, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა, 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობა, სოციალური და ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორის მქონე მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია, ადგილობრივი თვითმმართველობის ფართობის და ადგილობრივი გზების სიგრძე) და გათანაბრების კოეფიციენტების საფუძველზე თვითმმართველ ქალაქებს და მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავების ხაზგასმით; და

R - არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

- **სპეციალური ტრანსფერი** გამოიყოფა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტიდან სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტმა ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში..
- **კაპიტალური ტრანსფერი** გამოიყოფა მუნიციპალიტეტებისთვის მთავრობის 23-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს რომ:
 - იქმნება სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც სხვებთან ერთად შედიან ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის წარმომადგენელი, რეგიონული განვითარების მინისტრის

მოადგილე და სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებენ მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციას;

- მუნიციპალიტეტები კომისიას წარუდგენენ წინადადებას სხვადასხვა კაპიტალური პროექტების შესახებ;
- სამთავრობო დადგენილებით განისაზღვრება პროექტების შერჩევის კრიტერიუმები²⁶;
- მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ პროექტების თანადაფინანსებაში 5 %-ით მაინც;
- კომისია გამოყოფს სახსრებს კონკრეტული პროექტებისთვის და დაფინანსების გადარიცხვა წარმოებს მუნიციპალიტეტებისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის და ფაქტიური ეფექტიანობის მიხედვით.

80. მიზნობრივი ტრანსფერი გადაირიცხება ერთი ბიუჯეტიდან მეორეში დელეგირებული ფუნქციის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. ტრანსფერის თითოეული კატეგორიის ფარგლებში შესაბამისი თანხები 2014 – 2016 წლებში იყო:

ცხრილი 7.1 ცენტრალური მთავრობიდან ადგილობრივი მთავრობებისთვის გამოყოფილი ტრანსფერები			
	მლნ ლარი		
	2014	2015	2016
	ფაქტიური	ფაქტიური	ფაქტიური
გათანაბრებითი ტრანსფერი	776.1	834.2	599.3
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	11.1	11.4	11.7
სპეციალური ტრანსფერი	49.1	124.6	49.3
კაპიტალური ტრანსფერი	219.2	272.1	243.4
კომისიის მიერ განაწილებული ტრანსფერების ჯამის ჩათვლით მთავრობის N 23 დადგენილების შესაბამისად კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად	215.4	224.1	233.0
სულ ჯამი	1,055.6	1,242.4	903.7
სპეციალური წესით განაწილებული ტრანსფერების თანხა	991.5	1,058.3	823.3
ავტომატური სპეციფიკური წესის	93.9 %	85.1 %	92.1 %

²⁶საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“

ცხრილი 7.1 ცენტრალური მთავრობიდან ადგილობრივი მთავრობებისთვის გამოყოფილი ტრანსფერები			
	მლნ ლარი		
	2014	2015	2016
	ფაქტიური	ფაქტიური	ფაქტიური
საფუძველზე განაწილებული ტრანსფერების პროცენტული წილი			

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

81. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მინიჭებული შეფასებაა A.

7.2 ტრანსფერების შესახებ ინფორმაციის დროულობა

82. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი სუბიექტებისთვის ფულადი სახსრების გასანაწილებლად განსაზღვრავს სათანადო პროცედურებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართველობებს აწვდის მაკროეკონომიკურ პარამეტრებს ყოველი წლის 15 ივლისისთვის. ადგილობრივი თვითმმართველობები შემდეგ იწყებენ სათანადო საბიუჯეტო წინადადებების მომზადებას. არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციას აწვდის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს ტრანსფერებიდან და გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების პროგნოზების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა განაწილდეს შესაბამის ბიუჯეტებში.²⁷

83. არაუგვიანეს 15 ნოემბრისა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი/მერი აღნიშნული თვითმმართველობის ორგანოს ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს - ქალაქის საკრებულოს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებელი/ მერი ბიუჯეტს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს - ქალაქის საკრებულოს საბოლოო სახით დასამტკიცებლად. ეს მოთხოვნები პრაქტიკაში სრულდება. მინიჭებული შეფასებაა: A.

PI - 8. ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ

84. ეს ინდიკატორი სწავლობს მთავრობის ბიუჯეტის პროექტსა და მის თანდართულ მასალებში, ასევე, ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებში ასახულ ინფორმაციას საჯარო სერვისების გაწევის ეფექტიანობის თვალსაზრისით. ის განსაზღვრავს ჩატარდა თუ არა ეფექტიანობის აუდიტი ან შეფასება. ის ასევე აფასებს, თუ რამდენად წარმოებს სერვისების გამწევი ერთეულების მიერ მიღებული რესურსების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და აღრიცხვა. მოცული პერიოდი: ქვეინდიკატორი 8.1: მომდევნო ფისკალური წლისთვის დაგეგმილი შეფასების ინდიკატორები და შუალედური და საბოლოო შედეგები; ქვეინდიკატორი 8.2: ბოლო ფისკალური წელს მიღწეული შუალედური და საბოლოო შედეგები;

²⁷ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 79-ე მუხლი

8.3 და 8.4 ქვეინდიკატორები: ბოლო 3 დასრულებული ფისკალური წელი. ფასდება ცენტრალური მთავრობის სერვისები, რომელთა მართვა და დაფინანსება წარმოებს მთავრობის სხვა დონეების მიერ. ის შეტანილ უნდა იქნეს თუ ცენტრალური მთავრობა მნიშვნელოვნად აფინანსებს ასეთ სერვისებს კომპენსაციებით ან მიზნობრივი გრანტებით ან იყენებს მთავრობის სხვა დონეებს როგორც შემსრულებლებს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 8: ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ	A	A	
8.1 სერვისების გაწევის განხორციელების გეგმები	A	A	ინფორმაცია ყოველწლიურად მზადდება და ქვეყნდება სამინისტროების უმეტესობის (75 %) პროგრამული ამოცანების შესაბამისად. ის მოიცავს შეფასების ინდიკატორებს, ინფორმაციას შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ.
8.2. სერვისების გაწევის ეფექტიანობა	A	A	ინფორმაცია პროგრამების/ ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ რომლებიც სამინისტროების უმრავლესობის მიერ ხორციელდება (ე.ი. 75% ღირებულებით) პრიორიტეტების ფარგლებში და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ ყოველწლიურად ქვეყნდება წლიურ საბიუჯეტო ანგარიშებში.
8.3. სერვისების გაწევის ერთეულების მიერ მიღებული რესურსები	A	A	ინფორმაცია მომსახურების პროვაიდერების მიერ მიღებული რესურსების შესახებ გროვდება და აღირიცხება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამები ხორციელდება არანაკლებ ორი ძირითადი სამინისტროს მიერ დაფინანსების წყაროების საფუძველზე. ეს ინფორმაცია მზადდება ყოველწლიურად მაინც.
8.4. სერვისების გაწევის ეფექტიანობის შეფასება	B	A	მომსახურების გაწევის ეფექტურობის და ეფექტიანობის შეფასება მზადდება და ქვეყნდება სამინისტროების უმეტესობის საქმიანობასთან დაკავშირებით (ე.ი. 75 % ღირებულებით) გასული სამი წლის განმავლობაში მაინც.

85. პროგრამული ბიუჯეტირება დაინერგა 2009 წლიდან და მას შემდეგ მისი ხარისხი თანდათანობით უმჯობესდება. სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტები პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში მზადდება. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება ემყარება მისაღწევ გრძელვადიან შედეგებს და მისი ფორმატი შეიცავს შეფასების ინდიკატორებს

(საბაზისო და სამიზნე ინდიკატორებს, ცდომილების ალბათობას და შესაძლო რისკებს) მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგების პროგრამების/ ქვეპროგრამების მიხედვით პრიორიტეტების ჩარჩოს შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია მთავრობის პროგრამაში და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში (BDD). პროგრამული ბიუჯეტის დანართი²⁸ თან ახლავს სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც წარედგინება მთავრობას და საქართველოს პარლამენტს.

8.1 სერვისების გაწევის განხორციელების გეგმები

86. არსებული საბიუჯეტო მოწყობა თავისი პროგრამებით, ქვეპროგრამებით და მხარჯავი დაწესებულებებით იძლევა ინფორმაციას მომსახურების გაწევის შესახებ, რომელიც დაგეგმილია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ. პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი, მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები, შესრულების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები) იძლევა სათანადო ინფორმაციას სერვისების გაწევის შესაფასებლად მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა აღნიშნული ინდიკატორების დახვეწა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი შეიცავს აღნიშნულ დეტალურ ინფორმაციას.

87. ამასთან ერთად, 2015 წლიდან ხუთი და 2016 წლიდან ყველა სამინისტრო ამზადებს დეტალურ საშუალოვადიან (4 წლისთვის) სამოქმედო გეგმას, რომელსაც თან ახლავს სათანადო გათვლები წლიური ბიუჯეტის და ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის შესაბამისად. რაც შეეხება PEFA შეფასებას, კრიტერიუმები რომლებიც საჭიროა A შეფასების მისაღებად უნდა გამოიყენებოდეს სამინისტროების 75 %-ის (“სამინისტროების უმრავლესობის”) მიერ. ქვევით წარმოდგენილი ცხრილი მიუთითებს, რომ სამინისტროებზე სადაც ეს მახასიათებლები გამოიყენება, ყველა დარგობრივი სამინისტროს მთლიანი ხარჯების 96% მოდის.

ცხრილი 8.1 სამინისტროების სამოქმედო გეგმები						
სამინისტროები	ბიუჯეტი (მლნ ლარი)	პროგრამის ამოცანები	შეფასების ინდიკატორები		დაგეგმილი შუალედური შედეგები	დაგეგმილი საბოლოო შედეგები
			შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები	საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები		
რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	950	Y	Y	Y	Y	Y
შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	3162	Y	Y	Y	Y	Y
განათლების და მეცნიერების სამინისტრო	978	Y	Y	Y	Y	Y
ფინანსთა სამინისტრო	90	Y	Y	Y	Y	Y
ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	95	Y	Y	Y	Y	Y
ოუსტიციის სამინისტრო	71	Y	Y	Y	Y	Y
თავდაცვის სამინისტრო	670	Y	Y	Y	Y	Y
შინაგან საქმეთა სამინისტრო	595	Y	Y	Y	Y	Y
ენერჯეტიკის სამინისტრო	135	Y	Y	Y	Y	Y
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	321	Y	Y	Y	Y	Y
საგარეო საქმეთა სამინისტრო	110	Y	Y	Y	Y	Y

²⁸<http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/programuli-29.11.2016.pdf>

ცხრილი 8.1 სამინისტროების სამოქმედო გეგმები						
სამინისტროები	ბიუჯეტი (მლნ ლარი)	პროგრამის ამოცანები	შეფასების ინდიკატორები		დაგეგმილი შუალედური შედეგები	დაგეგმილი საბოლოო შედეგები
			შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები	საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები		
კულტურის სამინისტრო	97	Y	Y	Y	Y	Y
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	85	Y	Y	Y	Y	Y
გარემოს დაცვის სამინისტრო	42	Y	Y	Y	Y	Y
იმ სამინისტროების ბიუჯეტების ჯამი, რომლებიც ასრულებენ მოთხოვნას	7401					
ყველა სამინისტროს მთლიანი ხარჯები	7745					
პროცენტული წილი	96 %					

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

88. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ამ განზომილების შეფასებაა A.

8.2 სერვისების გაწევის ეფექტიანობა

89. მთავრობა აქვეყნებს წლიურ ანგარიშს ყველა დარგობრივი სამინისტროს პროგრამების და ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ. ინფორმაცია პროგრამების შესრულების შესახებ ასევე მზადდება ყოველკვარტალურად²⁹ (3, 6 და 9 თვე) და ყოველწლიურად და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.

90. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი შედეგებისა და ინდიკატორების შესრულების თაობაზე. შესრულების ანგარიშის ფორმატი შესაძლებლობას იძლევა მოხდეს შედარება დაგეგმილ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის და აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის განსხვავებებისა და შეუსაბამობების შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამისი განმარტება, თუმცა ეს ყოველთვის არ ხორციელდება (მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით პროცედურა შემუშავებულია). წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მთავრობას მიეწოდება ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში, რომელიც შემდგომ პარლამენტს ეგზავნება. ანგარიშის მიღებისთანავე, პარლამენტი მას დასკვნისთვის უგზავნის სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე პარლამენტს ეგზავნება საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში.

91. ანგარიშები წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.³⁰

92. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშები წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოიცავს მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვა, ბიუჯეტის

²⁹<http://mof.ge/4951>

³⁰<http://mof.ge/4564>; <http://ncdc.ge/>

მომზადება და დამტკიცება, რესურსების მართვა, შიდა ფინანსური კონტროლი და აღრიცხვა-ანგარიშგება. ფოკუსირება წარმოებს კონკრეტული ხარჯვითი დაწესებულებების პროგრამების განხორციელებაზე და დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებზე და ინდიკატორებზე. მინიჭებული შეფასება: A.

8.3 სერვისების გამწევი ერთეულების მიერ მიღებული რესურსები

93. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯი უნდა იყოს კონსოლიდირებული ერთიანი სახაზინო ანგარიშში, რომლის მართვასაც ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა. ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის (სერვისების გამწევი უწყებების ჩათვლით) შემოსავლები, ხარჯები და ნაშთის ცვლილება (კანონმდებლობით დაშვებული საკუთარი შემოსავლების ჩათვლით), სრულად არის აღრიცხული ერთიანი სახაზინო ანგარიშის მეშვეობით.

94. 2015 წლიდან ყველა დონის საბიუჯეტო ორგანიზაცია და მათ კონტროლს დაქვემდებარებული/მათდამი ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, გარდა საჯარო სკოლებისა, მოექცნენ ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში. საბავშვო ბაღები და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები შეტანილია მუნიციპალურ ბიუჯეტებში, როგორც ცალკეული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ინფორმაცია მათი ხარჯების შესახებ ხელმისაწვდომია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში³¹.

95. როგორც ქვევით არის აღწერილი, ორი მსხვილი დარგობრივი სამინისტრო ამზადებს ყოვლისმომცველ ანგარიშებს ყოველწლიურად მაინც და ადგენს ინფორმაციას მათი სერვის ცენტრების მიერ გაწეული მომსახურების შესახებ. ისინი შეტანილია ანგარიშებში ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

96. საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალური დაცვის, როგორც მთავრობის პრიორიტეტის, ხარისხი ფასდება შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ძირითადი პროგრამების საშუალებით. სტატისტიკური ინფორმაცია შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია სსიპ სოციალური სერვისების სააგენტოს და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.³² სტატისტიკური მონაცემები მოიცავს ინფორმაციას ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ (ბენეფიციარების მთლიანი რაოდენობა სქესის და ასაკის მიხედვით, ისევე როგორც რეგიონების შესაბამისად), ფინანსური დახმარების, გადარიცხული თანხის, ვიზიტების რაოდენობის, პროგრამების მომწოდებლების, მომსახურების ცენტრების და ა.შ. შესახებ. ზევით აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია სამინისტროს ვებგვერდზე ანგარიშის ფორმატით და ტიპურად ყოველთვიურად ხდება მისი განახლება წინა პერიოდების

³¹See table 2.5

³²http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610

სტატისტიკური ინფორმაციით, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. ეროვნული პროგრამების გარდა, მონაცემების შეგროვება ასევე წარმოებს და აღირიცხება თითოეული საავადმყოფოს დონეზე (ხარჯების ცენტრი). ინფორმაცია თავმოყრილია წლიურ ანგარიშში.

97. კიდევ ერთი პრიორიტეტია განათლება, მეცნიერება და პროფესიული ტრენინგი. მისი შესრულება ფასდება განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის ჩარჩოს ფარგლებში. ზოგადი განათლების სისტემის განვითარების მხარდაჭერის მიზნით ფინანსდება საშუალო სკოლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მათი დაფინანსება გამოითვლება ფინანსური ნორმების და ერთ სტუდენტზე შესაბამისი სტანდარტული კოეფიციენტის საფუძველზე, მოსწავლეების რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების რიცხოვნობის, მასწავლებელთა დატვირთვის, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე დამატებითი მასწავლებლების რაოდენობის, ადმინისტრაციული ხარჯების, სკოლის ტექნიკური მომსახურების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც საჭიროა სკოლის განვითარებისთვის. ინფორმაცია საშუალო სკოლების დაფინანსების შესახებ მზადდება და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე. 6 თვის და წლიური ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების და ნაშთების ცვლილებების შესახებ რესურსცენტრების ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლებისთვის ფინანსური წყაროების მიხედვით (საბიუჯეტო სახსრების და კანონმდებლობით ნებადართული მათი საკუთარი შემოსავლების/ ხარჯების ჩათვლით). საბიუჯეტო კლასიფიკაციის ჩაშლის მეტად დეტალური დონე (იხ. PI - 4), ასევე სერვისების განხორციელებასთან დაკავშირებით ყველა მონაცემის ექვს თვეში ერთხელ გამოქვეყნება გვადლევს სერვისების გაწევის შესახებ ნათელ სურათს, სერვისების განმახორციელებელი ერთეულების დონეზე (მაგ. საშუალო სკოლები). შეფასება: A.

8.4. სერვისების გაწევის ეფექტიანობის შეფასება

98. საბიუჯეტო კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს ანგარიშებს და რეკომენდაციებს მომსახურების გაწევის ეფექტიანობის შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ამ სახით აუდიტორული საქმიანობა გააძლიერებს პროცესში მისი, როგორც ძირითადი მრჩეველის როლს. ეს შეიძლება მოხდეს საჯარო ფინანსების მართვაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების გათვალისწინების გზით. ამდენად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნები და ანგარიშები სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასთან ერთად, კონკრეტული უწყებების დონეზე ფოკუსირებულია სისტემური ნაკლოვანებების იდენტიფიკაციაზე და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემაზე.

99. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს ანგარიშს გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომლის მიზანია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის სიზუსტის და სისრულის შეფასება. საჯარო ფინანსების მართვის

სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ეს ანგარიშები აფასებს პროგრამის განხორციელებისას გამოვლენილ სისტემურ ნაკლოვანებებს და გასცემს რეკომენდაციებს.

100. 2014–2016 წლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა პროგრამების ეფექტიანობის 21 აუდიტი, რომლებიც ჩატარდა 8 სამინისტროში (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო).

101. რაც შეეხება PEFA შეფასებას, A შეფასების მისაღებად შესასრულებელი კრიტერიუმები, უნდა ეხებოდეს ყველა სამინისტროს 75 პროცენტს (“სამინისტროების უმრავლესობას”). ქვევით მოცემული ცხრილი აჩვენებს, რომ სამინისტროებზე, რომლებსაც ეხება აღნიშნული მახასიათებლები, მოდის ყველა დარგობრივი სამინისტროს მთლიანი ხარჯების 80 პროცენტი.

ცხრილი 8.4 ეფექტიანობის აუდიტი		
სამინისტროები	ბიუჯეტი (მლნ ლარი)	ეფექტიანობის აუდიტი
რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	950	Y
შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	3162	Y
განათლების და მეცნიერების სამინისტრო	978	Y
ფინანსთა სამინისტრო	90	Y
ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	95	Y
შინაგან საქმეთა სამინისტრო	595	Y
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	321	Y
გარემოს დაცვის სამინისტრო	42	Y
დანარჩენი 9 სამინისტრო, სადაც აუდიტი არ განხორციელებულა	1512	N
სამინისტროების ჯამური ბიუჯეტი, სადაც განხორციელდა ეფექტიანობის აუდიტი	6233	
ყველა სამინისტროს მთლიანი ხარჯი	7745	
პროცენტულიწილი	80 %	

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

102. ზემოაღნიშნულის საფუძველზე ამ განხორციელების შეფასებაა A.

PI - 9. ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა

103. ეს ინდიკატორი აფასებს ფისკალური ინფორმაციის სისრულეს, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მითითებული ელემენტების საფუძველზე და რომლის მიმართ საზოგადოების წვდომა კრიტიკული მნიშვნელობის მქონედ განიხილება. შესაფასებელი პერიოდი არის უკანასკნელი დასრულებული ფისკალური წელი და დაფარულია ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტი.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	2017 შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 9: ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	A	A	მთავრობა უზრუნველყოფს წვდომას ჩამოთვლილი ინფორმაციის ყველა ტიპთან.

104. ფისკალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ვებგვერდებზე, მათ შორის, ფინანსთა სამინისტროს³³, სახელმწიფო ხაზინის³⁴, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის³⁵, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს³⁶ და პარლამენტის³⁷ ვებგვერდებზე. საქართველოს ეროვნული ბანკი³⁸ აქვეყნებს ყოვლისმომცველ ფინანსურ ინფორმაციას, ყოველთვიურად განახლებული სტატისტიკის ჩათვლით სახელმწიფო საგარეო ვალის, ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობებისადმი წმინდა მოთხოვნების და სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესახებ. შესაბამისი სამინისტროები და ცენტრალური ორგანოები ასევე აქვეყნებენ საკუთარ წლიურ ბიუჯეტებს თავიანთ ვებგვერდებზე.

105. საქართველომ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა ღია ბიუჯეტის კვლევაში, რომელიც გამოქვეყნდა საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის მიერ, და 2017 წლის კვლევაში 100 შესაძლო ქულიდან 82 ქულით მე-5 ადგილზე გადაინაცვლა მსოფლიოს მასშტაბით. მანამდე საქართველოს რეიტინგი 2012 წელს მე-16 იყო, ხოლო 2006 წელს 43 -ე.

106. საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგი ტიპის საბიუჯეტო ინფორმაცია:

- **წლიური ბიუჯეტის პროექტის დოკუმენტაცია**³⁹ - ბიუჯეტის პროექტი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და კანონით განსაზღვრული დროის ფარგლებში ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე, სამინისტროს მიერ მთავრობისთვის და პარლამენტისთვის პროექტის წარდგენის თარიღების მდგომარეობით.
- **დამტკიცებული ბიუჯეტი**⁴⁰ - პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონი წლიური ბიუჯეტის შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე პარლამენტის მიერ მისი დამტკიცების თარიღიდან.
- **ბიუჯეტის შესრულების შუალედური ანგარიშები.** კვარტალური ანგარიშები (3, 6 და 9 თვის)⁴¹ თანდართულ დოკუმენტაციასთან და მასალებთან ერთად წარედგინება პარლამენტს კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში. ანგარიშები

³³საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი: <http://mof.ge/>

³⁴სახელმწიფო ხაზინის ვებგვერდი <http://treasury.ge/>

³⁵საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდი:<http://sao.ge/>

³⁶სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდი: <http://procurement.gov.ge/>

³⁷საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) ვებგვერდი <http://www.legislature.ge/ge/>

³⁸საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2&lng=eng>

³⁹<http://mof.ge/5027>

⁴⁰<http://mof.ge/5027>; <http://mof.ge/4913>; <http://mof.ge/4742>; <http://mof.ge/4596>;

⁴¹<http://mof.ge/4953>; <http://mof.ge/4955>; <http://mof.ge/4999>;

საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე საკანონმდებლო ორგანოსთვის მისი წარდგენისთანავე.

- **წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში**⁴² - ანგარიში წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოიცავს შემოსავლებს, ხარჯებს და ბალანსებს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების მიხედვით. ის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე საკანონმდებლო ორგანოსთვის მისი წარდგენისთანავე.⁴³
- **აუდიტებული წლიური ფინანსური ანგარიში** გარე აუდიტის დასკვნასთან ერთად,⁴⁴ - სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს წლიურ ანგარიშს ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ისევე როგორც საბიუჯეტო ასიგნებებთან დაკავშირებულ ხარჯებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 31 (1) მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 190 (2) მუხლის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს აუდიტის დასკვნას და აცნობებს მთავრობას ანგარიშის დასრულების შესახებ, მთავრობისგან ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიღებიდან 45 დღის ვადაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს და იმავდროულად აქვეყნებს მას თავის ვებგვერდზე (მიღებიდან 45 დღის ვადაში). ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ 2016 წლისთვის გამოქვეყნდა 2017 წლის 12 ივნისს, 2016 ფისკალური წლის გასვლიდან 6 თვეში⁴⁵ (PEFA -ს კრიტერიუმია 12 თვე).

დამატებითი ელემენტები:

- **პირველადი საბიუჯეტო დოკუმენტი**⁴⁶ - წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის მომზადებით ყოველი წლის 1-ლი მარტიდან. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ (მომავალი ოთხი წლის, მიმდინარე და გასული წლებისთვის), ისევე როგორც ინფორმაციას პროგრამების შესახებ განვითარების ძირითადი პრიორიტეტებით და მიმართულებებით დამხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებების ლიმიტებით. ის მოიცავს საქართველოს ცენტრალურ მთავრობას, ავტონომიურ რესპუბლიკებს და ადგილობრივ ორგანოებს. დოკუმენტის განახლება

⁴²<http://mof.ge/5037> ;

⁴³მთავრობა ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად 2020 წლის ბიუჯეტისთვის. შემდეგ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური განახორციელებს მათ აუდიტორულ შემოწმებას და გასცემს აუდიტორულ დასკვნას მათთან დაკავშირებით.

⁴⁴<http://sao.ge/files/auditi/moxseneba-2016-biujetis-shesrulebis-cliuri-angarishis-shesaxeb.pdf>; <http://sao.ge/files/auditi/2014-biujetis-cliuri-shesrulebis-shesaxeb-moxseneba-new.pdf>;

⁴⁵<https://sao.ge/about-us/annual-perfomance-report/annual-report-2016> (ანგარიში ქართულ ენაზე)

⁴⁶<http://mof.ge/5075>;

ყოველწლიურად წარმოებს. მთავრობა იწონებს ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტს ყოველი წლის 10 ივლისამდე და დაუყოვნებლივ აქვეყნებს (5 თვეზე მეტი ხნით ადრე ფისკალური წლის დაწყებამდე, PEFA შეფასებით მოთხოვნილი 4 თვის ნაცვლად).

- **გარე აუდიტის სხვა ანგარიშები** - სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს ანგარიშს დარგობრივ სამინისტროებში ხარჯვითი ნაწილის შესრულების შესახებ. ის ასევე ამზადებს სხვადასხვა ანგარიშებს საჯარო სექტორის ეფექტიანობის თაობაზე⁴⁷. ის საბოლოოდ ამზადებს წლიურ ანგარიშს აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყველა ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე მათი მომზადებისთანავე⁴⁸.
- **ბიუჯეტის პროექტის ან დამტკიცებული ბიუჯეტის რეზიუმე. ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი**⁴⁹ - ფინანსთა სამინისტრო მოქალაქის ყოველწლიურ გზამკვლევს⁵⁰ 2012 წლიდან ამზადებს. ეს დოკუმენტი მზადდება როგორც ბიუჯეტის პროექტის, ისე დამტკიცებული ბიუჯეტისთვის: მოქალაქის გზამკვლევის განახლება წარმოებს დამტკიცებული ბიუჯეტის გამოქვეყნებისთანავე და დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე. 2016 წლიდან გზამკვლევი ასევე გამოიცემა (თხელი ყდით) დონორთა ტექნიკური დახმარების მხარდაჭერით და ეგზავნება მხარჯავ დაწესებულებებს, დონორებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ბოლო საბიუჯეტო გზამკვლევი 2017 წლის ბიუჯეტისთვის თხელყდის ფორმატით 2018 წლის თებერვალში გამოიცა (თუმცა ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე).
- **მაკროეკონომიკური პროგნოზები**⁵¹ - ინფორმაცია საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) წლიური დოკუმენტის ნაწილია, რომლის განახლებაც რეგულარულად წარმოებს მთავრობის მიერ მის საბოლოო მოწონებამდე (ყოველი წლის 10 ივლისი) და დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე განახლების ყოველ ეტაპზე.

107. დონორთა მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმების შესამუშავებლად და დასანერგად, რაც არსებული კომპლექსური საბიუჯეტო პროცესიდან გამომდინარე რთული და შრომატევადი პროცესია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდის მეშვეობით საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება მიიღოს მარტივად აღსაქმელი ფორმატით მიიღოს ინფორმაცია წლიური ბიუჯეტით დაგეგმილი განსახორციელებელი პროგრამების შესახებ, დააფიქსიროს პოზიცია და მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. შეფასება: A.

⁴⁷ეფექტიანობის შესახებ 2016 წლის ანგარიშების რამდენიმე მაგალითი: “Assurance of Acceptable Quality Education for Students at the Higher Education Institutions” (10/ 2016); “Social Use of Timber Resources” (10/ 2016); “Ensuring Determination of Priorities and Selection of Projects in Local Self - Governing Units” (10/ 2016).

⁴⁸<http://sao.ge/audit/audit-reports>

⁴⁹http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/GEO_C_G.pdf; <http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/ENG.pdf>;

⁵⁰http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/GEO_C_G.pdf; <http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/ENG.pdf>;

⁵¹<http://mof.ge/5075>

მესამე ბლოკი: აქტივების და ვალდებულებების მართვა

PI - 10. ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ

108. ეს ინდიკატორი აფასებს მასშტაბს, რომლითაც წარმოებს ფისკალური რისკების შესახებ ანგარიშგება ცენტრალური მთავრობის წინაშე. ფისკალური რისკები შეიძლება წარმოიშვას უარყოფითი მაკროეკონომიკური სიტუაციებიდან, ადგილობრივი მთავრობების ფინანსური მდგომარეობიდან, სახელმწიფო კორპორაციებიდან და ცენტრალური მთავრობის საკუთარი პროგრამების და ღონისძიებების პირობითი ვალდებულებებიდან არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ჩათვლით. ისინი შეიძლება ასევე წარმოიშვას სხვა მკაფიო და გარე რისკებიდან როგორებიცაა ბაზრის კრაზი და ბუნებრივი კატასტროფები. შეფასება დამყარებულია ყველაზე უახლესი, 2016 წლისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. 10.1 განზომილებისთვის დაფარვა არის მთავრობის მიერ კონტროლირებადი სახელმწიფო საწარმოები. 10.2 განზომილების დაფარვა არის ადგილობრივი მთავრობის სუბიექტები, რომლებსაც პირდაპირი ფისკალური კავშირები აქვთ ცენტრალურ მთავრობასთან; 10.3 განზომილებისთვის დაფარვაა ცენტრალური მთავრობა.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 10: ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ	B	B	
10.1 სახელმწიფო საწარმოების მონიტორინგი	B	B	სახელმწიფო საწარმოების უმრავლესობისთვის აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები ქვეყნდება ფისკალური წლის დასრულებიდან ექვსი თვის ვადაში. ცენტრალური მთავრობის მიერ ყოველწლიურად ქვეყნდება კონსოლიდირებული ანგარიში სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ეფექტიანობის შესახებ. მთავრობის ანგარიში ფისკალური რისკების შესახებ ეხება ცალკეულ სახელმწიფო საწარმოებს.
10.2 ადგილობრივი მთავრობის მონიტორინგი (SNG)	B	C	წლიური ფინანსური ანგარიშგებები ადგილობრივი მთავრობებისთვის ქვეყნდება აპრილის ბოლოსთვის, მაგრამ მათი აუდიტი არ წარმოებს ყოველწლიურ საფუძველზე.
10.3 პირობითი ვალდებულებები და სხვა ფისკალური რისკები	B	B	ცენტრალური მთავრობის სუბიექტები და უწყებები თავიანთ ფინანსურ ანგარიშებში რაოდენობრივად აფასებენ ყველაზე მნიშვნელოვან პირობით ვალდებულებებს.

10.1 სახელმწიფო საწარმოების მონიტორინგი

109. სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი შემუშავებულია სახელმწიფო სტრუქტურების, სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.⁵² რეესტრში ჩამოთვლილია სახელმწიფო საწარმოები, სადაც აქციების 50 %-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო და წლიური ბრუნვა 200,000 ლარზე მეტია ან განაწილებული სახელფასო ფონდი 15,000 ლარზე მეტია. ამ კრიტერიუმების საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნა მთლიანობაში 266 კომპანია, საიდანაც 175-ს ფლობს ცენტრალური მთავრობა, ხოლო 91-ს ადგილობრივი ორგანოები. ცენტრალური მთავრობის მფლობელობაში არსებული 175 საწარმოდან სახელმწიფო ფლობს აქციების 100 %-ს 106 საწარმოში, 50 – 100 %-ს 33 საწარმოში და 50 %-ზე ნაკლებს 36 საწარმოში. ცენტრალური მთავრობის მფლობელობაში არსებული აღნიშნული 175 საწარმოს ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობა შემდეგნაირად არის განაწილებული:

ცხრილი 10.1 სახელმწიფო საწარმოების მართვა	
რაოდენობა	იმართება შემდეგი უწყებების მიერ
137	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო
19	შექმნილია სს საპარტნიორო ფონდის მონაწილეობით (28 შვილობილი კომპანიის ჩათვლით). მათგან 4 სახელმწიფო კორპორაცია იმართება საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ (დამფუძნებელია საპარტნიორო ფონდი);
4	სსიპ
3	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
4	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
2	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
3	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის და სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს ჩათვლით)
1	საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო
1	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
1	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

110. სახელმწიფო საწარმოების ჩამონათვალი ასევე შეიცავს მცირე არააქტიურ კომპანიებს. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს ღონისძიებებს მათი ოპტიმიზაციისთვის. ასეთი სახელმწიფო კორპორაციების რაოდენობა 2009 წელს 1,315 იყო, 2013 წელს 341 -მდე შემცირდა და ამჟამად 137 -ია.

111. ფისკალური რისკის ანგარიშში შეტანილია თავი, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო საწარმოს, რომელთა ჯამური ბრუნვა ყველა სახელმწიფო საწარმოს

⁵²ფისკალურ სექტორში მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი 2016 – 2020 წლებისთვის

ბრუნვის 75%-ზე მეტს შეადგენს⁵³. ანგარიში ფისკალური რისკების შესახებ შეიცავს ინფორმაციას მაკროეკონომიკური რისკების, ვალის მდგრადობის და სახელმწიფო საწარმოების რისკების შესახებ. ინფორმაცია არ მზადდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის ხელშეკრულებების და მსგავსი მექანიზმების შესახებ, რომლებსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ფისკალური რისკების წარმოშობა. მაკროეკონომიკური რისკების ანალიზისთვის შესაძლო დადებითი ან უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები ფასდება ისეთ საფუძველზე, საიდანაც მუშავდება ეკონომიკური განვითარების სამი სცენარი: საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტური. ბიუჯეტის პროექტი მზადდება საბაზო სცენარის საფუძველზე. პესიმისტური სცენარი გამოიყენება ეკონომიკური ვარდნის, ხოლო ოპტიმისტური სცენარი კი ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შემთხვევაში.

112. სახელმწიფო საწარმოებისთვის არ ხდება სესხების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ისინი არ იღებენ გარანტიებს. თუმცა, ცენტრალური მთავრობა აწარმოებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების(IFIs) მიერ გამოყოფილი სახსრების გადასესხებას გზების ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, ენერგოგადაცემის და სასოფლო - სამეურნეო პროექტების დასაფინანსებლად. ფისკალური რისკები შეიძლება წარმოიქმნას, თუ სახელმწიფო საწარმო ვერ შეძლებს სესხის დაფარვას. ეს უკანასკნელი პრობლემა რეგულირდება ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოთხოვნებით. გადასესხება 2015 წელს, ისევე როგორც ვალის მომსახურების მოცულობა შესაბამისობაში იყო ბიუჯეტის წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან. სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით მთავრობის გარანტიებიდან და ვალდებულებებიდან გამომდინარე ფისკალური რისკები ისეთი მასშტაბისაა, რომ არ ხდება მათი ბიუჯეტში და ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში ასახვა. ჯერჯერობით ასეთ ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკები არ ყოფილა მატერიალიზებული.

113. ბევრი ორგანიზაცია წარადგენს ყოვლისმომცველ აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას. მათგან უმსხვილესი საწარმოები შეტანილია „საპარტნიორო ფონდში“, რომელიც ღირებულებით ფარავს სახელმწიფო საწარმოების 75 %-ს. უმსხვილესი საწარმოების აუდიტის ინდივიდუალური ანგარიშები ქვეყნდება გასული ფინანსური წლის დასრულებიდან ექვსი თვის ვადაში⁵⁴. ასევე ხელმისაწვდომია აუდიტორული შემოწმების დასკვნა „საპარტნიორო ფონდის“ ფინანსური ანგარიშგებების შესახებ, რომელიც ქვეყნდება ფინანსური წლის დასრულებიდან 9 თვის ვადაში. შეფასება: B.

10.2 ადგილობრივი მთავრობის მონიტორინგი

114. ანგარიშები ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების შესახებ (შემოსავლები, ხარჯები და დაფინანსების წყაროები) მზადდება საკასო მეთოდით და წარედგინება მერის ოფისს მომდევნო

⁵³ანგარიში ფისკალური რისკების შესახებ ქვეყნდება და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე <http://www.mof.ge/images/File/bijetis-kanoni2017/damtkicebuli/SFR-2016-Total-bind.pdf>

⁵⁴მაგალითად, სს საქართველოს რკინიგზა; სს ნავთობის და გაზის კორპორაცია; შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია; სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა; სს ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი

წლის აპრილის ბოლომდე. ადგილობრივი მთავრობის ანგარიშებიდან მონაცემები შესულია სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკაში. ადგილობრივი საბიუჯეტო ორგანიზაციები თავიანთ ფინანსურ ანგარიშებს ამზადებენ „ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების და „ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად. ადგილობრივი ბიუჯეტების აღრიცხვის ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის, ისევე როგორც შემოსავლების და ხარჯების შესახებ. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსის თანახმად, მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- სახელმწიფო აუდიტი - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ;
- დამოუკიდებელი აუდიტი – მოწვეული აუდიტორის მიერ;
- შიდა აუდიტი - საკრებულოს, გამგეობის/მერიის დებულებით განსაზღვრული შიდა აუდიტის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ.

115. დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიში და მისი დასკვნა წარედგინება ქალაქის საკრებულოს, შემდეგ ეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება. ამასთან ერთად, კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ანგარიშს წარუდგენს პარლამენტს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტების შემოსავლების და ხარჯებისთვის განხორციელებული აუდიტის შესახებ. თუმცა, არ არსებობს კონსოლიდირებული შეფასების ანგარიში. შეფასება: C.

10.3 პირობითი ვალდებულებები და სხვა ფისკალური რისკები

116. ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების და გარანტიების შესახებ ყოველწლიურად აღირიცხება და აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე სსბასს/ IPSAS 19 - ის (რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები) და „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის N429 ბრძანების (31 დეკემბერი, 2014) შესაბამისად. პირობითი ვალდებულებების და გარანტიების აღრიცხვის მიზნით, ინსტრუქცია ითვალისწინებს შესაბამის ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსს) და „პირობითი ვალდებულებების“ და „საბანკო გარანტიების“ მუხლებს. ამასთან ერთად, ინფორმაციის გამჟღავნება პირობითი ვალდებულებების და გარანტიების შესახებ მოთხოვნილია ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნებით.

117. დოკუმენტი „ფისკალური სექტორის რისკების ანალიზის შესახებ“ თან ახლავს საქართველოს კანონის პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ინფორმაცია ყველაზე ძირითადი და მკაფიო ფისკალური რისკების შესახებ მომზადებული და ხელმისაწვდომია. აღნიშნული მოიცავს პირობითი ვალდებულებების სხვადასხვა ტიპებს, როგორცაა მაგალითად მაკროეკონომიკური წარუმატებლობა, და ყველა მათგანი განხილულია ფისკალური სექტორის ანგარიშის მაკროეკონომიკური რისკის ანალიზის დანართში. საქართველოს არ აქვს დეპოზიტების დაზღვევა ან საპენსიო ფონდები და არ აქვს სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხები. ძირითადი პირობითი ვალდებულებები წარმოდგენილია გადასესხების ოპერაციებით სახელმწიფო კორპორაციებზე და ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებებით (PPAs), რომლებიც ასევე მოცულია დანართით. ცენტრალურ მთავრობას და ადგილობრივ მთავრობას არ აქვთ კერძო და სახელმწიფო სექტორის პარტნიორობები, რამდენადაც არ არსებობს ასეთი ფორმალიზებული პარტნიორობის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა მათი არსებობა.

118. ყოველწლიურად ფინანსთა სამინისტრო გამოყოფს სპეციალურ ფონდს (საბიუჯეტო კოდი 56 07) სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლოს გადაწყვეტილებების და სხვა ვალდებულებების შესასრულებლად. ის მოქმედებს, როგორც სარეზერვო ფონდი და რესურსები ნაწილდება იუსტიციის სამინისტროზე სახელმწიფო წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულების დადგომისას. მზადდება მთავრობის განკარგულებები რესურსების იმ სახელმწიფო ორგანიზაციაზე გამოსაყოფად, რომელიც პასუხისმგებელია კომპენსაციის გადახდაზე (უმეტესწილად იუსტიციის სამინისტრო). ასევე, ფონდი გამოიყენება იმ ხარჯების დასაფარად, რომლის გაწევაც წარმოებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ და რომლის დაქვითვაც ავტომატურად ხდება სახაზინო ანგარიშიდან დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საჭიროების გარეშე. ფონდი ტრადიციულად შეადგენს 20 მლნ ლარს და ყოველთვის ფარავდა აღსასრულებელ ვალდებულებებს. უკვე ცნობილი შემთხვევების ფონდში გათვალისწინების მიზნით, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ფინანსთა სამინისტრო აწარმოებს მოლაპარაკებებს იუსტიციის სამინისტროსთან. შეფასება: B.

PI - 11. სახელმწიფო ინვესტიციების მართვა

119. ეს ინდიკატორი ეხება მთავრობის მიერ სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების ეკონომიკურ შეფასებას, შერჩევას, მათი ხარჯების შეფასებას და მონიტორინგს უდიდეს და ყველაზე მნიშვნელოვან პროექტებზე ფოკუსირებით. შეფასება ემყარება 2016 ფისკალურ წელს და მოიცავს ცენტრალურ მთავრობას.⁵⁵

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 11:სახელმწიფო ინვესტიციების მართვა	C +	C	
11.1 საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი	C	C	ეკონომიკური ანალიზი ხორციელდება ზოგიერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტის შესაფასებლად
11.2 საინვესტიციო პროექტების შერჩევა	C	C	ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ცენტრალური მთავრობა ახდენს ზოგიერთი ძირითადი საინვესტიციო პროექტის პრიორიტეტულობის განსაზღვრას
11.3 საინვესტიციო პროექტების ღირებულება	C	C	ძირითადი საინვესტიციო პროექტების მთლიანი კაპიტალური ხარჯის პროგნოზი მომდევნო საბიუჯეტო წლის კაპიტალურ ხარჯებთან ერთად ასახულია საბიუჯეტო დოკუმენტებში
11.4 საინვესტიციო პროექტების მონიტორინგი	B	C	ძირითადი საინვესტიციო პროექტების მთლიანი ღირებულების და ფიზიკური პროგრესის მონიტორინგი წარმოებს განმახორციელებელი სახელმწიფო უწყების მიერ. ინფორმაცია ძირითადი საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესახებ მზადდება ყოველწლიურად მაგრამ მხოლოდ ზედაპირულ დონეზე

120. კაპიტალური/ საინვესტიციო პროექტების ერთიანი ციკლის შემუშავების და განხორციელების მექანიზმების განსაზღვრის მიზნით, საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი შემუშავდა 2016 წელს და დამტკიცდა მთავრობის N 191 დადგენილებით (22 აპრილი, 2016). საინვესტიციო პროექტების მართვის დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 165 ბრძანება (22 ივლისი, 2016)) დამტკიცდა

⁵⁵2014 წლის ივნისის საქართველოს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სისტემისთვის სახელმწიფო ხარჯების სადიაგნოსტიკო შეფასება იძლევა მნიშვნელოვან საბაზისო ინფორმაციას, რომელიც კვლავ რელევანტურია

აღნიშნული გზამკვლევის საფუძველზე. 2017 წლის ბიუჯეტის ანალიზმა აჩვენა, რომ ხუთი ძირითადი მხარჯავი დაწესებულების კაპიტალური ბიუჯეტები: ინფრასტრუქტურის სამინისტრო (680 მლნ); განათლების სამინისტრო (82 მლნ); ლტოლვილთა სამინისტრო (52 მლნ); თავდაცვის სამინისტრო (41 მლნ) და შინაგან საქმეთა სამინისტრო (31 მლნ) შეადგენს მთელი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაახლოებით 10 %-ს.

11.1 საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი

121. ეკონომიკური ანალიზი ხორციელდება ზოგიერთი ძირითადი საინვესტიციო პროექტისთვის, რომლებიც ძირითადად ფინანსდება დონორი ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს ეკონომიკურ ანალიზს დონორების მიერ დაფინანსებული კაპიტალური პროექტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ანალიზის დოკუმენტი მომზადებულია ყველა პროექტისთვის, არ არსებობს სტანდარტიზებული პროცედურები. აღნიშნული შეფასებითი დოკუმენტებიდან მხოლოდ რამდენიმეა ხელმისაწვდომი განმახორციელებლების ვებგვერდებზე. თუმცა, კაპიტალური პროექტების ეფექტიანობის აუდიტის თანახმად⁵⁶ (შერჩეული შეფასებული კაპიტალური პროექტებისთვის), ფორმალური შეფასება, რომლის მიზანია საუკეთესო ვარიანტის შერჩევა პროექტის განხორციელების რამდენიმე შესაძლო ალტერნატივას შორის, არ განხორციელებულა. ნაკლოვანებები გამოვლინდა დეტალური დაგეგმვის ეტაპზე.

122. ბიუჯეტს აქვს კაპიტალური ინვესტიციების დანართი, რომლითაც მოცულია შემდეგი სამინისტროები: რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ენერჯეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ისევე როგორც სხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები. დანართში არსებული ინფორმაცია მოიცავს: მრავალწლიანი პროექტების მთლიან ხარჯს, მიმდინარე და დაგეგმილ გადასახდელ თანხებს, სხვა არაფინანსურ ინფორმაციას თითოეული პროექტის შესახებ, როგორებიცაა, პროექტის აღწერილობა, განმახორციელებელი სუბიექტი, ცალკეული პროექტების ანალიზის შედეგად მოსალოდნელი, შუალედური და საბოლოო შედეგები. დანართის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მთლიანი ინვესტიციების 65% პერიოდის განმავლობაში დაფინანსებულია ისეთი დონორების მიერ, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და KFW. პროექტების შესახებ სრულ ინფორმაციასთან წვდომის და შეფასების გარეშე და იმ დაშვებით, რომ ყველა პროექტისთვის თუ არა, უმრავლესობისთვის მაინც განხორციელებულია ეკონომიკური ანალიზი, მინიჭებულ იქნა შეფასება C (25%-დან 50 %-მდე დიაპაზონში)⁵⁷.

⁵⁶გამოქვეყნების თარიღი: 13:05:2016

⁵⁷იხ. ზმული დანართთან, სადაც მოცემულია მტკიცებულება (ბიუჯეტი დამტკიცდა 2016 წლის 29 ნოემბერს): https://mof.ge/images/File/bijetis_kanoni2017_damtkebuli_kapitaluri_-_29.11.2016.pdf

11.2 საინვესტიციო პროექტების შერჩევა

123. სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებამდე, ზოგიერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტის პრიორიტეტულობის განსაზღვრა ხდება სახელმწიფო უწყების სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად. თუმცა, კაპიტალური პროექტების შესრულების აუდიტის თანახმად, კაპიტალური პროექტების განვითარების სტრატეგია ზოგადად არ არსებობს, რამდენადაც დარგობრივ სამინისტროებს არ აქვთ მეთოდოლოგია, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს კაპიტალური პროექტების შერჩევის კრიტერიუმებს და პროცედურებს. შეფასება: C.

11.3 საინვესტიციო პროექტების ღირებულება

124. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები საბიუჯეტო დოკუმენტებში გათვალისწინებულია დასაგეგმი წლისა და მომდევნო 3 წლისთვის. ამ დოკუმენტებში მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები არ არის გამიჯნული. ასევე შემდგომი წლების პროგნოზებში ამ პროექტებით გამოწვეული მუდმივი (განმეორებადი) ხარჯები არ არის გაანგარიშებული. შეფასება: C.

11.4 საინვესტიციო პროექტების მონიტორინგი

125. ინფორმაცია საინვესტიციო პროექტების ხარჯების და პროექტების პროგრესის შესახებ მზადდება და აისახება წლიურ ბიუჯეტში კაპიტალური პროექტების დანართის სახით და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე. წლიურ ანგარიშებს შესრულების შესახებ ახლავს შეფასების ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალური პროექტების განხორციელებასთან. თუმცა, კაპიტალური პროექტების ეფექტიანობის აუდიტის თანახმად, ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული კაპიტალური პროექტების შესახებ არ არის სრული და ზუსტი, რაც გამოწვეულია კაპიტალური პროექტების განსაზღვრებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებით და პროექტების კაპიტალურ მუხლში არასწორი კლასიფიკაციით⁵⁸. ამასთან ერთად, პროექტების განხორციელების არსებული პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი, ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება დადგენილი პრაქტიკიდან გადახვევა. პროექტის მონიტორინგის ანგარიშების ფორმა და სიხშირე, რომლებიც უნდა წარედგინოს პროექტის განმახორციელებელ უწყებებს, პროექტის ზედამხედველების მიხედვით არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ინფორმაცია მიმდინარე პროექტების პროგრესის შესახებ არ არის კონსოლიდირებული. შეფასება: C.

PI - 12. სახელმწიფო აქტივების მართვა

126. ეს ინდიკატორი აფასებს სახელმწიფო აქტივების მართვას და მონიტორინგს და აქტივების გასხვისების გამჭვირვალობას. შეფასება ემყარება 2016 ფისკალური წლის მონაცემებს.

⁵⁸პროექტები, როგორებიცაა მაგალითად ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება.

12.2 ქვეინდიკატორი ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს, ხოლო 12.3 ქვეინდიკატორი: ცენტრალური მთავრობის ფინანსური და არაფინანსურ აქტივებს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი) M 2 AV)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 12: სახელმწიფო აქტივების მართვა	B	C +	
12.1 ფინანსური აქტივების მონიტორინგი	B	B	სახელმწიფო აწარმოებს მის მფლობელობაში არსებული აქტივების აღრიცხვას ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიაში, რომლებიც აღიარებულია მათი შესყიდვის ღირებულებით და იშვიათ შემთხვევებში საბაზრო (რეალური) ღირებულებით. ინფორმაცია ფინანსური აქტივების ძირითადი კატეგორიების ეფექტიანობის შესახებ ქვეყნდება ყოველწლიურად.
12.2 არაფინანსური აქტივების მონიტორინგი	C	C	სახელმწიფო აწარმოებს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების რეესტრს და აგროვებს ნაწილობრივ ინფორმაციას მათი გამოყენების და ხანდაზმულობის შესახებ.
12.3 აქტივების განკარგვის გამჭვირვალობა	B	C	განსაზღვრულია პროცედურები და წესები ფინანსური და არაფინანსური აქტივების გადაცემის ან გასხვისებისთვის. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო იძლევა დეტალურ ინფორმაციას თითოეული ტრანზაქციის შესახებ. თუმცა, დარჩენილი აქტივების გასხვისება ხორციელდება მხარჯავი დარგობრივი უწყებების მიერ არაცენტრალიზებული ფორმით და დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ თუ რისი გასხვისება ხდება არ არის ხელმისაწვდომი ანგარიშის ფორმატით.

12.1 ფინანსური აქტივების მონიტორინგი

127. ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს კანონით სახელმწიფო ვალის შესახებ, საქართველოს კანონით საგადასახადო ვალდებულებების და სახელმწიფო სესხების, რესტრუქტურისაციის შესახებ და ა.შ. ფინანსური აქტივები მოიცავს სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორებიცაა სესხები, წილი საწესდებო კაპიტალში და ა.შ. ხაზინა პასუხისმგებელია შიდა და გარე საკრედიტო რესურსების მიერ გაცემული სესხების აღრიცხვაზე და მონიტორინგზე. წილი სააქციო კაპიტალში აღრიცხულია შესაბამისი სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებებში, ძირითადად განხორციელებული შენატანის მოცულობით. ფინანსური მონაცემები სესხების შესახებ მთავრობის ფინანსური სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს შესაბამისად (GFSM 2001) წარმოდგენილია წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში,

რომლებიც მომზადებულია მხარჯავი უწყებების მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

128. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ წარდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს ინფორმაციას ფინანსური აქტივების შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მზადდება სახაზინო სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე, მხარჯავი უწყებების მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე. ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ანგარიშგებები ქვეყნდება სახაზინო სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.treasury.gov.ge - საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 1-ლ ივლისამდე. ფინანსური აქტივები ძირითადად ფასდება თავდაპირველი ღირებულებით და იშვიათ შემთხვევებში რეალური (საბაზრო) ღირებულებით. შეფასება: B.

12.2 არაფინანსური აქტივების მონიტორინგი

129. არაფინანსური აქტივები აღირიცხება სხვადასხვა რეესტრებში ღირებულების გარეშე - აღრიცხვის, შენახვის და ტექნიკური მომსახურების მიზნებისთვის. ეს რეესტრები შეიცავს ისეთ მოძრავ აქტივებს და ძირითად საშუალებებს როგორებიცაა, მიწა, ბუნებრივი რესურსები, ენერგორესურსები და ა.შ., კულტურული მემკვიდრეობის აქტივები (ხელოვნების ნიმუშები, ძეგლები და ა.შ.), ინფრასტრუქტურული აქტივები (ხიდები, გზები, და ა.შ.) და ასევე სხვა აქტივები როგორებიცაა მაგიდები, კომპიუტერები და სატრანსპორტო საშუალებები.

130. არაფინანსური აქტივების ღირებულების განსასაზღვრად ძირითადად გამოიყენება შესყიდვის ღირებულება, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად რეალური (საბაზრო) ღირებულება მაგ. სარეალიზაციო მიზნებისთვის, რაც არ იძლევა ყოვლისმომცველ და ზუსტ ინფორმაციას ღირებულების შესახებ. ფინანსური მონაცემები არაფინანსური აქტივების შესახებ (საწყისი ღირებულება, დარიცხული ცვეთა, ნარჩენი საბალანსო ღირებულება და ა.შ.) სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე მოცემულია წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც მომზადებულია მხარჯავი უწყებების მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, მთავრობის ფინანსური სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს შესაბამისად (GFSM 2001). ქვევით მოცემული ცხრილი გვიჩვენებს არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და მათ მართვას GFSM 2001 მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ცხრილი 12.2 არაფინანსური აქტივების აღრიცხვა			
არაფინანსური აქტივების კატეგორიები	არაფინანსური აქტივების ქვეკატეგორიები	სად ინახება ინფორმაცია?	შენიშვნა
ძირითადი აქტივები	შენობები და ნაგებობები მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა სხვა ძირითადი აქტივები	ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში	შედარებით სრულყოფილია. თუმცა, არაფინანსური აქტივები შეიძლება შეფასდეს ღირებულებით, რომელიც არ შეესაბამება თავის რეალურ (საბაზრო) ღირებულებას

ცხრილი 12.2 არაფინანსური აქტივების აღრიცხვა			
არაფინანსური აქტივების კატეგორიები	არაფინანსური აქტივების ქვეკატეგორიები	სად ინახება ინფორმაცია?	შენიშვნა
მატერიალური მარაგები		ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში	თავდაპირველი ღირებულება გამოიყენება მატერიალური მარაგების შესაფასებლად
ფასეულობები	ძვირფასი ქვები და ლითონები ხელოვნების ნიმუშები სხვა ფასეულობები	ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში	როგორც წესი, ის არ მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის აქტივებს (ხელოვნების ნიმუშებს, ძეგლებს), რომელთაც არ აქვთ შესაბამის რეესტრებში მითითებული ღირებულება
არაწარმოებული აქტივები	მიწა წიაღისეული სხვა ბუნებრივი აქტივები არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში	ნაწილობრივ გულისხმობს მიწას წიაღისეულის გარეშე, ენერგორესურსებს და ა.შ.

131. ხაზინის მიერ გამოქვეყნებულ ცხრილში ([http:// / treasury.gov.ge/ 5607](http://treasury.gov.ge/5607) - ხაზინის ვებგვერდი) ჩამოთვლილია არაფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით, რომლებიც მიუთითებს საწყის ღირებულებას, ცვეთას, გამოყენების და დარიცხვის სხვადასხვა წყაროებს, ნარჩენ ღირებულებას. ეს ინფორმაცია ქვეყნდება 2013 წლიდან მოყოლებული ყოველი წლის 1-ელ ივლისს. ამგვარად, ამ აქტივების გამოყენება და დაგროვება აღრიცხულია თითოეულ კატეგორიაში. არაფინანსური აქტივების ასაკი არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ შეიძლება გარკვეულ იქნეს იმის მიხედვით, თუ როდის იქნა ისინი ცხრილში შეტანილი. ასევე, ხაზინას აქვს სრული ინფორმაცია აქტივების მფლობელების შესახებ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით (რამდენადაც ეს ინფორმაცია აღებულია თითოეული დაწესებულების ფინანსური ანგარიშგებებიდან); თუმცა, მათ არ მოეთხოვებათ ამ ინფორმაციის გასაჯაროება. შეფასება: C.

12.3 აქტივების განკარგვის გამჭვირვალობა

132. აქტივების განკარგვა მიეკუთვნება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობას, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას. სააგენტო ამზადებს წლიურ სამოქმედო გეგმას, ბიუჯეტს და ანგარიშვალეულია მიღწეულ შედეგებზე გეგმასთან მიმართებაში. ეს გეგმები და ანგარიშები წარმოადგენს ბიუჯეტის მომზადების და შესრულების შესახებ მომზადებული დოკუმენტების ნაწილს, რომლებიც წარედგინება პარლამენტს.

133. სააგენტომ აქტივების განკარგვისთვის განსაზღვრა წესები და პროცედურები და ისინი ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე. სააგენტო ყიდის სახელმწიფო ქონების უდიდეს ნაწილს ელექტრონული აუქციონის ფორმით. აღნიშნულის განხორციელება მოითხოვს ინფორმაციის ფართო გავრცელებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აუქციონის საჯაროობა უზრუნველყოფილია ელექტრონული აუქციონების და ელექტრონული და არაელექტრონული მედიის საშუალებით. ამ თვალსაზრისით სააგენტოს

აქვს სპეციალური მომსახურება დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად. ის ბეჭდავს საინფორმაციო ბარათებს, ატარებს პიარ-კამპანიებს და ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირს სააგენტოსა და საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ. ინფორმაცია პრივატიზაციას დაქვემდებარებული მნიშვნელოვანი ობიექტების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია ისეთი მედია საშუალებებით, როგორებიცაა „ინტერპრესნიუსი“ და ბიზნესის პროფესიული ქსელი. ინფორმაცია ასევე ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ Facebook გვერდზე, რომელსაც ბევრი გამომწერი ჰყავს. სააგენტო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას გასხვისებული აქტივების შესახებ. ის აქტიურად მუშაობს ერთიანი ელექტრონული პროგრამის შექმნაზე - „სახელმწიფო ქონების მართვის პორტალი“, რომელსაც ექნება დაინტერესებული მხარეების შემდგომი ინფორმირების ფუნქცია მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის შესახებ.

134. 2016 წელს არაფინანსური და ფინანსური აქტივების განკარგვით მიღებული იქნა 246 მლნ და 89 მლნ ლარის შემოსავალი, რომლებიც შემდეგ ჩაშლილია აღნიშნული აქტივების განკარგვის მიხედვით. სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ (SPA) 2016 წელს გაასხვისა არაფინანსური აქტივების დაახლოებით 1,000 ერთეული 75 მლნ ლარის ღირებულებით (მთელი არაფინანსური აქტივების გასხვისების 30%). გაცილებით უფრო დეტალური ინფორმაცია თითოეული ტრანზაქციის შესახებ ხელმისაწვდომია „ონლაინ“ რეჟიმში ვებგვერდზე www.privatization.ge. მზადდება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პერიოდული ანგარიშები, რომლებშიც მოკლედაა შეჯამებული მისი საქმიანობა. დარჩენილი აქტივების განკარგვა წარმოებს მხარჯავი დარგობრივი უწყებების მიერ არაცენტრალიზებული ფორმით და დეტალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რისი გასხვისება მოხდა, არ არის ხელმისაწვდომი კონსოლიდირებული ანგარიშის ფორმატით, მაგრამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში აღრიცხული იქნება როგორც შემოსავალი გაყიდვიდან თითოეული მუხლის დაკონკრეტების გარეშე. შეფასება: C.

PI - 13. ვალის მართვა

135. ეს ინდიკატორი აფასებს საშინაო და საგარეო ვალის და გარანტიების მართვას. ის ცდილობს განსაზღვროს, არსებობს თუ არა ეფექტური და ეფექტიანი მექანიზმებისთვის დამახასიათებელი მართვის პრაქტიკა, სააღრიცხვო დოკუმენტები და კონტროლის სისტემები. შეფასების დროისთვის განხორციელდა 13.1 ქვეინდიკატორის შესწავლა. 13.2 ქვეინდიკატორისთვის შეფასება ემყარება გასულ დასრულებულ 2016 ფისკალურ წელს, ხოლო 13.3 ქვეინდიკატორისთვის (შეფასების მომენტისთვის) შეფასება ეხება გასულ სამ დასრულებულ ფისკალურ წელს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 13:ვალის მართვა	B	B	
13.1 ვალის და გარანტიების აღრიცხვა და ანგარიშგება	A	A	საშინაო და საგარეო ვალის, ასევე გარანტირებული ვალის შესახებ დოკუმენტები არის სრული, ზუსტი, განახლებული და ყოველთვიურად შეჯერებული. მენეჯერული და სტატისტიკური ყოვლისმომცველი ანგარიშები ვალის მომსახურების, დაგროვილი ვალის და ოპერაციების შესახებ მზადდება ყოველთვიურად.
13.2 ვალის და გარანტიების დამტკიცება	A	A	ძირითადი კანონმდებლობა ვალის მართვაზე პასუხისმგებელ ერთადერთ სუბიექტს ანიჭებს უფლებამოსილებას აილოს სესხი, გამოუშვას ახალი ვალი და გასცეს სასესხო გარანტიები ცენტრალური მთავრობის სახელით. დოკუმენტური სახით არსებული პოლიტიკა და პროცედურები იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს სესხის აღებასთან, ახალი სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიასთან და ვალთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად, სასესხო გარანტიების გასაცემად და ვალის მართვის ოპერაციის მონიტორინგისთვის ვალის მართვის ერთადერთი სუბიექტის მიერ. წლიური ნასესხები სახსრები დამტკიცებულ უნდა იქნეს მთავრობის ან პარლამენტის მიერ.
13.3 ვალის მართვის სტრატეგია	D	D	ვალის მართვის ეფექტური პოლიტიკის გატარების მიზნით, საქართველოს 2016 – 2019 წლების ვალის მართვის სტრატეგია თვითშეფასების და მისი ვალიდაციის დროს შემუშავების პროცესში იყო, .

136. საქართველოს კანონი “სახელმწიფო ვალის შესახებ” არეგულირებს ურთიერთობებს საქართველოს სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით, ასევე ურთიერთობებს ადგილობრივი და უცხოური კრედიტებისთვის სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან მიმართებით და ადგენს სახელმწიფო ვალის გადახდის ძირითად პრინციპებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებების შესაბამისად, საგარეო და საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებული ყველა ქმედება ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ.

13.1 ვალის და გარანტიების აღრიცხვა და ანგარიშგება

137. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აწარმოებს სრულ, განახლებულ და შეჯერებულ ინფორმაციას სახელმწიფო საგარეო ვალის (ორმხრივი და მრავალმხრივი სესხები, სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ევრობონდები), ვალის გადაცემის და სახელმწიფო გარანტიების შესახებ (სახელმწიფო გარანტია გაცემულია KFW -ის სესხზე 1994 წელს და დარჩენილი გადასახდელი თანხა შეადგენს 1.9 მლნ ევროს) ორ სხვადასხვა სისტემაში (DM FAS ვერსია -6.1.1 და Access მონაცემთა ბაზა). სახელმწიფო საშინაო ვალი (სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ბონდები, სახელმწიფო ბონდები და დაკავშირებული ოპერაციები) რეგისტრირებულია ვალის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eDMS). აუქციონის შედეგები რეგისტრირდება იმავე დღეს და ანგარიშსწორება ხორციელდება მომდევნო დღეს ელექტრონული ხაზინის სისტემის საშუალებით, გადახდის დადასტურების შემდეგ.

138. საკრედიტო ხელშეკრულებები დროულად რეგისტრირდება. კრედიტორებისგან გადახდის შეტყობინების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ოპერაციები (გადასახდელები და ვალის მომსახურება) მონაცემთა ბაზაში იმავე დღეს აღირიცხება.

139. “სახელმწიფო ვალის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მე -7 მუხლი), ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციას აწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს (სებ) სახელმწიფო ვალის და სახელმწიფო გარანტიით აღებული სესხების შესახებ. ყოველთვიურად, ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ვალის შესახებ სტატისტიკას (ნაშთი, ასიგნებები, გრანტები და ა.შ.) უგზავნის საქართველოს პარლამენტს, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს. სახელმწიფო ვალის სტატისტიკა ასევე ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.⁵⁹ სახაზინო სამსახური ყოველთვიურად იღებს მიმდინარე სტატისტიკურ მონაცემებს სახელმწიფო ვალის შესახებ და პროგნოზებს სახელმწიფო ვალის სამომავლო გადახდების შესახებ ვალზე პასუხისმგებელი დეპარტამენტისგან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და სხვა ინსტიტუტებს შეუძლიათ მიიღონ სტატისტიკური მონაცემები საშინაო და საგარეო ვალზე მოთხოვნის შესაბამისად.

140. პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ შეიცავს ინფორმაციას სახელმწიფო ვალის თაობაზე. ეს ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს სახელმწიფო ვალის ნაშთის, ვალდებულებების ცვლილების, ასიგნებების და ვალის მომსახურებისთვის გადახდილი თანხების შესახებ როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალისთვის. ინფორმაცია დაჯგუფებულია დონორებისა და ინსტრუმენტების ტიპების მიხედვით. ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ ასევე იძლევა ინფორმაციას დაგეგმილი და მიღწეული შედეგების შესახებ. 2015 წლიდან ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში მოიცავს ვალის მდგრადობის ანალიზს (DSA) და დამატებით ინფორმაციას სახელმწიფო ვალის შესახებ. შეფასება: A.

⁵⁹<http://mof.gov.ge/4804>; <http://mof.gov.ge/en/4805>;

13.2 ვალის და გარანტიების დამტკიცება

141. სახელმწიფო ვალთან, სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან და ვალის გადასესხებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ (1998 წელი), საქართველოს კანონით „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ (1997), საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს კანონით „საგადასახადო ვალდებულებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურის შესახებ“ (2004) და ეკონომიკური თავისუფლების აქტით.

142. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (მინისტრის საშუალებით) აქვს განსაკუთრებული და ექსკლუზიური უფლება და პასუხისმგებლობა, საქართველოს მთავრობის თანხმობით (პარლამენტის საშუალებით)⁶⁰, საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციით: ა) გააფორმოს ხელშეკრულებები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ; ბ) საქართველოსა და სხვა ქვეყნების საფინანსო ორგანიზაციებს მისცეს კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით, რომელიც გამოეყოფათ საქართველოს ეკონომიკურ აგენტებს საკუთრების ფორმისა და სამეურნეო საქმიანობის მიუხედავად (მუხლი 2.2). საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს საგარეო ვალების მომსახურებას, იღებს გადაწყვეტილებებს საგარეო სესხების მოზიდვის შესახებ, აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოელ კრედიტორებთან, ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტებს სესხის აღების შესახებ, აღრიცხავს და იყენებს ნასესხებ თანხებს (მუხლი 2.3). ამასთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საშინაო ვალის მართვას უზრუნველყოფს მისი დაფარვის ორგანიზაციით და აღრიცხვით, პროცენტის განსაზღვრით და გადახდით, აგრეთვე სხვა ოპერაციების განხორციელებით (მუხლი 13).

143. საგარეო ვალის შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს ეროვნულ ბანკთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად:

- განიხილავს შეთანხმებებს სახელმწიფო საგარეო ვალის პირობებისა და ვადების შესახებ, შეისწავლის საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე არსებული დაფინანსების შესაძლებლობასა და პირობებს;
- ანალიზებს სახელმწიფო საგარეო ვალის რეფინანსირების შესაძლებლობასა და პირობებს; უზრუნველყოფს ისეთ მდგომარეობას, რომ ახალი ვალების წმინდა ნაშთი არ აღემატებოდეს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დადგენილი სახელმწიფო საგარეო ვალის ლიმიტს (ზღვრულ ოდენობას);
- ამ კანონის შესაბამისად შეიმუშავებს ნორმატიულ აქტებს და მათ წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს იმ ვალდებულებათა

⁶⁰ევრობონდების გარდა

შესასრულებლად, რომლებიც სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის უფლებიდან გამომდინარეობს.

144. ევრობონდების შემთხვევაში პროცესი იგივეა, თუმცა პარლამენტის რატიფიკაცია არ არის აუცილებელი. მთავრობა განსაზღვრავს ევრობონდების და გრანტების ემისიის მარეგულირებელ ნორმებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანიჭებს ევრობონდების ემისიის და ყველა შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერის უფლებას.

145. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხების ფინანსური პირობები შერჩეული და განხილულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის ფორმირებისა და რეგულირების კომისიის მიერ; არჩეული ფინანსური პირობები წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად. კომისია ასევე განიხილავს სახელმწიფო საშინაო ვალის საკითხებსაც. საგარეო და საშინაო ვალის პარამეტრები განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო ვალის მდგრადობა საშუალოვადიან პერიოდში. აღნიშნული პარამეტრები ბიუჯეტის დამტკიცების პროცესის ნაწილია. შეფასება : A.

13.3 ვალის მართვის სტრატეგია

146. თვითშეფასებისა და მისი ვალიდაციის მიმდინარეობისას, საქართველოს ვალის მართვის სტრატეგია შემუშავების პროცესში იყო. ამ სტრატეგიის მიზანია მთავრობის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების და ქმედებების ასახვა ვალის მართვის ეფექტური პოლიტიკის გასატარებლად. სტრატეგიის ძირითად მიზნებს წარმოადგენს მთავრობის სასესხო საჭიროებების და ადეკვატური რისკების დაფინანსების უზრუნველყოფა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა ისეთ სფეროებში, რომლებიც მოიცავს რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთებს და სავალუტო რისკებს. ცენტრალური მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის 2018 – 2020 წლების პრეზენტაცია მოიცავს შემდეგს:

147. ვალის მართვის სტრატეგიის მიზნები და მასშტაბი.

- მაკროეკონომიკური მიმოხილვა
- ცენტრალური მთავრობის საკრედიტო პორტფელის აღწერა
- ცენტრალური მთავრობის საკრედიტო პორტფელის ანალიზი
- დაფინანსების წყაროები
- ოთხი ალტერნატიული სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნის დანახარჯების და რისკების ანალიზი (მითითებები)

148. რამდენადაც ეს სტრატეგია ჯერ არ დამტკიცებულა და არ ამოქმედებულა, მინიჭებული შეფასებაა D.



მეოთხე ბლოკი: პოლიტიკაზე დამყარებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება

PI - 14. მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება

149. ეს ინდიკატორი აფასებს ქვეყნის უნარს შეიმუშაოს საიმედო მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზები, რომელთაც გააჩნიათ გადაწყვეტი მნიშვნელობა მდგრადი საბიუჯეტო სტრატეგიის შემუშავებისა და საბიუჯეტო ასიგნებების უფრო მაღალი პროგნოზირებადობის უზრუნველყოფისთვის. ის ასევე განიხილავს მთავრობის უნარს შეაფასოს ეკონომიკური პირობების შესაძლო ცვლილებებით გამოწვეული ფინანსური შედეგები. შეფასების დროის პერიოდია ბოლო სამი დასრულებული ფისკალური წელი. ქვეინდიკატორი 14.1 მოიცავს მთლიან ეკონომიკას, ხოლო 14.2 და 14.3 ცენტრალურ მთავრობას.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 14: მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება	A	A	
14.1: მაკროეკონომიკური პროგნოზები	A	A	მთავრობა ამზადებს პროგნოზებს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესახებ, რომლებიც პროგნოზების საფუძვლად აღებულ დაშვებებთან ერთად შეტანილია საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენილ საბიუჯეტო დოკუმენტაციაში. ამ პროგნოზების განახლება წარმოებს წელიწადში ერთხელ მაინც. პროგნოზები მოიცავს საბიუჯეტო წელს და სამ მომდევნო ფისკალურ წელს. პროგნოზები განხილულ იქნა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ (PBO).
14.2 ფისკალური პროგნოზები	A	B	მთავრობა ამზადებს პროგნოზებს ძირითადი ფისკალური ინდიკატორების შესახებ, შემოსავლების (ტიპის მიხედვით) ჩამოილი ხარჯების და საბიუჯეტო ნაშთის ჩათვლით საბიუჯეტო წლისა და მომდევნო სამი ფისკალური წლისთვის. ეს პროგნოზები, პროგნოზის საფუძვლად აღებულ დაშვებებთან ერთად, შეტანილია საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენილ საბიუჯეტო დოკუმენტებში.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
14.3 მაკროეკონომიკური სენსიტიურობის ანალიზი	A	A	მთავრობა ამზადებს სცენარებს ფისკალური პროგნოზების შესახებ ალტერნატიული მაკროეკონომიკური დაშვებების საფუძველზე და ეს სცენარები, პროგნოზებთან ერთად, ასახულია გამოქვეყნებულ საბიუჯეტო დოკუმენტაციაში

14.1: მაკროეკონომიკური პროგნოზები

150. ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ყოვლისმომცველ საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზებს და მათთან დაკავშირებულ დაშვებებს საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესის განსახორციელებლად. პროგნოზები და დაკავშირებული დაშვებები შემუშავებულია ეროვნული ანგარიშების ძირითადი მაჩვენებლებისთვის (მათ შორის მშპ - ს ზრდა, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები, და სავალუტო კურსი), საგარეო სექტორი, ფულად-საკრედიტო სექტორი და სახელმწიფო სექტორი.

151. პროგნოზი მოიცავს ბოლო 2 წლის მონაცემებს, მიმდინარე წელს, დასაგეგმ და მომდევნო 3 წელს (სულ 7 წელიწადს). პროგნოზების განახლება ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ წლიური ბიუჯეტის მომზადებისას. ამასთან, პროგნოზების განახლება ხდება მაშინაც, როცა ადგილი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებას. ფისკალური პროგნოზები გადაიხედება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს და ასრულებს ფინანსური მრჩევლის ფუნქციებს⁶¹. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ (PBO⁶²) 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი, 2017-2020 წლების ფისკალური პროგნოზების ჩათვლით ორჯერ იქნა განხილული და შეფასებული: 2016 წლის ოქტომბერში (როდესაც 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი თავდაპირველად წარედგინა პარლამენტს) და 2016 წლის დეკემბერში (მესამე წარდგენა). პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ამზადებს საკუთარ პროგნოზებს, რომელიც როგორც წესი, ფინანსთა სამინისტროს (MOF) პროგნოზების მსგავსია. შეფასება: A.

14.2 ფისკალური პროგნოზები

152. ფისკალური პროგნოზები ეყრდნობა დასაგეგმი საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლისთვის მომზადებულ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) ასახავს შემოსავლების და ხარჯების პროგნოზებს, და მათ კავშირებს ქვეყნის პრიორიტეტებთან. 2016 წელს ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა ფისკალური პროგნოზები 2017 საბიუჯეტო და სამი მომდევნო ფისკალური წლისთვის განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზების საფუძველზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს შემოსავლებისა და ხარჯების მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის

⁶¹<http://pbo.parliament.ge/about-us/what-we-do> ; charter: <http://pbo.parliament.ge/images/Charter%20for%20the%20Parliamentary%20Budget%20Office%20of%20Georgia.pdf>

⁶²<http://pbo.parliament.ge/component/k2/itemlist/category/81>

პარამეტრებს. ფინანსთა სამინისტროს შემუშავებული ფისკალური პროგნოზები მოიცავს: (i) პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების, გრანტებისა და არასაგადასახადო შემოსავლების მიხედვით ჩაშლილ შემოსავლებს; (ii) კატეგორიების მიხედვით ჩაშლილ ხარჯებს; (iii) ცვლილებას ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში; (iv) ფისკალურ ბალანსს და (v) განსაზღვრულ ძირითად დაშვებებს (განაკვეთების, დაფარვის და პროგნოზირებული ზრდის ჩათვლით).

153. 2017 საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლის შემოსავლების და ხარჯების განახლებული შეფასებები დამყარებული იყო 2016 წელს მიღებულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე. ამიტომაც ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის ყველა აუცილებელი კორექტირება გათვალისწინებული იყო 2017-2020 წლების ფისკალურ პროგნოზებში. ასევე, 2016 წლის განმავლობაში ფისკალურ პოლიტიკაში დაიწყო მთელი რიგი ცვლილებების განხორციელება. მაგალითად, გათვალისწინებულ იქნა ფისკალური კონსოლიდაციის ღონისძიებების გავლენა საჯარო სერვისების განმახორციელებელი უწყებების ხელფასებზე და ადმინისტრაციულ დანახარჯებზე; საგადასახადო შემოსავლები დაკორექტირდა აქციზის განაკვეთის ზრდის და მოგების გადასახადის შემცირების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის იანვარში. თუმცა, განსხვავებები 2017-2020 და 2016-2019 წლების ფისკალურ პროგნოზებს შორის არ არის მკაფიოდ ახსნილი. წლიური ბიუჯეტის კანონის⁶³ განმარტებითი ბარათი შეიცავს ღონისძიებების ხარჯების ნაწილობრივ შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენს გეგმიურ (2017) წელზე, და არა საშუალოვადიან პროგნოზებზე.

154. გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლის მეორე ნახევრიდან მთავრობამ შეიმუშავა ახალი დოკუმენტი, რომელიც თან ერთვის 2018 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს (საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზების შედარების დანართი). ამ დოკუმენტით ხდება 2017-2020 და 2018-2021 წლების მაკროფისკალურ ჩარჩოებში წარმოდგენილ შეფასებებს/ პროგნოზებს შორის განსხვავებების მკაფიო ახსნა. თუმცა, შეფასების გაკეთების მომენტში ეს ახსნა-განმარტებები არ იყო ხელმისაწვდომი. შეფასება : B.

14.3 მაკროფისკალური სენსიტიურობის ანალიზი

155. 2017 წლის გამოქვეყნებული კანონი ბიუჯეტის შესახებ შეიცავდა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების სამ სცენარს: ძირითად, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს⁶⁴. საბაზისო ვარიანტი ეფუძნება მოსალოდნელ ეკონომიკურ განვითარებას, რომლის ალბათობაც საშუალოვადიან პერსპექტივაში ყველაზე მაღალია. ამიტომაც ფისკალური პროგნოზები შემუშავებულია ზემოთ აღნიშნული ვარიანტის საფუძველზე. პესიმისტური ვარიანტი შექმნილია ეკონომიკური განვითარების შეფერხების

⁶³<https://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/ganmartebiti.pdf>

⁶⁴<http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/SFR-2016-Total-bind.pdf>;

http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/2017-BD-Tables-sen-16_1-BDD.pdf;

http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/2017-BD-Tables-sen-16_3-BDD.pdf;

http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/2017-BD-Tables-sen-16_2%20BDD.pdf

შემთხვევისთვის, ხოლო ოპტიმისტური ვარიანტი კი გულისხმობს ეკონომიკური აქტივობების დაჩქარებას. მაკროეკონომიკური რისკების ეფექტური მართვისთვის მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს რა ფისკალური გამოხმაურებები შეიძლება მიიღოს მთავრობამ ძირითადი სცენარიდან გადახვევის შემთხვევაში.

156. ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი მომზადებულია 2016-2020.⁶⁵ წლებისთვის. დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს მაკროეკონომიკური რისკების გამოვლენა და მათი ფისკალური შედეგების შეფასება, რათა წინასწარ იყოს განსაზღვრული, როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური გადახრების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის პასუხები. მაკროეკონომიკური რისკების შეფასების პროცესში განიხილება ყველა ხელმისაწვდომი დადებითი და უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

157. სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი შემუშავებულ იქნა 2017-2024 წლებისთვის, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მთავრობის უნარის შეფასება ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა შესაძლო რისკფაქტორების და მთავრობის საკრედიტო პორტფელზე მათი გავლენის შესწავლას. ეს მთავრობას ეხმარება ნეგატიური ფაქტორების შედეგების წინასწარ განსაზღვრაში და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. შეფასება: A.

PI - 15. ფისკალური სტრატეგია

158. ეს ინდიკატორი ითვალისწინებს მკაფიო ფისკალური სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების შესაძლებლობის ანალიზს. ის ასევე აფასებს შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებული პოლიტიკის წინადადებების ფისკალური ეფექტის შესწავლის უნარს, რომელიც ხელს უწყობს მთავრობის ფისკალური მიზნების მიღწევას. შეფასების დროის პერიოდი 15.1 ქვეინდიკატორისთვის არის ბოლო სამი დასრულებული წელი, ხოლო 15.2 და 15.3 ქვეინდიკატორისთვის - ბოლო დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორი ეხება ცენტრალურ მთავრობას.

⁶⁵<http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/SFR-2016-Total-bind.pdf>

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება	
	თვით - შეფასება	ვალიდაცია	
PI - 15: ფისკალური სტრატეგია	B	D +	
15.1 პოლიტიკის ცვლილების ფისკალური გავლენა	B	D	მთავრობას არ აქვს მომზადებული საბიუჯეტო წლისთვის შემოსავლების და ხარჯების პოლიტიკის შემოთავაზებული ცვლილებების ფისკალური გავლენის შეფასება.
15.2 ფისკალური სტრატეგიის მიღება/დამტკიცება	B	B	მთავრობამ მიიღო და პარლამენტს წარუდგინა ფისკალური სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს დასაგეგმი და მომდევნო სამი წლის მიზნებს და ამოცანებს.
15.3 ანგარიშგება ფისკალური შედეგების შესახებ	C	D	მთავრობა არ ამზადებს შიდა ანგარიშს ფისკალურ სტრატეგიასთან მიმართებაში მიღწეული პროგრესის შესახებ. ასეთი ანგარიში არ მომზადებულა ბოლო დასრულებული ფისკალური წლისთვის.

159. პარლამენტისთვის წარდგენილი კანონი წლიური ბიუჯეტის შესახებ შეიცავდა რამდენიმე დოკუმენტს, მათ, შორის: ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტს, დანართს კაპიტალური პროექტების შესახებ, და განმარტებით ბარათს. ეს სამი დოკუმენტი იძლევა სიღრმისეულ ინფორმაციას საბიუჯეტო შემოსავლების და ხარჯების პოლიტიკის შემოთავაზებული ცვლილებების ფისკალური გავლენის შესახებ:

- ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი იძლევა ზოგად ინფორმაციას ბიუჯეტის განვითარების შესახებ საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ეს მონაცემები, თანდართულ ახსნა-განმარტებებთან ერთად, მომზადებულია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, მხარჯავი დაწესებულებების და პროგრამების მიხედვით;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი შეიცავს ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი კაპიტალური პროექტების ყოვლისმომცველ ჩამონათვალს მათი განხორციელების ვადებით. ის ასევე ითვალისწინებს ინფორმაციას პროექტის მთლიანი ღირებულების და დაფინანსების წყაროს შესახებ, თითოეული პროექტისთვის განსაზღვრული დასრულების ვადებით.
- განმარტებითი ბარათი იძლევა შესაბამის რაოდენობრივ ინფორმაციას, ზოგიერთი ძირითადი ასიგნების ან შემოსავლების ჩაშლას ძირითად ელემენტებად, და ახალ პოლიტიკის შემოთავაზებებს მხოლოდ საბიუჯეტო წლისთვის.

160. ბიუჯეტი არ არის წარმოდგენილი ისეთი ფორმატით, რომელიც შესაძლებელს გახდიდა არსებული და ახალი პოლიტიკის ფისკალური გავლენის რაოდენობრივ შეფასებას. თუმცა, აღნიშნულის ნაწილობრივ გაკეთება შესაძლებელია ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის და განმარტებითი ბარათის შეჯერებით. ეს არის თავისთავად საბიუჯეტო დოკუმენტაციის ნაკლი. ყველა ეს დოკუმენტი პარლამენტს წარედგენება დასამტკიცებლად.

161. ეკონომიკური თავისუფლების აქტი, რომელიც მიღებულ იქნა 2011 წელს და ძალაში შევიდა 2014 წელს, განსაზღვრავს მთავრობის ფისკალური სტრატეგიის ძირითად მიდგომებს. ეს დოკუმენტი მოიცავს რაოდენობრივ მიზნებს მთლიანი ხარჯების ლიმიტთან (მშპ-ის 30 პროცენტი), ფისკალური ბალანსის წესთან (მშპ-ის 3 პროცენტი) და სახელმწიფო ვალის ლიმიტთან (მშპ-ის 60 პროცენტი) დაკავშირებით. ფისკალური პოლიტიკის და ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტები ერთი და იგივე საპროგნოზო პერიოდს მოიცავს (ოთხწლიანი პროგნოზი, მათ შორის საბიუჯეტო წლისთვის). ბიუჯეტის დანართად წარმოდგენილი დოკუმენტი ეგზავნება პარლამენტს. საკანონმდებლო ორგანოს მიერ ეს დოკუმენტი უკანასკნელად 2016 წელს დამტკიცდა.

162. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ამზადებს ანგარიშებს ბიუჯეტის შესრულების შესახებ (ყოველკვარტალურად და ყოველწლიურად), არ არსებობს წლიური ბიუჯეტის მიმართ ფისკალური ამოცანების შესრულების შესახებ შემაჯამებელი ანგარიში. კერძოდ, არც ერთი დოკუმენტი არ აღწერს წლიური ბიუჯეტიდან გამომდინარე სამი რაოდენობრივი მიზნის (ხარჯები, დეფიციტი და ვალი) შესრულების მდგომარეობას.

15.1 პოლიტიკის ცვლილების ფისკალური გავლენა

163. 2017–2020 წლების ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი მოიცავს ძირითად დაგეგმილ რეფორმებს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. დოკუმენტი მოიცავს საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლის საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს და საბიუჯეტო ჭირებს მხარჯავი დაწესებულებებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად.

164. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი უმეტესწილად ხარისხიანია, ის შევსებულია კაპიტალური ბიუჯეტის დანართით და განმარტებითი ბარათით, რომელიც შეიცავს ზოგიერთ (მაგრამ არა ყველა) რაოდენობრივ ინფორმაციას ახალი პოლიტიკის ფისკალური გავლენის შესახებ საბიუჯეტო წლისთვის (განმარტებითი ბარათი) და მომდევნო წლებისთვის (ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი). მიუხედავად ამისა, რაოდენობრივად შეუფასებელი ახალი პოლიტიკის მასშტაბი⁶⁶ იმგვარია, რომ ამ

⁶⁶მაგალითად, ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) შემდეგი ახალი ინიციატივები არ არის რაოდენობრივად განსაზღვრული: მარკეტინგული ღონისძიებები ტურიზმის განვითარებისთვის, დაცული ტერიტორიები ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის, ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარება, ბიზნესტურიზმის განვითარება, ეკოლოგიური მართვის გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დაცვა, სატყეო რესურსების მდგრადი მართვა,

ქვეინდიკატორისთვის PEFA-ს მეთოდოლოგია განსაზღვრავს D შეფასებას. არსებობს ორი ძირითადი მიზეზი ასეთი რეიტინგისთვის:

- ყველა ახალი ინიციატივა არ არის რაოდენობრივად შეფასებული (ე.ი. ის ინიციატივები, რომლებიც ღირებულებით შეადგენს ბიუჯეტის 90 პროცენტს მაინც). პირიქით, შეფასებული ინიციატივების რაოდენობა ძალიან ცოტაა; და,
- PEFA-ს შეფასებით დაფარული სამწლიანი პერიოდისთვის (2014, 2015, 2016 წლები) ძალზე ცოტა მონაცემია ხელმისაწვდომი.

15.2 ფისკალურის ტრაქტეგის მიღება/დამტკიცება

165. ყოველი წლის 10 ივლისისთვის მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი მოიცავს დასაგეგმი და შემდგომი 3 წლისათვის ძირითად მიმართულებებს, ბიუჯეტის პრიორიტეტებს და მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს. ის აგრეთვე მოიცავს რაოდენობრივ ფისკალურ მიზნებს (ხარჯები, დეფიციტი და ვალი), რომლებიც განსაზღვრულია 2011 წლის ეკონომიკური თავისუფლების აქტით (იხ. ზევით).

166. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მთავარი ფისკალური ინდიკატორი (მთლიანი ხარჯების ლიმიტი) არ არის შესრულებული 2017 წლის ბიუჯეტისთვის (სამიზნე 30 პროცენტი გადაჭარბებულ იქნა და მიაღწია 33.3 პროცენტთან პიკს), ეკონომიკური თავისუფლების აქტი შეესაბამება B შეფასებას.

15.3 ანგარიშგება ფისკალური შედეგების შესახებ

167. ფისკალური წესებით დადგენილი მიზნების ფაქტიურად მიღებულ შედეგებთან შედარების ანგარიში მთავრობის მიერ არ მზადდება. ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ეკონომიკური მდგომარეობის (ეკონომიკური ზრდა, ფასები, ადგილობრივი ვალუტის (ლარის) გაცვლითი კურსი, საერთაშორისო ვაჭრობა, სახელმწიფო ვალი, ფულადი ტრანსფერები) და ბიუჯეტის შესრულების (შემოსავლები, ხარჯები, სარეზერვო ფონდები და სხვ.), მაგრამ არა ფისკალურ წესებთან დაკავშირებული ინდიკატორების შესახებ⁶⁷. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიშში (სექტემბერი, 2017) გამოტანილია იგივე დასკვნა.⁶⁸ შეფასება: D.

დაავადებების პრევენცია, ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული პროგრამები, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემის დანერგვა, ხარისხის უნივერსალური სტანდარტების შემოღება ადრეული ასაკის და სკოლამდელ განათლებაში, უფასო გაკვეთილების შემოღება ზოგადი განათლების სისტემაში, უმაღლესი სასპორტო განათლება მასწავლებლებისთვის. ეს არის არასრული ჩამონათვალი.

⁶⁷http://mof.ge/images/File/biuj2016_12tve/mokle-informacia-2016-wlis-biujetis-shesrulebis-shesaxeb.pdf

⁶⁸საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში დაგეგმილია არსებული ფისკალური წესების შეფასება/ ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რეგულაციების შემოღება როგორც სახელმწიფო, ისე

PI - 16. ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში

168. ეს ინდიკატორი იკვლევს, საშუალოვადიანი ბიუჯეტი შემუშავდა თუ არა საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჭერების ფარგლებში. ის ასევე იკვლევს, წლიური ბიუჯეტები ეყრდნობა თუ არა საშუალოვადიან პროგნოზებს და როგორია შესაბამისობის ხარისხი საშუალოვადიან საბიუჯეტო პროგნოზებსა და სტრატეგიულ გეგმებს შორის. 16.1, 16.2 და 16.3 ქვეინდიკატორების შეფასება ეფუძნება საკანონმდებლო ორგანოსთვის ბოლოს წარდგენილ 2017 წლის ბიუჯეტს. ხოლო 16.4 ქვეინდიკატორისთვის - საკანონმდებლო ორგანოსთვის ბოლოს წარდგენილ 2017 წლის ბიუჯეტსა და მიმდინარე 2018 წლის ბიუჯეტს. ქვეინდიკატორი ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 16: ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში	B +	B +	
16.1 ხარჯების საშუალოვადიანი შეფასება/გაანგარიშება	A	A	წლიური ბიუჯეტი წარმოადგენს ხარჯების გაანგარიშებას საბიუჯეტო წლისთვის და მომდევნო ორი ფისკალური წლისთვის, რომლებიც განაწილებულია ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პროგრამული (ან ფუნქციონალური) კლასიფიკაციით.
16.2 საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჭერები	A	A	საბიუჯეტო და მომდევნო ორი წლისთვის საბიუჯეტო ჭერები (აგრეგირებულ და სამინისტროს დონეზე) დამტკიცებულია მთავრობის მიერ პირველი საბიუჯეტო ცირკულარის გამოცემამდე.
16.3 სტრატეგიული გეგმების და საშუალოვადიანი ბიუჯეტების შესაბამისობა	A	A	საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმები მომზადებული და შეფასებულია ყველა სამინისტროსთვის. დამტკიცებულ საშუალოვადიან საბიუჯეტო გათვლებში მოცული ხარჯებთან დაკავშირებული პოლიტიკის წინადადებები შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმებთან და შემდგომში შეფასებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში.
16.4 ბიუჯეტების შესაბამისობა გასულ წელს გაკეთებულ პროგნოზთან	C	D	არ არსებობს განმარტება 4.1%-იანი აბსოლუტური გადახრის შესახებ ან 10.6%-იანი სტრუქტურული გადახრის შესახებ.

ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის. ასევე დაგეგმილია ბიუჯეტის წარდგენის გაუმჯობესება იმისათვის, რომ უკეთესად განხორციელდეს საბიუჯეტო ჩაშლა საბაზისო და ახალ პოლიტიკას შორის.

16.1 ხარჯების საშუალოვადიანი შეფასება/გაანგარიშება

169. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, 2015 წელს ხუთი სამინისტრო (განათლების და მეცნიერების სამინისტრო, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო) წარმოადგენდნენ საპილოტო სამინისტროებს. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგა განახლებულ ფორმატში და ყველა სამინისტრომ მოამზადა და დაამტკიცა დეტალური საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები შესაბამისი ხარჯების გაანგარიშებებით. ეს გეგმები შესაბამისობაში იყო ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტთან და წლიური ბიუჯეტის კანონთან.

170. 2017 – 2020 წლების ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი, როგორც საბიუჯეტო დოკუმენტაციის ნაწილი, იძლევა შეფასებას საბიუჯეტო და მომდევნო წლებისთვის ეკონომიკური, ადმინისტრაციული ორგანოების და მათი პროგრამების შესახებ. ეს უკანასკნელი ორი კლასიფიკაცია მოიცავს სახელმწიფო პროგრამებს და დონორთა კაპიტალურ პროექტებს პროგრამების მიხედვით დროის იმავე პერიოდისთვის და დანართის სახით შეტანილია ბიუჯეტში. ერთობლივად ისინი იძლევიან ინფორმაციას განმახორციელებელი სამინისტროს/ უწყების და მათი პროგრამების მიხედვით. თუმცა, წლიური ბიუჯეტი თავისთავად მოიცავს მხოლოდ საბიუჯეტო წელს, რამდენადაც ის იძლევა მხოლოდ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ხარჯვის ავტორიზაციას. შეფასება: A.

16.2 საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჭერები

171. მთავრობის მიერ ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს აწვდის მხარჯავ უწყებებს ბიუჯეტის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით (E - ბიუჯეტი). ეს მოიცავს ასიგნებების ჭერებს, საიდანაც მხარჯავი უწყებები ამზადებენ საბიუჯეტო განაცხადებს მომდევნო წლებისთვის (საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლისთვის). საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საბიუჯეტო განაცხადები ფინანსთა სამინისტროს წარედგინება არაუგვიანეს 1-ლი სექტემბრისა, ბიუჯეტის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით (E - ბიუჯეტი). საბიუჯეტო ჭერები საკმაოდ ხისტია მიუხედავად იმისა, რომ მხარჯავ უწყებებს შეუძლიათ თავიანთი პროგრამების დასაფინანსებლად დამატებითი რესურსების მოთხოვნის და დასაბუთების სისტემაში შეყვანა. ეს განიხილება, როგორც შემდგომი საბიუჯეტო მოლაპარაკების პროცესის ნაწილი, მაგრამ მისი დადებითი გადაწყვეტა გარანტირებული არ არის. შეფასება: A.

16.3 სტრატეგიული გეგმების და საშუალოვადიანი ბიუჯეტების შესაბამისობა

172. საშუალოვადიან პერიოდში პროგრამებთან დაკავშირებული საჯარო ფინანსების ძირითადი მოწყობის წესი განისაზღვრება საბიუჯეტო კოდექსით. აღნიშნული ეფუძნება მთელ

რიგ ცალკეულ ელემენტებს, როგორცაა: ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა, ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება, რესურსების მართვა. ნებისმიერი პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ხარჯების სწორი გაანგარიშება და მათი ასახვა ბიუჯეტში. შესაბამისად, კანონმდებლობით⁶⁹ განსაზღვრულია, რომ პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებში აუცილებელია აისახოს შესაბამისი ფინანსური გათვლები, სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს თან უნდა ახლდეს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კავშირი პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის. აღნიშნულს ხელი შეიწყო პროგრამული (შედეგზე ორიენტირებული) ბიუჯეტირების შემოღებამ და დანერგვამ. პროგრამული ბიუჯეტის განახლებული მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს სამინისტროების მიერ დეტალური საშუალოვადიანი (4 წლიანი) სამოქმედო გეგმების მომზადებას, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები და შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონს და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტს. ამავე დოკუმენტით დარეგულირდა სამინისტროებში პროგრამული ბიუჯეტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესი სამუშაო ჯგუფების ფორმატში.

173. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩართულია სხვადასხვა მიმართულებით სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ დოკუმენტებში შესაბამისი ბიუჯეტების ასახვას და მათ კავშირს საქართველოს მთავრობის პროგრამასთან, წლიური ბიუჯეტის კანონთან და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტთან. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს მჭიდრო კავშირს პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტებს შორის. შეფასება: A.

16.4 ბიუჯეტის შესაბამისობა გასულ წელს გაკეთებულ პროგნოზთან

174. აბსოლუტური გადახრა გასულ წელს მომზადებული საშუალოვადიანი ხარჯების პროგნოზის (MTEF) მეორე წელსა და მომდევნო წელს გაკეთებულ (MTEF) ბიუჯეტს შორის შეადგენს 104.1 %-ს, 10.6 %-იანი სტრუქტურული გადახრით.⁷⁰ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ არის მნიშვნელოვანი ცდომილება, საბიუჯეტო დოკუმენტაცია არ იძლევა რაიმე განმარტებას ნებისმიერი მომხდარი ცვლილების შესახებ. შეფასება: D.

⁶⁹ „საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება (2015 წლის 19 აგვისტოს N427 დადგენილება; „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება.

⁷⁰ PI - 3.2 -ისთვის ცხრილების გამოყენებით

PI - 17. ბიუჯეტის მომზადების პროცესი

175. ეს ინდიკატორი აფასებს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ეფექტურობას ბიუჯეტის მომზადების პროცესში, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ჩათვლით, და ასევე იკვლევს, არის თუ არა ეს მონაწილეობა თანმიმდევრული და დროული. 17.1 და 17.2 ქვეინდიკატორებისთვის შეფასების დროის პერიოდი არის საკანონმდებლო ორგანოში ბოლო ბიუჯეტის წარდგენის დრო, ხოლო 17.3 ქვეინდიკატორისთვის - უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორი ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 17: ბიუჯეტის მომზადების პროცესი	A	A	
17.1 საბიუჯეტო კალენდარი	A	A	საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოა და სრულდება. ის საშუალებას აძლევს საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბიუჯეტო ცირკულარის მიღებიდან სულ მცირე ექვსი კვირის ვადაში გონივრულად და დროულად დაასრულონ თავიანთი დეტალური საპროგნოზო გამოთვლები.
17.2 ბიუჯეტის მომზადების ინსტრუქციები	A	A	ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი ყოვლისმომცველი დოკუმენტია და მოიცავს ფისკალური წლის მთლიან ხარჯებს. BDD-ში ასახული ჭერები სამინისტროებისთვის მტკიცდება ცირკულარის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გავრცელებამდე
17.3 ბიუჯეტის წარდგენა საკანონმდებლო ორგანოში	A	A	წლიური ბიუჯეტის პროექტი მთავრობამ პარლამენტში წარადგინა წლის დასრულებამდე არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, ყოველწლიურად ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში.

176. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ ფორმატზე გადასვლიდან გამომდინარე, ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2013 - 2015 წლებისთვის პირველად მომზადდა განსხვავებულ ფორმატში იმისათვის, რომ შესაბამისობაში ყოფილიყო პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

177. 2015 წელს პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგია მოდიფიცირებულ იქნა და ახალი, გაცილებით უფრო დეტალური წესები შემუშავდა, რომლებიც რეკომენდაციას აძლევს მხარჯავ დაწესებულებებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა პროგრამების და ქვეპროგრამების შემუშავება, ხარჯების შეფასების მომზადება და მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა, თავიანთი საშუალოვადიანი გეგმების, დარგობრივი სტრატეგიების და ხელმისაწვდომი რესურსების გადმოსახედიდან.

178. პროგრამული ბიუჯეტი განიხილავს ინდიკატორების ფართო სისტემას: საბაზო და სამიზნე ინდიკატორებს, ცდომილების ალბათობას და შესაძლო რისკებს, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნეს თითოეული პროგრამისთვის. მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით ან სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები აისახოს შესაბამისი წლიური ბიუჯეტის პროექტში და ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში. მეთოდოლოგია აღწერს პროცედურებს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად და იძლევა დეტალურ ინფორმაციას, თუ რა მონაცემები იქნეს შეტანილი საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში და როგორ მომზადდეს ინფორმაცია, თითოეული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის ღირებულების შეფასების ჩათვლით, პროგრამების სხვადასხვა ტიპებისთვის.

179. პროგრამული ბიუჯეტის გადამუშავებული მეთოდოლოგია გვთავაზობს სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების ხელშეწყობას სამუშაო ჯგუფის ფორმატში. ევროკავშირის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის (საჯარო ფინანსების მართვა (PFM) III) ფარგლებში შეფასების მისიამ მოამზადა რეკომენდაცია მაღალი დონის მენეჯმენტის ჩართვის შესახებ, სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში, და სამუშაო ჯგუფების შექმნის თაობაზე ყველა სამინისტროში. გადაწყვეტილების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს მინისტრი და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევლენ დეპარტამენტების უფროსები/ წარმომადგენლები, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამისი მიმართულების პოლიტიკას, და ასევე, სტრუქტურული ერთეულების უფროსები/ წარმომადგენლები, რომლებიც ექვემდებარებიან საქვეუწყებო და სხვა კონტროლს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომელი შეიძლება ასევე ჩართული იყოს სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში.

180. ზემოაღნიშნული რეგულაციები საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის ფორმატში შემუშავდა და დამტკიცდა მთავრობის N 104 დადგენილებით (26 თებერვალი, 2016) „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მოსამზადებლად განსახორციელებელი ღონისძიებები“.

181. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ბიუჯეტის ყველა დონე და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია ერთიანი სახაზინო ანგარიშის სისტემაში გაერთიანდა. კერძოდ, განახლდა საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შესაბამისი მოდულები და 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ბიუჯეტის ყველა დონე და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია გაერთიანდა ერთიანი სახაზინო ანგარიშის სისტემაში როგორც დაგეგმვის, ისე შესრულების ეტაპზე.

182. რეფორმის შედეგად გაფართოვდა საბიუჯეტო ორგანიზაციის ტერმინის ქვეშ გათვალისწინებული დაწესებულებების წრე და საბიუჯეტო კოდექსის რეგულირების სფერო ვრცელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებულ ან/და მათ მიმართ ანგარიშვალდებულ/კონტროლს

დაქვემდებარებულ ყველა იურიდიულ პირზე (გარდა სამეწარმეო სტატუსის მქონე იურიდიული პირებისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა). აღნიშნული ხელს უწყობს საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის ამაღლებას. ბიუჯეტის ფორმატი და წარდგენის პროცედურები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, საშუალოვადიანი პერსპექტივის და სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტს შორის კავშირების არსებობისკენ.

17.1. საბიუჯეტო კალენდარი


183. საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოდ არის განსაზღვრული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით. საბიუჯეტო კალენდარი, რომელიც მიჰყვება საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ პირობებს და მიუთითებს შესაბამის თარიღებს ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე. შესაბამისი სახელმწიფო უწყებების უფლებები და ვალდებულებები გაწერილია საბიუჯეტო პროცესის თითოეული ეტაპისთვის. საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ეტაპები აღწერილია ქვევით.

184. საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენილი ბოლო სამ ბიუჯეტთან მიმართებაში (2015, 2016 და 2017 წლების ბიუჯეტები), საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილეს მკაცრად აქვს დაცული საბიუჯეტო კალენდარი.

185. ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტს მთავრობა იწონებს ყოველი წლის 10 ივლისამდე. ის მოიცავს საბიუჯეტო ჭერებს, რომლებიც შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (E –Budget) ყოველი წლის 15 ივლისამდე. საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ელექტრონული სისტემის საშუალებით მიწოდებული საბიუჯეტო განაცხადის ფორმები მკაფიოდ და გასაგებია და შესაძლებელს ხდის მათში ყველა აუცილებელი ინფორმაციის შეტანას. ამასთან, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა დაკავშირებულია ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან (E-Treasury), რაც შესაძლებელს ხდის წინა წლების მონაცემების ავტომატურ სინქრონიზაციას. შესაბამისად, ინფორმაციის სიზუსტე უზრუნველყოფილია და პროცესი გამჭვირვალეა.

186. საბიუჯეტო ჭერების ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვის (15 ივლისი) შემდეგ, ყველა მხარჯავმა დაწესებულებამ (99 %) თავისი საბიუჯეტო განაცხადი 26-დან 31 აგვისტომდე გააგზავნა, რამაც მათ მისცა თავიანთი გამოთვლების სულ მცირე ექვს კვირაში დასრულების საშუალება.

187. საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოა და სრულდება. ის საბიუჯეტო ორგანიზაციებს აძლევს საბიუჯეტო ცირკულარის მიღებიდან სულ მცირე, ექვს კვირაში, თავიანთი დეტალური გათვლების არსებითად და დროულად დასრულების შესაძლებლობას. შეფასება: A.



17.2. ბიუჯეტის მომზადების ინსტრუქციები

188. როგორც ზევით აღინიშნა, საბიუჯეტო ცირკულარი არის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი, რომელიც ელექტრონულად ქვეყნდება. ეს დოკუმენტი მზადდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად:

- ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, მთავრობა 1-ელ მარტამდე განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ (ისევე როგორც ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი მთავრობების მიერ) წარსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალს და ვადებს (საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი);
- დარგობრივი სამინისტროების ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების და მიმართულებების შესახებ ინფორმაციას მთავრობა 1-ელ ივნისამდე (საბიუჯეტო კოდექსის 34 -ე მუხლის მე-4 პუნქტი) წარუდგენს პარლამენტს. პარლამენტი არ ამტკიცებს ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს, მაგრამ საპარლამენტო კომიტეტები აგზავნიან თავიანთ დასკვნებს 20 ივნისამდე,
- მთავრობა 10 ივლისამდე (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტი) იწონებს ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს.
- ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მოწონებიდან 5 დღის ვადაში, დოკუმენტით განსაზღვრული საბიუჯეტო ჭერების გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტრო მხარჯავ დაწესებულებებს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს.

189. ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამინისტროების საბიუჯეტო ჭერებს, განიხილება საბიუჯეტო ორგანიზაციებთან მისი შემუშავების განმავლობაში, წარედგინება პარლამენტს დასკვნისთვის და მოწონებულია მთავრობის (კაბინეტის) მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის მის გავრცელებამდე.

190. საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის შინაარსს (34 -ე მუხლის მე-5 პუნქტი):

- ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა.შ.) პროგნოზები და მათი აღწერა გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი ფისკალური წლისთვის;
- ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული ინდიკატორები, ფინანსური და არასაფინანსო აქტივები და ვალდებულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი ფისკალური წლისთვის;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანალიზი გასული ფისკალური წლისთვის და მიმდინარე ფისკალური წლის გადამუშავებული პროგნოზები ;

- მომდევნო ოთხი წლისთვის მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო პრიორიტეტები;
- მომდევნო ოთხი წლისთვის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამები, მიზნები და დაფინანსების ოდენობა;
- მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო ჭერები;
- პრიორიტეტული მიმართულებები, რომლის ფარგლებშიც აისახება მხარჯავი დაწესებულებების პროგრამები და ქვეპროგრამები.

191. ზევით აღწერილი ინფორმაციის დონე უზრუნველყოფს, რომ ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი იყოს მკაფიო და ყოვლისმომცველი. ის მოიცავს ცენტრალური მთავრობის მთლიან ხარჯებს ფისკალური წლისთვის და შეიცავს თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის საბიუჯეტო ჭერებს. შეფასება: A.

17.3. ბიუჯეტის წარდგენა საკანონმდებლო ორგანოსთვის

192. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა წარუდგინოს პარლამენტს არაუგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა. ქვევით წარმოდგენილი ცხრილი აჩვენებს, რომ ეს წესი შესრულდა 2014-დან 2016 წლამდე ბიუჯეტებისთვის. მთავრობამ წლიური ბიუჯეტის პროექტები წარადგინა წლის ბოლომდე არაუგვიანეს სამ თვის ვადაში, ბოლო ოთხი ფისკალური წლიდან თითოეულის განმავლობაში. შეფასება: A.

ცხრილი 17.3 საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტის წარდგენის თარიღი	
ბიუჯეტი	წარდგენის თარიღი
2014	25 სექტემბერი, 2013
2015	25 სექტემბერი, 2014
2016	22 სექტემბერი, 2015
2017	23 სექტემბერი, 2016

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

PI - 18. ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება

193. ეს ინდიკატორი აფასებს წლიური ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასების მასშტაბს. ის განიხილავს, თუ როგორ აფასებს და აწარმოებს დებატებს საკანონმდებლო ორგანო და ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს და ასევე, თუ როგორ დგინდება შეფასების პროცედურები და როგორ სრულდება ისინი. შეფასების დროის პერიოდი: ბოლოს დასრულებული ფისკალური წელი (2016) 18.1, 18.2 და 18.4 ქვეინდიკატორებისთვის. 18.3 ქვეინდიკატორისთვის ფასდება ბოლო სამი დასრულებული ფისკალური წელი (2014, 2015 და 2016). დაფარვა: ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტი.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 18: ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება	A	A	
18.1 ბიუჯეტის განხილვის მასშტაბი	A	A	საქართველოს პარლამენტი განიხილავს ფისკალურ პოლიტიკას, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს და საშუალოვადიან პრიორიტეტებს, ხარჯების და შემოსავლების დეტალებს
18.2 ბიუჯეტის განხილვის საკანონმდებლო პროცედურები	A	A	საბიუჯეტო მომენამდე საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებულია საკანონმდებლო პროცედურები და ხორციელდება მათი დაცვა. პროცედურები მოიცავს შიდა საორგანიზაციო მექანიზმებს, როგორებიცაა მაგალითად განხილვის სპეციალიზებული კომიტეტები, ტექნიკური მხარდაჭერა და მოლაპარაკების პროცედურები. ისინი ასევე მოიცავს საჯარო კონსულტაციების განხორციელებას.
18.3 ბიუჯეტის დამტკიცების ვადა	A	A	ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში, საკანონმდებლო ორგანომ წლიური ბიუჯეტის კანონი დაამტკიცა ფისკალური წლის დაწყებამდე
18.4 აღმასრულებელი ორგანოს მიერ ბიუჯეტის კორექტირების წესები	A	A	არსებობს მკაფიო წესები წლის განმავლობაში აღმასრულებელი ორგანოს მიერ საბიუჯეტო კორექტირებების განსახორციელებლად. წესები ადგენს მკაცრ ლიმიტებს ცვლილების მასშტაბის და ტიპის შესახებ და სრულდება ყველა შემთხვევაში.

18.1. ბიუჯეტის განხილვის მასშტაბი

194. საკანონმდებლო ორგანო დეტალურად ანალიზებს ფისკალურ პოლიტიკას, საშუალოვადიან პრიორიტეტებს და საბიუჯეტო შემოსავლებსა და ხარჯებს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პარლამენტში წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შეიცავს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი პარლამენტს წარედგინება შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ისევე როგორც ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმართველობის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 34).

195. 2017 წლის, ისევე როგორც 2016-ის და სხვა გასული წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სრულ თანხვედრაშია საბიუჯეტო კოდექსის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან და პარლამენტმა ისინი განიხილა პროცედურული წესების მოთხოვნების შესაბამისად. შეფასება: A.

18.2. ბიუჯეტის განხილვის საკანონმდებლო პროცედურები

196. ბიუჯეტის განხილვის საკანონმდებლო პროცედურები მტკიცდება საბიუჯეტო მოსმენების დაწყებამდე. შემდგომი პროცესები მიმდინარეობს დადგენილი პროცედურების მიხედვით. ეს პროცედურები განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანოს შიდა საორგანიზაციო პროცედურებს, როგორც არის:

- პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის და სხვა საკანონმდებლო კომიტეტების შესაბამისი პასუხისმგებლობები ამ პროცესში;
- პარლამენტში ტექნიკური მხარდაჭერის არსებობა, როგორც არის პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის ან პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის თანამშრომლები, რომლებიც დამოუკიდებლები არიან პარლამენტისგან, მაგრამ ამზადებენ კომენტარებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით;
- მოლაპარაკებების პროცედურები, როგორც არის მაგალითად აღმასრულებელი ორგანოს მიერ საკანონმდებლო ორგანოსთვის ბიუჯეტის პროექტის მეორე და მესამე ვერსიის წარდგენა, პარლამენტის მიერ ბიუჯეტის თავდაპირველ პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული კომენტარების შემდეგ.

197. პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურებს ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის და თანდართული დოკუმენტების განხილვისთვის. წარდგენილი დოკუმენტაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია პარლამენტში წარდგენისთანავე (მუხლი 182, პუნქტი 2). ზემოაღნიშნულთან ერთად და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, კომიტეტის სესიები საჯაროა (მუხლი 49, პუნქტი 10), და კომიტეტის სხდომების და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია პარლამენტის ვებგვერდზე (მუხლი

49,პუნქტი 5). საჯარო მოსმენების მიმდინარეობისას, საზოგადოების წარმომადგენლები (მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები) მონაწილეობას იღებენ დისკუსიაში, ფორმატი მათ აძლევს კითხვების დასმის, საკუთარი აზრის გამოთქმის, კამათის და დებატების წარმოების საშუალებას.

198. 2017 წლის საბიუჯეტო განხილვა განხორციელდა შემდეგი პროცედურებით:

- 2016 წლის 3 ოქტომბერს საფინანსო და საბიუჯეტო კომიტეტის მიერ შედგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის გრაფიკი, მთავრობის ანგარიში და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) წარედგინა პარლამენტის ბიუროს (საპარლამენტო ბიუროს სხდომა № 427, 03.10.2016)⁷¹.
- ამ გრაფიკის თანახმად, საკომიტეტო განხილვის შემდეგ, პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ შეხვედრაზე მოხდა კანონის პროექტის განხილვა (№34, 17.10.2016⁷²), რომლის შემდეგაც შენიშვნები აისახა კომიტეტების დასკვნებში და წარედგინა პარლამენტის სპიკერს (პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 183).
- 2016 წლის 1-ელ დეკემბერს, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსია თანდართულ მასალებთან ერთად, ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი და ინფორმაცია საპარლამენტო განხილვებისას გამოთქმული წინადადებების და კომენტარების გათვალისწინების შესახებ წარედგინა პარლამენტის ბიუროს (საპარლამენტო ბიუროს სხდომა №7, 01.12.2016).⁷³
- ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიის საკომიტეტო განხილვის შემდეგ, კანონპროექტი განხილულ იქნა პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომაზე (№5, 09.12.2016).⁷⁴

199. განხილვის პროცესში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნები, ისევე როგორც საბიუჯეტო ოფისის შეფასება პროცედურული წესებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად წარედგინა პარლამენტს. საბიუჯეტო პროექტის საბოლოო ვერსია განხილულ იქნა და დამტკიცდა 2016 წლის 14 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე.

200. 2016 წლის ბიუჯეტის განხილვა განხორციელდა შემდეგი პროცედურებით:

- 2015 წლის 30 სექტემბერს საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის მიერ შედგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის გრაფიკი, მთავრობის ანგარიში და ქვეყნის BDD დოკუმენტები წარედგინა პარლამენტის ბიუროს (პარლამენტის ბიუროს სხდომა №330, 30.09.2015).⁷⁵

⁷¹<http://info.parliament.ge/#law-drafting/12985>

⁷²<http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/safinanso-sabiudjeto-komiteti-139/komitetis-sxdomebi1140/sxdomis-oqmi-346.page>

⁷³<http://info.parliament.ge/#law-drafting/13092>

⁷⁴<http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/safinanso-sabiudjeto-komiteti-139/komitetis-sxdomebi1140/sxdomis-oqmi-5-9-dekemberi-2016-weli.page>

⁷⁵<http://info.parliament.ge/#law-drafting/10668>

- ამ გრაფიკის თანახმად, საკომიტეტო განხილვის შემდეგ, პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ შეხვედრაზე მოხდა კანონის პროექტის განხილვა (№49, 20.10.2015⁷⁶), რომლის შემდეგაც შენიშვნები აისახა კომიტეტების დასკვნებში და წარედგინა პარლამენტის სპიკერს (პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 183).
- 2015 წლის 30 ნოემბერს, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსია თანდართულ მასალებთან ერთად, ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი და ინფორმაცია საპარლამენტო განხილვებისას გამოთქმული წინადადებების და კომენტარების გათვალისწინების შესახებ წარედგინა პარლამენტის ბიუროს (პარლამენტის ბიუროს სხდომა №354, 30.11.2015).⁷⁷
- ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიის საკომიტეტო განხილვის შემდეგ, კანონპროექტი განხილულ იქნა პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომაზე (№57, 04.12.2015).⁷⁸

201. განხილვის პროცესში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნები, ისევე როგორც საბიუჯეტო ოფისის შეფასება პროცედურული წესებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად წარედგინა პარლამენტს. საბიუჯეტო პროექტის საბოლოო ვერსია განხილულ იქნა და დამტკიცდა 2015 წლის 11 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე.

202. საკანონმდებლო პროცედურები საკანონმდებლო ორგანოს მიერ დგინდება საბიუჯეტო მოსმენების დაწყებამდე და ხდება მათი დაცვა. პროცედურები მოიცავს შიდა საორგანიზაციო მექანიზმებს, როგორც არის სპეციალური შეფასების კომიტეტები, ტექნიკური მხარდაჭერა და მოლაპარაკებების პროცედურები. ისინი ასევე მოიცავს საზოგადოებასთან კონსულტაციების გაწევის ღონისძიებებს. შეფასება: A.

18.3. ბიუჯეტის დამტკიცების ვადები

203. კანონის თანახმად, ბიუჯეტის პროექტი დანართებთან ერთად მთავრობამ პარლამენტს უნდა წარუდგინოს 1-ელ ოქტომბრამდე⁷⁹. პარლამენტი ბიუჯეტს კენჭს უყრის არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა⁸⁰. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია დამტკიცების თარიღები და კანონით განსაზღვრული ვადა უკანასკნელი ოთხი წლისთვის.

⁷⁶<http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/safinanso-sabiudjeto-komiteti-139/komitetis-sxdomebi1140/sxdomis-oqmi-495.page>

⁷⁷<http://info.parliament.ge/#law-drafting/10668>

⁷⁸<http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/safinanso-sabiudjeto-komiteti-139/komitetis-sxdomebi1140/sxdomis-oqmi-575.page>

⁷⁹საბიუჯეტოკოდექსი, მუხლი39, პუნქტი1.

⁸⁰საბიუჯეტოკოდექსი, მუხლი39, პუნქტი 8.

ცხრილი 18.3 ბიუჯეტის დამტკიცების ვადები		
ბიუჯეტი	დამტკიცების თარიღი	კანონით განსაზღვრული ვადა
2014	11 დეკემბერი, 2013 ⁸¹	20 დეკემბერი, 2013
2015	12 დეკემბერი, 2014 ⁸²	19 დეკემბერი, 2014
2016	11 დეკემბერი, 2015 ⁸³	28 დეკემბერი, 2015
2017	14 დეკემბერი, 2016 ⁸⁴	16 დეკემბერი, 2016

წყარო: დამტკიცებული ბიუჯეტები

204. უკანასკნელი სამი ფისკალური წლის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანო წლიურ საბიუჯეტო კანონს ფისკალური წლის დაწყებამდე ამტკიცებდა. შეფასება: A.

18.4. ადმასრულებელი ორგანოს მიერ ბიუჯეტის კორექტირების წესები

205. მკაფიოდ არის განსაზღვრული ადმასრულებელი ხელისუფლების მიერ წლის განმავლობაში ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის წესები. ეს წესები მკაცრად განსაზღვრავს ცვლილებების ლიმიტს, რომლებიც, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის განმარტებით, სრულდება ყველა შემთხვევაში.

206. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის წესები, ასიგნებების გადანაწილების მასშტაბის და ბუნების ჩათვლით, განსაზღვრულია საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 31). კერძოდ :

- ბიუჯეტის გადანაწილება მხარჯავ დაწესებულებებს შორის უნდა იყოს პარლამენტის მიერ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გზით. ეს მოხდა ერთხელ 2016 წელს;
- სახსრების გადანაწილება მხარჯავი დაწესებულების პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის შესაძლოა განხორციელდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის და პარლამენტის მიერ დამტკიცების გარეშე. თუმცა ასეთი გადანაწილებები არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულების წლიური ასიგნების 5 პროცენტს. ეს წესი სრულდებოდა.

207. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ განზომილებისთვის მინიჭებული შეფასება არის A.

⁸¹<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2144522>

⁸²<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2144522>

⁸³<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108373>

⁸⁴<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3495562>

მეხუთე ბლოკი: ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი

PI - 19. შემოსავლების ადმინისტრირება

208. ეს ინდიკატორი ეხება სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებენ ცენტრალური მთავრობის შემოსავლების ადმინისტრირებას, რაც შესაძლოა მოიცავს საგადასახადო ადმინისტრირებას, საბაჟო ადმინისტრირებას და სოციალური შენატანების ადმინისტრირებას. ის ასევე მოიცავს უწყებებს, რომლებიც აწარმოებენ შემოსავლების ადმინისტრირებას სხვა მნიშვნელოვანი წყაროებიდან, როგორცაა ბუნებრივი რესურსების მოპოვება. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებისთვის ფუნქციონირებენ როგორც მარეგულირებლები და ჰოლდინგური კომპანიები. ასეთ შემთხვევებში შეფასება მოითხოვს ინფორმაციის შეგროვებას საჯარო სექტორის მიღმა არსებული სუბიექტებისგან. შეფასების პერიოდი 19.1 და 19.2 ქვეინდიკატორისთვის: შეფასების განხორციელების დრო. 19.3 და 19.4 ქვეინდიკატორისთვის: ბოლოს დასრულებული ფისკალური წელი, 2016 წელი.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		შეფასების მოკლე დასაბუთება
	2017წლის შეფასება		
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 19:შემოსავლების ადმინისტრირება	C +	B +	
19.1 უფლებები და ვალდებულებები საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებისთვის	A	A	შემოსავლების <i>უმეტესი</i> ნაწილის ადმინისტრატორი სუბიექტები, იყენებენ მრავალრიცხოვან არხებს იმისთვის, რომ გადამხდელებს ჰქონდეთ მარტივი წვდომა ძირითადი ვალდებულებების და უფლებების შესახებ ყოვლისმომცველ და განახლებულ ინფორმაციასთან. ამასთან ეს ხორციელდება სულ მცირე გასაჩივრების პროცესსა და პროცედურებთან მიმართებაში.
19.2 შემოსავლებთან დაკავშირებული რისკების მართვა	C	A	შემოსავლების <i>უმეტესი</i> ნაწილის ადმინისტრატორი სუბიექტები, შემოსავლების <i>ყველა</i> კატეგორიასთან მიმართებაში იყენებენ ყოვლისმომცველ, სტრუქტურულზეულ და სისტემატურ მიდგომას რისკების შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისთვის. ეს ხორციელდება სულ მცირე, მსხვილი და საშუალო გადამხდელისთვის.
19.3 საგადასახადო აუდიტი და მოკვლევა	C	A	შემოსავლების <i>უმეტესი</i> ნაწილის ადმინისტრატორი სუბიექტები, ახორციელებენ აუდიტს და დანაშაულის მოკვლევას, რომლის მართვა და რომლის შესახებ ანგარიშგებაც წარმოებს კანონშესაბამისობის გაუმჯობესების დოკუმენტურად მომზადებული გეგმის

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)	
	2017 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია
		თანახმად. ისინი ასრულებენ ყველა დაგეგმილ აუდიტს და მოკვლევას.
19.4 საგადასახადო დავალიანების მონიტორინგი	D	D უკანასკნელი დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში დაგროვებული საგადასახადო დავალიანება, ამავე წლის განმავლობაში მიღებული საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 5 პროცენტია. 12 თვეზე უფრო ხანდაზმული დავალიანება შეადგენს მთლიანი საგადასახადო დავალიანების დაახლოებით 90 პროცენტს.

209. გადასახადების ფარდობითი მნიშვნელობა წარმოდგენილია ქვევით. საქართველოში არ არსებობს სოციალური უზრუნველყოფის შენატანების სისტემა. ყველა გადასახადის ადმინისტრირებას, რომელიც მოცულია ამ ინდიკატორით, ახორციელებს საქართველოს შემოსავლების სამსახური.

ცხრილი 19 საგადასახადო შემოსავლები გადასახადის სახეების მიხედვით	
	მლნ ლარი
სულ გადასახადები	8,010.90
საშემოსავლო გადასახადი	2,223.20
მოგების გადასახადი	1,025.20
დღგ	3,505.50
აქციზი	870.7
იმპორტის გადასახადი	69.3
ქონების გადასახადი	290.1
სხვა გადასახადები	26.8

წყარო: ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები

19.1 უფლებები და ვალდებულებები საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის

210. შემოსავლების სამსახურის ვებპორტალი www.rs.ge აღჭურვილია სხვადასხვა სახის ინფორმაციით და სერვისებით. ინფორმაცია მოიცავს საკანონმდებლო ბაზას, მიმდინარე ცვლილებებს, სერვის ცენტრების მისამართებს, საკონტაქტო ინფორმაციას, შემოსავლების სამსახურის მიერ დაგეგმილ აქტივობებს, აგრეთვე ბიზნესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის სასარგებლო ინფორმაციას. შემუშავებულია „ჯიზის საგადასახადო წიგნაკი“ რომელიც წარმოადგენს ერთ დოკუმენტში გაერთიანებულ სათანადო ინფორმაციას გადასახადების შესახებ და პასუხებს ხშირად დასმულ კითხვებზე.

211. გადასახადის გადამხდელებს შეუძლიათ ინფორმაციის და კითხვებზე პასუხების მიღება შემოსავლების სამსახურის სერვის - ცენტრებში. იმ რეგიონებში, სადაც სერვის - ცენტრები არ არის წარმოდგენილი, გადამხდელთა მომსახურება ხორციელდება მობილური სერვის-ცენტრით - RS CAR. მოძრავი სერვის - ცენტრი (მიკროავტობუსი) აღჭურვილია იმგვარად, რომ გადამხდელებს შეუძლიათ სხვადასხვა ელექტრონული სერვისების ადგილზე მიღება. ამასთან, შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სატელეფონო ცენტრი გადამხდელებს აწვდის ინფორმაციას საკანონმდებლო და ტექნიკური საკითხების შესახებ, როგორებიცაა დეკლარაციების წარდგენა, ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და ა.შ. ასევე მოქმედებს საგადასახადო განათლების აქტიური პროგრამა. 2016 წლის ანგარიშში შემოსავლების სამსახური აცხადებს, რომ 2016 წლის განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის და ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა 17 საგანმანათლებლო ტური 9 საბაჟო - გამშვებ პუნქტში, 4 - ეკონომიკური გაფორმების ზონაში და 9 - სერვის - ცენტრში. პროექტში ჩართული იყო 692 სტუდენტი 21 უმაღლესი სასწავლებლიდან. მედიის ყველა ფორმა - ტელევიზია, ბეჭდური და სოციალური მედია გამოყენებულია საზოგადოების ინფორმირებისთვის მათი ვალდებულებების და ასევე ხელმისაწვდომი სერვისების ნაირსახეობების შესახებ. შემოსავლების სამსახური ასევე ამზადებს სახელმძღვანელოებს ცალკეული შემთხვევების შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული საგადასახადო კანონმდებლობა და ამზადებს წინასწარ გადაწყვეტილებებს, როგორც სახელმძღვანელოს, კონკრეტულ საგადასახადო შემთხვევებში.⁸⁵ შემფასებელთა გუნდმა შეძლო დადასტურება, რომ მომსახურების საფასური და გადასახდელები სრულყოფილად იყო ნაჩვენები და გადახდილი თანხები სათანადოდ იყო მიღებული და აღრიცხული.⁸⁶

212. თუ გადამხდელი არ ეთანხმება დარიცხვას, ან წინასწარ გადაწყვეტილებას, კანონი ითვალისწინებს სამი ეტაპისგან შემდგარი დავის პროცესს. დავის პირველი ეტაპი მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოში, მეორე ეტაპი მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში (რომლის შემადგენლობაშიც შედიან კერძო სექტორის წარმომადგენლები) და ბოლო ეტაპია სასამართლო სისტემა. არსებობს დავების სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს პროცესს და პროცედურებს. არსებობს საგადასახადო ომბუდსმენი, რომელსაც ნიშნავს პრემიერ-მინისტრი (პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით) და რომელიც პასუხისმგებელია გადამხდელთა უფლებების და მათი კანონიერი ინტერესების დაცვის მონიტორინგზე, დარღვევების გამოვლენაზე და შესაბამისი უფლებადამცველი ღონისძიებების განხორციელებაზე. 2016 წელს 7,982 დავიდან 8% სრულად დაკმაყოფილდა, 64 % ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 13 % არ დაკმაყოფილდა და 15 % კვლავ განხილვის პროცესშია. 2016

⁸⁵გადასახადის გადამხდელთა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული სერვისები დადებითად შეფასდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) პროექტის, "მმართველობა განვითარებისათვის" (G4G), ფარგლებში ჩატარებული კვლევის „ზიზნის დამოკიდებულება დარგობრივი პოლიტიკის რეფორმებთან დაკავშირებით საქართველოში" 2016 წლის 15 დეკემბერს.

⁸⁶იუსტიციის სახლი გასცემს საიდენტიფიკაციო ბარათებს, ახდენს ქორწინების და დაბადების, პასპორტის და ქონების რეგისტრაციას. ასევე, გადახდის სათანადო დოკუმენტირება და აღრიცხვა წარმოებს დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრებში.

წლის ანგარიშში აღნიშნული 1,362 საქმის ანალიზი მიუთითებს, რომ დავების 85 % გადაწყდა შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ. შეფასება: A.

19.2 საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებული რისკის მართვა

213. საქართველოს საგადასახადო სისტემა თვითშეფასებით სისტემას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც წარმოებს გადასახადების გამოთვლა, გადახდა და ანგარიშგება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეულ გადამხდელს მინიჭებული აქვს გადამხდელის უნიკალური კოდი, რომელიც მიენიჭება კომპანიის რეგისტრაციის დროს. დაქირავებულ მუშაკებს ასევე აქვთ მინიჭებული ნომერი. თითოეულ გადამხდელს შემოსავლების სამსახურის კომპიუტერულ სისტემაში აქვს საკუთარი ელექტრონული ფაილი, რომელიც გადასახადის გადამხდელებისთვის რეალურ დროშია ხელმისაწვდომი. სისტემა დაკავშირებულია შესყიდვების სისტემასთან და პირს ან კომპანიას არ შეუძლია ტენდერში მონაწილეობა დაუფარავი საგადასახადო ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც საგადასახადო დავალიანების არქონის სერტიფიკატის ეკვივალენტურია. კომპანიის ან ფიზიკური პირის სახელზე რეგისტრირებული ნებისმიერი ქონების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ინფორმაციის გაცვლა წარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან. საგადასახადო კოდი საჭიროა საბანკო ანგარიშის გასახსნელად. ინფორმაცია საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ მიეწოდება შემოსავლების სამსახურს.

214. რისკის მართვა შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- რისკების იდენტიფიკაცია;
- რისკის შეფასება და ანალიზი;
- რისკის პრიორიტეტების განსაზღვრა;
- რისკზე რეაგირების და რისკის შერბილების ღონისძიებები;
- შედეგების შეფასება/ მონიტორინგი.

215. გადამხდელები დაყოფილნი არიან რისკების სხვადასხვა ჯგუფებად. თითოეული ჯგუფისთვის განსაზღვრულია განსხვავებული ღონისძიებები. ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა რისკის შეფასების და ანალიზის ორი ძირითადი მიდგომა: პირველია სტრუქტურული და სისტემატური მიდგომა, რომელიც წარმოადგენს რისკის შეფასების ავტომატურ სისტემას. მისი საშუალებით წარმოებს გადამხდელთა ჯგუფების ანალიზი და იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილ გადამხდელთა სტრუქტურული ერთეული არ არის ცალკე გამოყოფილი (განსხვავებით ბევრი ქვეყნისგან), ბრუნვის მოცულობა, ისევე როგორც საქმიანობის სფერო (მაგ. მშენებლობა) და წარსული კანონშესაბამისობა, წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტებს რისკის კრიტერიუმებში. რისკის შეფასების ავტომატური პროგრამა არჩევს მაღალ რისკიან გადამხდელებს აუდიტის კვარტალური გეგმისთვის. მეორე და ყველაზე ნაკლებად სტრუქტურული და სისტემატური მიდგომა არის სხვადასხვა საინფორმაციო მონაცემთა

ბაზებიდან მიღებული ინფორმაცია კონკრეტული გადამხდელების შესახებ რისკის ანალიტიკოსების მიერ, რომლის თანახმად იგეგმება სათანადო საგადასახადო ღონისძიებები. საბაჟო სამსახური იყენებს ASYCUDA World -ს და მისი რისკის მოდულს გაფორმების დერეფნებში იმპორტიორების შესარჩევად. რისკის მოდული იღებს იმპორტიორთან დაკავშირებულ მონაცემებს, იმპორტის ტიპს და წარმოშობის ქვეყანას, რომლებსაც თავიანთი რისკის პროფილი აქვს წინა ისტორიის საფუძველზე.

216. შემოსავლების სამსახურმა შექმნა პირადი საგადასახადო მრჩევლის (PRIVÉ) სერვისი, რომელიც ახორციელებს სრული საგადასახადო მომსახურების გაწევას. პირადი საგადასახადო მრჩეველი შემოსავლების სამსახურის თანამშრომელია და ის წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის ძირითად საკონტაქტო პირს, რომელიც მას უწევს მომსახურებას გადამხდელისთვის ხელსაყრელ დროს და ამარტივებს ურთიერთობას საგადასახადო ორგანოსთან.

217. კანონი ითვალისწინებს სანქციებს საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის. ეს სანქციები ეხება: გადასახადის დაგვიანებით გადახდას, რისთვისაც გადამხდელს ეკისრება საურავი გადასახდელი თანხის 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ სრულ/ არასრულ დღეზე; დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენაზე - ჯარიმა საგადასახადო დეკლარაციაში მითითებული გადასახადის 5% თითოეულ სრულ/ არასრულ ვადაგადაცილებულ თვეზე, მინიმუმ 200 ლარი და მაქსიმუმ დეკლარაციაში განსაზღვრული თანხის 30%; გადასახადის შემცირებული ოდენობით მითითება დეკლარაციაში (დეკლარირების ვადის დარღვევის გარდა სხვა მიზეზით) - ჯარიმა შემცირებული თანხის 50%; გადასახდელი გადასახადის თანხის შემცირება დეკლარირების ვადის დარღვევის გამო - ჯარიმა შემცირებული გადასახადის 10% და გადასახადის ჩათვლა ფიქტიური ოპერაციების ან ხელშეკრულებების ან ყალბი დღგ -ის დოკუმენტების საფუძველზე - ჯარიმა ჩათვლილი გადასახადის 200%. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია ქონების კონფისკაცია. 2016 წელს, 9.950 საბაჟო დარღვევა დაფიქსირდა - (8.278 საგადასახადო დარღვევა, რომლისთვისაც დაკისრებული სანქციების თანხამ შეადგინა 8.764.539 ლარი, ხოლო 1.282 ადმინისტრაციული დარღვევისთვის დაკისრებულმა საერთო თანხამ შეადგინა 838.532 ლარი). შემოსავლების სამსახურმა გასცა 3.378 ბრძანება ქონების დაყადაღების მიზნით. შეფასება: A.

19.3 შემოსავლების აუდიტი და მოკვლევა

218. შემოსავლების სამსახურს აქვს აუდიტის დეპარტამენტი. 2016 წლის წლიური ანგარიშის თანახმად, მასზე მოდიოდა სამსახურის თანამშრომლების მთლიანი რაოდენობის (3,748 თანამშრომელი) 18%. აუდიტის დეპარტამენტის პერსონალიდან, 367 თანამშრომელი წარმოადგენს კვალიფიციურ აუდიტორს. 2016 წელს შემუშავდა საგადასახადო აუდიტის პროცედურების შესახებ რეგლამენტის პროექტი. ის დეტალურად აღწერს აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ ყველა პროცედურას მისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად. ის განსაზღვრავს სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც პასუხისმგებელია

განხორციელების პროცედურებზე და დაკავშირებულ ვადებზე. აუდიტორთა ეთიკის კოდექსის პროექტი შემუშავდა და წარედგინა იურიდიულ დეპარტამენტს შინამშენებლისა და წინადადებებისთვის.

219. აუდიტისთვის გადამხდელთა შერჩევა ემყარება რისკის შეფასებას, რომელიც ხორციელდება ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ. გასვლითი აუდიტის დროს ხდება ყველა გადასახადის შემოწმება, ხოლო კამერალური აუდიტის შემთხვევაში ერთი ან რამდენიმე გადასახადის ტიპის შემოწმება. დეპარტამენტმა 2016 წელს განხორციელა 1.076 გასვლითი აუდიტი (40 % დასრულდა ორ თვეში) და 2.468 კამერალური აუდიტი (65 % დასრულდა ერთ თვეში). მოქმედი რეგულაციების გამოყენების შედეგად, მთლიანად 3.545 აუდიტი იყო დაგეგმილი 2017 წელს და განხორციელდა 3.773, რის საფუძველზეც შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 106%.

220. 2016 წელს საბაჟო დეპარტამენტმა დაასრულა 81 კამერალური აუდიტი თავისი გეგმის შესაბამისად იმ შემოწმებებთან ერთად, რომლებიც მოჰყვება ASYCUDA -ს პროცედურებს მწვანე (შემოწმების გარეშე), ყვითელ (მხოლოდ დოკუმენტების შემოწმება), წითელ (სრული შემოწმება) და ლურჯ (გაშვების შემდგომი შემოწმება) დერეფნებთან დაკავშირებით. იმპორტთან დაკავშირებული საკითხები მოიცავს იმპორტის გადასახადს (რომელიც არ არის მნიშვნელოვანი), ასევე იმპორტის დროს დღგ-ს გადახდას. საბაჟო სამსახურმა ასევე დაიწყო ერთობლივი შემოწმება აუდიტის დეპარტამენტთან ერთად.

221. ASYCUDA -ს დერეფნების მიხედვით შემოწმებების შესაბამისი რაოდენობები შემდეგია:

ცხრილი 19.3 ASYCUDA -ს დერეფნები										
2016										
რეჟიმი	სულ		მწვანე		ლურჯი		ყვითელი		წითელი	
ექსპორტი	34 541	14.0 %	32 543	13.2 %	640	0.3 %	819	0.3 %	534	0.2 %
იმპორტი	193 515	78.5 %	148 512	60.2 %	4 855	2.0 %	23 629	9.6 %	15 566	6.3 %
სხვა	18 477	7.5 %	16 645	6.8 %	2	0.0 %	1 318	0.5 %	508	0.2 %
სულ	246 533	100.0 %	197 700	80.2 %	5 497	2.2 %	25 766	10.5 %	16 608	6.7 %
2017										
რეჟიმი	სულ		მწვანე		ლურჯი		ყვითელი		წითელი	
ექსპორტი	45 023	16.2 %	43 198	15.50 %	437	0.20 %	858	0.30 %	526	0.20 %
იმპორტი	207 142	74.6 %	161 571	58.20 %	4 359	1.60 %	26 848	9.70 %	13 099	4.70 %
სხვა	25 661	9.2 %	24 278	8.70 %			914	0.30 %	460	0.20 %
სულ	277 826	100.0 %	229 047	82.40 %	4 796	1.70 %	28 620	10.30 %	14 085	5.10 %

წყარო: საქართველოს შემოსავლების სამსახური

222. 2016 წელს გასვლითი აუდიტის შედეგად მოხდა 170 მლნ ლარის დარიცხვა, ხოლო კამერალური აუდიტის შედეგად - 197 მლნ ლარის დარიცხვა. ამავე პერიოდში, საბაჟო დეპარტამენტის გაშვების შემდგომი აუდიტის შედეგად მოხდა 1.5 მლნ ლარის დარიცხვა. შეფასება: A.

19.4 საგადასახადო დავალიანების მონიტორინგი

223. როგორც ქვევით წარმოდგენილ ცხრილშია ნაჩვენები, ვადაგადაცილებული დავალიანების პროცენტული წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 61%-ს შეადგენდა 2016 წელს, რომელიც 2014 წელს შეადგენდა 83%-ს ხოლო 2015 წელს - 99% -ს. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მთლიანი დავალიანების 89% 12 თვეზე ხანდაზმული იყო, რომლის უდიდესი ნაწილიც უიმედოა ვალის ტიპის გამო (ე.წ. არააქტიური ორგანიზაციების დავალიანება). უკანასკნელ წლებში წარმოქმნილი დავალიანება შეადგენს მხოლოდ 5%-ს, რაც მიუთითებს, რომ დავალიანების დაგროვება დაბალია. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად 2016 წლის განმავლობაში უიმედო ვალის ნაწილი ჩამოიწერა, რამაც შეადგინა 1.687.341.237 ლარი 36.140 გადამხდელისთვის. შეფასება: D.

ცხრილი 19.4 საგადასახადო დავალიანება						
თანხა ათას ლარში						
საგადასახადო დავალიანება	2014		2015		2016	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
უზრუნველყოფილი დავალიანება წლის ბოლოს	243,205	5,849,729	243,478	7,736,690	226,490	4,907,061
12 თვეზე ხანდაზმული დავალიანების ჩათვლით	189,061	5,145,340	187,214	5,164,160	170,523	4,385,366
შემოსავლები		7,006,666		7,769,307		7,986,751
დავალიანების % მთლიან საგადასახადო შემოსავლებთან		83 %		99 %		61 %
12 თვეზე ხანდაზმული დავალიანების % მთლიანი შემოსავლების მიმართ		88.0 %		67.0 %		89.0 %
წლის განმავლობაში წარმოქმნილი დავალიანება	21,012	389,204	49,315	800,923	55,967	521,695
წლის განმავლობაში წარმოქმნილი დავალიანების % წლიურ შემოსავლებთან მიმართებაში		4.3 %		8.1 %		5.0 %

წყარო: საქართველოს შემოსავლების სამსახური

PI - 20. შემოსავლების აღრიცხვა

224. ეს ინდიკატორი აფასებს პროცედურებს მიღებული საგადასახადო შემოსავლების აღრიცხვისა და ანგარიშგებისთვის, მიღებული შემოსავლების კონსოლიდაციისთვის და საგადასახადო შემოსავლების ანგარიშების შეჯერებისთვის. ის მოიცავს როგორც საგადასახადო, ისე არასაგადასახადო შემოსავლებს, რომლებიც მიღებულია ცენტრალური მთავრობის მიერ. შეფასების პერიოდი მოიცავს შეფასების განხორციელების დროს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 20: შემოსავლების აღრიცხვა	A	A	
20.1 ინფორმაცია შემოსავლების მობილიზების შესახებ	A	A	ცენტრალური უწყება შემოსავლების შესახებ მონაცემებს იღებს ყოველთვიურად იმ სუბიექტებისგან, რომლებიც იღებენ ცენტრალური მთავრობის <i>ყველა</i> შემოსავალს. ეს ინფორმაცია ჩაშლილია შემოსავლების ტიპის მიხედვით და კონსოლიდირებულია ანგარიშში.
20.2 შემოსავლების გადარიცხვა	A	A	სუბიექტები, რომლებიც იღებენ ცენტრალური მთავრობის შემოსავლების <i>უმეტეს</i> ნაწილს, მიღებულ შემოსავლებს პირდაპირ რიცხავენ ხაზინის კონტროლირებად ანგარიშებზე ან შემოსულ თანხებს ყოველდღიურად რიცხავენ ხაზინაში.
20.3 შემოსავლების ანგარიშების შეჯერება	A	A	სუბიექტები, რომლებიც იღებენ ცენტრალური მთავრობის შემოსავლების <i>უმეტეს</i> ნაწილს, ახორციელებენ დარიცხული თანხების, მიღებული შემოსავლების, დავალიანების და ხაზინაში გადარიცხული თანხების სრულ შედარებას ორ თვეში ერთხელ.

20.1 ინფორმაცია შემოსავლების მობილიზების შესახებ

225. ყველა შემოსავალი ხვდება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, რომლის მართვას და ოპერირებას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა. ერთიან სახაზინო ანგარიშზე მოხვედრილ შემოსავლების ტიპებს განსაზღვრავს სახაზინო კოდი, რომელიც რეგისტრირდება სახაზინო სამსახურის საინფორმაციო სისტემაში. 2016 წლის იანვრიდან მენეჯმენტისთვის მზადდება ყოველთვიური ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ. შეფასება: A.

20.2 შემოსავლების გადარიცხვა

226. საგადასახადო შემოსავლები აისახება ერთიან სახაზინო კოდზე და არასაგადასახადო შემოსავლები კი სახაზინო კოდზე, რომელიც გახსნილია შესაბამისი შემოსავლებისთვის ერთიან სახაზინო ანგარიშზე. გადასახადის გადამხდელი იხდის გადასახადის თანხას შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე კომერციულ ბანკში და ბანკის მიერ ყოველდღიურად ხდება მისი გადარიცხვა ერთიან სახაზინო ანგარიშზე. თუ გადარიცხვები არ განხორციელდება 24 საათის განმავლობაში, ბანკი ჯარიმდება. შეფასება: A.

20.3 შემოსავლების ანგარიშების შეჯერება

227. გადასახადის თითოეულ გადამხდელს აქვს ელექტრონული ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია გადასახადის გადახდის თარიღი და გადასახდელი თანხა. როდესაც გადასახადის გადამხდელი ახორციელებს გადახდას, გადახდილი თანხა აკლდება მთლიან ვალდებულებას და ასევე ინდივიდუალურ საგადასახადო ვალდებულებებს ქრონოლოგიურად. პერიოდის დასასრულს, შესაძლებელია ინდივიდუალური ანგარიშის შეჯერება გადასახდელი თანხების და დავალიანების მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ეს ხორციელდება ყოველი თვის ბოლოს ყველა გადამხდელის ანგარიშზე. როგორც აღინიშნა PI-3.2 ქვეინდიკატორში, სისტემის დანერგვაში წარმოიშვა გარკვეული ტიპის პრობლემა, რომელიც უკვე გადაწყვეტილია⁸⁷. შემოსავლების სამსახურს შეუძლია შემოსავლების კონტროლი რეალურ დროში. შემოსავლების სამსახური ახორციელებს გადახდილი გადასახადების შეჯერებას ერთიან სახაზინო ანგარიშთან და ეს ხორციელდება ყოველი თვის 15 რიცხვში. შეფასება: A.

PI - 21. წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა

228. ეს ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად შეუძლია ფინანსთა სამინისტროს ფულადი სახსრების საჭიროების პროგნოზის განხორციელება და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შესახებ. შეფასების დროის პერიოდი: PI-21.1-თვის არის შეფასების დრო და PI-21.2-დან PI-21.4-მდე არის ბოლო დასრულებული ფისკალური წელი. დაფარვა: ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტი.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 21: წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა	A	A	

⁸⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განსაზღვრა რამდენიმე კონცეპტუალური ნაკლოვანება მუხლში „სხვა გადასახადები“ 2016 წელთან მიმართებაში. გადასახადების კლასიფიკაცია ხდება ყოველი კონკრეტული გადამხდელისთვის გადახდის ბოლო ვადის დროს, რის გამოც გადახდილი გადასახადები თავიდანვე აღირიცხება მუხლში „სხვა გადასახადები“. 2016 წელს ვერ მოხერხდა მიახლოებით 500 მლნ ლარის შეჯერება, რამაც მთელი ამოღებული შემოსავლის 6 % შეადგინა, რამაც გავლენა ვერ მოახდინა შეფასებაზე. 2017 წელს პრობლემა იქნა გადაჭრილი.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
21.1 ფულადი სახსრების ნაშთების კონსოლიდაცია	A	A	სახაზინო სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე დღის ბოლოს ხელმისაწვდომია კონსოლიდირებული ინფორმაცია მთელი საბანკო და ფულადი ნაშთების შესახებ
21.2 ფულადი სახსრების პროგნოზირება და მონიტორინგი	A	A	ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი მზადდება ყოველწლიურად ფისკალური წლისთვის, რომელიც გაშლილია თვეების მიხედვით და ყოველთვიურად ხდება მისი განახლება ფაქტიური ფულადი შემოდინებებისა და გადინებების საფუძველზე
21.3 ინფორმაცია ვალდებულებების ლიმიტების შესახებ	B	A	საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯების დაგეგმვა და ვალდებულებების აღება 12 თვით ადრე საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად
21.4 წლიური ბიუჯეტის კორექტირებების მასშტაბი	A	A	საბიუჯეტო ასიგნებების უმნიშვნელო კორექტირება განხორციელდა ერთხელ 2016 წელს, რაც შესრულდა გამჭვირვალე და პროგნოზირებადი ფორმით.

21.1. ფულადი ნაშთების კონსოლიდაცია

229. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის ყველა შემოსავალი დაუყოვნებლივ აკუმულირდება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. ხაზინა, ფულადი სახსრების შემოდინების და გადინების პროგნოზებზე დაყრდნობით, თავისი ფულადი შემოდინებების ნაწილს განათავსებს კომერციულ ბანკებში ყოველდღიური აუქციონების მეშვეობით. ამ ფულადი სახსრების საშუალო ნაშთი შეადგენს 500 მლნ ლარს. ფულადი ნაშთების კონსოლიდაცია ერთიან სახაზინო ანგარიშზე და კომერციულ ბანკებში ხორციელდება ყოველდღიურად და ქვეყნდება ხაზინის ვებგვერდზე (www.treasury.gov.ge).

230. ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას შემოსავლები გადააქვს ერთიან სახაზინო ანგარიშზე, გარდა მათი საკუთარი შემოსავლებისა, მაგალითად: დაწყებითი სკოლები და საბავშვო ბაღები, რომლებიც თანხებს განათავსებენ კომერციულ ბანკებში. საშუალოდ, ეს დეპოზიტები შეადგენს 46 მლნ ლარს, ანუ ერთიან სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთის (1 მილიარდი ლარი) 5%-ზე ნაკლებს. არ წარმოებს მათი ყოველდღიური კონსოლიდაცია ფულადი სახსრების დანარჩენ ნაშთებთან.

231. შესაბამისად, ყველა (95%) საბანკო და ფულადი ნაშთების კონსოლიდირება ხორციელდება ყოველდღიურად. შეფასება: A.

232. ფულადი სახსრების მართვის რეფორმის ფარგლებში, დამატებითი შემოსავლების მობილიზების მიზნით, იგეგმება ფულადი სახსრების მართვის მექანიზმების დანერგვა. ხაზინა თავისუფალ ფულად ნაკადებს განათავსებს სხვადასხვა საბანკო ინსტრუმენტებში საფინანსო ბაზრებზე. შემუშავებულია შესაბამისი დებულების პროექტი და მომზადებულია ტექნიკური პლატფორმა სადეპოზიტო აუქციონების განსახორციელებლად. რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ, ფინანსურ ბაზრებზე დაიწყება აქტიური ოპერაციები. ხაზინის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი ინვესტიციებისა და რისკის მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

21.2. ფულადი სახსრების პროგნოზირება და მონიტორინგი

233. სახაზინო სამსახურის ფარგლებში, ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ფულადი ნაკადების პროგნოზირებასა და მართვაზე. ეს ერთეული შეიქმნა 2015 წელს. ფულადი ნაკადების პროგნოზირებასთან ერთად ის ასევე პასუხისმგებელია:

- ფინანსური ბაზრის ანალიზზე;
- ფულადი სახსრების მართვის ოპტიმიზაციისთვის, საფინანსო ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შერჩევასა და მონიტორინგზე;
- ფულადი სახსრების ნაშთების, შემოსავლებისა და ხარჯების და ა.შ. ისტორიული მონაცემების შეკრებაზე, დამუშავებასა და ანალიზზე.

234. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი მომზადებულია სტატისტიკური ანალიზის და ეკონომიკური მოდელების გამოყენებით, რომლებიც ემყარება ისტორიულ მონაცემებს, შემოსავლების და ხარჯების პროგნოზებს (მათ შორის კონტრაქტების მიხედვით განხორციელებული გადახდების გრაფიკების შესახებ ინფორმაციას, პერიოდულად განხორციელებული გადახდების და საბიუჯეტო ერთეულებიდან მიღებულ ინფორმაციას ერთჯერადად განხორციელებული გადახდების შესახებ).

235. ყოველწლიურად თვეების მიხედვით მზადდება წლის ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი. ფაქტიურ ფულად შემოდინებებსა და გადინებებზე დაყრდნობით, მისი განახლება ხდება თვეში ერთხელ მაინც. ამასთან ერთად, ყოველ თვე, ხაზინა ამზადებს მომავალი თვისათვის ფულადი ნაკადების მოძრაობის ყოველდღიურ პროგნოზს. შეფასება: A.

21.3. ინფორმაცია ვალდებულებების ლიმიტების შესახებ

236. წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის დამტკიცების შემდეგ, თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის ასიგნებები აისახება საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ხდება მათი განწერა კვარტალების მიხედვით. ამგვარად, ვალდებულების ლიმიტები ავტომატურად ხდება ხელმისაწვდომი საბიუჯეტო ერთეულებისთვის, რომლებსაც აქვთ სრული უფლება გასწიონ ხარჯები კვარტალური განწერის ფარგლებში.

237. კვარტლის განმავლობაში აუთვისებელი თანხები ავტომატურად გადადის მომდევნო კვარტალში და ინფორმაცია მიეწოდება საინფორმაციო სისტემას. რამდენადაც არ არსებობდა პრობლემა ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებით, არ არსებობდა ვალდებულებების ლიმიტის არანაირი შეზღუდვა.

238. 2016 წელს საბიუჯეტო ერთეულებს შეეძლოთ ხარჯების დაგეგმვა და გაწევა ერთი წლით ადრე კვარტლის ლიმიტების საფუძველზე, საბიუჯეტო ასიგნებებისა და ვალდებულებების შესაბამისად. შეფასება: A.

21.4. წლიური ბიუჯეტის კორექტირებების მასშტაბი

239. ბიუჯეტში ცვლილებები უნდა განხორციელდეს საბიუჯეტო კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს, რომ:

- გადანაწილება ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან მეორეში ხორციელდებოდეს წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის გზით;
- საბიუჯეტო ასიგნებების განაწილება მხარჯავი დაწესებულების პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის არ აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებული ასიგნების 5% -ს.

240. 2016 წლის პარლამენტის მიერ ბიუჯეტში ცვლილება შეტანილ იქნა მხოლოდ ერთხელ. შემოსავლების და ხარჯების მთლიანი ზრდა შეჯამებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 21.4 დამატებითი ბიუჯეტი				
	თავდაპირველი ბიუჯეტი	კორექტირებული ბიუჯეტი	სხვაობა	
	მლნ ლარი	მლნ ლარი	მლნ ლარი	%
შემოსავალი	10.145	10.318	173	1,7%
ხარჯი	10.145	10.292	147	1,5%

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

241. ხარჯების საერთო ზრდასთან ერთად, კორექტირებულ ბიუჯეტში გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები მთლიანობაში 40 მლნ ლარით. ხარჯების ეს ზრდა დაფარულ იქნა საბიუჯეტო ორგანიზაციების ადმინისტრაციული ხარჯების შესაბამისი შემცირებით.

242. განსხვავება თავდაპირველ და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის ფასდება PI-2.1 მეთოდოლოგიით ძირითადი მხარჯავი დაწესებულებებისთვის. ხარჯების სტრუქტურული

გადახრა შეადგენს 3,4%-ს. ამგვარად, კორექტირებები 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებებში უმნიშვნელოა.

243. ეს კორექტირება შესაბამისობაში იყო საბიუჯეტო კოდექსის მიერ დადგენილ წესებთან, რომლებიც მოითხოვს პარლამენტის მიერ დამტკიცებას. იქამდე სანამ შეცვლილი კანონი წარედგინებოდა პარლამენტს, ის განიხილებოდა საბიუჯეტო ერთეულებთან ერთად. საბიუჯეტო ერთეულების ვალდებულებების ლიმიტები შესაბამისად იქნა შეცვლილი საინფორმაციო სისტემაში მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა შეცვლილი კანონი. ამგვარად, ბიუჯეტის კორექტირებები წლის განმავლობაში გამჭვირვალე და პროგნოზირებადი იყო.

244. ბიუჯეტის უმნიშვნელო კორექტირებები შესრულდა ერთხელ, 2016 წელს, რაც გამჭვირვალე და პროგნოზირებადი ფორმით განხორციელდა. შეფასება: A.

PI - 22. საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები

245. ეს ინდიკატორი აფასებს სიტუაციას დაგროვილ დავალიანებებთან დაკავშირებით და თუ რამდენად წარმოებს ამ თვალსაზრისით სისტემურ პრობლემაზე რეაგირება და მისი კონტროლის ქვეშ მოქცევა. შეფასების დროის პერიოდი 22.1 ქვეინდიკატორისთვის არის გასული სამი დასრულებული ფისკალური წელი (2014, 2015 და 2016), ხოლო 22.2 ქვეინდიკატორისთვის - შეფასების დრო. შეფასება ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვით - შეფასება	ვალიდაცია	
PI - 22: საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები	C +	C +	
22.1 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების ნაშთი	A	A	2014–2016 წლებში დავალიანების თანხა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში არ აღემატებოდა 2%-ს.
22.2 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების მონიტორინგი	C	C	მხარჯავი დაწესებულებების მიერ სახაზინო სამსახურისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს ინფორმაციას ხარჯვით ნაწილში დაგროვილი დავალიანებისა და მისი შედგენილობის, მაგრამ არა ასაკის შესახებ. წლის განმავლობაში მონიტორინგი არ ხორციელდება

22.1. საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების ნაშთი

246. PEFA -ს განსაზღვრების თანახმად, დავალიანება წარმოადგენს ვადაგადაცილებულ ვალს ან ვალდებულებას. საქართველოში დავალიანება განისაზღვრება როგორც რეგისტრირებული ვალდებულებები, რომლისთვისაც საქონელი ან სერვისები მიწოდებული იყო წლის განმავლობაში, მაგრამ სათანადო დოკუმენტები არ ყოფილა მიღებული ფისკალური წლის

ბოლოს. შედეგად, გადახდა შეუძლებელია გატარდეს წლის განმავლობაში და ანგარიშგება განხორციელდება მომდევნო წელს.

247. ეს დავალიანება რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და წლიური საბიუჯეტო კანონით, რომლის მიხედვით მათი დაფარვა ხორციელდება 60 00 პროგრამული კოდის (საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის გადახდა) 60 07 ქვეპროგრამიდან (ფინანსური სახსრები წინა წლებში დაგროვილი ვალის გადასახდელად და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის). მათ შესახებ ანგარიშგება წარმოებს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში. არ არის დავალიანება პერსონალის ხარჯებში.

ცხრილი 22.1 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანება

წელი	დავალიანება (რეგისტრირებული ვალდებულება - გადახდა)	ფულადიხარჯები	დავალიანება/ ფულადი ხარჯები %
2014	151,269,200	8,177,876,300	1.85 %
2015	136,316,753	8,838,171,800	1.54 %
2016	100,745,700	9,404,231,300	1.07 %

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

248. როგორც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილშია ნაჩვენები, საკრედიტო დავალიანების მოცულობა არ აღემატება ხარჯების 2 %-ს. დავალიანება (ე.ი. ვადაგადაცილებული ვალი, ვალდებულებები) უფრო ნაკლებია, ვიდრე რეგისტრირებული ვალდებულებები წლის ბოლოს. შეფასება: A.

22.2. ბიუჯეტის ხარჯების დავალიანებების მონიტორინგი

249. სახაზინო სამსახურისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები მხარჯავი უწყებების მიხედვით იძლევა ინფორმაციას ხარჯვით ნაწილში არსებული დავალიანების მოცულობის და შედგენილობის შესახებ. შესაბამისად, ასეთი ინფორმაციის მომზადება ყოველთვიური პერიოდულობით წარმოებს. დავალიანების ხანდაზმულობის შესახებ ინფორმაცია არ არის მოწოდებული.

250. არ წარმოებს იმ თანხების მონიტორინგი, რომლებიც კონტრაქტში მითითებულ საბოლოო ვადამდე არ იქნა გადახდილი.

251. მონაცემები ხარჯვით ნაწილში არსებული დავალიანების მოცულობის და სტრუქტურის შესახებ ყოველწლიურად, წლის ბოლოს მზადდება. ანალიზისა და მტკიცებულების საფუძველზე ამ განზომილებისთვის მინიჭებულ იქნა შეფასება C. თუმცა, ანგარიშფაქტურების აღრიცხვის მოდული (დღგ - ის ანგარიშფაქტურები, მიღება - ჩაბარების აქტი და ა.შ.) საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში (PFMIS) ანალიზდება. თუ ასეთი მოდული

დაინერგება, შესაძლებელი გახდება წლის განმავლობაში ხარჯვით ნაწილში არსებული დავალიანების მონიტორინგი. შეფასება: C.

PI - 23. სახელფასო განაცემების კონტროლი

252. ეს ინდიკატორი ეხება მხოლოდ საჯარო სამსახურში მომუშავე პირთა ხელფასებს: როგორ იმართება ისინი, როგორ წარმოებს ცვლილებების განხორციელება და როგორ ხდება პერსონალის ჩანაწერების მართვა. ხელფასები დროებითი სამუშაოსთვის და ერთჯერადი განაცემები, რომლებიც არ შეადგენს სახელფასო სისტემის ნაწილს, შეტანილია არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლის შეფასებაში PI - 25. შეფასების დროის პერიოდი 23.1, 23.2 და 23.3 ინდიკატორებისთვის შეფასების განხორციელების დროა, ხოლო 23.4 -ისთვის არის ბოლო სამი დასრულებული ფისკალური წელი (2014, 2015 და 2016). შეფასების მიერ დაფარულია ცენტრალური მთავრობა.

ინდიკატორი/ კვინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI-23: სახელფასო განაცემების კონტროლი	A	A	
23.1 სახელფასო და პერსონალის ჩანაწერების ინტეგრაცია	A	A	საბიუჯეტო ორგანიზაციები აწარმოებენ თავისი პერსონალის მონაცემთა ბაზებს ელექტრონული ხაზინის (სახელფასო მოდული) სისტემის ფარგლებში, რომლის მართვაც ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის მიერ. პერსონალის და სახელფასო ჩანაწერების შეჯერება წარმოებს ყოველთვიურად მაინც, მანამ სანამ მოხდება ხელფასების გადახდა პერსონალის საბანკო ანგარიშებზე. ელექტრონული ხაზინის სახელფასო ჩანაწერებს (სახელფასო მოდული) და სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის ჩანაწერებს შორის (რომლის მართვაც წარმოებს იუსტიციის სამინისტროს მიერ) შეჯერება ხდება მაშინ, როცა თანამშრომლის დანიშვნა და რეგისტრაცია წარმოებს სისტემაში. არსებობს ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც ჩაშენებულია სახელფასო მოდულში და რომელიც ავტომატურად ბლოკავს ნებისმიერი პირის სახელფასო განაცემებს რომელიც არ არის ასახული ელექტრონული ხაზინის სისტემის პერსონალის მონაცემთა ბაზაში.
23.2 სახელფასო ჩანაწერებში ცვლილების მართვა	A	A	პერსონალის ჩანაწერების განახლება წარმოებს ყოველთვიურად, ყოველთვიური გადახდის დროისთვის. განახლებები ხორციელდება რეალურ დროში და აისახება ელექტრონული ხაზინის სისტემის სახელფასო მოდულში. ამასთან ერთად, არსებული მონაცემების რეტროაქტიური ცვლილებები სისტემაში არ არის დაშვებული.
23.3 სახელფასო განაცემების შიდა კონტროლი	A	A	შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელფასო

ინდიკატორი/ კვენიდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
			ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის უფლება მხოლოდ ავტორიზებულ პირებს აქვთ. ცვლილებები უფლებამოსილი პირის მიერ მოწმდება და მტკიცდება განყოფილების უფროსის მიერ. ანაზღაურებაში ცვლილებისთვის შესატანად, დამატებით საჭიროა ხაზინის ავტორიზაცია. სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ მოხდეს სახელფასო ჩანაწერებში გაკეთებული ცვლილებების კვალის მიდევნება (აუდიტის კვალი). ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ხდება ცვლილებების დოკუმენტირება და შენახვა. ამასთან, ელექტრონული ხაზინის სისტემაში შესვლის/წვდომის კონტროლი ხორციელდება „ჯი-დი პასის“ ნომრისა და პაროლის გამოყენებით. შიდა და გარე აუდიტორები აფასებენ სახელფასო რისკებს როგორც დაბალს, რამდენადაც სახელფასო მონაცემების სიზუსტე საკმაოდ მაღალია.
23.4 სახელფასო განაცემების აუდიტი	B	A	არსებობს წლიური სახელფასო აუდიტის ძლიერი სისტემა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. აღნიშნული სისტემა ავლენს ნებისმიერ სისუსტეს ნებისმიერი სახის კონტროლთან დაკავშირებით და ასევე ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებს.

23.1. სახელფასო და პირადი მონაცემების ინტეგრაცია

253. ყოველწლიური კანონი ბიუჯეტის შესახებ იძლევა ინფორმაციას თანამშრომლების და სახელფასო ბიუჯეტის შესახებ. საბიუჯეტო ორგანიზაციები ინარჩუნებენ თანამშრომლებს და აკყავთ ახალი პერსონალი ამ კანონის პარამეტრების ფარგლებში. სახელფასო ჩანაწერების წარმოება საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის პერსონალის მიერ, ელექტრონული ხაზინის სისტემის გამოყენებით, რომელსაც აქვს სახელფასო მოდული. სახელფასო მოდულს აქვს ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს თანამშრომლის მიერ მუშაობის დაწყების დროს, პოზიციას, საიდენტიფიკაციო ნომერს, დეპარტამენტის დასახელებას, საბანკო ანგარიშს, ხელფასის თანხას, გადასახადის და დაზღვევის გადასახდელებს, დაწინაურებას და ხელფასის ცვლილებას. სახელმწიფო ხაზინას შეუძლია სახელფასო ჩანაწერებთან წვდომა და მათი დათვალიერება. მაგრამ ეს წვდომა შეზღუდულია და ითვალისწინებს მხოლოდ დათვალიერებას (ცვლილების შეტანა შეუძლებელია). ეს ზღუდავს ჩანაწერების შეცვლას. თანამშრომლისთვის დანიშვნის შესახებ წერილის გაცემისთანავე, სანამ მოხდება ჩანაწერების შეტანა ელექტრონულ ხაზინაში (სახელფასო მოდული), მათი შეჯერება წარმოებს თანამშრომლის შესახებ არსებულ ჩანაწერებთან

სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში, რომლის მართვაც წარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ. პერსონალის და სახელფასო ჩანაწერების შეჯერება ხორციელდება ყოველთვიურად მაინც, სანამ მოხდება ხელფასის ჩარიცხვა პერსონალის საბანკო ანგარიშებზე. სახელფასო მოდულში ასევე ჩაშენებულია ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც ავტომატურად ბლოკავს ხელფასის გადახდას ნებისმიერი პირისთვის, რომელიც არ არის ასახული ელექტრონული ხაზინის სისტემის პერსონალის მონაცემთა ბაზაში. შეფასება A.

254. მიმდინარეობის პროცესშია საჯარო სამსახურის რეფორმები, რომელთა მიზანია ერთიანი ინტეგრირებული სამოქალაქო სამსახურის არსებობა ანაზღაურების ჰარმონიზებული სისტემით.

23.2. სახელფასო ჩანაწერებში ცვლილებების მართვა

255. საჭიროების შემთხვევაში საბიუჯეტო ორგანიზაციები აახლებენ თავიანთ ჩანაწერებს თანამშრომლების შესახებ ყოველთვიური ხელფასის გადახდამდე. ეს განახლებები რეალურ დროში აისახება ელექტრონულ ხაზინაში (სახელფასო მოდული) და გაითვალისწინება თვის სახელფასო განაცემებში. ელექტრონული ხაზინის სისტემაში დაუშვებელია არსებულ სახელფასო ჩანაწერებში რეტროაქტიური ცვლილებების შეტანა. შეფასება: A.

23.3. სახელფასო განაცემების შიდა კონტროლი

256. არსებობს მძლავრი სისტემა, რომელიც ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელფასო ცვლილებების მონიტორინგს და მას აქვს აუდიტის კვალის (ცვლილებების მიდევნების) სისტემა. სახელფასო ცვლილებებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში არსებობს ორდონიანი “ოთხი თვალის” ტიპის ავტორიზაციის პროცესი. ნებისმიერი ცვლილებისთვის, სისტემა ავტომატურად ქმნის უნიკალურ ნომერს სტატუსით „საჭიროებს დამოწმებას“. დამოწმება ხორციელდება სუბიექტის ავტორიზებული პირის მიერ და შემდეგ დადასტურებული სახელფასო ჩანაწერი მტკიცდება განყოფილების უფროსის მიერ შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. თუ ხდება ცვლილების შეტანა თანამშრომლის ანაზღაურებაში, აღნიშნულის ავტორიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის მიერ სამ დონიანი ავტორიზაციის პროცესის შესაბამისად. დამტკიცების აღნიშნული პროცესი ტოვებს „აუდიტის კვალს“, რამდენადაც თითოეული პირი, რომელიც ახორციელებს დამტკიცებას შედის ელექტრონული ხაზინის სისტემაში უნიკალური კოდური სიტყვის გამოყენებით და „ჯი-დი პასის“ ნომრით. სახელფასო მონაცემების სისწორე მაღალია, რამდენადაც როგორც შიდა, ისე გარე აუდიტორები, რომლებიც ახორციელებენ სახელფასო ჩანაწერების აუდიტს მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ ჩანაწერებთან დაკავშირებული რისკი დაბალია. შეფასება: A.

23.4. სახელფასო განაცემების აუდიტი

257. სახელფასო აუდიტი ბოლო სამი ფინანსური წლისთვის (2014 - 2016) განხორციელდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ. აუდიტი წარმოადგენს აუდიტის სავალდებულო

პროცედურის ნაწილს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტისთვის, რომლებიც ხორციელდება აუდიტის უმაღლესი ინსტიტუტებისთვის განკუთვნილი საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აუდიტის დაფარვამ ამ პერიოდის განმავლობაში წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 94% შეადგინა, რომელიც მოიცავს სახელფასო სისტემას. ამასთან ერთად, შიდა აუდიტორები ახორციელებენ სახელფასო სისტემის რეგულარულ აუდიტს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. ორივე ტიპის აუდიტი იძიებს სახელფასო კონტროლში არსებულ ნაკლოვანებებს და განიხილავს ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. შეფასება: A.

PI - 24. შესყიდვები

258. ეს ინდიკატორი აფასებს შესყიდვების მართვის ძირითად ასპექტებს. ის ფოკუსირებულია პროცედურების გამჭვირვალობაზე. აქცენტი კეთდება ღია და კონკურენტულ პროცედურებზე, შესყიდვების შედეგების მონიტორინგზე და გასაჩივრების და ანაზღაურების პროცედურებზე წვდომაზე. შეფასების დროის პერიოდი: ბოლო ფისკალური წელი და დაფარვა: ცენტრალური ხელისუფლება.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვით-შეფასება	ვალიდაცია	
PI-24: შესყიდვები	A	B+	
24.1 შესყიდვების მონიტორინგი	A	A	მონაცემთა ბაზების და ჩანაწერების წარმოება ხორციელდება ყველა კონტრაქტისთვის, მათ შორისაა ინფორმაცია, თუ რისი შესყიდვა განხორციელდა, როგორი იყო შესყიდვის ღირებულება, ვისთან გაფორმდა კონტრაქტი. მონაცემები არის ზუსტი და სრული შესყიდვის ყველა მეთოდისთვის, საქონლისთვის, მომსახურებისა და სამუშაოსთვის. ყველა სახელმწიფო კონტრაქტის შესყიდვა ხდება საქართველოს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საშუალებით (Ge-GP).
24.2 შესყიდვის მეთოდები	A	A	სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, როცა შესყიდვის ღირებულება აღემატება 5000 ლარს (ან მის ეკვივალენტურ ოდენობას 2000 აშშ დოლარს), შესყიდვა ტარდება ღია კონკურსის გზით, რომელიც წარმოადგენს შესყიდვის ძირითად მეთოდს. 2016 წელს კონტრაქტების 91%-ის (შესყიდვის ღირებულების მიხედვით), შესყიდვა განხორციელდა კონკურენტული შერჩევის გზით.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვით-შეფასება	ვალიდაცია	
24.3 შესყიდვების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა	A	A	<p>შესყიდვების შესახებ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია. სხვა ინფორმაციასთან ერთად, მათ შორის მოიცავს შემდეგ ინფორმაციასაც:</p> <p>(1) შესყიდვების სამართლებრივ და მარეგულირებელ სისტემის შესახებ;</p> <p>(2) სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შესახებ;</p> <p>(3) ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ;</p> <p>(4) გამარჯვებულთან გაფორმებული კონტრაქტების (მიზანი, კონტრაქტორი, ღირებულება) შესახებ;</p> <p>(5) შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ; და</p> <p>(6) შესყიდვების წლიურ სტატისტიკას</p>
24.4 შესყიდვების შესახებ საჩივრების მართვა	A	D	<p>შესყიდვების შესახებ ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი ზღვრის ქვემოთ ხელშეკრულებების შემთხვევაში, გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის N1 ბრძანება. ზემოაღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, დავების განხილვის საბჭო შედგება პარიტეტული პრინციპით შერჩეული 6 პირისგან. 3 წევრი არის სამოქალაქო საზოგადოების / არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ხოლო 3 წევრი შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე იმავდროულად არის დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარე უპირატესი ხმის უფლებით. შესყიდვების სააგენტო ასევე არის გამარტივებული შესყიდვების დამმოწმებელი შემფასებელი ორგანო (იხილავს შემსყიდველი უწყებების მოთხოვნებს პირდაპირი შესყიდვის განხორციელებაზე).</p> <p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩართულობა შესყიდვის კონკრეტულ პროცედურაში შესყიდვის გამარტივებულ პროცედურისთვის (პირდაპირი კონტრაქტის გაფორმება) მას აქცევს შესყიდვების ტრანზაქციების და გადაწყვეტილების მიღების ნაწილად, რომელსაც მოჰყვება კონტრაქტის გაფორმება. ეს ქმნის კონფლიქტს მის</p>

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვით-შეფასება	ვალიდაცია	
			საზედამხედველო ფუნქციასთან და როლთან შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის კუთხით. ფუნქციების ასეთი განაწილება არ აკმაყოფილებს PEFA-ს შესყიდვების საჩივრების შესახებ მართვის ქვეინდიკატორის პირველ კრიტერიუმს.

24.1. შესყიდვების მონიტორინგი

259. ინფორმაცია შესყიდვების სრული ციკლის შესახებ ინახება Ge-GP სისტემის მონაცემთა ბაზაში. ეს ინფორმაცია გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის მიღება: შესყიდვის ტიპი, განცხადების ნომერი, შესყიდვის სტატუსი, შემსყიდველი ორგანიზაცია, შესყიდვების შესახებ განაცხადის გაკეთების თარიღი, ტენდერის დაწყების და დასრულების თარიღი და დრო, შესყიდვის საანგარიშო ღირებულება, კლასიფიკატორის კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი, შესყიდვის რაოდენობა ან ღირებულება, მიწოდების თარიღი, პირველი და ბოლო შეთავაზების თარიღი, გამარჯვებული, კომისიის ოქმი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რაოდენობა და თანხა, კონტრაქტთან დაკავშირებული ცვლილებები და ა.შ. შეფასება: A.

24.2 შესყიდვების მეთოდები

260. ამ ქვეინდიკატორის შეფასებაში მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს კონკურენტული მეთოდების გამოყენება. 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით შესყიდული მთელი კონტრაქტების 91%-ის შესყიდვა განხორციელდა კონკურენტული მეთოდების საშუალებით. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის თანახმად, ღია კონკურსი, როცა შესყიდვის ღირებულება აღემატება 5000 ლარს (ან მის ეკვივალენტურ ოდენობას 2000 აშშ დოლარს) წარმოადგენს შესყიდვის ძირითად მეთოდს.

261. 2016 წელს შემოღებულ იქნა ე.წ. ტენდერი ვაჭრობის გარეშე და ორსაფეხურიანი ტენდერი (Ge-GP სისტემაში გამოყენებული შესაბამისი აბრევიატურებია NAT და MEP). შესყიდვების ამ მეთოდებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში ტენდერში მონაწილეები ფასდებიან სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, ფასდება ფასის და სხვა გამოანგარიშებადი კრიტერიუმების მიხედვით. ეს იძლევა შერჩევის დროს, მისი შესყიდვის სასიცოცხლო ციკლის ღირებულების გათვალისწინების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს რესურსების უფრო რაციონალურ ხარჯვას.

262. ჩვეულებრივი ტენდერებისგან განსხვავებით, ახლად წარმოდგენილი ტიპის ტენდერი არ ითხოვს ელექტრონული ვაჭრობის რაუნდების ჩატარებას ტენდერში მონაწილეებს შორის.

ამასთან ერთად, შერჩევის და შეფასების ეტაპზე, ზოგიერთ ინფორმაციაზე წვდომა დროებით შეზღუდულია. შესყიდვის ორივე მეთოდის შემთხვევაში გამოიყენება რანჟირების ე.წ ავტომატური სისტემა, რომელთა საშუალებითაც სისტემატურად ხდება ტენდერში მონაწილეთა რეიტინგის განსაზღვრა. ელექტრონულ სისტემაში აისახება ტენდერის მხოლოდ ის მონაწილე და მისი სატენდერო წინადადება, რომელსაც რეიტინგში უკავია უმაღლესი პოზიცია. ის მონაწილე, რომელსაც რეიტინგში შემდეგი პოზიცია უკავია, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდება ელექტრონულ სისტემაში, თუ მოხდება რეიტინგში მის წინა პოზიციაზე მყოფი მონაწილის დისკვალიფიკაცია. ელექტრონულ სისტემაში ჩატვირთული ყველა მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება საბოლოო სტატუსის მინიჭების შემდეგ.

263. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 28 ივნისის №5 დადგენილების თანახმად ცვლილებები შევიდა გამარტივებული შესყიდვების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის განხორციელების წესებში, რომელიც დამტკიცებული იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 დადგენილებით, რომლის საფუძველზეც წარმოდგენილ იქნა ტენდერის ჩატარების ახალი მეთოდი - სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განსხვავებული მეთოდით (აღნიშნული ახალი DAP აბრევიატურით Ge-GP სისტემაში).

264. ამ მეთოდების საშუალებით შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ არსებული მეთოდებისგან (SPA, NAT, MEP) განსხვავებული წესებით ტენდერის გამოცხადების საშუალება, რაც გულისხმობს ერთ ეტაპზე ერთდროულად ტენდერის ყველა მონაწილის სატენდერო წინადადების შეფასებას. კერძოდ, DAP ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, მონაწილეები აფიქსირებენ სატენდერო წინადადების ფასს და ისინი იღებენ მისი მხოლოდ ერთხელ შემცირების უფლებას. ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები არ ტარდება. ამავე დროს, სატენდერო წინადადების ფასის ცვლილებასთან ერთად, ტენდერის მონაწილეები ვალდებული არიან სისტემაში შეიყვანონ შეცვლილი ფასების შესაბამისი ხარჯების ახალი ჩამონათვალი. წინადადებების მიწოდების სტადიაზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს სისტემაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა.

265. შედეგად, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომიტეტი ტექნიკურად შეაფასებს და აირჩევს ტენდერის ყველა მონაწილეს, შემსყიდველ ორგანიზაციას ექნება უდაბლესი ფასის მქონე ტენდერის მონაწილესთან რაიმე დამატებითი პროცედურის გარეშე ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა. შეფასება : A.

24.3. შესყიდვებთან დაკავშირებით ინფორმაციის საჯაროობა

266. შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში (მაგ: სატენდერო განაცხადები, სატენდერო დოკუმენტები, სატენდერო კომისიის ყველა გადაწყვეტილება და ა.შ.). სატენდერო წინადადების ფასი წარდგენილია და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები გამოქვეყნებულია Ge-GP სისტემის

საშუალებით. შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ელექტრონული სისტემის საშუალებით ფისკალური წლის დასაწყისში გამოაქვეყნონ შესყიდვების ყოველწლიური გეგმა. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე - [http:// procurement.gov.ge/](http://procurement.gov.ge/) მათ შორის არარეგისტრირებული მომხმარებლებისთვისაც. სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის პროცესი არ შემოიფარგლება სახელმწიფო მოსამსახურეების მონაწილეობით და შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ. შემუშავებულია სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტი. ეს ვებ-გვერდი (www.stats.spa.ge) ასახავს რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მათ შორის არის: გამოქვეყნებული ტენდერების ყოველკვარტალური განახლებები, ტენდერების ღირებულება, ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობა, დარეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობა და ა.შ. მსოფლიო ბანკის მიერ ადმინისტრირებული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში - „სახელმწიფო შესყიდვებში ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ამაღლება“ შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი, რომელიც ასახავს სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს ღია სახელშეკრულებო მონაცემების სტანდარტით შემოთავაზებული სქემის შესაბამისად. ასევე ამოქმედდა შესაბამისი პორტალი ([http:// opendata.spa.ge/](http://opendata.spa.ge/)), რომელიც 2014-2017 წლებისთვის ახდენს სახელმწიფო შესყიდვების ყველა კონტრაქტისთვის სატენდერო ინფორმაციის ელექტრონული ფორმატით გენერაციას. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალი შესაძლებელს ხდის და ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის მომხმარებლების მიერ მონაცემებთან წვდომას და შემდგომ გამოყენებას. ეს განაპირობებს გამარტივებას და გაცილებით უფრო სანდო მესამე მხარის აუდიტს და მოქალაქეთა ჩართულობას. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა აუდიტის უმაღლესი ორგანოები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, დარგობრივი სამინისტროები, დონორები და ბევრი სხვა შეძლებს განახორციელოს მტკიცებულებებზე დამყარებული ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს შესყიდვების და მთლიანობაში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას. შეფასება : A.

ცხრილი 24.3 ინფორმაცია შესყიდვების პროცესების შესახებ		
საჯაროდ ხელმისაწვდომი	დიახ/ არა	ადგილმდებარეობა
კანონი შესყიდვების შესახებ და შესაბამისი მარეგულირებელი აქტები	დიახ	http:// www.procurement.gov.ge/ ELibrary/ LegalActs.aspx https:// matsne.gov.ge
სახელმწიფო შესყიდვების გეგმა	დიახ	https:// tenders.procurement.gov.ge – გეგმა მოდული
ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობები	დიახ	https:// tenders.procurement.gov.ge
ტენდერში გამარჯვებული (მიზანი, კონტრაქტორი და თანხა)	დიახ	https:// tenders.procurement.gov.ge
ინფორმაცია საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ	დიახ	https:// tenders.procurement.gov.ge/ dispute

ცხრილი 24.3 ინფორმაცია შესყიდვების პროცესების შესახებ		
საჯაროდ ხელმისაწვდომი	დიახ/ არა	ადგილმდებარეობა
შესყიდვების წლიური სტატისტიკა	დიახ	http://procurement.gov.ge/ELibrary/AnalyticalStudiesReports.aspx

24.4. შესყიდვების შესახებ საჩივრების მართვა


267. შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესებში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც შეიცვალა გასაჩივრების პირობები. წარმოდგენილ იქნა განაცხადის ახალი ფორმა და მოხდა შესყიდვების პროცედურების შეჩერების პროცესის ავტომატიზება. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის მიერ 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესები 2016 წელს სამჯერ შეიცვალა.⁸⁸ ცვლილებების თანახმად, საბჭოს წინაშე გასაჩივრების პირობები ხელახლა განისაზღვრა და დადგინდა საჩივრის დაუშვებლობის საფუძველი. ამასთან, საჩივრის მიღების შემდეგ ხდება შესყიდვების პროცედურების შეჩერება შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ისევე, როგორც მონაწილისთვის (მონაწილეებისთვის).

268. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №17 დადგენილებით (ძალაში შევიდა 2017 წლის 16 იანვარს) განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საჩივრის დაშვებადობის შემთხვევაში, წარმოებს შესყიდვის შესაბამისი პროცედურების სისტემური შეჩერება. გარდა ამისა, მხარეებს (მომჩივანი, განმცხადებელი) და დაინტერესებულ პირებს (თუ მისაღებია) ეცნობებათ საბჭოს სხდომაზე მოწვევის შესახებ, №1 ბრძანებით⁸⁹ დამტკიცებული წესების 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. ახალი ელექტრონული საჩივრის ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია, რომელიც თან ერთვის ზემოაღნიშნულ ბრძანებას, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

269. 2016 წელს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოსთვის წარდგენილ იქნა 1,573 საჩივარი. მათი უმრავლესობა ეხებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის არაადეკვატურ გადაწყვეტილებას, ან შეიცავდა მოქმედების გაუქმების მოთხოვნას, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ.

⁸⁸სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 11 იანვრის №1 ბრძანება; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 26 ოქტომბრის N 12 ბრძანება; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის N17 ბრძანება.

⁸⁹ამ წესის ფარგლებში ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება მოპოვებულ იქნეს / გაიგზავნოს მართვის ავტომატური საშუალებებით, ვებგვერდით <https://tenders.procurement.gov.ge/dispute> და/ ან კომუნიკაციის სხვა თანამედროვე საშუალებით (ელ-ფოსტა, ტელეფონი, მოკლე ტექსტური შეტყობინება).



წყარო: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ცხრილი 24.4 შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების კრიტერიუმები		
შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრის კრიტერიუმები	დიახ/ არა	მტკიცებულება/ კომენტარი
(1) არ მონაწილეობს შესყიდვების ტრანზაქციებში ან გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.	არა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, დავების განხილვის საბჭო დაკომპლექტებულია 6 წევრისგან პარიტეტული პრინციპის საფუძველზე. 3 წევრი სამოქალაქო საზოგადოების/ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია, ხოლო დანარჩენი 3 წევრი კი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდანაა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარე იმავე დროს არის დავების განხილვის საბჭოს თავჯდომარეც, უპირატესი ხმის უფლებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ასევე არის გამარტივებული შესყიდვების განმხილველი ორგანო (იხილავს შემსყიდველი უწყებიდან პირდაპირი შესყიდვის მოთხოვნას).

ცხრილი 24.4 შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების კრიტერიუმები

შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრის კრიტერიუმები	დიახ/ არა	მტკიცებულება/ კომენტარი
(2) არ აწესებს გადასახადს დავაში მონაწილე მხარეებისთვის	დიახ	საჩივრის შეტანა უფასოა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად
(3) საჩივრის შეტანის და გადაწყვეტის შემდგომი პროცესები მკაფიოდ არის განსაზღვრული და საჯაროდ ხელმისაწვდომია	დიახ	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი შესაბამისად
(4) იყენებს შესყიდვის პროცესის შეჩერების უფლებას	დიახ	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის და 23-ე მუხლის 2 ² და მე-11 პუნქტების თანახმად. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის და იგივე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.
(5) გამოსცემს წესებს / რეგულაციებს კონკრეტულ ვადებში	დიახ	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.
(6) იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც სავალდებულოა ყველა მხარისთვის (გარე ზემდგომი ორგანოების წვდომის გარეშე)	დიახ	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-10 მუხლის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად.

270. მინიჭებული შეფასებაა D, რადგან არ შესრულდა 1-ლი კრიტერიუმი.

271. ახლახან (PEFA-ს ჩარჩოს ფარგლებს გარეთ) აღინიშნა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობასთან და დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარედ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ავტომატურად დანიშვნის საკითხთან მიმართებით. კონტრაქტებისთვის, რომელთა სავარაუდო ფასი უტოლდება ან აღემატება შესყიდვების შესახებ ევროკავშირის დირექტივებით განსაზღვრულ ზღვარს, გამოიყენება სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ახლად მიღებული N1 ბრძანება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესების შესახებ (08.02.2018). ახალი ბრძანების პირობებში - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე აღარ არის საბჭოს თავმჯდომარე უპირატესი ხმის უფლებით. საჩივრები განიხილება დავების საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაშიც კვლავ შედის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 3 წევრი, მაგრამ გახანგრძლივებული წევრობის ფარგლებში. საბჭო, ახალი ბრძანების თანახმად, შედგება 10 წევრისგან, რომელთაგან 3 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელია (სააგენტოს თავმჯდომარის ჩათვლით), 3 წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელია, 1 წევრი კონკურენციის სააგენტოდანაა, 1 წევრი წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას, 1 წევრი - საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის ოფისს, ხოლო ერთი წევრი კი შესაბამისი პროფილის მქონე, საქართველოს აკადემიური წრეების წარმომადგენელია. საბჭოს თითოეული წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამი წევრის ჩათვლით, გადაწყვეტილებების მიღებისას სარგებლობს ერთი ხმის მიცემის უფლებით, ბრძანების 24-ე მუხლის შესაბამისად. ეს ქმნის ინტერესთა კონფლიქტს იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ გამოხატავს საწინააღმდეგო მოსაზრებას პირდაპირ კონტრაქტებთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს შესყიდვის ისეთი მეთოდის არჩევას, რომელსაც შედეგად მოჰყვება კონტრაქტის გაფორმება.

272. თუმცა, ევროკავშირის ზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით (მაგალითად, 5,548,000 ევრო სამოქალაქო სამუშაოებთან დაკავშირებული კონტრაქტებისთვის, რაც 15,8 მლნ ლარის ეკვივალენტურია) მოსალოდნელია, რომ საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილის განხილვა ჯერ კიდევ მოხდება დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის წინა ბრძანების მიხედვით, იმდენად რამდენადაც ჯერაც ის გამოიყენება უფრო მცირე თანხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას.

PI - 25. არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი

273. ეს ინდიკატორი აფასებს არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლის საერთო ეფექტურობას. საჯარო მოსამსახურეთა სახელფასო ხარჯების კონტროლი განიხილება PI-23-ში. შეფასების დროის პერიოდი: შეფასების განხორციელების დროა. შეფასება ფარავს ცენტრალურ მთავრობას.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI-25: არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი	A	A	

25.1 მოვალეობების გადანაწილება	A	A	„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანების შესაბამისად, მოვალეობები გადანაწილებულია ხარჯების გაწევის მთელი პროცესის განმავლობაში პასუხისმგებლობების მიხედვით, რომელიც მკაფიოდ არის გადმოცემული საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) სხვადასხვა დონეზე.
25.2 ხარჯების გაწევასთან დაკავშირებული ვალდებულებების კონტროლის ეფექტურობა	A	A	ვალდებულებების კონტროლი გამოიყენება ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან გაკეთებული ყველა გადახდის მიმართ. ფაქტური ხარჯების გაიწევა დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში და არ აღემატება აღებულ ვალდებულებებსა და პროგნოზირებულ ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს.
25.3 გადახდის წესებისა და პროცედურების დაცვა	A	A	გადახდები წარმოებს წესებისა და პროცედურების მკაცრი დაცვით

274. არასახელფასო ხარჯების განხორციელებაზე შიდა კონტროლის ეფექტურობა უზრუნველყოფილია საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) შექმნით. სისტემა ფარავს არასახელფასო ხარჯების განხორციელების მთელ პროცესს და შეიმუშავებს სისტემაში კონტროლის საფეხურებს სხვადასხვა თანამშრომლის ფუნქციების შესაბამისად. არასახელფასო ხარჯებისთვის გადახდის პროცედურები განსაზღვრულია „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით, რომლის შესრულებაც ხორციელდება ყველა მხარჯავი დაწესებულების მიერ.

25.1. მოვალეობების გადანაწილება

275. ფუნქციები მკაფიოდ არის გადანაწილებული მხარჯავი დაწესებულებების დებულებებით, შიდა რეგულაციებით, სამუშაო აღწერილობებით და სხვა შიდა დოკუმენტებით. შესაბამისი პირის დაშვების დონე საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში (PFMIS) განსაზღვრულია „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანებით. სისტემასთან წვდომის უფლების მოპოვების მიზნით, მხარჯავი დაწესებულება უკავშირდება სახელმწიფო სახაზინო სამსახურს სისტემაზე წვდომის (ან გაუქმების) თხოვნით და წარადგენს შესაბამისი წესებით შევსებულ დანართს. საბუღალტრო და გადახდის დოკუმენტების ავტორიზაციის წვდომასთან დაშვების დონეები განსხვავდება თანამშრომლების ფუნქციების შესაბამისად ავტორიზაციის, რეგისტრაციის / რედაქტირების, შემოწმების თვალსაზრისით და ა.შ.

276. არსებობს ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან წვდომის 3 ტიპი:

- მონაცემების შეყვანა / დოკუმენტის ელექტრონული ფორმით მომზადება;
- დადასტურება ელექტრონული დოკუმენტის შევსების შემდეგ;
- ელექტრონული დოკუმენტის სახელმწიფო სახაზინო სამსახურში გადაგზავნა.

277. ყველა ტიპის წვდომა ხორციელდება „პასუხისმგებელი“ პირის მიერ და ეს პირი სხვადასხვაა წვდომის თითოეული ტიპისთვის. უფლებამოსილი პირების წვდომის მართვა გადახდების ყველა ეტაპზე ხორციელდება შესაბამისი მოდულის ელექტრონული პასპორტის საშუალებით. მოდული შეიცავს პირად ნომერს, სახელს და გვარს, სამუშაო ადგილს, პოზიციას და ავტორიზებული პირის საკონტაქტო ინფორმაციას. პერსონალური ინფორმაცია მოწმდება სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში. შეფასება: A.

25.2. ხარჯების გაწევასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის ეფექტურობა

278. მხარჯავი დაწესებულებების გადახდების დამუშავება ხორციელდება ხაზინის ელექტრონული სისტემის საშუალებით, დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად აღებული ვალდებულებების ფარგლებში და მათი გადახდა წარმოებს ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან. გადახდების პროცედურები ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განსაზღვრულია სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ⁹⁰ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით, რომლის შესრულებაც ხორციელდება ყველა მხარჯავი დაწესებულების მიერ⁹⁰. ვალდებულებების მართვის კონტროლის მექანიზმი გამოიყენება ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან განხორციელებული ყველა გადახდისთვის. ყოველწლიური გეგმა კვარტალური განწერით აისახება სახაზინო სისტემაში ბიუჯეტის დაგეგმვის და ასიგნებების მართვის მოდულიდან. ფაქტიური ხარჯები გაიწევა დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების, აღებული ვალდებულებებისა და პროგნოზირებული ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ფარგლებში. შეფასება: A.

25.3. გადახდის წესებისა და პროცედურების დაცვა

279. იმისათვის, რომ საბიუჯეტო ერთეულმა განახორციელოს გადახდები ხაზინის ელექტრონული სისტემის საშუალებით, პირველ რიგში ხდება კონტრაქტის რეგისტრაცია, შემდეგ წარმოებს ვალდებულებების აღრიცხვა და შემდეგ კი ხორციელდება გადახდა. არსებობს სისტემაში ავტორიზაციის სამსაფეხურიანი მექანიზმი, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

⁹⁰<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2665096>

- i) დოკუმენტის შექმნა;
- ii) დოკუმენტის შემოწმება/ ვალიდაცია;
- iii) ხაზინისთვის დოკუმენტის გაგზავნა;

280. სისტემა ასევე უზრუნველყოფს ავტენტურობის და ხელმოწერის დადასტურებისთვის უსაფრთხო მექანიზმს, რომელიც ახდენს მონაცემთა ბაზაში არავტორიზებული წვდომის პრევენციას.

281. დაბალი რისკის მქონე გადახდები, რომლებიც შეესაბამება გარკვეულ პარამეტრებს ასევე ავტომატურად მუშავდება „მწვანე დერეფნის“ საშუალებით. მათ მიეკუთვნება ანგარიშები კომუნალური მომსახურებებისთვის და სამივლინებო ხარჯები. ქვემოთ მოცემულია სტატისტიკური მონაცემები საბიუჯეტო ორგანიზაციების მწვანე დერეფანში დამუშავებული ტრანზაქციების შესახებ 2014-2016 წლების განმავლობაში. ტენდენცია გვიჩვენებს, რომ მათი რაოდენობა იზრდება სისტემის კონტროლის გაძლიერების და მის მიმართ ნდობის ამაღლების პარალელურად. შეფასება: A.

ცხრილი 25.2 მწვანე დერეფანში ტრანზაქციების რაოდენობა	
2014	0
2015	90,035
2016	130,860

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

PI - 26. შიდა აუდიტი

282. ეს ინდიკატორი აფასებს სტანდარტებს და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება შიდა აუდიტის მიმართ. შეფასების დროის პერიოდი 26.1 და 26.2 ქვეინდიკატორისთვის არის შეფასების დრო; 26.3 ქვეინდიკატორისთვის კი - ბოლო დასრულებული ფისკალური წელი. 26.4 ქვეინდიკატორის შეფასებისთვის გამოიყენება ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აუდიტის ანგარიშები. ინდიკატორი მოიცავს ცენტრალურ მთავრობას.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2007 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 26: შიდა აუდიტი	B	B +	
26.1 შიდა აუდიტის მასშტაბი	B	A	შიდა აუდიტორები წარმოდგენილი არიან 16-ივე სამინისტროში; იმ 13-ივე სსიპ-ში, რომელსაც მოეთხოვება შიდა აუდიტის ყოლა; ასევე ა(ა)იპ-ების 4%-ში და უმაღლესი განათლების დაწესებულებების 36%-ში (დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლების შიდა აუდიტორულ შემოწმებას ახორციელებს განათლების

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2007 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
			სამინისტრო) და კერძო სამართლის იურიდიული პირების 45%-ში.. ცენტრალური მთავრობის (მირითადად სამინისტროები) საბიუჯეტო ხარჯების შიდა აუდიტის მიერ დაფარვა, 2014–2016 ფისკალური წლების განმავლობაში საშუალოდ იყო 94%.
26.2 აუდიტის სახეები და გამოყენებული სტანდარტები	B	B	შიდა აუდიტორული საქმიანობა ყურადღებას ამახვილებს შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებებზე და ის ფოკუსირებულია მაღალი რისკის სფეროებზე. შიდა აუდიტის საქმიანობა წარმართება შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც შესაბამება შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის სახელმძღვანელოებს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი დანერგვის ადრეულ ეტაპზე იმყოფება.
26.3 შიდა აუდიტირების და ანგარიშების განხორციელება	B	A	წლიური აუდიტის გეგმები არსებობს და მისი მონიტორინგი წარმოებს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ. 2016 ფისკალური წლის განმავლობაში გეგმიური აუდიტის რაოდენობამ ცენტრალური მთავრობისთვის შეადგინა 126, საიდანაც 115 (91%) დასრულდა და მათ შესახებ ანგარიშები მიეწოდა შესაბამის მხარეებს.
26.4 რეაგირება შიდა აუდიტის რეკომენდაციებზე	B	A	მენეჯმენტმა შეასრულა 2014-2016 წელს შიდა აუდიტის მიერ გამოცემული რეკომენდაციების 96%, რაც ცენტრალური მთავრობის ხარჯების დაახლოებით 93 %-ის მოიცავდა.

26.1. შიდა აუდიტის მასშტაბი

283. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად (2011 წლის 9 დეკემბრის #5447 საქართველოს კანონი), ცენტრალური მთავრობის შემთხვევაში შიდა აუდიტორები წარმოდგენილნი უნდა იყვნენ შემდეგ ორგანიზაციებში:

- ა) საქართველოს სამინისტროებში. შეფასების განხორციელების დროს, შიდა აუდიტორები წარმოდგენილნი იყვნენ 16-ივე სამინისტროში, რომელთა რეორგანიზაცია განხორციელდა 2018 წელს და მათ რიცხვი 13 -მდე შემცირდა.

- ბ) არსებობს 13 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელთაც მოეთხოვებათ შიდა აუდიტორის ყოლა და ყველა მათგანს ჰყავს შიდა აუდიტორი. არსებობს საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირები, მათი რაოდენობაა 217, რომელთაც არ მოეთხოვებათ შიდა აუდიტორი. თუმცა სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ამოწმებენ სამინისტროების შიდა აუდიტის განყოფილებები. მაგალითად, განათლების და მეცნიერების სამინისტრო ამოწმებს მის დაქვემდებარებაში მყოფ 2,081 საჯარო სკოლას.
- გ) კერძო სამართლის იურიდიული პირები, სადაც წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო. მთლიანი რაოდენობაა 219, საიდანაც მხოლოდ ერთს ჰყავს შიდა აუდიტორი.

284. სხვა დაწესებულებებს შორის, რომელთაც ჰყავთ შიდა აუდიტორი აღსანიშნავია: (i) უმაღლესი განათლების დაწესებულებები, სადაც 11 სუბიექტიდან ოთხს ჰყავს შიდა აუდიტორი და დანარჩენების დაფარვას აწარმოებს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური; და (ii) არაკომერციული სუბიექტები, სადაც 23 სუბიექტიდან ერთს ჰყავს შიდა აუდიტორი.

285. მონაცემები შიდა აუდიტის მიერ ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის დაფარვასთან დაკავშირებით 2014 - 2016 წლებისთვის წარმოდგენილია ქვევით მოცემულ ცხრილში. დაფარვა არ არის 100 პროცენტიანი და შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის ცენტრი ამჟამად მუშაობს აღნიშნულ საკითხზე საერთაშორისო ექსპერტთან ერთად, აუდიტის უმაღლეს ინსტიტუტთან (SAI) თანამშრომლობით. მომდევნო წლის განმავლობაში შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის ცენტრი გეგმავს რამდენიმე ტრენინგის და სამუშაო შეხვედრის ჩატარებას შიდა აუდიტორებისთვის ბიუჯეტის დაფარვის გამოთვლის მეთოდოლოგიის შესახებ. ჰარმონიზაციის ცენტრს აქვს სტრატეგიული გეგმა 2017 – 2019 წლებისთვის, რომელიც წარმართავს შიდა აუდიტის რეფორმების დღის წესრიგს.

286. 2014 - 2016 ფისკალური წლებში შიდა აუდიტის მიერ ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის (ძირითადად სამინისტროების ბიუჯეტები) დაფარვა ნაჩვენებია ქვევით წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი 26.1 შიდა აუდიტის დაფარვა (ათასი ლარი)			
	2014	2015	2016

ცენტრალური ბიუჯეტი	9,009,812	9,703,127	10,292,234
აუდიტის მიერ შემოწმებული თანხა	8,463,500	9,230,298	9,491,307
დაფარვა %	94 %	95 %	92 %

წყარო: ჰარმონიზაციის ცენტრი (შიდა აუდიტი)

287. განხორციელებული ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე ამ განზომილების შეფასებაა A.

26.2. აუდიტის სახეები და გამოყენებული სტანდარტები

288. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი განსაზღვრავს შიდა აუდიტორული შემოწმების შემდეგ ხუთ სახეს, ესენია: ა) სისტემური აუდიტი; ბ) შესაბამისობის აუდიტი; გ) ეფექტიანობის აუდიტი; დ) ფინანსური აუდიტი; ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის მომზადების პროცესს და მის მიწოდებას შესაბამისი მხარეებისთვის. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები განიხილება იმ სუბიექტთან, რომლის აუდიტორული შემოწმებაც განხორციელდა და რომლის მოსაზრებაც გამოხატულია დასკვნით ანგარიშში აუდიტორული შემოწმების შესახებ.

289. საქართველოს აქვს ჰარმონიზაციის ცენტრი (CHU), რომელიც 2010 წელს ამოქმედდა. ცენტრი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტს. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ჰარმონიზაციის ცენტრი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც ხელს უწყობს და უზრუნველყოფს დაწესებულებებში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვას, განვითარებას, ფუნქციურ სრულყოფას და ამ საკითხების კოორდინაციას. ჰარმონიზაცია საჭიროა, რადგან ცენტრალური მთავრობის თითოეული მხარჯავი დაწესებულება ქმნიდა შიდა აუდიტის საკუთარ სისტემას. თუმცა, შიდა აუდიტის სისტემის შეფასებამ თავდაცვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროში აჩვენა, რომ ადგილი ჰქონდა შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მკაცრ დაცვას.

290. შიდა აუდიტორული შემოწმება წარმოებს შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ ინსტრუქციის შესაბამისად, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად. სახელმძღვანელო ძირითადად მოიცავს სისტემას, შესაბამისობას და ფინანსურ აუდიტორულ შემოწმებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისთვის სახელმძღვანელოს შემუშავება დაგეგმილია 2018 ფისკალური წლის ბოლოსთვის. შიდა აუდიტორული შემოწმების მეთოდოლოგია შესაბამისობაშია პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო ჩარჩოსთან (IPPF), რომელიც გამოქვეყნებულია შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ და უზრუნველყოფს შესაბამისობას შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან, მიუხედავად იმისა, რომ

მეთოდოლოგიაში არ არის ასახული ჩარჩოში 2017 წელს შეტანილი ცვლილებები. ასევე საქართველოს მთავრობის #1836 განკარგულების (თარიღი: სექტემბერი 18, 2011) შესაბამისად, მიღებულია ეთიკის კოდექსი, რომლის დაცვა ევალება ყველა შიდა აუდიტორს. მომზადდა ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს პროექტი. 2015–2016 წლებში ეფექტიანობის რვა საპილოტო აუდიტი განხორციელდა. ეს სახელმძღვანელოები უზრუნველყოფენ, რომ შიდა აუდიტორული შემოწმება ფოკუსირებული იყოს შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებაზე და იმავდროულად მაღალრისკიან სფეროებზე.

291. ხარისხის შეფასების სისტემა შიდა აუდიტორული შემოწმებისთვის დანერგვის პროცესშია და ამგვარად არ გამოიყენება შიდა აუდიტის ყველა სუბიექტის მიერ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შიდა აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელმა ზოგიერთმა სტრუქტურულმა ერთეულმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ სისტემის დანერგვის/განვითარების მიმართულელებით.

292. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები და კონკრეტული პროცედურები განსაზღვრულია შიდა აუდიტორებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში, რომელიც მომზადდა ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ. ამ სახელმძღვანელოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს შიდა აუდიტის რამდენიმე განყოფილებამ, შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის საკუთარი სისტემები. შეფასება: B.


26.3. შიდა აუდიტორების და ანგარიშგების განხორციელება

293. საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების ყველა შიდა აუდიტორი რისკის შეფასების საფუძველზე და უწყების მიზნების და მისიის გათვალისწინებით, ამზადებს სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების უფროსს. აღნიშნული წლიური გეგმები ასევე ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრს და წარმოებს მისი მონიტორინგი. თუ საბიუჯეტო ერთეული არ ახორციელებს წლიური აუდიტის გეგმას, განმარტება უნდა იქნეს მიწოდებული უწყების მენეჯმენტისა და ჰარმონიზაციის ცენტრისთვის. გასული ფისკალური წლის განმავლობაში, ანუ 2016 წელს, დაგეგმილი აუდიტორული შემოწმებების მთლიანი რაოდენობა ცენტრალური მთავრობისთვის შეადგენდა 126-ს, საიდანაც დასრულდა 115 (91 %). შეფასება: A.

26.4. რეაგირება შიდა აუდიტის რეკომენდაციებზე


294. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის 24 -ე მუხლი მოითხოვს, რომ შიდა აუდიტის წლიური ანგარიში მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე

წარედგინოს დაწესებულების ხელმძღვანელს, ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებების შიდა აუდიტის სუბიექტებში და აუდიტის წლიურ ანგარიშებს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე წარუდგენენ ასევე ჰარმონიზაციის ცენტრს. შემდეგ, შიდა აუდიტორული შემოწმების ობიექტი უწყების უფროსს უგზავნის ანგარიშს შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსის შესახებ. 2014-2016 ფისკალურ წლებში შესრულდა რეკომენდაციების დაახლოებით 96%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საშუალო დაფარვა შეადგენდა 93%-ს. ეს რეკომენდაციები შესრულდა გაცემიდან 12 თვეში, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები შესრულების პროცესში იყო. ქვევით მოცემული დიაგრამა მიუთითებს 2014–2016 ფისკალური წლების განმავლობაში შესრულებული რეკომენდაციების პროცენტულ წილს.



წყარო: შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეული

295. ქვევით წარმოდგენილ გრაფიკში შეჯამებულია 2014 – 2016 ფისკალური წლების განმავლობაში გაცემული და შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობა.



წყარო: შიდა აუდიტის ერთეული

296. განხორციელებული ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე ამ ქვეინდიკატორის შეფასებაა A.



მეექვსე ბლოკი: აღრიცხვა და ანგარიშგება

PI - 27. ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა

297. ეს ინდიკატორი აფასებს, თუ როგორ წარმოებს ხაზინის საბანკო ანგარიშების, გაურკვეველი თანხების ანგარიშების და საავანსო ანგარიშების რეგულარული შეჯერება და თუ როგორ უწყობს ხელს არსებული პროცესები ფინანსური მონაცემების სიზუსტეს. ის შეიცავს ოთხ ქვეინდიკატორს და იყენებს შეფასების M2 (AV) მეთოდს. შეფასების დროის პერიოდი 27.1, 27.2 და 27.3 ქვეინდიკატორებისთვის არის შეფასების პერიოდის წინა ფისკალური წელი. 27.4 ქვეინდიკატორისთვის დროის პერიოდი არის შეფასების განხორციელების დრო. 27.1 ქვეინდიკატორის ფარავს ცენტრალურ მთავრობას, ხოლო 27.2, 27.3 და 27.4 ქვეინდიკატორები ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 27: ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა	B +	A	
27.1 საბანკო ანგარიშის შეჯერება	A	A	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ყველა თავისი ნაშთის ერთიანი სახაზინო ანგარიშის ქვეანგარიშებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სხვა საბანკო ანგარიშებთან შეჯერებას აწარმოებს ყოველდღიურად.
27.2 დროებითი ანგარიშები	A	A	ერთიანი სახაზინო ანგარიშის პირობებში არ არსებობს ხარჯების დროებითი ანგარიშები გაურკვეველი თანხებისთვის. შემოსავლების გაურკვეველი თანხების ანგარიშები არსებობს, მაგრამ ისინი ისტორიული თანხებია, რომლებიც ანგარიშზე მოხვდა 2014 – 2016 ფისკალურ წლებამდე. 2014–2016 ფისკალური წლების განმავლობაში შემოსავლები იყო სათანადოდ კოდირებული და აღრიცხული, გაურკვეველი თანხების ანგარიშების ფორმირების გარეშე.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
27.3 საავანსო გადახდები	C	A	წინასწარ გადახდილი თანხების შეჯერება ხორციელდება ყოველთვიურად (თითოეული თვის დასრულებიდან 20 დღის განმავლობაში). ყველა გაცემული ავანსის დახურვა დროულად წარმოებს.
27.4 პროცესები, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის საიმედოობას	A	A	დოკუმენტებთან წვდომა და მათი ცვლილების შესაძლებლობა შეზღუდულია, შესაბამისად აღრიცხება და შესაძლებელია ცვლილებების კვალის მიდევნება („აუდიტის კვალი“). ფინანსური მონაცემების საიმედოობა უზრუნველყოფილია ხაზინის მიერ, რომელიც განიხილავს საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსურ ინფორმაციას და მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ახორციელებს სისტემაში არაავტორიზებული წვდომის მონიტორინგს. შიდა აუდიტორები და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე ახორციელებენ ფინანსური მონაცემების საიმედოობის აუდიტორულ შემოწმებას.

27.1. საბანკო ანგარიშის შეჯერება

298. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური აწარმოებს თავისი ნაშთების შეჯერებას ერთიანი სახაზინო ანგარიშის ქვეანგარიშებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სხვა საბანკო ანგარიშებთან. ერთიანი სახაზინო ანგარიშში ანგარიშსწორების ვალუტაა ლარი. ბრუნვა ანგარიშზე და ყოველდღიური ნაშთების მონიტორინგი წარმოებს რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემით (RTGS). RTGS სისტემა სრულად ავტომატიზებულია. ის მუშაობს „ონლაინ“ რეჟიმში და მონაცემთა გადაცემა მომენტალურია. შეფასება: A.

27.2 დროებითი ანგარიშები

299. სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანების და დადგენილი შიდა წესების და რეგლამენტის თანახმად, სახელმწიფო ხაზინის სამსახურს უფლება არ აქვს გადაიტანოს რესურსები საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშზე გაურკვეველი მიზნებისთვის. ამგვარად, სახაზინო სისტემაში არ არსებობს გაურკვეველი ხარჯებისთვის განკუთვნილი ანგარიშები. ფინანსური ანგარიშები, რომლებიც მზადდება ყოველთვიურად, არ შეიცავს გაურკვეველი ხარჯების ანგარიშებს.

300. 2014 – 2016 ფისკალური წლების განმავლობაში შემოსავლები სათანადოდ იყო კოდირებული და აღრიცხული და არ არსებობდა გაურკვეველი შემოსავლების ანგარიში. თუმცა, არსებობდა ძველი შემოსავლებისთვის გაურკვეველი თანხების ანგარიში, რომლებიც 2014 – 2016 წლებამდე წარმოიქმნა. ეს ანგარიშები, მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების

მუხლში აისახა. ქვევით წარმოდგენილი ცხრილი უჩვენებს ანგარიშვალდებულებას მათთან დაკავშირებით. A.

ცხრილი 27.2 გაურკვეველი თანხების ანგარიშები			
ფისკალური წელი	საწყისი ნაშთი (ლარი)	აღრიცხულია დეპოზიტებისთვის (ლარი)	ნაშთი პერიოდის ბოლოს (ლარი)
2014	29,887,672	(371,139)	29,516,533
2015	29,516,533	(1,012,265)	28,504,268
2016	28,504,268	(237,350)	28,266,918

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

27.3. საავანსო გადახდები

301. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მომწოდებლებისთვის ავანსის გადახდა დაშვებულია თითოეულ კონტრაქტში შეთანხმებული ვადების და პირობების შესაბამისად. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის განისაზღვრება გადახდის ინსტრუქციები, რომელთა თანახმადაც წინასწარი გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო სისტემაში რეგისტრირებული კონტრაქტების და წარმოქმნილი ვალდებულებების შესაბამისად საბანკო გადარიცხვის მეშვეობით (რაც გულისხმობს, რომ ნაღდი ანგარიშსწორება არ არის დაშვებული). საავანსო თანხების გადახდა ხორციელდება საბანკო გარანტიების საფუძველზე და მათი დახურვა შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს. საბანკო გარანტიის თარიღი შეტანილია სახაზინო სისტემაში და წარმოებს მისი მონიტორინგი. იმ შემთხვევებში, სადაც საბანკო გარანტიის ვადის გასვლის თარიღი დგება და შეთანხმებული მომსახურება ან საქონელი მიწოდებული არ არის, ან გარანტიის ამოწურვის თარიღი არ არის გაგრძელებული, შემდგომი გადახდა არ იქნება დაშვებული რეგისტრირებული კონტრაქტიდან გამომდინარე და წინასწარ გადახდილი თანხები დაბრუნებული იქნება საჭიროების შემთხვევებში საბანკო გარანტიის საფუძველზე.

302. თანამშრომლებისთვის სამივლინებო ან სხვა დანიშნულებით წინასწარ გადახდილი თანხების (რაც მოიცავს საოპერაციო ავანსებს) დახურვა უნდა განხორციელდეს თანხის წინასწარ გადახდიდან 60 დღის ვადაში. იმ ორგანიზაციის შემთხვევაში, რომელმაც უნდა დაიბრუნოს თანამშრომლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხები და რომელიც არ დახურავს წინასწარ გადახდილ თანხებს განსაზღვრულ ვადაში, სისტემა ავტომატურად უბლოკავს ორგანიზაციას სხვა გადახდების განხორციელების შესაძლებლობას; ერთადერთი გამონაკლისი არის ხელფასი და მასთან დაკავშირებული გადახდები (გადახდის ინსტრუქციების მე-9 მუხლის შესაბამისად).

303. საავანსო გადახდის შესახებ ანგარიშგება (სამივლინებო ავანსი, საოპერაციო ავანსი და რეგისტრირებული კონტრაქტებიდან მომწოდებლებისთვის ავანსები) ყოველთვიურად მზადდება ხაზინის მიერ (თითოეული თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში), პარლამენტისთვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველთვიური ანგარიშგების პაკეტის ფარგლებში. ანგარიში დეტალურია და შეიცავს ინფორმაციას ორგანიზაციის დასახელების, თანამშრომლის სახელი/

გვარის, ავანსის მოთხოვნის ნომრის, წინასწარ გადახდილი თანხის, გაცემის თარიღის და დამოწმების თარიღის შესახებ. საბიუჯეტო კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახაზინო სამსახურმა ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ პარლამენტს უნდა წარუდგინოს თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში. შეფასება: A.

27.4. პროცესები, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის საიმედოობას

304. დოკუმენტების შექმნა ან შეცვლა არ შეიძლება განხორციელდეს „აუდიტის კვალის“ დატოვების გარეშე. „აუდიტის კვალის“ მეშვეობით შესაძლებელია ინდივიდუალური ანგარიშვალდებულება, ჩარევის გამოვლენა და პრობლემების ანალიზი. ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან გენერირებული „აუდიტის კვალი“ იძლევა ინფორმაციას, თუ ვინ განახორციელა წვდომა მონაცემებზე, ვინ წამოიწყო ტრანზაქცია, ვინ დაამტკიცა ის, ჩანაწერის გაკეთების დრო და თარიღი, ჩანაწერის ტიპი, რა სახის ინფორმაცია არის მასში და რომელი ფაილის განახლება მოხდა.

305. ფინანსური მონაცემების საიმედოობის უზრუნველყოფა წარმოებს სახაზინო სამსახურის მიერ და ის მიმოიხილავს საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებულ ფინანსურ მონაცემებს. ხაზინის მომსახურების დეპარტამენტი ყოველდღიურად განიხილავს საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური მონაცემების სისწორეს. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემასთან არაავტორიზებული წვდომის მონიტორინგს. შიდა აუდიტორები და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებენ აუდიტორულ შემოწმებას ფინანსური მონაცემების სიზუსტის და სისრულის დასადგენად. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შემფასებელთა გუნდს აცნობა, რომ არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი პრობლემა ფინანსური მონაცემების საიმედოობასთან დაკავშირებით გარდა ბუღალტრული გატარებების არასწორი კლასიფიკაციისა, რომელმაც გავლენა იქონია ბიუჯეტის დეფიციტის გამოთვლაზე, და რაზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. შეფასება: A.

PI - 28. შიდა წლიური ანგარიშები

306. ეს ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად ყოვლისმომცველი, ზუსტი და დროულია ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია. დროის პერიოდი არის გასული დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორი ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2017წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება	
	• თვით შეფასება	ვალიდაცია	
PI - 28: შიდა წლიური ანგარიშები	B +	B +	
28.1 ანგარიშების შესადარისობა და მოცვა	A	A	ბიუჯეტის შესახებ ანგარიშებში მონაცემების მოცვა და კლასიფიკაცია შესაძლებელს ხდის თავდაპირველ ბიუჯეტთან პირდაპირ შედარებას. ინფორმაცია მოიცავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის ყველა საპროგნოზო შეფასებას და ის ფარავს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას.
28.2 შიდა წლიური ანგარიშების ვადები	B	B	ანგარიშები კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ მზადდება ყოველკვარტალურად და წარედგინება პარლამენტს და ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ოთხი კვირის ვადაში
28.3 შიდა წლიური ანგარიშების სიზუსტე	A	A	პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებთან საუბრიდან გამომდინარე, მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებით არ არსებობს არსებითი შენიშვნები. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტს ყოველკვარტალურად წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ანალიზს. ელექტრონული ხაზინის სისტემაში ასახული ინფორმაცია ხარჯების შესახებ მოიცავს როგორც ვალდებულებებს, ასევე გადახდებს.

28.1. ანგარიშების შესადარისობა და მოცვა

307. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლების შესაბამისად, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველკვარტალური ანგარიშები მზადდება საკასო მეთოდის საფუძველზე და ქვეყნდება ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე. ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველთვიური ანგარიშები ძირითადად ასევე მზადდება მენეჯმენტის მიზნებისთვის. ეს

ანგარიშები მოიცავს ცენტრალური მთავრობის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას. თითოეული კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს წარუდგენს ყოველკვარტალურ ანგარიშს ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელიც შეიცავს:

- მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შემოსავლების, პროგრამული კლასიფიკაციით ხარჯების, ფუნქციონალური კლასიფიკაციით ხარჯების და ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილების შესახებ; და
- ინფორმაციას სახელმწიფო ვალის, საინვესტიციო პროექტების შესრულების, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის, წინა პერიოდის დავალიანების დაფარვის, მიზნობრივი გრანტების, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების კონსოლიდირებული ბალანსების და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ინდიკატორების შესახებ.

308. კვარტალურ ანგარიშთან ერთად, ფინანსთა სამინისტრო ამზადებს შუალედურ ანგარიშს ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ეს ანგარიში, ყოველკვარტალურ ანგარიშებში შემავალ ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად, ასევე შეიცავს ბიუჯეტის შესრულების საშუალოვადიან მიმოხილვას.

309. კლასიფიკაცია ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში ემყარება GFSM 2001 -ს. 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ელექტრონული ბიუჯეტის სისტემა ინტეგრირებულია ელექტრონული ხაზინის სისტემასთან, სადაც მოცული და აღრიცხულია ხარჯების გეგმები. ეს ინტეგრირებული სისტემები შესაძლებელს ხდის წლის განმავლობაში ყოველთვიური, ყოველკვარტალური და ასევე წლიური ანგარიშების კონსოლიდაციას და მომზადებას. შეფასება: A.

28.2. შიდა წლიური ანგარიშების ვადები

310. ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშები მზადდება ყოველკვარტალურად და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ოთხი კვირის ვადაში წარედგინება პარლამენტს⁹¹. ეს ანგარიშები ასევე ქვეყნდება ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე. ფინანსთა სამინისტრო ასევე ამზადებს ბიუჯეტის ყოველთვიური შესრულების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშს თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში⁹², რომელიც ქვეყნდება მის ვებგვერდზე. შეფასება: B.

28.3. შიდა წლიური ანგარიშების სიზუსტე

311. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებთან საუბრიდან გამომდინარე, მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებით არ არსებობს არსებითი შენიშვნები. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი საფინანსო - საბიუჯეტო

⁹¹<http://mof.ge/4951>

⁹²<http://treasury.ge/5535>; <http://treasury.ge/5274>

კომიტეტს ყოველკვარტალურად წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ანალიზს. ამასთან ერთად, ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებში, ქმნის საფუძველს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისთვის, რომლის შემოწმებასაც ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ელექტრონული ხაზინის სისტემაში ხარჯების შესახებ ასახული ინფორმაცია მოიცავს როგორც ვალდებულებებს, ასევე გადახდებს. შეფასება: A.

PI - 29. წლიური ფინანსური ანგარიშები

312. ეს ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად სრული და დროულია წლიური ფინანსური ანგარიშგებები და რამდენად შეესაბამება ისინი საყოველთაოდ აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს და სტანდარტებს. შეფასების დროის პერიოდი არის გასული დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორის ფარავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2017 შეფასება		შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 29: წლიური ფინანსური ანგარიშები	B +	D + ⁹³	
29.1 წლიური ფინანსური ანგარიშების ყოვლისმომცველობა	A	B	ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველწლიურად მზადდება და ედრება დამტკიცებულ ბიუჯეტს. ის შეიცავს ინფორმაციას სულ მცირე შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. ამასთან ერთად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის მზადდება ყოველწლიურად და ედრება დამტკიცებულ ბიუჯეტს. ისინი შეიცავს სრულ ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური და მატერიალური აქტივების, ვალდებულებების, გარანტიების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. ფინანსურ ანგარიშებს ახლავს შეჯერებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. 2014 და 2015 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავდა სრულ ინფორმაციას შემოსავლების და მატერიალური აქტივების (ფინანსური აქტივების) შესახებ.
29.2 ანგარიშების წარდგენა გარე აუდიტისთვის	B	D*	სახელმწიფო კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა არ ხდება გარე აუდიტორული შემოწმებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება წარმოებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, არ არსებობს ინფორმაცია, თუ როდის მოხდა მათი წარდგენა გარე აუდიტისთვის. წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში აუდიტს წარედგინება სამი თვის ვადაში.
29.3 ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები	B	C	სახელმწიფო წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოიყენება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS). საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის ამ სტანდარტებს. 2016 წლისთვის, IPSAS სტანდარტების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 23% იყო დანერგილი (40

⁹³ამ ინდიკატორის შეფასების კრიტერიუმები მოდიფიცირებულ იქნა PEFA 2016 -თვის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ფინანსური ანგარიშგებების შესამოწმებლად წარდგენის შესახებ მტკიცებულების არარსებობა წარმოადგენს მთავარ მიზეზს ამ ინდიკატორის შეფასებისთვის, რომელიც არის D+.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)	
	2017შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
	თვითშეფასება	ვალიდაცია
		სტანდარტიდან 9). 2017 წლის განმავლობაში დანერგული სტანდარტების რაოდენობა 16-მდე გაიზარდა.

29.1. წლიური ფინანსური ანგარიშების ყოვლისმომცველობა

313. წლიური ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მომზადებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 53 და 55 - 58 მუხლების შესაბამისად. ანგარიში წარედგინება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ფისკალური წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში, რომელიც შემდეგ გამოსცემს აუდიტორულ დასკვნას და წარუდგენს მას პარლამენტს ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში. ანგარიში შეიცავს შემდეგ ინფორმაციას 56 -ე მუხლის შესაბამისად: :

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს (რომელიც მოიცავს ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;
- გ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- დ) სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- ე) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- ვ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;
- ზ) ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის დაუფარავი სახელმწიფო ვალების და მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების შესახებ);
- თ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;

ო) ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

314. ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და წარდგენა რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციით. ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მზადდება ყოველწლიურად სახაზინო სამსახურის მიერ, ფისკალური წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში და ქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე. თუმცა, არ ხდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მათი აუდიტორული შემოწმება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შედარება ხდება დამტკიცებულ ბიუჯეტთან. ისინი შეიცავს სრულ ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური და მატერიალური აქტივების, ვალდებულებების, გარანტიების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. ფინანსურ ანგარიშებს ახლავს შეჯერებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. 2014 და 2015 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავდა სრულ ინფორმაციას შემოსავლების და მატერიალური აქტივების (არაფინანსური აქტივების) შესახებ.

315. 2014 – 2016 წლების სახელმწიფო კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგებები შეიცავდა:

- ანგარიშს ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- ანგარიშს ფინანსური შედეგების შესახებ;
- ანგარიშს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ;
- ანგარიშს კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
- ანგარიშს დაგეგმილი და ფაქტიური თანხების შედარების შესახებ; და
- ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

316. ანალიზისა და დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე ამ ქვეინდიკატორის შეფასებაა B.

29.2 ანგარიშების წარდგენა გარე აუდიტისთვის

317. სახელმწიფო წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტისთვის არ წარედგინება. თუმცა, საბიუჯეტო ორგანიზაციები ამზადებენ თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებებს და მათ ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ 3 თვის ვადაში ხარისხის შესამოწმებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციების მოთხოვნებთან. თუ ადგილი აქვს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობას, ფინანსთა სამინისტროს შეუძლია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ მოახდინოს რეაგირება,

რაც მოიცავს ასევე დაფინანსების შეწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება ხორციელდება, ფინანსთა სამინისტრო არ აღრიცხავს, თუ როდის ხდება მათი აუდიტისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარდგენა. სამინისტრო თვლის, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შეუძლია ფინანსური ანგარიშგებების მოპოვება მის მიერ აუდიტის განხორციელების საჭიროების შემთხვევაში. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა აუდიტისთვის წარმოებს ფისკალური წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში. შეფასება: D*.

29.3. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები

318. ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგებების მომზადება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად (დარიცხვის მეთოდის საფუძველზე) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ სახელმწიფო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოიყენება ზემოაღნიშნული სტანდარტები. 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფისკალური წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენებული იყო ჯამში 9 სტანდარტი (40 სტანდარტის 23%) რაც მოიცავს: (i) სსბასს (IPSAS) 2 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება; (ii) სსბასს (IPSAS) 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები; (iii) სსბასს (IPSAS) 4 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები; (iv) სსბასს(IPSAS) 6 - კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება; (v) სსბასს(IPSAS) 13 - იჯარა; (vi) სსბასს(IPSAS) 19 - ანარცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები; (vii) სსბასს(IPSAS) 22 - სახელმწიფო მმართველობის სექტორის შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება; (viii) სსბასს(IPSAS) 23 - შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები); და (ix) სსბასს(IPSAS) 24 - ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.

319. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფისკალური წლისთვის, სახელმწიფო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებში გამოყენებული სსბასს(IPSAS) სტანდარტების რაოდენობა ცხრიდან თექვსმეტამდე გაიზარდა⁹⁴. ეს წარმოადგენს სსბასს (IPSAS) სტანდარტების მთლიანი რაოდენობის 40%-ს. სსბასს(IPSAS) სტანდარტების დანერგვა მიმდინარეობს და დაგეგმილია 2020 წლისთვის სსბასს(IPSAS) დარიცხვის პრინციპთან შესაბამისობის მიღწევა. ეს

⁹⁴თექვსმეტი სტანდარტი შეიცავს 2016 ფისკალური წლის განმავლობაში დანერგულ 9 სტანდარტს და ასევე შემდეგს: სსბასს (IPSAS) 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა; სსბასს(IPSAS) 5—სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები; სსბასს(IPSAS) 9— შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან; სსბასს(IPSAS) 14—ანგარიშგების თარიღის შემდგომი ოპერაციები; სსბასს(IPSAS) 16— საინვესტიციო ქონება; სსბასს (IPSAS) 36 მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობაში ინვესტიციები; და სსბასს(IPSAS) 37 - ერთობლივი შეთანხმებები.

მოითხოვს ელექტრონული ხაზინის სისტემის გაუმჯობესებას და პერსონალის ტრენინგის ორგანიზებას ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში. შეფასება: C.



მეშვიდე ბლოკი: გარე შეფასება და აუდიტი

PI - 30. გარე აუდიტი

320. ეს ინდიკატორი სწავლობს გარე აუდიტის მახასიათებლებს. შეფასების დროის პერიოდი არის უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წელი. ეს ინდიკატორი ფარავს ცენტრალურ მთავრობას.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		შეფასების მოკლე დასაბუთება
	2017 შეფასება		
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
PI - 30: გარე აუდიტი	A	B +	
30.1 აუდიტის მასშტაბი და სტანდარტები	A	A	ცენტრალური მთავრობის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს შემოსავლებს, ხარჯებს, აქტივებს და ვალდებულებებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში, ფინანსური ანგარიშგებების და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშის აუდიტი ხორციელდება აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) გამოყენებით. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიშით აუდიტის დაფარვა 2014, 2015 და 2016 ფისკალური წლებისთვის შესაბამისად იყო 96%, 94% და 91 %
30.2 საკანონმდებლო ორგანოში აუდიტის ანგარიშების წარდგენა	A	A	უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკანონმდებლო ორგანოს წლიური ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარუდგინა სამსახურის მიერ ანგარიშის მიღებიდან სამი თვის ვადაში. ცენტრალური მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტი არ განხორციელებულა,

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)		
	2017 შეფასება		
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
			რამდენადაც ისინი არ ყოფილა წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ. ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი განხორციელდა, მაგრამ ამ ქვეინდიკატორის შეფასების მიზნით, ისინი სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად არ იყო წარდგენილი. ეს საკითხი ცალკეა შეფასებული PI - 29.2 თავში.
30.3 გარე აუდიტის შედეგების რეალიზაცია	A	B	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციები ასრულებენ აუდიტის რეკომენდაციებს. ყოველ ექვს თვეში ერთხელ წარმოებს მათი შესრულების მონიტორინგი და ინფორმაცია აისახება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ), რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს. ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციებზე რეაგირების საშუალო მაჩვენებელი 2014 – 2016 ფისკალურ წლებში 85% იყო.
30.4 აუდიტის უმაღლესი ორგანოს დამოუკიდებლობა	A	A	სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან გენერალური აუდიტორის დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურებთან დაკავშირებით, ასევე აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვასთან, ანგარიშების გამოქვეყნების ორგანიზებასთან და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცებასა და შესრულებასთან მიმართებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შეუზღუდავი და დროული წვდომა აქვს აუდიტის სუბიექტების (საბიუჯეტო ორგანიზაციების) ჩანაწერებთან, დოკუმენტებთან და ინფორმაციასთან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს კანონით სახელმწიფო აუდიტის შესახებ.

30.1. აუდიტის მასშტაბი და სტანდარტები

321. ცენტრალური მთავრობის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს შემოსავლებს, ხარჯებს, აქტივებს და ვალდებულებებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 26 -ე მუხლის შესაბამისად, უკანასკნელი სამი ფისკალური წლისთვის (2014 - 2016) ფინანსური ანგარიშგებების და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშის აუდიტი ხორციელდება აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) გამოყენებით. ფინანსური და შესაბამისობის

აუდიტი ხორციელდება ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიის (ISSAI 1000 - 2999) და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის (ISSAI 4000 - 4200) მიხედვით, რომლებიც ეყრდნობა რისკზე დამყარებულ მიდგომას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2011 წლიდან ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ISSAI სტანდარტებთან შესაბამისობას, ISSAI 40-ის (აუდიტის უმაღლესი ორგანოებისთვის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით), ISSAI 1220-ის (ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით) და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC 1) მიხედვით. 2014 - 2016 ფისკალური წლების განმავლობაში, აუდიტმა დაფარა სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 94% და ეს ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში⁹⁵. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს 2018 - 2022 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც წარმართავს რეფორმების დღის წესრიგს. სტრატეგია მოიცავს ISSAI -სთან შესაბამისობის შეფასებას.

322. შეფასებული სამი წელი ნაჩვენებია ქვევით წარმოდგენილ ცხრილში:

ცხრილი 30.1.1 გარეა აუდიტის მოცვა, ათასი ლარი			
	2014	2015	2016
სახელმწიფო ბიუჯეტი	9,009,812	9,703,127	10,292,234
აუდიტირებული თანხა	8,653,425	9,092,180	9,367,938
დაფარვა %	96 %	94 %	91 %

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

323. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე მოამზადა ანგარიშები მთავრობის 2014–2016 წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშთან მიმართებაში. ის განსაზღვრავს არსებით საკითხებს და სისტემურ და კონტროლის რისკებს, როგორც აღწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 30.1.2 აუდიტის არსებითი საკითხები და რეკომენდაციები			
	2014	2015	2016
რელევანტური არსებითი სისტემური კონტროლის რისკების რაოდენობა	65	11	11
შემუშავებული რეკომენდაციების რაოდენობა	44	51	40

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

324. 2014 – 2016 ფისკალურ წლებში, ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტორული შემოწმებების (შესაბამისობის და ფინანსური) და ეფექტიანობის აუდიტის რაოდენობა ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

⁹⁵სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 190-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-19 და 57-ე მუხლების თანახმად.

ცხრილი 30.1.3 აუდიტორული ანგარიშების რაოდენობა			
აუდიტორული შემოწმებები	2014	2015	2016
სულ აუდიტორული შემოწმებების რაოდენობა	30	46	31
საიდანაც პარლამენტისთვის წარდგენილია შემდეგი:			
იგივე საანგარიშო წელი	13	24	5
მომდევნო საანგარიშო წელი	17	22	26

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

325. ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში წარდგენილი აუდიტორული შემოწმების ანგარიშების თაობაზე მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 30.1.4 აუდიტორული შემოწმების ანგარიშების წარდგენა პარლამენტისთვის				
	2014	2015	2016	2017
ანგარიშები გასული საანგარიშო წლიდან	3	17	22	26
ანგარიშები იმავე საანგარიშო წლიდან	13	24	5	
სულ პარლამენტისთვის წარდგენილი აუდიტორული შემოწმების ანგარიშები	16	41	27	

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

326. ინფორმაცია პარლამენტისთვის წარდგენილი აუდიტორული ანგარიშების (სახეების მიხედვით) შესახებ შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 30.1.5 აუდიტორული დასკვნების სახეები			
	2014	2015	2016
ფინანსური აუდიტი– არაკვალიფიცირებული დასკვნა	0	1	0
ფინანსური აუდიტი– კვალიფიცირებული დასკვნა	7	17	8
შესაბამისობის აუდიტი	5	17	14
ეფექტიანობის აუდიტი	4	6	5
სულ პარლამენტისთვის წარდგენილი აუდიტორული დასკვნები	16	41	27

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

327. განხორციელებული ანალიზისა და დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე შეფასება ამ ქვეინდიკატორისთვის არის A.

30.2. საკანონმდებლო ორგანოში აუდიტის ანგარიშების წარდგენა

328. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად,⁹⁶ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიში მზადდება ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ხუთი თვის ვადაში. 2014 - 2016 ფისკალური წლების ანგარიშები წარდგენილ იქნა დროულად, როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები:

ცხრილი 30.2 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ			
	2014	2015	2016
ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ანგარიშის წარდგენის თარიღი	31 მარტი, 2015	30 მარტი, 2016	31 მარტი, 2017
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პარლამენტისთვის ანგარიშის წარდგენის თარიღი	15 მაისი, 2015	13 მაისი, 2016	15 მაისი, 2017

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

329. არ ჰქონია ადგილი ცენტრალური მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტორულ შემოწმებას, რამდენადაც ისინი არ ყოფილა წარდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ. ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი განხორციელდა, მაგრამ ისინი ოფიციალურად არ ყოფილა წარდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ამ ქვეინდიკატორის შესაფასებლად (იქედან გამომდინარე, რომ არ არის დაფიქსირებული, თუ როდის მოხდა ფინანსური ანგარიშგებების მიღება). ეს საკითხი ცალკეა შეფასებული PI - 29.2 თავში. შეფასება: A.

30.3. გარე აუდიტის შედეგების რეალიზაცია

330. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება აუდიტის შედეგების რეალიზაცია. აუდიტის ანგარიშები და რეკომენდაციები უნდა წარედგინოს აუდიტის ობიექტს, ასევე შეიძლება წარედგინოს აუდიტის ობიექტის ზემდგომ ორგანოს ან იმ სახელმწიფო ორგანოს, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია აუდიტის ობიექტი. რეკომენდაციის შესაბამისად გატარებული ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტის ობიექტის მიერ უნდა ეცნობოს 1 თვეში. განსახორციელებელი ღონისძიებები აღნიშნულია მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ შემუშავებულ გეგმაში, რომელიც თან ახლავს ოფიციალურ წერილს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური აწარმოებს რეკომენდაციების განხორციელების მონიტორინგს ყოველ ექვს თვეში ერთხელ. ის შემდეგ ახორციელებს რეკომენდაციების კლასიფიკაციას როგორც შეუსრულებელ, ნაწილობრივ შესრულებულ, შესრულებულ ან არარელევანტურ რეკომენდაციებად.

⁹⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 55, პუნქტი 2.

331. 2014-2016 ფისკალურ წლებში, ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციებში ჩატარებული ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის დასკვნებით გაცემული რეკომენდაციების დაახლოებით 85% არის შესრულებული. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვევით ცხრილში:

ცხრილი 30.4.1 სულ განხორციელებული რეკომენდაციები(სისტემური რისკების ჩათვლით)			
	2014	2015	2016
რეკომენდაციები	495	504	456
შესრულებული რეკომენდაციები	421	431	382
შესრულებული რეკომენდაციების % წილი	85 %	86 %	84 %
საშუალო	85 %		

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

332. ზემოაღნიშნული რეკომენდაციებიდან, საბიუჯეტო ორგანიზაციების სისტემურ რისკებთან⁹⁷ დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების საშუალო მაჩვენებელი 2014 - 2016 ფისკალურ წლებში შეადგენდა 12%-ს, როგორც ნაჩვენებია ქვევით მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 30.4.2 სისტემური რისკები და რეკომენდაციები			
	2014	2015	2016
რისკები	65	110	110
რეკომენდაციები	44	55	40
შესრულებული რეკომენდაციები	10	7	0
შესრულების პროცესში რეკომენდაციები	22	29	33
შესრულებული რეკომენდაციების %	23 %	13 %	0 %

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

333. განხორციელებული ანალიზისა და დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე ამ ქვეინდიკატორის შეფასებაა B.

30.4. აუდიტის უმაღლესი ორგანოს დამოუკიდებლობა

334. საქართველოს კონსტიტუციის 97 (2) მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს ოპერაციული, ფინანსური, ფუნქციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. გენერალურ აუდიტორს⁹⁸ ხუთი წლის

⁹⁷საბიუჯეტო ორგანიზაციების აღნიშნული სისტემური რისკები შეჯამებულია სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების თაობაზე მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში.

⁹⁸საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ მუხლი 9, პუნქტი 1, გენერალური აუდიტორი.

ვადით ნიშნავს პარლამენტი, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მისი წარდგენის და დასახელებულ კანდიდატებს შორის პარლამენტის წევრთა ხმების უმრავლესობის მოპოვების შემდეგ. საქართველოს კონსტიტუციის 64 -ე მუხლის შესაბამისად, გენერალური აუდიტორი შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან პარლამენტის მიერ მისთვის უნდობლობის გამოცხადების შემდეგ. გენერალურ აუდიტორს შეუძლია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლების დანიშვნა და გათავისუფლება⁹⁹.

335. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ უზრუნველყოფს ხელისუფლების აღმასრულებელი შტოსგან სამსახურის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვის თვალსაზრისით¹⁰⁰, ანგარიშების გამოქვეყნების მექანიზმებთან დაკავშირებით¹⁰¹, და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცებასთან და შესრულებასთან მიმართებით¹⁰². სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს შეუზღუდავი და დროული წვდომა ჩანაწერებთან, დოკუმენტებთან და ინფორმაციასთან.¹⁰³ შეფასება: A.

PI - 31. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმება

336. ეს ინდიკატორი ფოკუსირებულია ცენტრალური მთავრობის (ინსტიტუციური ერთეულების ჩათვლით) აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმებაზე, იმ თვალსაზრისით, რომ მათ (ა) კანონით მოეთხოვებათ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენა; ან (ბ) მათი ზემდგომი ან მაკონტროლებელი ერთეული უნდა პასუხობდეს კითხვებს და ახორციელებდეს ქმედებებს მათი სახელით. შეფასების დროის პერიოდი არის უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორი ფარავს ცენტრალურ მთავრობას.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M2 მეთოდი)	
	2017 წლის შეფასება	
	თვითშეფასება	ვალიდაცია
PI - 31: აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმება	A	C+
31.1 აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმების ვადები	A	C

⁹⁹საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 10 პუნქტი (დ), გენერალური აუდიტორის უფლებამოსილება

¹⁰⁰საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 17, პუნქტი 3, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება

¹⁰¹საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 25, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

¹⁰² საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 34, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაფინანსება

¹⁰³საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 23, პუნქტი 2 და 3, აუდიტის ობიექტის უფლებები და პასუხისმგებლობები

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 მეთოდი)		
	2017 წლის შეფასება		
	თვითშეფასება	ვალიდაცია	
			პარლამენტმა დაასრულა ანგარიშების მიღებიდან ორი თვის ვადაში (100 % შემოწმდა დროულად). ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების საშუალოდ 20% შემოწმდა 2014 – 2016 ფისკალურ წლების განმავლობაში. ანგარიშები 2014–2015 ფისკალური წლებისთვის შემოწმდა 3 თვის ვადაში, ხოლო 2016 ფისკალური წლის შემოწმდა მიღებიდან 6 თვის განმავლობაში. პარლამენტის მიერ აუდიტორული ანგარიშების აღნიშნული ორი კატეგორიის შემოწმების საშუალოდ მაჩვენებელია 60%.
31.2 აუდიტის მიგნებების განხილვა	B	C	აუდიტორული შემოწმების ანგარიშების ძირითადი მიგნებების შესახებ სიღრმისეული მოსმენა წარმოებს აუდიტორული შემოწმების ობიექტების პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით. 2014 - 2016 ფისკალური წლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების 100% იქნა მოსმენილი. ცენტრალური მთავრობის ორგანიზაციების აუდიტორული ფინანსური ანგარიშგებებისთვის 2014–2016 ფისკალური წლებისთვის 32 აუდიტორული ანგარიშიდან (რომლებზეც გაცემული იყო კვალიფიცირებული ან უარყოფითი დასკვნები ან დასკვნის გაცემაზე უარი) მხოლოდ ორთან დაკავშირებით ჩატარდა მოსმენა, რაც შეადგენს 6%-ს. საშუალო ეფექტიანობა იყო 53%.
31.3 საკანონმდებლო ორგანოს მიერ აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	A	C	2014–2015 ფისკალური წლების განმავლობაში პარლამენტი არ აწარმოებდა აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. პარლამენტმა მონიტორინგის განხორციელება დაიწყო 2016 წლის აპრილში. 2016 ფისკალური წლის განმავლობაში 30 რეკომენდაციიდან 15 (ანუ 50 %) შესრულდა.
31.4 აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვების საჯაროობა	A	A	განხილვები ტარდება საჯაროდ, გარდა ეროვნულ უსაფრთხოებასთან ან მსგავს სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებული დისკუსიებისა. კომიტეტის ანგარიშები მიეწოდება პარლამენტის სრულ შემადგენლობას და ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

31.1. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმების ვადები

337. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიშის ასლები პარლამენტმა უნდა მიაწოდოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტს, ყველა სხვა კომიტეტს და პარლამენტის წევრებს მიღებიდან სამი დღის ვადაში. პარლამენტი, ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტის ანგარიშებს მიღებისთანავე განსახილველად წარუდგენს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტს.

338. ანგარიშის მიღებიდან 2 დღის ვადაში, წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიშის განსახილველად, პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი განსაზღვრავს გრაფიკს და წარუდგენს საპარლამენტო კომიტეტებს, პარლამენტის უმრავლესობის და უმცირესობის წევრებს, ისევე როგორც მთავრობას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველოს ეროვნულ ბანკს.

339. პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი 2 კვირის ვადაში განიხილავს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიურ ანგარიშს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს. საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე (ივნისის ბოლო პარასკევამდე) პარლამენტი იღებს დადგენილებას წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. 2014–2016 ფისკალური წლებისთვის აღნიშნული ანგარიშების პარლამენტის მიერ დამტკიცების ანალიზი ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მიუთითებს, რომ მათი დამტკიცება განხორციელდა ანგარიშების მიღებიდან ორი თვის ვადაში:

ცხრილი 31.1.1 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ			
	2014	2015	2016
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პარლამენტისთვის ანგარიშის წარდგენის თარიღი	15 მაისი, 2015	13 მაისი, 2016	15 მაისი, 2017
პარლამენტის მიერ განხილული ანგარიშის დამტკიცების თარიღი	3 ივლისი, 2015	23 ივნისი, 2016	30 ივნისი, 2017

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური და პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი

340. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორულ შემოწმებას და ახორციელებს ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტს. ქვევით წარმოდგენილი ცხრილი აჩვენებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარდგენილი აუდიტორული შემოწმების ანგარიშების რაოდენობას და იმ ანგარიშების რაოდენობას, რომელთა საკანონმდებლო განხილვებიც ჩატარდა 2014–2016 ფისკალურ წლების განმავლობაში.

ცხრილი 31.1.2 წარდგენილი და განხილული აუდიტორული ანგარიშები			
ფისკალური წელი	2014	2015	2016

ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმებების ჯამური რაოდენობა	16	41	27
პარლამენტის მიერ განხილული ანგარიშების რაოდენობა	6	3	8
განხილული აუდიტორული ანგარიშების პროცენტული წილი	38 %	7 %	30 %
აუდიტორული ანგარიშების საკანონმდებლო განხილვისთვის საჭირო დრო (პარლამენტის მიერ ანგარიშების მიღების დღიდან)	0 - 3 თვე	0 - 1 თვე	3 - 6 თვე

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური და პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი

341. შედეგები მიუთითებს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშების მთლიანი რაოდენობიდან (სულ 84 ანგარიში) 2014 – 2016 ფისკალური წლების განმავლობაში ჩატარდა 17 ანგარიშის საკანონმდებლო განხილვა, რაც 20%-ს შეადგენს. 2015 წელს შეიქმნა პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დებულების მე-7 და მე-9 მუხლების თანახმად, უფლებამოსილია განსაზღვროს აუდიტორული ანგარიშების პრიორიტეტულობა და აარჩიოს კომიტეტის მიერ განსახილველი ანგარიშები. 2016 ფისკალური წლისთვის აღნიშნული სამუშაოს შესახებ მტკიცებულება არსებობს, თუმცა უნდა განიმარტოს შერჩევების საფუძველი.

342. წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის (რომელიც ორი თვის ვადაში განხორციელდა და 100% შემოწმდა დროულად) და ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების შემოწმების, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის (20% შემოწმდა) საშუალო მაჩვენებელი იყო 60%. შეფასება: C.

31.2. აუდიტორული მიგნებების განხილვა

343. წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის ძირითადი მიგნებების მოსმენა 2014–2016 ფისკალური წლებისთვის ჩატარდა პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტში, აუდიტის ობიექტი ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი ესწრებოდა ამ მოსმენებს.

344. ასევე ჩატარდა ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტორული ფინანსური ანგარიშგებების განხილვები. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი

მიუთითებს აუდიტორული ანგარიშების რაოდენობას კვალიფიცირებული, უარყოფითი დასკვნებით ან დასკვნის გაცემაზე უარით. ცხრილში ასევე მოცემულია პარლამენტში განხილული ანგარიშების რაოდენობა. 2014–2016 ფისკალური წლების განმავლობაში, 32 უარყოფითი (კვალიფიციური) აუდიტორული ანგარიშიდან მხოლოდ 2 აუდიტორული ანგარიში (6 %) იქნა განხილული .

ცხრილი 31.2 კვალიფიციური დასკვნის მქონე აუდიტორული ანგარიშების შემოწმება			
ფისკალურიწელი	2014	2015	2016
აუდიტორული ანგარიშების რაოდენობა კვალიფიციური, ანუ უარყოფითი დასკვნით ან უარით დასკვნის გაცემაზე	7	17	8
განხილულ იქნა პარლამენტის მიერ	1	0	1

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური და პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი

345. ორი მოსმენის შედეგები გათვალისწინებულ იქნა შეფასების განსაზღვრის პროცესში. 2014 – 2016 წლებისთვის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში 100%-ით იქნა მოსმენილი. რაც შეეხება ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტის ანგარიშებს (კვალიფიციური დასკვნებით), 32 ანგარიშიდან მხოლოდ 2-ის (6 %) მოსმენა განხორციელდა 2014 – 2016 ფისკალური წლებისთვის. საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 53%. შეფასება: C.

31.3. საკანონმდებლო ორგანოს მიერ აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

346. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი არ იყო მზად 2015 ფისკალური წლისთვის რეკომენდაციების გასაცემად. 2016 წლის აპრილში, კომიტეტის სამუშაო ჯგუფმა დაიწყო პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის დახმარება აუდიტის ანგარიშის რეკომენდაციების საპასუხოდ, შემდგომი ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით. პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი აუდიტის ობიექტს აძლევს 90 დღეს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარსადგენად. კომიტეტის სამუშაო ჯგუფი დებულების მე-20 მუხლის თანახმად ყოველთვიურად აკვირდება აუდიტის ობიექტის მიერ რეკომენდაციების შესრულებაში მიღწეულ პროგრესს და კომიტეტს აწვდის ყოველკვარტალურ ანგარიშებს. 2016 ფისკალური წლის განმავლობაში, განხილული რვა აუდიტორული ანგარიშში მოცემული 30 რეკომენდაციიდან 15 რეკომენდაცია (50%) შესრულდა. შეფასება: C.

31.4. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვების საჯაროობა

347. საპარლამენტო მოსმენები საჯაროა¹⁰⁴, ეროვნული უსაფრთხოების ან მსგავსი სენსიტიური დისკუსიების გარდა. პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი თავის ანგარიშებს აწვდის პარლამენტის სრულ შემადგენლობას და მისი ანგარიშები ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე. წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების მოსმენებთან დაკავშირებული ვებგვერდების ბმულები 2014 - 2016 ფისკალური წლებისთვის წარმოდგენილია ქვევით:

- 2014 ფისკალური წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში: [https:// info.parliament.ge/ #law - drafting/ 9372](https://info.parliament.ge/#law-drafting/9372)
- 2015 ფისკალური წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში: [https:// info.parliament.ge/ #law - drafting/ 12060](https://info.parliament.ge/#law-drafting/12060)
- 2016 ფისკალური წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში: [https:// info.parliament.ge/ #law - drafting/ 13934](https://info.parliament.ge/#law-drafting/13934)

348. ქვემოთ მოცემული ცხრილი უჩვენებს ცენტრალურ მთავრობასთან დაკავშირებით აუდიტის ანგარიშის სახეებს, რომლებისთვისაც ჩატარდა მოსმენები :

ცხრილი 31.4 მოსმენები აუდიტის ტიპის მიხედვით			
ფისკალური წელი	2014	2015	2016
მოსმენები ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშებთან დაკავშირებით	4	3	6
მოსმენები საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური აუდიტის ანგარიშებთან დაკავშირებით	1	0	1
მოსმენები საბიუჯეტო ორგანიზაციების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშებთან დაკავშირებით	1	0	1
სულ აუდიტის ანგარიშების რაოდენობა, რომლებისთვისაც ჩატარდა მოსმენა	6	3	8

წყარო: პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი

349. განხორციელებული ანალიზისა და დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე ამ ქვეინდიკატორის შეფასებაა A.

¹⁰⁴ მოსმენების პირდაპირ ეთერში ტრანსლაცია წარმოებს პარლამენტის ვებგვერდზე და ტელევიზიით. სესიების აუდიოჩანაწერები ატვირთულია ვებგვერდზე, ხოლო ზოგიერთი ჩანაწერი YouTube -ზე.

4. საჯარო ფინანსების მართვის სისტემების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები

4.1 ეფექტიანობის ინდიკატორების მიხედვით ინტეგრირებული შეფასება

ბიუჯეტის სანდოობა

350. შემოსავლების შესახებ ზუსტი პროგნოზების მომზადებასთან დაკავშირებული გამოწვევები დაძლეულ იქნა უკანასკნელ წლებში, რაც დასტურდება მაღალი შეფასებებით და მიუთითებს, რომ ფაქტიური შემოსავლები ახლოსაა საპროგნოზო მაჩვენებლებთან როგორც აბსოლუტური (შეფასება A), ისე სტრუქტურული (შეფასება B) თვალსაზრისით. შედეგად, ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების ნაწილს ასევე მიენიჭა შეფასება A, ისევე როგორც ხარჯების სტრუქტურულ შესრულება ადმინისტრაციული ტიპის (შეფასება A) და ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით (შეფასება A). ეს საერთო შედეგი მიღწეულ იქნა ხარჯების სხვადასხვა მუხლებს შორის სახსრების გადანაწილების ძლიერი მხარეების (შეფასება A) და დამატებითი ბიუჯეტების არსებობის კონტექსტში (შეფასება A). აღნიშნული ძლიერი მხარეები აისახა შეფასებებში. ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობასთან შესაბამისობის მიზნით, საბიუჯეტო ასიგნებების კონტროლის პროცესი გამყარებული იყო ფულადი სახსრების ადეკვატური პროგნოზებით (შეფასება A), რომელთა პირობებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციებს ჰქონდა მკაფიო ინფორმაცია ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით თავიანთი ბიუჯეტების დაგეგმილის შესაბამისად შესასრულებლად (შეფასება A).

351. დაგროვილი დავალიანება უმნიშვნელო (შეფასება A) და ძველია, მიმდინარე დავალიანების დაგროვების გარეშე. ვალდებულებების კონტროლი საკმაოდ ძლიერია, რაც უზრუნველყოფს დავალიანების ხელახალი წარმოშობის პრევენციას.

საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა

352. საქართველოს აქვს ინფორმაციის შთამბეჭდავი მოცულობა ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსებთან დაკავშირებით. ანგარიშთა გეგმა, რომელიც საფუძვლად უდევს ბიუჯეტის მომზადებას, შესრულებას და ანგარიშგებას, ყოვლისმომცველია და შეესაბამება GFS სტანდარტებს (შეფასება A). ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის განისაზღვრება გამჭვირვალედ (შეფასება A) როგორც კაპიტალური, ისე მიმდინარე ტრანსფერებისთვის. ინფორმაციის შეტანა ბიუჯეტში ხდება დროულად. შედეგად, საბიუჯეტო დოკუმენტები შეიცავს საბაზისო ინფორმაციის უმეტესობას და ასევე დამატებითი ინფორმაციის დიდ ნაწილს, რომელიც საჭიროა გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის მხარდასაჭერად (შეფასება B). ეს შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესდეს ფინანსური აქტივების და პოლიტიკასთან დაკავშირებული ახალი ინიციატივების ფისკალური გავლენის შესახებ ინფორმაციის შეტანით.

353. არსებობს სრული ინფორმაცია საჯარო უწყებების ოპერაციებთან დაკავშირებით, რამდენადაც ის შეტანილია საბიუჯეტო დოკუმენტაციაში. მხარჯავი ორგანიზაციების

შემოსავლების და ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლების და მათ დაფინანსებაზე მყოფი უწყებების გაერთიანებით, მთელი მთავრობა მოცულია საბიუჯეტო დოკუმენტებში. ინფორმაცია საქმიანობის გეგმების და მომსახურების გაწევის შუალედური და საბოლოო შედეგების მიღწევების შესახებ სამთავრობო სექტორების მიხედვით ძალიან კარგია (შეფასება A).

354. საჯარო წვდომა ფისკალურ ინფორმაციასთან ძლიერია (შეფასება A), და უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ელემენტის ხელმისაწვდომობა.

აქტივების და ვალდებულებების მართვა

355. სახელმწიფო ინვესტიციების პროგრამების მართვას აკლია ყოვლისმომცველი და ინკლუზიური პროცესი, სადაც ყველა ქვეინდიკატორმა მიიღო შეფასება C. სახელმწიფო კომპანიებთან დაკავშირებული რისკების შესახებ ანგარიშგება (შეფასება B), და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები (შეფასება B) სარგებელს მიიღებენ ყოვლისმომცველი კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან. არსებობს ანგარიში პირობითი ვალდებულებების და სხვა ფისკალური რისკების (შეფასება B) შესახებ, რომელთა შეფასება შეიძლება გაუმჯობესდეს მათი უფრო ფართო დაფარვით. ვალის მართვის ორი ქვეინდიკატორი იღებს A შეფასებას და როგორც კი მოხდება ვალის მართვის სტრატეგიის (შეფასება D) დამტკიცება, რომლის შემუშავებაც ჯერ არ არის დასრულებული, ადგილი ექნება მტკიცე ფოკუსირებას ვალის მართვაზე.

პოლიტიკაზე დამყარებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება

356. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ყოვლისმომცველი საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოს შექმნის მიმართულებით პროგრამული ბიუჯეტირების საფუძველზე, შედეგებზე დამყარებული მიდგომისთვის. არსებობს ეფექტური საბიუჯეტო კალენდარი (შეფასება A), რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციებს ადეკვატური დროით უზრუნველყოფს თავიანთი ბიუჯეტების მოსამზადებლად, ისევე როგორც საკანონმდებლო ორგანოს თავისი შემოწმების ფუნქციის განსახორციელებლად. ხარჯების საშუალოვადიანი ბიუჯეტირება ხორციელდება მრავალწლიანი ჭერების გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არსებულ სამომავლო საპროგნოზო გათვლებს. ბიუჯეტის წარდგენა წარმოებს მომდევნო და მისი შემდგომი ორი ფისკალური წლისთვის (შეფასება A) საშუალოვადიანი ჭერების განსაზღვრაზე ფოკუსირებით, სტრატეგიული გეგმების და საშუალოვადიანი ბიუჯეტების შესაბამისად (შეფასება A). გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს წინა ფისკალური პროგნოზებისგან განსხვავების ახსნით (შეფასება B) და გასული პერიოდების ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლების ნებისმიერი ცვლილების განმარტებით (შეფასება D). ფისკალური სტრატეგიის გაუმჯობესებაზე გავლენა შეიძლება იქონიოს შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებული პოლიტიკის ცვლილების ფისკალური გავლენის საპროგნოზო გათვლების მომზადებამ (შეფასება D) და ფისკალური შედეგების შესახებ ანგარიშგებამ (შეფასება D). მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური სტრატეგიის მიღება კარგია (შეფასება B), ის შეიძლება გაუმჯობესდეს დროში გაწერილი ფისკალური სამიზნე მაჩვენებლებით.

ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი

357. შემოსავლების ადმინისტრირება ძლიერი პროცესია, მაგრამ გარკვეული შემზღუდველი გარემოებები არსებობს, განსაკუთრებით დაგროვილ დავალიანებასთან დაკავშირებით (შეფასება D). საგადასახადო სისტემა ემყარება ყოვლისმომცველ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულებების შესახებ. საგადასახადო სისტემა მხარდაჭერილია საინფორმაციო ბროშურებით, რომლებიც ხელმისაწვდომია „ონლაინ“ რეჟიმში და მომსახურების ცენტრების ოფისებში, მედია საშუალებებში, ტრენინგების და გადამხდელთა ცნობიერების ამაღლებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დროს. გასაჩივრების მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული კანონით, ორი დონის საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს არსებობით და სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობით (შეფასება A). საქართველოს შემოსავლების სამსახურმა შემოსავლების ადმინისტრირებაში დანერგა რისკზე დამყარებული მიდგომა და ეს პროცესი გამყარებულია კანონით დადგენილი ჯარიმებითა და სანქციებით. ის ახდენს გადამხდელთა სტრატეგიციერებას ბრუნვის საფუძველზე და მას უკავშირებს სხვა სისტემებს, როგორცაა მაგალითად შესყიდვები. საგადასახადო აუდიტის პროგრამა მოიცავს ყველა გადასახადს და შედგება აუდიტის გეგმის საფუძველზე ჩატარებული კამერალური და გასვლითი აუდიტისგან. ეს სისტემა მუშაობს (შეფასება A) და ეფექტი ამოღებული გადასახადებით ფასდება.

358. შემოსავლების მობილიზება შედარებით კარგად იმართება ხაზინაში ფინანსური სახსრების შედინების და ტრანზაქციების აღრიცხვის თვალსაზრისით. ყველა შემოსავლის გადარიცხვა მიმღები კომერციული ბანკებიდან ხაზინის ანგარიშზე წარმოებს ყოველდღიურად (შეფასება A). ყველა ანგარიშის შეჯერება ხორციელდება დროულად (შეფასება A), რამდენადაც ყველა გადამხდელს თავისი საკუთარი ელექტრონული ანგარიში (ე.წ. გადამხდელის ბარათი) აქვს. შემოსავლების სამსახური აწარმოებს გადახდილი თანხების შეჯერებას ერთიან სახაზინო ანგარიშთან და ეს ხორციელდება ყოველი თვის მე -15 დღეს (შეფასება A). ანგარიში შემოსავლების შესახებ ყოველთვიურად მზადდება მენეჯმენტის მიზნებისთვის (შეფასება A).

359. ფულადი სახსრების შემოდინების და გადინების პროგნოზის საფუძველზე, საქართველოს სახაზინო სამსახური ფულადი სახსრების ნაწილს განათავსებს კომერციულ ბანკებში ყოველდღიური აუქციონების საშუალებით. ფულადი სახსრების ნაშთების კონსოლიდაცია ერთიან სახაზინო ანგარიშზე და კომერციულ ბანკებში ხორციელდება ყოველდღიურად და ინფორმაცია ქვეყნდება ხაზინის ვებგვერდზე (შეფასება A). ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზი ყოველწლიურად მზადდება მომდევნო წლისთვის და ჩაშლილია თვეების მიხედვით. მისი განახლება წარმოებს ყოველთვიურად მაინც ფაქტიური შემოდინების და გადინების საფუძველზე. ამასთან, ხაზინა ყოველთვე ამზადებს ყოველდღიური ფულადი ნაკადების პროგნოზს მომდევნო თვისთვის (შეფასება A). საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯების დაგეგმვა და გაწევა ერთი წლით ადრე ყოველკვარტალური განწერის საფუძველზე საბიუჯეტო ასიგნებების და ვალდებულებების შესაბამისად. საბიუჯეტო თანხების მართვა წარმატებული იყო დავალიანების კონტროლის თვალსაზრისით (შეფასება A), მაგრამ დავალიანების მონიტორინგი ყოველთვის ადეკვატურად არ წარმოებს (შეფასება C).

360. სახელფასო სისტემის ყველა ელემენტმა მიიღო შეფასება A. საბიუჯეტო ორგანიზაციები ინარჩუნებენ თავიანთი პერსონალის მონაცემთა ბაზებს ელექტრონული ხაზინის (სახელფასო მოდულის) სისტემის ფარგლებში, რომლის მართვასაც ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა. პერსონალის და სახელფასო ჩანაწერების შეჯერება წარმოებს, სულ მცირე, ყოველთვიურად, სანამ მოხდება პერსონალის საბანკო ანგარიშებზე ხელფასების გადახდა. შეჯერება ელექტრონული ხაზინის (სახელფასო მოდული) სახელფასო ჩანაწერებს და სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის ჩანაწერებს შორის (რომელსაც მართავს იუსტიციის სამინისტრო) ხორციელდება მაშინვე, როცა თანამშრომელი ინიშნება და რეგისტრირდება სისტემაში. პერსონალის შესახებ ჩანაწერების განახლება წარმოებს ყოველთვე, ყოველთვიური გადახდების განხორციელების დროს. განახლება წარმოებს რეალურ დროში და აისახება ელექტრონული ხაზინის სისტემის სახელფასო მოდულში. საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელფასო ჩანაწერებში ცვლილების შეტანის უფლება გააჩნია ავტორიზებულ პირებს. ცვლილებებს აწარმოებს უფლებამოსილი პირი და მტკიცდება განყოფილების უფროსის მიერ. არსებობს წლიური სახელფასო აუდიტის ძლიერი სისტემა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური და რომელიც ავლენს კონტროლთან დაკავშირებულ ნებისმიერ ნაკლოვანებას და ანგარიშვალდებულების პრობლემას.

361. ყველა სახელმწიფო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის (Ge - GP) საშუალებით. ჩანაწერების მონაცემთა ბაზების წარმოება ხორციელდება ყველა კონტრაქტისთვის. ინფორმაცია მოიცავს, თუ რისი შესყიდვა განხორციელდა, როგორი იყო შესაბამისი შესყიდვის ფასი და თუ ვინ გაიმარჯვა ტენდერში. მონაცემები ზუსტია და სრული საქონლის, მომსახურების და სამუშაოს შესყიდვის ყველა მეთოდისთვის (შეფასება A). ხელშეკრულებების 91%-ის (ღირებულებების მიხედვით) შესყიდვა წარმოებს კონკურენტული შესყიდვის მეთოდების საშუალებით (შეფასება A). ინფორმაცია ყველა ძირითადი შესყიდვის შესახებ ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის (შეფასება A). თუმცა, დავების პროცესი არ არის სრულად დამოუკიდებელი, რამდენადაც დავების საბჭოს 3 წევრი შესყიდვების სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ასევე დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარეცაა უპირატესი ხმის უფლებით (შეფასება D).

362. არა-სახელფასო ხარჯების შიდა კონტროლის შეფასება ყველა ქვეინდიკატორში არის A, მოვალეობების ძლიერი გადანაწილებით, ვალდებულებების ეფექტური კონტროლით და გადახდის წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობით. ეს მიღწევა უზრუნველყოფილია საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემით (PFMIS). შიდა აუდიტის ფუნქცია გაძლიერდა (შეფასება B+), მაგრამ სისტემის ჰარმონიზაციის პროცესი და საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის მიმდინარე პროცესები საჭიროებს გაგრძელებას. შიდა აუდიტის საქმიანობა ფოკუსირებულია შიდა კონტროლის ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებებზე და მაღალი რისკის მატარებელ სფეროებზე. შიდა აუდიტის საქმიანობა წარიმართება შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც შესაბამისობაშია შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის სახელმძღვანელოსთან (შეფასება B). მენეჯმენტმა

შეასრულა 2014 – 2016 ფისკალურ წლებში შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების 96% (შეფასება A).

აღრიცხვა და ანგარიშგება

363. ანგარიშების შეჯერება და ფინანსური ინფორმაციის სისწორე ძლიერი მხარეებია. საბანკო შეჯერება ცენტრალური მთავრობის ყველა აქტიური საბანკო ანგარიშებისთვის ხორციელდება ყოველდღიურად რეალურ დროში ანგარიშსწორების ერთიანი სისტემის საშუალებით (RTGS) (შეფასება A). არ არსებობს დროებითი ანგარიშები გაურკვეველი ხარჯებისთვის (შეფასება A). წინასწარ გადახდილი თანხების შეჯერება დროულად წარმოებს (შეფასება A). მონაცემთა საიმედოობა კარგია (შეფასება A), რამდენადაც წვდომა და ჩანაწერების ცვლილება შეზღუდული და აღრიცხულია. გაკეთებულ ცვლილებებს მიჰყვება საკმარისი „აუდიტის კვალი“.

364. წლის განმავლობაში მოსამზადებელ საბიუჯეტო ანგარიშებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ, ანგარიშგების მასშტაბი და მონაცემთა კლასიფიკაცია დამტკიცებულ ბიუჯეტთან პირდაპირი შედარების საშუალებას იძლევა. ინფორმაცია მოიცავს ცენტრალური მთავრობის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციების საბიუჯეტო საპროგნოზო მაჩვენებლებს. ელექტრონული ბიუჯეტის და ელექტრონული ხაზინის სისტემების ინტეგრაციამ ძირითადად უზრუნველყო, რომ არასაბიუჯეტო ორგანიზაციებზე გამოყოფილი თანხებიდან გაწეული ხარჯები შეტანილია ანგარიშში, ვინაიდან ეს სისტემები იძლევა ამ ტიპის ხარჯებზე ანგარიშვალდებულების (შეფასება A) შესაძლებლობას. ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშები მზადდება კვარტალურად და წარედგინება პარლამენტს. ეს ანგარიშები ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ოთხი კვირის ვადაში (შეფასება B). არ არსებობს რაიმე არსებითი შენიშვნა მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებით. ინფორმაცია ხარჯების შესახებ მოცულია როგორც ვალდებულებების, ისე გადახდების ეტაპებზე ელექტრონული ხაზინის სისტემაში (შეფასება A).

365. სიტუაცია წლიურ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით სხვადასხვანაირია (საერთო შეფასება D +). ბიუჯეტის შესრულების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიში ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ყოველწლიურად მზადდება და დამტკიცებული ბიუჯეტის შესადარისია. ასევე მომზადებულია შედეგების შესრულების დეტალური ანალიზი. ფინანსური ანგარიშგებები ზოგადად შეიცავს სრულ ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური და მატერიალური აქტივების, ვალდებულებების, გარანტიების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. ფინანსური ანგარიშები გამყარებულია ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ შეჯერებული ანგარიშგებით (შეფასება B). სახელმწიფოს წლიური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა გარე აუდიტისთვის არ წარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი ხორციელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ფინანსთა სამინისტრომ არ წარმოადგინა შესაფასებლად საჭირო მტკიცებულებები, თუ როდის მოხდა აუდიტისთვის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა (შეფასება D*). წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა აუდიტისთვის ხდება 3 თვის ვადაში. სსბასს (IPSAS) წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს, რომლებიც საბიუჯეტო ორგანიზაციების

ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგებების ინსტრუქციების შესაბამისად, გამოიყენება ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშების მომზადებისას. თუმცა 2016 ფისკალური წლისთვის სსბასს (IPSAS) 9 სტანდარტი (მთლიანი რაოდენობის 50%-ზე ნაკლები) იყო დანერგილი. 2017 წლის განმავლობაში, 40 არსებული სტანდარტიდან 16 სტანდარტი იყო დანერგილი (შეფასება C).

გარე შეფასება და აუდიტი

366. გარე აუდიტი წარმოადგენს მნიშვნელოვანი სიძლიერის მქონე სფეროს (შეფასება B +). თუმცა, აღნიშნული ანგარიშების საკანონმდებლო განხილვები შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს სანიმუშო პრაქტიკად (შეფასება C +). ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემოსავლებს, ხარჯებს, აქტივებს და ვალდებულებებს. მათი აუდიტორული შემოწმება წარმოებს აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით. აუდიტორულმა შემოწმებამ ხაზი გაუსვა შესაბამის არსებით პრობლემებს და სისტემურ და კონტროლთან დაკავშირებულ რისკებს (შეფასება A). უკანასკნელი სამი ფისკალური წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, ფინანსთა სამინისტროდან ანგარიშის მიღებიდან სამი თვის ვადაში, საკანონმდებლო ორგანოში წარადგინა წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში (შეფასება A). საბიუჯეტო ორგანიზაციები ასრულებენ აუდიტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ყოველ ექვს თვეში ერთხელ წარმოებს მათი შესრულების მონიტორინგი და მათ შესახებ წლიური ანგარიშგება ხვდება წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში, რომელიც წარედგინება პარლამენტს (შეფასება B). სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს კანონით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ (შეფასება A).

367. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხილვის საჯაროობის ხარისხი მაღალია (შეფასება A), მაგრამ არსებობს მისი გაუმჯობესების საჭიროება აუდიტის ანგარიშის შემოწმების ვადის, აუდიტის მიგნებების შესახებ მოსმენების და პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით მინიჭებული შეფასებაა C.

4.2 შიდა კონტროლის ჩარჩოს ეფექტურობა

368. შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თითოეული კომპონენტისთვის რისკებზე რეაგირებისას და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ოპერაციები აკმაყოფილებდეს კონტროლის ამოცანებს. შიდა კონტროლის ჩარჩოს ამოცანებია: ბიუჯეტის შესრულება მოწესრიგებული, ეთიკური, ეკონომიკური, ეფექტიანი და ეფექტური ფორმით, ანგარიშვალდებულება შედეგებთან დაკავშირებით; შესაბამისობა მოქმედ კანონებთან და წესებთან; და რესურსების დაცვა ზარალის, არასწორი გამოყენებისა და ზიანისგან.

369. შიდა კონტროლის გარემო, როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 დანართში, ზოგადად ჯანსაღია. შესაბამისი ინდიკატორების და ქვეინდიკატორების შეფასებები აჩვენებს, რომ

ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების ყოველდღიურ ტრანზაქციებთან დაკავშირებული კონტროლის სისტემები ფუნქციონირებს და შედეგად იძლევა ადეკვატურ და სწორ მონაცემებს აღნიშნული სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებით. კანონები და წესები ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს და ითვალისწინებს კონკრეტულ როლებს და პასუხისმგებლობებს, მოვალეობების გაყოფას და ოპერაციულ პროცესებს. სისტემა აერთიანებს წვდომასთან დაკავშირებულ კონტროლს და „აუდიტის კვალს“, რომელიც განამტკიცებს შიდა კონტროლის ჩარჩოს.

370. შესაბამისობაზე დამყარებული მიმდინარე მიდგომები განამტკიცებს კონტროლის გარემოს უწყვეტ გაუმჯობესებას იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ძლიერი მხარე ვალდებულებების კონტროლის და მასთან დაკავშირებულ წესებისა და პროცედურების სახით.

371. არსებობს რისკზე დამყარებული მიდგომა, რომელსაც განამტკიცებს ძლიერი შიდა დაგარე აუდიტი და საზედამხედველო ფუნქცია. რისკის შეფასება კონტროლის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გამოიყენება შიდა აუდიტის და ანალიზის მიმართ.

372. კონტროლის ღონისძიებები ზოგადად ძლიერია, განსაკუთრებით კი მოვალეობების გადანაწილებასთან და ანგარიშების შეჯერებასთან დაკავშირებით. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის და ხარჯების მუხლებს შორის გადანაწილების საბიუჯეტო წესები სრულდება.

373. შიდა კონტროლის შესახებ ინფორმაცია და კომუნიკაცია უზრუნველყოფილია მიზნობრივი და მომიჯნავე ტრენინგით. შიდა და გარე აუდიტის პროცესების საშუალებით სახეზეა ძლიერი მონიტორინგი, რომელიც თანდათან უმჯობესდება.

374. ფინანსური ტრანზაქციების შესახებ აღნიშნულ კონტროლთან ერთად, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების სისტემა იძლევა ინფორმაციას მომსახურების გაწევის შესახებ, რომელიც აძლიერებს საერთო კონტროლის გარემოს. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს საფინანსო, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მომსახურების გაწევის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

4.3 საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი და სუსტი მხარეები

375. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი საქართველოში არის საინფორმაციო ტექნოლოგიების შემუშავება და ადეკვატური გამოყენება ბიუჯეტის შემუშავებაში, შესრულებაში (ანგარიშები, ვალდებულებების კონტროლი და ფულადი სახსრების მართვა), პერსონალის და სახელფასო სისტემის, შემოსავლების სამსახურის და შესყიდვების მართვაში. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ქვეყანაში განვითარდა (საჭიროების შესაბამისად ახლიდან იწერებოდა) თითოეულ სფეროში ბიზნეს-პროცესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და არა ბიზნეს პრაქტიკის კონკრეტულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან რეკონფიგურაციის საფუძველზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების ამ გადაწყვეტების დანერგვა ინტერნეტთან, როგორც მისი განხორციელების ინსტრუმენტთან ერთად, კომპეტენტური და მომზადებული პერსონალის მიერ (სათანადო კონტროლით) ფუნდამენტური მნიშვნელობისაა

საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი მხარეების განვითარების საქმეში. ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტის და პერსონალის ინტეგრაციამ გააძლიერა უნარ-ჩვევები ტრენინგის საშუალებით, რასაც შედეგად მოჰყვა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) დადებითი ეფექტურობა და ეფექტიანობა.

აგრეგირებული ფისკალური დისციპლინა

376. აგრეგირებული ფისკალური დისციპლინა მიიღწევა ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხარჯვით ნაწილზე კონტროლითა და რეალისტური შემოსავლების პროგნოზების მომზადებით. შემოსავლების ძლიერი ადმინისტრირება უზრუნველყოფს შემოსავლების ეფექტიან მობილიზებას. მთლიანობაში, დაგეგმილი ბიუჯეტი თავიდან ვერ აიცილებს ხარჯების მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილებას და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას. სახაზინო ოპერაციები და ფულადი სახსრების მართვა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში ხარჯების მართვას. სახელმეკრულებო ვალდებულებების კონტროლი ეფექტურია და ხელს უწყობს ხარჯების მიმართულებით დავალიანების შეზღუდვას. გარე აუდიტის ძლიერი ფუნქცია აძლიერებს ფისკალურ დისციპლინას.

რესურსების სტრატეგიული განაწილება

377. რესურსების სტრატეგიული განაწილების მისაღწევად, ანგარიშთა გეგმა ხარჯების მრავალგანზომილებიანი ანალიზის საშუალებას იძლევა. არსებობს მტკიცე კავშირი ხარჯების ბიუჯეტირების საშუალოვადიან პერსპექტივასა და პროგრამული ბიუჯეტის სტრატეგიულ გეგმებს შორის. აქცენტი კეთდება საერთო ფისკალურ ჩარჩოზე, რომელიც შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ მოხდება ფისკალური სტრატეგიის ცვლილებების და პოლიტიკის ცვლილებების გავლენის ანალიზი და შედეგებზე შესაბამისი ანგარიშგება. ინვესტიციების უკეთესი მართვა გააუმჯობესებს რესურსების სტრატეგიულ განაწილებას, რამდენადაც ის უზრუნველყოფს, რომ ინვესტიციების ფარგლებში განმეორებადი ხარჯების შედეგები გათვალისწინებული იყოს საბიუჯეტო პროცესში და ინვესტიციები შერჩეულ იქნეს საუკეთესო უკუგების გენერაციის მიხედვით.

რესურსების ეფექტიანი გამოყენება მომსახურების გასაწევად

378. კონკურენტულ შესყიდვების სისტემაში საჩივრებთან და დავების პროცესთან დაკავშირებით არსებულ ნაკლოვანებებს შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მომსახურების გაწევის ეფექტიანობაზე. ანგარიშვალდებულების მექანიზმებში არსებული ძლიერი მხარეები განაპირობებს გარე აუდიტის, როგორც ალტერნატიული შემოწმების ეფექტურობას რესურსების არაეფექტიანი გამოყენების მიმართ. თუმცა, კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები ზღუდავს აუდიტის ზემოქმედებას, რომელიც თავის მხრივ ზღუდავს ზედამხედველობის ეფექტურობას. აღნიშნულის განეიტრალება ხდება წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ძლიერი მხარეებით, რომელიც მოიცავს შუალედური და საბოლოო შედეგების შესრულების შესახებ ინფორმაციას. შესასრულებელი მიზნების და მისაღწევი შედეგების გამოქვეყნება ასევე უწყობს ხელს რესურსების ეფექტიან

გამოყენებას მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში. შემოსავლებთან მიმართებაში, საოპერაციო ეფექტიანობა დასუსტებულია საგადასახადო დავალიანების დაგროვებით. საგადასახადო დავალიანების ამოღების ეფექტური მექანიზმების არარსებობა საფრთხეს უქმნის საგადასახადო დარიცხვების სანდოობას და გადამხდელთა მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპს. უიმედო ვალის უწყვეტი ჩამოწერა შესაძლებელს გახდის საგადასახადო დავალიანების გასუფთავებას და მას მიმდინარე ვალად აქცევს.

4.4 ეფექტიანობის ცვლილება წინა შეფასების შემდეგ

379. მიუხედავად იმისა, რომ PEFA შეფასება განხორციელდა 2016 წლის მეთოდოლოგიის გამოყენებით, შესაძლებელი იყო 2013 წელს განხორციელებულ PEFA წინა შეფასებასთან (გამოყენებული იქნა 2011 წლის PEFA-ს მეთოდოლოგია) შედარება. 28 ცალკეული ინდიკატორის შედარებისას აღინიშნა გაუმჯობესება 9 ინდიკატორის მიმართულებით, გაუარესდა ერთი ინდიკატორი და უცვლელი დარჩა 18 მათგანი. საერთო გაუმჯობესება შეფასების თვალსაზრისით გამომდინარეობს შედარებით მაღალი საბაზისო შეფასებიდან, რომელიც მიღწეულ იქნა 2013 წელს.

380. PEFA -ს ორი შეფასების შედარება აჩვენებს, რომ ადგილი ჰქონდა შემდეგი ინდიკატორების გაუმჯობესებას:

ფისკალური დისციპლინა

- ფაქტიური ხარჯების ცვლილება საწყის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით (სტრუქტურული ცვლილება)
- ფაქტიური აგრეგირებული შემოსავლები საწყის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით
- საჯარო სექტორის სხვა სუბიექტებიდან მიმდინარე აგრეგირებული ფისკალური რისკის ზედამხედველობა (სახელმწიფო საწარმოების მონიტორინგი)

რესურსების სტრატეგიული განაწილება

- ფისკალურ დაგეგმვაში, ხარჯების პოლიტიკასა და ბიუჯეტირებაში (შეფასებული დარგობრივი სტრატეგიები) საშუალოვადიანი პერსპექტივა

რესურსების ეფექტიანი გამოყენება მომსახურების გაწევისთვის

- სახელფასო განაცემების კონტროლის ეფექტურობა (სახელფასო აუდიტი)
- შიდა აუდიტის ეფექტურობის აუდიტი (მასშტაბი და ხარისხი)
- ანგარიშების შეჯერების დროულობა და რეგულარულობა (საბანკო შეჯერება)
- გარე აუდიტის მასშტაბი, ტიპი და შემდგომი ღონისძიებები (მასშტაბი/ ტიპი)
- გარე აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო ორგანოში განხილვა.

381. ჩამორჩენის ძირითადი სფერო არის წლიური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის დროულობა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ძირითად ფისკალურ და საბიუჯეტო შედეგზე.

382. ზემოთ აღნიშნული გაუმჯობესება შეიძლება მიეწეროს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების პროგრამის ძლიერ მართვას.

5. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის პროცესი

5.1 მიდგომა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების მიმართ

383. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმა საქართველოში კარგად არის დოკუმენტირებული პუბლიკაციაში „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“¹⁰⁵ და „2014-2017 წლების საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიაში“. ეს რეფორმები ფოკუსირებული იყო საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით ძირითადად პროგრამული და შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების შემოღებასა და დანერგვაზე, მასთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების ჩათვლით. აღნიშნული ანგარიშებიდან ერთ-ერთი წინა ვერსიაში მითითებულია: „2007 წლიდან შთამბეჭდავი პროგრესი იქნა მიღწეული და ბევრი ინოვაციური კომპონენტი შემუშავდა შემოსავლების სამსახურში; მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სახაზინო სამსახურში; ერთიანი სახაზინო ანგარიში გაფართოვდა, რომელიც ახლა მოიცავს ადგილობრივ მთავრობებს და ყველა საჯარო სუბიექტს; ასევე ამოქმედდა ინტერნეტზე დამყარებული საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა (PFMIS), რომელიც ქვეყანაში საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რამდენადაც ის ძირითადად ორგანიზაციის შიგნით შემუშავდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური გარდაიქმნა ტრადიციული, კონტროლის და შემოწმების განმახორციელებელი ორგანოდან, ახალი ფუნქციის მქონე თანამედროვე, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის განმახორციელებელ უწყებად საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად: შიდა აუდიტის და კონტროლის სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი შეიქმნა და გამოიყენება მთელი მთავრობის მასშტაბით. ფინანსთა სამინისტროს აკადემია თავისი დაარსების დღიდან ჩამოყალიბდა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების და ინიციატივების შესახებ ტრენინგის ძირითად პროვაიდერად. რეფორმა მოიცავს ახალ მიდგომებს და ინსტრუმენტებს და საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების საპარლამენტო განხილვების პრაქტიკას. დამოუკიდებელი ფისკალური დაწესებულებების მნიშვნელობა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის როლი ასევე გარკვეულია და რჩება საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის დღის წესრიგში.

384. შთამბეჭდავია მიღწევები საჯარო შესყიდვების მიმართულებით. რეფორმა ამ სექტორში მდგრადი განვითარებით გამოირჩევა. კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მნიშვნელოვნად შეიცვალა და გახდა ევროკავშირის კანონმდებლობის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი.

¹⁰⁵ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ლუი ბერგერს PMCG -ისთან, SAFEGE -ისთან და BDO -ისთან ერთად და არანაირი ფორმით არ ასახავს ევროკავშირის პოზიციას და მოსაზრებებს. [Georgia PFM reform](#)

385. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმა საქართველოში განხორციელდა და კვლავაც იძლევა არსებით შედეგებს, როგორებიცაა მაგალითად: მნიშვნელოვანი პროგრესი საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში საერთაშორისო სტანდარტების, ფისკალური დისციპლინის და ფისკალური წესების შესაბამისად; გამართული პროგრამული ბიუჯეტების სისტემა მთავრობის ყველა დონისთვის, მთავრობათაშორისი ფისკალური ურთიერთობების გასამდიერებლად და გასაღრმავებლად; ორგანიზაციის შიგნით შემუშავებული კარგად სტრუქტურირებული და სრულად ინტეგრირებული ელექტრონული სისტემა (ელექტრონული PFMS) ბიუჯეტების, ხაზინის და სხვა დაკავშირებული სფეროებისთვის; საგადასახადო პოლიტიკის შთამბეჭდავი რეფორმა და გამართული ინსტრუმენტები მაკროეკონომიკური და ფისკალური ანალიზისთვის.

386. უკანასკნელ წლებში ფინანსთა სამინისტრომ განავითარა უნარები საწარმოების აგრეგირებული ფისკალური რისკების შესაფასებლად. სამინისტრომ ასევე გააუმჯობესა საჯარო სექტორზე თავისი ფინანსური ზედამხედველობა.

387. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის დღის წესრიგს მთავრობა წარმართავს და ხელმძღვანელობს, რეფორმის განხორციელებას მთელი პერიოდის განმავლობაში ხელს უწყობს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, ისევე როგორც მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF).

5.2 რეფორმების ბოლოდროინდელი და მიმდინარე ღონისძიებები

388. საჯარო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის 2017 წლის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ხარჯებით გაწერილ გეგმას სამიზნე შედეგებით, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს და რომლებიც აჩვენებს რეფორმების მიმდინარე და სიღრმისეულ ბუნებას: ბიუჯეტის მართვის გაუმჯობესება; საგადასახადო პოლიტიკას და საბაჟო საკითხებს; მაკროეკონომიკურ პროგნოზირებას და ანალიზს; სახელმწიფო ვალის მართვას; ბუღალტრულ აღრიცხვას და ანგარიშგებას; სახელმწიფო შიდა კონტროლს ფინანსურ რეფორმაზე; საინფორმაციო ტექნოლოგიებს და რესურსების მართვას. თითოეული ეს თემა წარმოდგენილია დეტალურად მე-5 დანართში განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოსთან ერთად. ეს დანართი აჩვენებს რეფორმების მასშტაბს და სიღრმეს, ისევე როგორც კომპლექსურ და ერთმანეთთან დაკავშირებულ მახასიათებლებს. ის ასევე ასახავს რეფორმების დღის წესრიგის უწყვეტ ბუნებას, რომელიც ემყარება რეფორმების წინა ღონისძიებებიდან გამომდინარე მიღწევებს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) დღის წესრიგის ფართო სპექტრის გასწვრივ.

389. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტის (FAD) ფისკალური გამჭვირვალობის შეფასებამ¹⁰⁶ ასევე წარმოადგინა მთავრობასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლების პერიოდისთვის ფოკუსირებით ფისკალურ ანგარიშგებაზე,

¹⁰⁶სექტემბერი 2017

ანგარიშგებაზე და საგადასახადო დანაკარგების კონტროლზე; საბიუჯეტო ყოვლისმომცველობის გაუმჯობესებაზე; ფისკალური ამოცანების სანდოობის გაძლიერებაზე; მაკროეკონომიკური პროგნოზების სანდოობის ამაღლებაზე და საშუალოვადიან ბიუჯეტირებაზე (MTBF)-ზე; გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის ანალიზზე; ბიუჯეტის სარეზერვო სახსრების შექმნის კრიტერიუმებზე; პირობითი ვალდებულებების ანგარიშგებასა და კონტროლზე და ადგილობრივი მთავრობის შესახებ ანგარიშგებაზე.

390. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს მიმდინარე ვალდებულებაზე, განხორციელდეს რეფორმა მისი უწყვეტობის და გაღრმავების თვალსაზრისით საჯარო ფინანსების მართვის მთელი ციკლის მასშტაბით, დღეისათვის არსებული მიღწევების და წარმატების საფუძველზე. რეფორმა განიხილება როგორც მიმდინარე და არა როგორც ერთჯერადი ღონისძიება.

5.3 ინსტიტუციური მოსაზრებები

391. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების პროგრამას წარმართავენ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა და მათ დაქვემდებარებაში არსებული უწყებები, როგორებიცაა ფინანსთა სამინისტრო და მისი სტრუქტურული დეპარტამენტები (საბიუჯეტო დეპარტამენტი, ხაზინა, შემოსავლების სამსახური და სხვა), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და პარლამენტი. ელექტრონული პროცესების (ელექტრონული მთავრობა) ერთობლიობამ უზრუნველყო კავშირების არსებობა ყველა განსხვავებულ მოქმედ უწყებას შორის ინფორმაციის და კონტროლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. რეფორმის პროცესი გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს სურვილს იყოს თანამედროვე და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო და სწორედ რეფორმის ხანგრძლივობა უზრუნველყოფს მის მდგრადობას.

დანართი 1.1: ეფექტიანობის ინდიკატორების რეზიუმე

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
PI - 1 ფაქტიური მთლიანი ხარჯები	A	
1.1 ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები	A	სამივე წლის განმავლობაში გადახრა იყო 5%-ზე ნაკლები (1.2 %, 0.3 % და 1.2 %)
PI - 2 ხარჯების შესრულების სტრუქტურა	A	
2.1 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ფუნქციების მიხედვით	A	სამივე წლის განმავლობაში გადახრა 5%-ზე ნაკლები იყო (2.9 % 2.5 % და 3.4 %)
2.2 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	A	სამივე წლის განმავლობაში გადახრა 5%-ზე ნაკლები იყო (3.1 % 4.0 % და 3.8 %)
2.3 ხარჯები სარეზერვო ფონდებიდან	A	სარეზერვო ფონდიდან გაწეული ფაქტიური ხარჯები შეადგენდა 1.0%-ს 2014 წელს, 1.7 %-ს 2015 წელს და 1.9 % -ს 2016 წელს. კანონის თანახმად იგი არ შეიძლება აღემატებოდეს ბიუჯეტის 2 %-ს
PI - 3 შემოსავლების შესრულება	B +	
3.1 მთლიანი შემოსავლების შესრულება	A	მთლიანი გადახრა 97 %-სა და 106 % -ს შორის იყო, რაც თითოეული წლისთვის 102 %-ზე ნაკლებს შეადგენდა
3.2 ფაქტიური შემოსავლების სტრუქტურა	B	შემოსავლების ცვლილება 10%-ზე ნაკლები იყო სამი წლიდან ორის წლის განმავლობაში. 2014 წელს - 5.5 %, 2015 წელს - 5.0 % და 2016 წელს - 1.3 %.
PI - 4 საბიუჯეტო კლასიფიკაცია	A	
4.1 საბიუჯეტო კლასიფიკაცია	A	ბიუჯეტის ფორმულირება, შესრულება და ანგარიშგება ემყარება ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის თითოეულ დონეს (10 ფუნქცია) GFS/COFOG სტანდარტების გამოყენებით. პროგრამული კლასიფიკაცია გამოდინარეობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციული კლასიფიკაციიდან
PI-5 საბიუჯეტო დოკუმენტაცია	B	
5.1 საბიუჯეტო დოკუმენტაცია	B	საბიუჯეტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ცხრა ელემენტს, რომელთაგან ოთხი ძირითადი, ხოლო, ხუთი დამატებითი ელემენტია
PI-6 ცენტრალური მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	
6.1 ხარჯები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	ყველა ხარჯი შეტანილია ფინანსურ ანგარიშებში
6.2 შემოსავლები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	ყველა შემოსავალი შეტანილია ფინანსურ ანგარიშებში
6.3 არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშები	NA	არასაბიუჯეტო ორგანიზაციები არ არსებობს
PI-7 ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის	A	
7.1 ტრანსფერების გამოყოფის სისტემები	A	ცენტრალური მთავრობის მიერ ადგილობრივი მთავრობისთვის გამოყოფილი ტრანსფერების 92%-ის ჰორიზონტალური განაწილება განისაზღვრება გამჭვირვალე წესებზე დამყარებული სისტემებით
7.2 ტრანსფერების შესახებ ინფორმაციის დროულობა	A	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია ტრანსფერების წლიური მოცულობის შესახებ არანაკლებ 6 კვირით ადრე დაგეგმილი ბიუჯეტის დასრულებამდე
PI-8 ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ	A	
8.1 სერვისების გაწევის განხორციელების სგეგმები	A	ინფორმაცია ყოველწლიურად მზადდება და ქვეყნდება სამინისტროების უმეტესობის (75 %) პროგრამული ამოცანების შესაბამისად. ის მოიცავს შეფასების ინდიკატორებს, ინფორმაციას შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ
8.2 სერვისების გაწევის ეფექტიანობა	A	ინფორმაცია პროგრამების/ ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ რომლებიც სამინისტროების უმრავლესობის მიერ ხორციელდება (ე.ი. 75 % ღირებულებით) პრიორიტეტების ფარგლებში და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ ყოველწლიურად ქვეყნდება წლიურ საბიუჯეტო ანგარიშებში
8.3 სერვისების გამწევი ერთეულების მიერ მიღებული რესურსები	A	ინფორმაცია მომსახურების პროვაიდერების მიერ მიღებული რესურსების შესახებ გროვდება და აღირიცხება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამები ხორციელდება არანაკლებ ორი ძირითადი სამინისტროს მიერ დაფინანსების წყაროების საფუძველზე. ეს ინფორმაცია მზადდება ყოველწლიურად მაინც
8.4 სერვისების გაწევის ეფექტიანობის შეფასება	A	მომსახურების გაწევის ეფექტიანობის და ეფექტიანობის შეფასება მზადდება და ქვეყნდება სამინისტროების უმეტესობის საქმიანობასთან დაკავშირებით (ე.ი. 75 %

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
		ღირებულებით) გასული სამი წლის განმავლობაში მაინც
PI - 9 ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	A	
9.1 ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	A	მთავრობა უზრუნველყოფს წვდომას ჩამოთვლილი ინფორმაციის ყველა ტიპთან
PI - 10 ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ	B	
10.1 სახელმწიფო საწარმოების მონიტორინგი	B	სახელმწიფო საწარმოების უმრავლესობისთვის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებები ქვეყნდება ფისკალური წლის დასრულებიდან ექვსი თვის ვადაში. ცენტრალური მთავრობის მიერ ყოველწლიურად ქვეყნდება კონსოლიდირებული ანგარიში სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ეფექტიანობის შესახებ. მთავრობის ანგარიში ფისკალური რისკების შესახებ ეხება ცალკეულ სახელმწიფო საწარმოებს
10.2 ადგილობრივი მთავრობის მონიტორინგი (SNG)	C	წლიური ფინანსური ანგარიშგებები ადგილობრივი მთავრობებისთვის ქვეყნდება აპრილის ბოლოსთვის, მაგრამ მათი აუდიტი არ წარმოებს ყოველწლიურ საფუძველზე
10.3 პირობითი ვალდებულებები და სხვა ფისკალური რისკები	B	ცენტრალური მთავრობის სუბიექტები და უწყებები თავიანთ ფინანსურ ანგარიშებში რაოდენობრივად აფასებენ ყველაზე მნიშვნელოვან პირობით ვალდებულებებს
PI - 11 სახელმწიფო ინვესტიციების მართვა	C	
11.1 საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი	C	ეკონომიკური ანალიზი ხორციელდება ზოგიერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტის შესაფასებლად
11.2 საინვესტიციო პროექტების შერჩევა	C	ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ცენტრალური მთავრობა ახდენს ზოგიერთი ძირითადი საინვესტიციო პროექტის პრიორიტეტულობის განსაზღვრას
11.3 საინვესტიციო პროექტების ღირებულება	C	ძირითადი საინვესტიციო პროექტების მთლიანი კაპიტალური ხარჯის პროგნოზი მომდევნო საბიუჯეტო წლის კაპიტალურ ხარჯებთან ერთად ასახულია საბიუჯეტო დოკუმენტებში
11.4 საინვესტიციო პროექტების მონიტორინგი	C	ძირითადი საინვესტიციო პროექტების მთლიანი ღირებულების და ფიზიკური პროგრესის მონიტორინგი წარმოებს განმახორციელებელი სახელმწიფო უწყების მიერ. ინფორმაცია ძირითადი საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესახებ მზადდება ყოველწლიურად მაგრამ მხოლოდ ზედაპირულ დონეზე
PI - 12 სახელმწიფო აქტივების მართვა	C +	
12.1 ფინანსური აქტივების მონიტორინგი	B	სახელმწიფო აწარმოებს მის მფლობელობაში არსებული აქტივების აღრიცხვას ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიაში, რომლებიც აღიარებულია მათი შესყიდვის ღირებულებით და იშვიათ შემთხვევებში საბაზრო (რეალური) ღირებულებით. ინფორმაცია ფინანსური აქტივების ძირითადი კატეგორიების ეფექტიანობის შესახებ ქვეყნდება ყოველწლიურად
12.2 არასაფინანსური აქტივების მონიტორინგი	C	სახელმწიფო აწარმოებს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების რეესტრს და აგროვებს ნაწილობრივ ინფორმაციას მათი გამოყენების და ხანდაზმულობის შესახებ
12.3 აქტივების გამჭვირვალობა	C	განსაზღვრულია პროცედურები და წესები ფინანსური და არაფინანსური აქტივების გადაცემის ან გასხვისებისთვის. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო იძლევა დეტალურ ინფორმაციას თითოეული ტრანზაქციის შესახებ. თუმცა, დარჩენილი აქტივების გასხვისება ხორციელდება მხარჯავი დარგობრივი უწყებების მიერ არაცენტრალიზებული ფორმით და დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ თუ რისი გასხვისება ხდება არ არის ხელმისაწვდომი ანგარიშის ფორმატით
PI - 13 ვალის მართვა	B	
13.1 ვალის და გარანტიების აღრიცხვა და ანგარიშგება	A	საშინაო და საგარეო ვალის, ასევე გარანტირებული ვალის შესახებ დოკუმენტები არის სრული, ზუსტი, განახლებული და ყოველთვიურად შეგუებული. მენეჯერული და სტატისტიკური ყოვლისმომცველი ანგარიშები ვალის მომსახურების, დაგროვილი ვალის და ოპერაციების შესახებ მზადდება ყოველთვიურად
13.2 ვალის და გარანტიების დამტკიცება	A	ძირითადი კანონმდებლობა ვალის მართვაზე პასუხისმგებელ ერთდერთ სუბიექტს ანიჭებს უფლებამოსილებას აიღოს სესხი, გამოუშვას ახალი ვალი და გასცეს სასესხო გარანტიები ცენტრალური მთავრობის სახელით. დოკუმენტური სახით არსებული პოლიტიკა და პროცედურები იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს სესხის აღებასთან, ახალი სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიასთან და ვალთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად, სასესხო გარანტიების გასაცემად და ვალის მართვის ოპერაციის მონიტორინგისთვის ვალის

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
		მართვის ერთადერთი სუბიექტის მიერ. წლიური ნასესხები სახსრები დამტკიცებულ უნდა იქნეს მთავრობის ან პარლამენტის მიერ.
13.3 ვალის მართვის სტრატეგია	D	ვალის მართვის ეფექტური პოლიტიკის გატარების მიზნით, საქართველოს 2016 – 2019 წლების ვალის მართვის სტრატეგია თვითშეფასების და მისი ვალიდაციის დროს შემუშავების პროცესში იყო
PI - 14 მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება	A	
14.1 მაკროეკონომიკური პროგნოზები	A	მთავრობა ამზადებს პროგნოზებს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესახებ, რომლებიც პროგნოზის საფუძვლად აღებულ დაშვებებთან ერთად შეტანილია საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენილ საბიუჯეტო დოკუმენტაციაში. ამ პროგნოზების განახლება წარმოებს წელიწადში ერთხელ მაინც. პროგნოზები მოიცავს საბიუჯეტო წელს და სამ მომდევნო ფისკალურ წელს. პროგნოზები განხილულ იქნა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ (PBO)
14.2 ფისკალური პროგნოზები	B	მთავრობა ამზადებს პროგნოზებს ძირითადი ფისკალური ინდიკატორების შესახებ, შემოსავლების (ტიპის მიხედვით) ჩამოილი ხარჯების და საბიუჯეტო ნაშთის ჩათვლით საბიუჯეტო წლისა და მომდევნო სამი ფისკალური წლისთვის. ეს პროგნოზები პროგნოზის საფუძვლად აღებულ დაშვებებთან ერთად შეტანილია საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენილ საბიუჯეტო დოკუმენტებში
14.3 მაკროფისკალური სენსიტიურობის ანალიზი	A	მთავრობა ამზადებს სცენარებს ფისკალური პროგნოზების შესახებ ალტერნატიული მაკროეკონომიკური დაშვებების საფუძველზე და ეს სცენარები, პროგნოზებთან ერთად, ასახულია გამოქვეყნებულ საბიუჯეტო დოკუმენტაციაში
PI - 15 ფისკალური სტრატეგია	D +	
15.1 პოლიტიკის ცვლილების ფისკალური გავლენა	D	მთავრობას არ აქვს მომზადებული საბიუჯეტო წლისთვის შემოსავლების და ხარჯების პოლიტიკის შემოთავაზებული ცვლილებების ფისკალური გავლენის შეფასება.
15.2 ფისკალური სტრატეგიის მიღება/დამტკიცება	B	მთავრობამ მიიღო და პარლამენტს წარუდგინა ფისკალური სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს დაგაგეში და მომდევნო 3 წლის მიზნებს და ამოცანებს
15.3 ანგარიშგება ფისკალური შედეგების შესახებ	D	მთავრობა არ ამზადებს შიდა ანგარიშს ფისკალურ სტრატეგიასთან მიმართებაში მიღწეული პროგრესის შესახებ. ასეთი ანგარიში არ მომზადებულა ბოლო დასრულებული ფისკალური წლისთვის.
PI - 16 ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში	B +	
16.1 ხარჯების საშუალოვადიანი შეფასება/განგარიშება	A	წლიური ბიუჯეტი წარმოადგენს ხარჯების გაანგარიშებას საბიუჯეტო და მომდევნო ორი ფისკალური წლისთვის, რომლებიც განაწილებულია ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პროგრამული (ან ფუნქციონალური) კლასიფიკაციით
16.2 საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჭერები	A	საბიუჯეტო და მომდევნო ორი წლისთვის საბიუჯეტო ჭერები (აგრეგირებულ და სამინისტროს დონეზე) დამტკიცებულია მთავრობის მიერ პირველი საბიუჯეტო ცირკულარის გამოცემამდე
16.3 სტრატეგიული გეგმების და საშუალოვადიანი ბიუჯეტების შესაბამისობა	A	საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმები მომზადებული და შეფასებულია ყველა სამინისტროსთვის. დამტკიცებულ საშუალოვადიან საბიუჯეტო გათვლებში მოცული ხარჯებთან დაკავშირებული პოლიტიკის წინადადებები შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმებთან და შემდგომში შეფასებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში
16.4 ბიუჯეტების შესაბამისობა გასულ წელს გაკეთებულ პროგნოზთან	D	არ არსებობს განმარტება 4.1%-იანი აბსოლუტური გადახრის შესახებ ან 10.6%-იანი სტრუქტურული გადახრის შესახებ
PI - 17 ბიუჯეტის მომზადების პროცესი	A	
17.1 საბიუჯეტო კალენდარი	A	საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოა და სრულდება. ის საშუალებას აძლევს საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბიუჯეტო ცირკულარის მიღებიდან სულ მცირე ექვსი კვირის ვადაში გონივრულად და დროულად დაასრულონ თავიანთი დეტალური საპროგნოზო გამოთვლები.
17.2 ბიუჯეტის მომზადების ინსტრუქციები	A	ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი ყოვლისმომცველი დოკუმენტია და მოიცავს ფისკალური წლის მთლიან ხარჯებს. BDD-ში ასახული ჭერები სამინისტროებისთვის მტკიცდება ცირკულარის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გავრცელებამდე
17.3 ბიუჯეტის წარდგენა	A	წლიური ბიუჯეტის პროექტი მთავრობამ პარლამენტში წარადგინა წლის

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
საკანონმდებლო ორგანოში		დასრულებამდე არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, ყოველწლიურად ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში
PI - 18 ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება	A	
18.1 ბიუჯეტის განხილვის მასშტაბი	A	საქართველოს პარლამენტის განხილავს ფისკალურ პოლიტიკას, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს და საშუალოვადიან პრიორიტეტებს, ისევე როგორც ხარჯების და შემოსავლების დეტალებს
18.2 ბიუჯეტის განხილვის საკანონმდებლო პროცედურები	A	საბიუჯეტო მომენამდე საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებულია საკანონმდებლო პროცედურები და ხორციელდება მათი დაცვა. პროცედურები მოიცავს შიდა საორგანიზაციო მექანიზმებს, როგორცაა მაგალითად განხილვის სპეციალიზებული კომიტეტები, ტექნიკური მხარდაჭერა და მოლაპარაკების პროცედურები. ისინი ასევე მოიცავს საჯარო კონსულტაციების განხორციელებას
18.3 ბიუჯეტის დამტკიცების ვადა	A	ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანომ წლიური ბიუჯეტის კანონი ფისკალური წლის დაწყებამდე დაამტკიცა
18.4 აღმასრულებელი ორგანოს მიერ ბიუჯეტის კორექტირების წესები	A	არსებობს მკაფიო წესები წლის განმავლობაში აღმასრულებელი ორგანოს მიერ საბიუჯეტო კორექტირებების განსახორციელებლად. წესები ადგენს მკაცრ ლიმიტებს ცვლილების მასშტაბის და ტიპის შესახებ და სრულდება ყველა შემთხვევაში
PI - 19 შემოსავლების ადმინისტრირება	B +	
19.1 უფლებები და ვალდებულებები საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებისთვის	A	შემოსავლების <i>უმეტესი</i> ნაწილის ადმინისტრატორი სუბიექტები, იყენებენ მრავალრიცხოვან არხებს იმისთვის, რომ გადამხდელებს ჰქონდეთ მარტივი წვდომა ძირითადი ვალდებულებების და უფლებების შესახებ ყოვლისმომცველ და განახლებულ ინფორმაციასთან. ამასთან ეს ხორციელდება სულ მცირე გასაჩივრების პროცესსა და პროცედურებთან მიმართებაში
19.2 საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებული რისკების მართვა	A	შემოსავლების <i>უმეტესი</i> ნაწილის ადმინისტრატორი სუბიექტები, შემოსავლების <i>ყველა</i> კატეგორიასთან მიმართებაში იყენებენ ყოვლისმომცველ, სტრუქტურირებულ და სისტემატურ მიდგომას რისკების შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისთვის. ეს ხორციელდება სულ მცირე, მსხვილი და საშუალო გადამხდელისთვის
19.3 საგადასახადო შემოსავლების აუდიტი და მოკვლევა	A	შემოსავლების <i>უმეტესი</i> ნაწილის ადმინისტრატორი სუბიექტები, ახორციელებენ აუდიტს და დანაშაულის მოკვლევას, რომლის მართვა და რომლის შესახებ ანგარიშგებაც წარმოებს კანონშესაბამისობის გაუმჯობესების დოკუმენტურად მომზადებული გეგმის თანახმად. ისინი ასრულებენ <i>ყველა</i> დაგეგმილ აუდიტს და მოკვლევას
19.4 საგადასახადო დავალიანების მონიტორინგი	D	უკანასკნელი დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში დაგროვებული საგადასახადო დავალიანება, ამავე წლის განმავლობაში მიღებული საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 5 პროცენტია. 12 თვეზე უფრო ხანდაზმული დავალიანება შეადგენს მთლიანი საგადასახადო დავალიანების დაახლოებით 90 პროცენტს
PI - 20 შემოსავლების აღრიცხვა	A	
20.1 ინფორმაცია შემოსავლების მობილიზების შესახებ	A	ცენტრალური უწყება შემოსავლების შესახებ მონაცემებს იღებს ყოველთვიურად იმ სუბიექტებისგან რომლებიც იღებენ ცენტრალური მთავრობის <i>ყველა</i> შემოსავალს. ეს ინფორმაცია ჩაშლილია შემოსავლების ტიპის მიხედვით და კონსოლიდირებულია ანგარიშში
20.2 შემოსავლების გადარიცხვა	A	სუბიექტები, რომლებიც იღებენ ცენტრალური მთავრობის შემოსავლების <i>უმეტეს</i> ნაწილს, მიღებულ შემოსავლებს პირდაპირ რიცხავენ ხაზინის ანგარიშებზე ან შემოსულ თანხებს ყოველდღიურად რიცხავენ ხაზინაში
20.3 შემოსავლების ანგარიშების შეჯერება	A	სუბიექტები, რომლებიც იღებენ ცენტრალური მთავრობის შემოსავლების <i>უმეტეს</i> ნაწილს, ახორციელებენ დარიცხული თანხების, მიღებული შემოსავლების, დავალიანების და ხაზინაში გადარიცხული თანხების სრულ შედარებას ორ თვეში ერთხელ
PI - 21 წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა	A	
21.1 ფულადი სახსრების ნაშთების კონსოლიდაცია	A	სახაზინო სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე დღის ბოლოს ხელმისაწვდომია ინფორმაცია მთელი საბანკო და ფულადი ნაშთების შესახებ
21.2 ფულადი სახსრების პროგნოზირება და მონიტორინგი	A	ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი მზადდება ყოველწლიურად ფისკალური წლისთვის, რომელიც გაშლილია თვეების მიხედვით და

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
		ყოველთვიურად ხდება მისი განახლება ფაქტიური ფულადი შემოდინებებისა და გადინებების საფუძველზე
21.3 ინფორმაცია ვალდებულებების ლიმიტების შესახებ	A	საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯების დაგეგმვა და ვალდებულებების აღება 12 თვით ადრე საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად
21.4 წლიური ბიუჯეტის კორექტირების მასშტაბები	A	საბიუჯეტო ასიგნებების უმნიშვნელო კორექტირება განხორციელდა ერთხელ 2016 წელს, რაც შესრულდა გამჭვირვალე და პროგნოზირებადი ფორმით
PI - 22 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები	C +	
22.1 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების ნაშთი	A	2014 – 2016 წლებში დავალიანების თანხები უჯეტის ხარჯით ნაწილში არ აღემატებოდა 2 %-ს
22.2 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების მონიტორინგი	C	მხარჯავი დაწესებულებების მიერ სახაზინო სამსახურისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს ინფორმაციას ხარჯვით ნაწილში დაგროვილი დავალიანებების და მისი შედგენილობის, მაგრამ არა ასაკის შესახებ. წლის განმავლობაში მონიტორინგი არ ხორციელდება
PI - 23 სახელფასო განაცემების კონტროლი	A	
23.1 სახელფასო და პერსონალის ჩანაწერების ინტეგრაცია	A	საბიუჯეტო ორგანიზაციები აწარმოებენ თავისი შესაბამისი პერსონალის მონაცემთა ბაზებს ელექტრონული ხაზინის (სახელფასო მოდული) სისტემის ფარგლებში, რომლის მართვაც ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის მიერ. პერსონალის და სახელფასო ჩანაწერების შეჯერება წარმოებს ყოველთვიურად მაინც, მანამ სანამ მოხდება ხელფასების გადახდა პერსონალის საბანკო ანგარიშებზე. ელექტრონული ხაზინის სახელფასო ჩანაწერებს (სახელფასო მოდული) და სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის ჩანაწერებს შორის (რომლის მართვაც წარმოებს იუსტიციის სამინისტროს მიერ) შეჯერება ხდება მაშინ, როცა თანამშრომლის დანიშვნა და რეგისტრაცია წარმოებს სისტემაში. არსებობს ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც ჩაშენებულია სახელფასო მოდულში და რომელიც ავტომატურად ბლოკავს ნებისმიერი პირის სახელფასო განაცემებს რომელიც არ არის ასახული ელექტრონული ხაზინის სისტემის პერსონალის მონაცემთა ბაზაში
23.2 სახელფასო ჩანაწერებში ცვლილების მართვა	A	პერსონალის ჩანაწერების განახლება წარმოებს ყოველთვიურად, ყოველთვიური გადახდის დროისთვის. განახლებები ხორციელდება რეალურ დროში და აისახება ელექტრონული ხაზინის სისტემის სახელფასო მოდულში. ამასთან ერთად, არსებული მონაცემების რეტროაქტიური ცვლილებები სისტემაში არ არის დაშვებული
23.3 სახელფასო განაცემების შიდა კონტროლი	A	შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელფასო ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის უფლება მხოლოდ ავტორიზებულ პირებს აქვთ. ცვლილებები უფლებამოსილი პირის მიერ მოწმდება და მტკიცდება განყოფილების უფროსის მიერ. ანაზღაურებაში ცვლილებისთვის შესატანად, დამატებით საჭიროა ხაზინის ავტორიზაცია. სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ მოხდეს სახელფასო ჩანაწერებში გაკეთებული ცვლილებების კვალის მიდევნება (აუდიტის კვალი). ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ხდება ცვლილებების დოკუმენტირება და შენახვა. ამასთან, ელექტრონული ხაზინის სისტემაში შესვლის/წვდომის კონტროლი ხორციელდება „ჯი-დი პასის“ ნომრისა და პაროლის გამოყენებით. შიდა და გარე აუდიტორები ავსებენ სახელფასო რისკებს როგორც დაბალს, რამდენადაც სახელფასო მონაცემების სიზუსტე საკმაოდ მაღალია
23.4 სახელფასო განაცემების აუდიტი	A	არსებობს წლიური სახელფასო აუდიტის ძლიერი სისტემა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. აღნიშნული სისტემა ავლენს ნებისმიერ სისუსტეს ნებისმიერი სახის კონტროლთან დაკავშირებით და ასევე ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებს
PI - 24 შესყიდვები	B +	
24.1 შესყიდვების მონიტორინგი	A	მონაცემთა ბაზების და ჩანაწერების წარმოება ხორციელდება ყველა კონტრაქტისთვის, მათ შორის მონაცემებისთვის, თუ რისი შესყიდვა განხორციელდა, როგორი იყო შესყიდვის ღირებულება, ვისთან გაფორმდა კონტრაქტი. მონაცემები არის ზუსტი და სრული შესყიდვის ყველა მეთოდისთვის საქონლისთვის, მომსახურებისა და სამუშაოსთვის. ყველა სახელმწიფო კონტრაქტის შესყიდვა ხდება საქართველოს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საშუალებით (Ge-GP).

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
24.2 შესყიდვის მეთოდები	A	სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, როცა შესყიდვის ღირებულება აღემატება 5000 ლარს (ან მის ეკვივალენტურ ოდენობას 2000 აშშ დოლარს), შესყიდვა ტარდება ღია კონკურსის გზით, რომელიც წარმოადგენს შესყიდვის ძირითად მეთოდს. 2016 წელს კონტრაქტების 91%-ის (შესყიდვის ღირებულების მიხედვით), შესყიდვა განხორციელდა კონკურენტული შერჩევის გზით
24.3 შესყიდვების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა	A	შესყიდვების შესახებ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია. სხვა ინფორმაციასთან ერთად, მათ შორის მოიცავს შემდეგ ინფორმაციასაც: (1) შესყიდვების სამართლებრივ და მარეგულირებელ სისტემის შესახებ; (2) სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შესახებ; (3) ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ; (4) გამარჯვებულთან გაფორმებული კონტრაქტების (მიზანი, კონტრაქტორი, ღირებულება) შესახებ; (5) შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ; და (6) შესყიდვების წლიურ სტატისტიკას
24.4 შესყიდვების შესახებ საჩივრების მართვა	D	შესყიდვების შესახებ ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი ზღვრის ქვემოთ ხელშეკრულებების შემთხვევაში, გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის N1 ბრძანება. ზემოაღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, დავების განხილვის საბჭო შედგება პარტიტული პრინციპით შერჩეული 6 პირისგან. 3 წევრი არის სამოქალაქო საზოგადოების / არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ხოლო 3 წევრი შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე იმავდროულად არის დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარე უპირატესი ხმის უფლებით. შესყიდვების სააგენტო ასევე არის გამარტივებული შესყიდვების დამმოწმებელი შემფასებელი ორგანო (იხილავს მოთხოვნებს შემსყიდველი უწყებებიდან პირდაპირი შესყიდვის განხორციელებაზე). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩართულობა შესყიდვის კონკრეტულ პროცედურაში შესყიდვის გამარტივებულ პროცედურისთვის (პირდაპირი კონტრაქტის გაფორმება) მას აქცევს შესყიდვების ტრანზაქციების და გადაწყვეტილების მიღების ნაწილად, რომელსაც მოჰყვება კონტრაქტის გაფორმება. ეს ქმნის კონფლიქტს მის საზედამბებელი ფუნქციასთან და როლთან შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის კუთხით. ფუნქციების ასეთი განაწილება არ აკმაყოფილებს PEFA-ს შესყიდვების საჩივრების შესახებ მართვის ქვეინდიკატორის პირველ კრიტერიუმს
PI – 25 არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი	A	
25.1 მოვალეობების გადანაწილება	A	„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანების შესაბამისად, მოვალეობები გადანაწილებულია ხარჯების გაწევის მთელი პროცესის განმავლობაში პასუხისმგებლობების მიხედვით, რომელიც მკაფიოდ არის გადმოცემული საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) სხვადასხვა დონეზე
25.2 ხარჯების გაწევისასთან დაკავშირებული ვალდებულებების კონტროლის ეფექტურობა	A	ვალდებულებების კონტროლი გამოიყენება ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან გაკეთებული ყველა გადახდის მიმართ. ფაქტური ხარჯები გაიწევა დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში და არ აღემატება აღებულ ვალდებულებებსა და პროგნოზირებულ ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს.
25.3 გადახდის წესებისა და პროცედურების დაცვის კონტროლი	A	გადახდები წარმოებს წესებისა და პროცედურების მკაცრი დაცვით
PI – 26 შიდა აუდიტი	B +	
26.1 შიდა აუდიტის მასშტაბები	A	შიდა აუდიტორები წარმოდგენილი არიან 16-ივე სამინისტროში; იმ 13-ივე სსიპ-ში, რომელსაც მოეთხოვება შიდა აუდიტის ყოლა; ასევე ა(ა)იპ-ების 4%-ში და უმაღლესი

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
		განათლების დაწესებულებების 36%-ში (დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლების შიდა აუდიტორულ შემოწმებას ახორციელებს განათლების სამინისტრო) და კერძო სამართლის იურიდიული პირების 45%-ში. ცენტრალური მთავრობის (ძირითადად სამინისტროები) საბიუჯეტო ხარჯების შიდა აუდიტის მიერ დაფარვა, 2014–2016 ფისკალური წლების განმავლობაში საშუალოდ იყო 94%
26.2 აუდიტის სახეები და გამოყენებული სტანდარტები	B	შიდა აუდიტორული საქმიანობა ყურადღებას ამახვილებს შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებებზე და ის ფოკუსირებულია მაღალი რისკის სფეროებზე. შიდა აუდიტის საქმიანობა წარმართება შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც შეესაბამება შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩოს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი დანერგვის ადრეულ ეტაპზე იმყოფება
26.3 შიდა აუდიტორების და ანგარიშგების განხორციელება	A	წლიური აუდიტის გეგმები არსებობს და მისი მონიტორინგი წარმოებს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ. 2016 ფისკალური წლის განმავლობაში გვერდითი აუდიტის რაოდენობამ ცენტრალური მთავრობისთვის შეადგინა 126 საიდანაც 115 (91%) დასრულდა და მათ შესახებ ანგარიშები მიეწოდა შესაბამის მხარეებს
26.4 რეაგირება შიდა აუდიტის რეკომენდაციებზე	A	მენეჯმენტმა შეასრულა 2014–2016 წელს შიდა აუდიტის მიერ გამოცემული რეკომენდაციების 96%, რაც ცენტრალური მთავრობის ხარჯების დაახლოებით 93 %-ის მოიცავდა
PI – 27 ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა	A	
27.1 საბანკო ანგარიშის შეჯერება	A	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ყველა თავისი ნაშთის ერთიანი სახაზინო ანგარიშის ქვეანგარიშებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სხვა საბანკო ანგარიშებთან შეჯერებას აწარმოებს ყოველდღიურად
27.2 დროებითი ანგარიშები	A	ერთიანი სახაზინო ანგარიშის პირობებში არ არსებობს ხარჯების დროებითი ანგარიშები გაურკვეველი თანხებისთვის. შემოსავლების გაურკვეველი თანხების ანგარიშები არსებობს, მაგრამ ისინი ისტორიული თანხებია, რომლებიც ანგარიშზე მოხვდა 2014 – 2016 ფისკალურ წლებამდე. 2014 – 2016 ფისკალური წლების განმავლობაში შემოსავლები იყო სათანადოდ კოდირებული და აღრიცხული, გაურკვეველი თანხების ანგარიშების ფორმირების გარეშე
27.3 საავანსო გადახდები	A	წინასწარ გადახდილი თანხების შეჯერება ხორციელდება ყოველთვიურად (თითოეული თვის დასრულებიდან 20 დღის განმავლობაში). ყველა წინასწარ გადახდილი თანხების ანგარიშის დახურვა დროულად წარმოებს
27.4 პროცესები, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის საიმედოობას	A	დოკუმენტებთან წვდომა და მათი ცვლილების შესაძლებლობა შეზღუდულია, შესაბამისად აღირიგება და შესაძლებელია ცვლილებების კვალის მიდევნება („აუდიტის კვალი“). ფინანსური მონაცემების საიმედოობა უზრუნველყოფილია ხაზინის მიერ, რომელიც განიხილავს საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსურ ინფორმაციას და მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ახორციელებს სისტემაში არაავტორიზებული წვდომის მონიტორინგს. შიდა აუდიტორები და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე ახორციელებენ ფინანსური მონაცემების საიმედოობის აუდიტორულ შემოწმებას
PI – 28 შიდა წლიური ანგარიშები	B +	
28.1 ანგარიშების შესადარისობა და მოცვა	A	ბიუჯეტის შესახებ ანგარიშებში მონაცემების მოცვა და კლასიფიკაცია შესაძლებელს ხდის თავდაპირველ ბიუჯეტთან პირდაპირ შედარებას. ინფორმაცია მოიცავს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის ყველა საპროგნოზო შეფასებას და ის ფარავს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას
28.2 შიდა წლიური ანგარიშების ვადები	B	ანგარიშები კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ მზადდება ყოველკვარტალურად და წარედგინება პარლამენტს და ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ოთხი კვირის ვადაში
28.3 შიდა წლიური ანგარიშების სიზუსტე	A	პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებთან საუბრიდან გამომდინარე, მონაცემთა სიზუსტთან დაკავშირებით არ არსებობს არსებითი შენიშვნები. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტს ყოველკვარტალურად წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ანალიზს. ელექტრონული ხაზინის სისტემაში ასახული ინფორმაცია ხარჯების შესახებ მოიცავს როგორც ვალდებულებებს, ასევე გადახდებს
PI – 29 წლიური ფინანსური ანგარიშები	D +	

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
29.1 წლიური ფინანსური ანგარიშების ყოვლისმომცველობა	B	ანგარიშისახელმწიფობიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველწლიურად მზადდება და ედრება დამტკიცებულ ბიუჯეტს. ის შეიცავს ინფორმაციას სულ მცირე შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. ამასთან ერთად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის მზადდება ყოველწლიურად და ედრება დამტკიცებულ ბიუჯეტს. ისინი შეიცავს სრულ ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური და მატერიალური აქტივების, ვალდებულებების, გარანტიების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. ფინანსურ ანგარიშებს ახლავს შეჯერებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. 2014 და 2015 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავდა სრულ ინფორმაციას შემოსავლების და მატერიალური აქტივების (არაფინანსური აქტივების) შესახებ.
29.2 ანგარიშების წარდგენა გარე აუდიტისთვის	D*	სახელმწიფოს კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა არ ხდება გარე აუდიტორული შემოწმებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება წარმოებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, არ არსებობს ინფორმაცია/ დოკუმენტი თუ როდის მოხდა მათი წარდგენა გარე აუდიტისთვის. წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა სახელმწიფო აუდიტისთვის ხდება სამი თვის ვადაში
29.3 ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები	C	სახელმწიფო წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოიყენება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS). საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის ამ სტანდარტებს. 2016 წლისთვის, IPSAS სტანდარტების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 23% იყო დანერგილი (40 სტანდარტიდან 9). 2017 წლის განმავლობაში დანერგილი სტანდარტების რაოდენობა 16-მდე გაიზარდა
PI - 30 გარე აუდიტი	B +	
30.1 აუდიტის მასშტაბი და სტანდარტები	A	ცენტრალური მთავრობის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს შემოსავლებს, ხარჯებს, აქტივებს და ვალდებულებებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში, ფინანსური ანგარიშგებების და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშის აუდიტი ხორციელდება აუდიტის უმაღლესი ორგანოს საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) გამოყენებით. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიშით აუდიტის დაფარვა 2014, 2015 და 2016 ფისკალური წლებისთვის შესაბამისად იყო 96%, 94% და 91 %
30.2 საკანონმდებლო ორგანოში აუდიტის ანგარიშების წარდგენა	A	უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკანონმდებლო ორგანოს წლიური ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარუდგინა ფინანსთა სამსახურის მიერ ანგარიშის მიღებიდან სამი თვის ვადაში. ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი განხორციელდა, მაგრამ ამ ქვეინდიკატორის შეფასების მიზნით ისინი სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად არ იყო წარდგენილი. ეს საკითხი ცალკეა შეფასებული PI - 29.2 თავში
30.3 გარე აუდიტის შედეგების რეალიზაცია	B	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციები ასრულებენ აუდიტის რეკომენდაციებს. ყოველ ექვს თვეში ერთხელ წარმოებს მათი შესრულების მონიტორინგი და ინფორმაცია აისახება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ), რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს. ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციებზე რეაგირების საშუალო მაჩვენებელი 2014 – 2016 ფისკალურ წლებში 85% იყო
30.4 აუდიტის უმაღლესი ორგანოს დამოუკიდებლობა	A	სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან გენერალური აუდიტორის დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურებთან დაკავშირებით, ასევე აუდიტორული

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
		შემოწმებების დაგეგმვასთან, ანგარიშების გამოქვეყნების ორგანიზებასთან და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცებასა და შესრულებასთან მიმართებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შეუზღუდავი და დროული წვდომა აქვს აუდიტის სუბიექტების (საბიუჯეტო ორგანიზაციების) ჩანაწერებთან, დოკუმენტებთან და ინფორმაციასთან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს კანონით სახელმწიფო აუდიტის შესახებ
PI - 31 აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმება	C +	
31.1 აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმების ვადები	C	2014 – 2016 ფისკალური წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საკანონმდებლო შემოწმება პარლამენტმა დაასრულა ანგარიშების მიღებიდან ორი თვის ვადაში (100 % შემოწმდა დროულად). ცენტრალური მთავრობის ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების საშუალოდ 20% შემოწმდა 2014 – 2016 ფისკალურ წლებში განმავლობაში. ანგარიშები 2014–2015 ფისკალური წლებისთვის შემოწმდა 3 თვის ვადაში, ხოლო 2016 ფისკალური წლის შემოწმდა მიღებიდან 6 თვის განმავლობაში. პარლამენტის მიერ აუდიტორული ანგარიშების აღნიშნული ორი კატეგორიის შემოწმების საშუალოდ მაჩვენებელია 60%
31.2 აუდიტის მიგნებების განხილვა	C	აუდიტორული შემოწმების ანგარიშების ძირითადი მიგნებების შესახებ სიღრმისეული მოსმენა წარმოებს აუდიტორული შემოწმების ობიექტების პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით. 2014 - 2016 ფისკალური წლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების 100% იქნა მოსმენილი. ცენტრალური მთავრობის ორგანიზაციების აუდიტორული ფინანსური ანგარიშგებებისთვის 2014–2016 ფისკალური წლებისთვის 32 აუდიტორული ანგარიშიდან (რომლებზეც გაცემული იყო კვალიფიცირებული ან უარყოფითი დასკვნები ან დასკვნის გაცემაზე უარი) მხოლოდ ორთან დაკავშირებით ჩატარდა მოსმენა, რაც შეადგენს 6%-ს. საშუალო ეფექტიანობა იყო 53%.
31.3 საკანონმდებლო ორგანოს მიერ აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	C	2014 – 2015 ფისკალური წლების განმავლობაში პარლამენტი არ აწარმოებდა აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. პარლამენტმა მონიტორინგის განხორციელება დაიწყო 2016 წლის აპრილში. 2016 ფისკალური წლის განმავლობაში 30 რეკომენდაციიდან 15 (ანუ 50 %) შესრულდა
31.4 აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვების საჯაროობა	A	განხილვები ტარდება საჯაროდ, გარდა ეროვნულ უსაფრთხოებასთან ან მსგავს სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებული დისკუსიებისა. კომიტეტის ანგარიშები მიეწოდება პარლამენტის სრულ შემადგენლობას და ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე

დანართი 1.2: 2013 და 2017 წლების PEFA შეფასებების შედარება

	2013	2017	ცვლილების აღწერა	შესრულებული მოთხოვნების აღწერა და მიღწეული პროგრესი 2013 და 2016 წლებს შორის 2011 წელს განახლებული PEFA მეთოდოლოგიის გამოყენებით
	A. საჯარო ფინანსების მართვა (PFM) - ფაქტობრივი მაჩვენებლები: ბიუჯეტის სანდოობა			
PI - 1 ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლების შესრულება	A	A	→	2017 შეფასება ეყრდნობა 100.8 %-ს, 98.1 % -ს და 97.7 %-ს
PI - 2 ფაქტობრივი ხარჯების გადახრა თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით	B +	A	↑	
(i) ხარჯების სტრუქტურული გადახრის მასშტაბი გასული სამი წლის განმავლობაში	B	A		2017 შეფასება ეყრდნობა 3.1 % -ს, 3.6 % -ს, და 3.2 % -ს
(ii) სარეზერვო ფონდების საშუალო თანხა, რომელიც ფაქტობრივად იქნა გაწეული უკანასკნელი სამი	A	A		2017 შეფასება ეყრდნობა 1.6 % -ს

	2013	2017	ცვლილების აღწერა	შესრულებული მოთხოვნების აღწერა და მიღწეული პროგრესი 2013 და 2016 წლებს შორის 2011 წელს განახლებული PEFA მეთოდოლოგიის გამოყენებით
წლის განმავლობაში				
PI - 3 ფაქტიური შემოსავლები თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით	B	A	↑	2017 შეფასება ეყრდნობა 99.7 %-ს, 99.7 %-ს, და 99.8 %-ს
PI - 4 ხარჯვით ნაწილში არსებული დაგროვილი დავალიანება და მისი მონიტორინგი	A (B +)	B +	→	
(i) ხარჯვით ნაწილში არსებული დაგროვილი დავალიანება და მისი ბოლოდროინდელი ცვლილება	A	A		ცენტრალური მთავრობის დავალიანება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში 2016 წელს მთლიანი ხარჯების 2%-ზე ნაკლები იყო
(ii) მონაცემების ხელმისაწვდომობა ხარჯვით ნაწილში არსებული დავალიანების მონიტორინგისთვის	A (B)	B		მონაცემები ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცენტრალური მთავრობის დაგროვილი დავალიანების შესახებ შეგროვდა 2015 და 2016 წლების ბოლოს. ისინი სანდო და სრულია. თუმცა, ინფორმაცია დავალიანების ასაკის შესახებ არ არის ხელმისაწვდომი. სავარაუდოდ ეს იყო 2013 წელს მინიჭებული B შეფასების მიზეზი
B. ძირითადი მომიჯნავე საკითხები: ყოვლისმომცველობა და გამჭვირვალობა				
PI - 5 საბიუჯეტო კლასიფიკაცია	A	A	→	ბიუჯეტი ემყარება ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და ფუნქციონალურ კლასიფიკაციებს
PI - 6 საბიუჯეტო დოკუმენტებში შეტანილი ინფორმაციის ყოვლისმომცველობა	A	A	→	წარმოდგენილია ყველა ელემენტი გარდა მე-5 (ფინანსური აქტივები) და მე-9 (ახალი პოლიტიკის ინიციატივების ბიუჯეტზე გავლენის განმარტება) ელემენტებისა
PI - 7 მთავრობის ოპერაციების მასშტაბი, რომლის შესახებაც ანგარიშგება არ წარმოებს	A	A	→	
(i) მთავრობის ოპერაციების დონე, რომლის შესახებაც ანგარიშგება არ წარმოებს	A	A		ადგილი არ აქვს ისეთი ოპერაციების განხორციელებას მთავრობის მიერ, რომლის შესახებაც ანგარიშგება არ წარმოებს
(ii) ინფორმაცია დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შემოსავლების/ ხარჯების შესახებ	A	A		დონორების მიერ დაფინანსებული ყველა პროექტის შემოსავალი/ ხარჯი შეტანილია ბიუჯეტში
PI - 8 სამთავრობათშორისო ფისკალური ოპერაციების გამჭვირვალობა	A	A	→	
(i) ადგილობრივ მთავრობებს შორის ასიგნებების ჰორიზონტალური განაწილების გამჭვირვალობა და ობიექტურობა	B	A		2017 წლის შეფასება ეყრდნობა, რომ ტრანსფერების 90%-ზე მეტი წესებით არის გამოყოფილი
(ii) დროული და სანდო ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი მთავრობებისთვის მათთვის გამოყოფილი ტრანსფერების შესახებ	A	A		ინფორმაციის მიწოდება წარმოებს საბიუჯეტო პროცესის დაწყებამდე
(iii) ფისკალური მონაცემების კონსოლიდაცია დონე მთლიანად მთავრობისთვის დარგობრივი კატეგორიების შესაბამისად	A	A		აღნიშნულის კონსოლიდაცია წარმოებს დარგობრივი კატეგორიების შესაბამისად
PI - 9 აგრეგირებული ფისკალური რისკის კონტროლი საჯარო სექტორის სხვა უწყებების მიერ	C +	B +	↑	
(i) ცენტრალური მთავრობის მხრიდან ავტონომიური	C	B		მთავრობის ფისკალური რისკის შესახებ ანგარიში მზადდება ყოველწლიურად

	2013	2017	ცვლილებების აღწერა	შესრულებული მოთხოვნების აღწერა და მიღწეული პროგრესი 2013 და 2016 წლებს შორის 2011 წელს განახლებული PEFA მეთოდოლოგიის გამოყენებით
სუბიექტების და სახელმწიფო საწარმოების მონიტორინგის დონე				
(ii) ცენტრალური მთავრობის მიერ ადგილობრივი მთავრობების ფისკალური პოზიციის მონიტორინგის დონე	A	A		ანგარიშები მზადდება ყოველწლიურად
PI - 10 მირითადი ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	A	A	→	ხელმისაწვდომია ექვსივე კრიტერიუმი
C. საბიუჯეტო ციკლი				
C (i) პოლიტიკაზე დამყარებული ბიუჯეტირება				
PI - 11 თანმიმდევრულობა და მონაწილეობა ყოველწლიურ საბიუჯეტო პროცესში	A	A	→	
(i) ფიქსირებული საბიუჯეტო კალენდრის არსებობა და მისი დაცვა	A	A		საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოა და სრულდება. ის საშუალებას აძლევს საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბიუჯეტო ცირკულარის მიღებიდან სულ მცირე ექვსი კვირის ვადაში გონივრულად და დროულად დაასრულონ თავიანთი დეტალური საპროგნოზო გამოთვლები.
(ii) მითითებები საბიუჯეტო განაცხადების მომზადების შესახებ	A	A		მირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი ყოვლისმომცველი და მკაფიოა. სამინისტროებისთვის BDD-ში ასახული ჭერები მტკიცდება ცირკულარის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გავრცელებამდე.
(iii) საკანონმდებლო ორგანოს მიერ ბიუჯეტის დროული დამტკიცება	A	A		2017 შეფასება ეყრდნობა საკანონმდებლო ორგანოს მიერ ბიუჯეტის დამტკიცებას: - 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2014 წლის 12 დეკემბერს. - 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2015 წლის 11 დეკემბერს. - 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2016 წლის 14 დეკემბერს.
PI - 12 მრავალწლიანი პერსპექტივაში ფისკალური დაგეგმვა, ხარჯების პოლიტიკა და ბიუჯეტირება	B +	A	↑	
(i) მრავალწლიანი ფისკალური პროგნოზები და თანხების ფუნქციონალური განაწილება	A	A		ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით პროგნოზები მზადდება დასაგეგმი საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლისთვის
(ii) ვალის მდგრადობის ანალიზის მასშტაბი და სიხშირე	A	A		ვალის მდგრადობის ანალიზი ყოველწლიურად მზადდება
(iii) შეფასებული დარგობრივი სტრატეგიების არსებობა	C	A		პროგრამული ბიუჯეტის შემუშავება პროგრამების და დაკავშირებული სტრატეგიების საფუძველზე განვითარდა და წარმოადგენს ბიუჯეტის და საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოს (MTEF) საფუძველს.
(iv) კავშირები საინვესტიციო ბიუჯეტებს და სამომავლო ხარჯების პროგნოზებს შორის	B	B		ინვესტიციების უმრავლესობა შერჩეულია დარგობრივი სტრატეგიების და ხარჯების შესაბამისად.
C (ii) ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი				
PI - 13 გადასახადის გადამხდელთა მოვალეობების და ვალდებულებების გამჭვირვალობა	A	A	→	
(i) საგადასახადო ვალდებულებების სიცხადე და ყოვლისმომცველობა	A	A		ყოვლისმომცველი ინფორმაცია ხელმისაწვდომია. არ არსებობს არადისკრედიტული სტიმულები
(ii) გადასახადის გადამხდელთა	A	A		გადამხდელთა საგადასახადო ცნობიერების ამაღლებას ექცევა

	2013	2017	ცვლილებების აღწერა	შესრულებული მოთხოვნების აღწერა და მიღწეული პროგრესი 2013 და 2016 წლებს შორის 2011 წელს განახლებული PEFA მეთოდოლოგიის გამოყენებით
წვდომა ინფორმაციასთან საგადასახადო ვალდებულებების და ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ				სათანადო ყურადღება
(iii) საგადასახადო დავების მექანიზმის არსებობა და ფუნქციონირება	B	A		სამი ეტაპისგან შემდგარი გასაჩივრების პროცესი ხელმისაწვდომია, რომელიც ბოლო ეტაპზე გულისხმობს სასამართლოსთვის მიმართვას
PI - 14 გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციის და საგადასახადო დარიცხვის ღონისძიებების ეფექტურობა	A	A	→	
(i) კონტროლი გადამხდელთა რეგისტრაციის სისტემაში	A	A		არსებობს გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი და კავშირები სხვა სისტემებთან, მაგალითად როგორცაა შესყიდვები
(ii) რეგისტრაციის და დეკლარირების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის სანქციების ეფექტურობა	A	A		ჯარიმები გათვალისწინებულია კანონით და წარმოებს მათი დაკისრება
(iii) საგადასახადო აუდიტის დაგეგმვა და მონიტორინგი და დანაშაულის მოკვლევის პროგრამები	A	A		გასვლითი და კამერალური აუდიტი ტარდება და ობიექტების შერჩევა წარმოებს რისკის საფუძველზე
PI - 15 გადასახადების გადახდის ეფექტურობა	D +	D +	→	
(i) საგადასახადო დავალიანების ამოღების ჯამური მაჩვენებელი	D	D		დავალიანება მნიშვნელოვანია და ხანდაზმული
(ii) შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო შემოსულობების ხაზინაში გადარიცხვის ეფექტურობა	A	A		გადარიცხვები წარმოებს ყოველდღიურად
(iii) დასრულებული ანგარიშების შეჯერების სიხშირე საგადასახადო დარიცხვებს, ამოღებულ თანხებს, დავალიანების შესახებ ჩანაწერებს და ხაზინის შემოსულობებს შორის	A	A		შეჯერება დროულად ხორციელდება
PI - 16 ხარჯების გასაწევად ფულადი სახსრების პროგნოზირებადობა	A	A	→	
(i) ფულადი სახსრების პროგნოზირების და მონიტორინგის მასშტაბი	A	A		ფულადი სახსრების შესახებ პროგნოზი მზადდება ყოველწლიურად ფისკალური წლისთვის და ჩამოილია თვეების მიხედვით. მისი განახლება წარმოებს ყოველთვიურად ფულადი სახსრების ფაქტიური შემოდინების და გადინების საფუძველზე
(ii) წლის განმავლობაში მხარჯავი დაწესებულებებისთვის ხარჯების ჭერების შესახებ მიწოდებული პერიოდული ინფორმაციის სანდობა და მასშტაბი	A	A		2016 წელს მხარჯავ დაწესებულებებს შეეძლოთ ხარჯების დაგეგმვა და გაწევა ერთი წლით ადრე კვარტალური განწერის საფუძველზე, საბიუჯეტო ასიგნებების და ვალდებულებების ფარგლებში
(iii) საბიუჯეტო ასიგნებების კორექტირების სიხშირე და გამჭვირვალობა მხარჯავი დაწესებულების მენეჯმენტის ზედა დონეზე	A	A		საბიუჯეტო ასიგნებების უმნიშვნელო კორექტირება განხორციელდა ერთხელ 2016 წელს და შესრულდა გამჭვირვალე და პროგნოზირებადი ფორმით
PI - 17 ფულადი ნაშთების, ვალის და გარანტიების აღრიცხვა და მართვა	A	A	→	
(i) ვალის შესახებ მონაცემების აღრიცხვის და ანგარიშგების ხარისხი	A	A		ვალი აღრიცხვა მისი წარმოშობის მომენტიდან და მის შესახებ ანგარიშგება ყოველთვიურად წარმოებს

	2013	2017	ცვლილებების აღწერა	შესრულებული მოთხოვნების აღწერა და მიღწეული პროგრესი 2013 და 2016 წლებს შორის 2011 წელს განახლებული PEFA მეთოდოლოგიის გამოყენებით
(ii) მთავრობის ფულადი ნაშთების კონსოლიდაციის მასშტაბი	A	A		ყველა ფულადი ნაშთი კონსოლიდირებულია და ქვეყნდება ყოველდღიურად
(iii) სესხების აღებასთან და გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმების სისტემები	A	A		ვალის აღება შეუძლია მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს
PI - 18 სახელფასო განაცემების კონტროლის ეფექტურობა	D +	A	↑	
(i) პერსონალის შესახებ ჩანაწერებსა და სახელფასო მონაცემებს შორის ინტეგრაციის და შეჯერების ხარისხი	A	A		წარმოებს ჩანაწერებისა და სახელფასო მონაცემების შეჯერება
(ii) პერსონალის შესახებ ჩანაწერების და სახელფასო ინფორმაციის ცვლილების დროულობა	A	A		ცვლილებები ხორციელდება საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის თვეში
(iii) პერსონალის შესახებ ჩანაწერების და სახელფასო ინფორმაციის ცვლილების შიდა კონტროლი	A	A		ხელმისაწვდომია ავტორიზებული ცვლილებების „აუდიტის კვალი“
(iv) სახელფასო სისტემის აუდიტი კონტროლის მიმართულებით არსებული ნაკლოვანებების და/ან ფიქტიური თანაშრომლების გამოსავლენად	D	A		სახელფასო სისტემის აუდიტი ტარდება ყოველწლიურად
PI - 19 კონკურენცია, ფულის ღირებულება და შესყიდვების კონტროლი	A (B +)	B +	→	
(i) გამჭვირვალობა, ყოვლისმომცველობა და კონკურენცია სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოში	A	A		გამჭვირვალე სამართლებრივი ჩარჩო ყოვლისმომცველი და კონკურენტულია
(ii) კონკურენტული მეთოდების გამოყენება	A	A		კონკურენტული შესყიდვის მეთოდები ნორმაა
(iii) საზოგადოების წვდომა სრულ და დროულ ინფორმაციასთან შესყიდვების შესახებ	A	A		ადგილი აქვს ადეკვატურ წვდომას ინფორმაციაზე
(iv) დამოუკიდებელი ადმინისტრაციული შესყიდვების საჩივრების სისტემის არსებობა	A (D)	D		დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილია 3 წევრი შესყიდვების სააგენტოდან, რასაც ადგილი ჰქონდა 2013 წელს. მინიჭებული შეფასება უნდა ყოფილიყო D.
PI - 20 შიდა კონტროლის ეფექტურობა არასახელფასო ხარჯებისთვის	A	A	→	
(i) ხარჯების გაწევის კონტროლის ეფექტურობა	A	A		ვალდებულებების ყოვლისმომცველი კონტროლის სისტემა არსებობს და ეფექტურად ზღუდავს ვალდებულებებს, ფულადი რესურსების ხელმისაწვდომობისა და საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში
(ii) შიდა კონტროლის სხვა წესების/ პროცედურების ყოვლისმომცველობა, რელევანტურობა და აღქმა.	A	A		შიდა კონტროლის სხვა წესები და პროცედურები რელევანტურია და მოიცავს ყოვლისმომცველ და ზოგადად ხარჯ - ეფექტურ კონტროლს, რომელიც ფართოდ არის აღიარებული
(iii) ოპერაციების დამუშავების და აღრიცხვის წესებთან შესაბამისობის ხარისხი	A	A		წესების შესრულების მაჩვენებელი ძალზე მაღალია და გამარტივებული და საგანგებო პროცედურების არასწორი გამოყენება უმნიშვნელოა
PI - 21 შიდა აუდიტის ეფექტურობა	C +	B +	↑	
(i) შიდა აუდიტის დაფარვა და	C	B		დაფარვა 50 % -ზე მეტია.

	2013	2017	ცვლილების აღწერა	შესრულებული მოთხოვნების აღწერა და მიღწეული პროგრესი 2013 და 2016 წლებს შორის 2011 წელს განახლებული PEFA მეთოდოლოგიის გამოყენებით
ხარისხი				
(ii) ანგარიშების გავრცელების სიხშირე	A	A		ანგარიშების მომზადება წარმოებს გეგმის შესაბამისად
(iii) შიდა აუდიტის მიგნებებზე მენეჯმენტის პასუხის მასშტაბი	C	A		მენეჯმენტის პასუხი ყოვლისმომცველია
C (iii) ბუღალტრული აღრიცხვა, გატარება და ანგარიშგება				
PI - 22 ანგარიშების შეჯერების დროულობა და რეგულარულობა	B +	A	↑	
(i) საბანკო შეჯერების რეგულარულობა	B	A		შეჯერება ხორციელდება ყოველდღიურად
(ii) გაურკვეველი და წინასწარ გადახდილი თანხების ანგარიშების რეგულარულობა და კლირინგი	A	A		გაურკვეველი თანხების (დროებითი) ანგარიშთან დაკავშირებული ხარჯები არ არსებობს და წინასწარ გადახდილი თანხების ანგარიშების შეჯერება დროულად წარმოებს
PI - 23 სერვისების გამწვევი ერთეულების მიერ მიღებული რესურსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	B	B	→	ინფორმაცია ხელმისაწვდომია პირველად ჯანდაცვასთან, მაგრამ არა საშუალო სკოლებთან მიმართებაში
PI - 24 წლის განმავლობაში მოსამზადებელი საბიუჯეტო ანგარიშების ხარისხი და დროულობა	A	A	→	
(i) ანგარიშების მასშტაბი, დაფარვის და საბიუჯეტო პროგნოზებთან თავსებადობის თვალსაზრისით	A	A		ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესადარისია და შეიცავდა ვალდებულებებსაც
(ii) ანგარიშების გამოცემის დროულობა	A	A		ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშები მზადდება კვარტალურად და მიეწოდება პარლამენტს. ეს ანგარიშები ასევე ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ოთხი კვირის ვადაში
(iii) ინფორმაციის ხარისხი	A	A		არ არსებობს არსებითი შენიშვნები მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებით
PI - 25 წლიური ფინანსური ანგარიშგებების ხარისხი და დროულობა	C +	D +	↓	
(i) ფინანსური ანგარიშგებების ყოვლისმომცველობა	C	B		2014 და 2015 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავს სრულ ინფორმაციას შემოსავლების და მატერიალური აქტივების (არაფინანსური აქტივების) შესახებ
(ii) ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის დროულობა	A	D*		მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი ხორციელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ქვეინდიკატორის შესაფასებლად, ფინანსთა სამინისტროს მიერ არ ყოფილა მოწოდებული მტკიცებულება, თუ როდის მოხდა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის წარდგენა. 2013 წლის PEFA-ს თანახმად, მთავრობამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები აუდიტისთვის დროულად წარადგინა.
(iii) ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული სტანდარტები	C	C		ანგარიშგებები შესაბამისობაშია ეროვნულ სტანდარტებთან.
C (iv) გარემოფასებადააუდიტი				
PI - 26 გარე აუდიტის მასშტაბი, სახეები და შედეგების რეალიზაცია	B +	A	↑	
(i) განხორციელებული აუდიტის მასშტაბი/ სახეები (აუდიტის სტანდარტების შესრულების	B	A		ცენტრალური მთავრობის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს შემოსავლებს, ხარჯებს, აქტივებს და ვალდებულებებს. აღნიშნული ფინანსური

	2013	2017	ცვლილების აღწერა	შესრულებული მოთხოვნების აღწერა და მიღწეული პროგრესი 2013 და 2016 წლებს შორის 2011 წელს განახლებული PEFA მეთოდოლოგიის გამოყენებით
ჩათვლით)				ანგარიშგებების აუდიტი ხორციელდება აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) გამოყენებით.
(ii) საკანონმდებლო ორგანოსთვის აუდიტის ანგარიშების წარდგენის დროულობა	A	A		უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკანონმდებლო ორგანოს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში წარუდგინა აუდიტის სამსახურის მიერ მთავრობის ანგარიშის მიღებიდან სამი თვის ვადამი.
(iii) აუდიტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით შემდგომი ლონისძიებების განხორციელების მტკიცებულება	A	A		საბიუჯეტო ორგანიზაციებზე გაცემული აუდიტის რეკომენდაციები სრულდება, მათი მონიტორინგი წარმოებს ყოველ ექვს თვეში ერთხელ და ადგილი აქვს მათ შესახებ ანგარიშგებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ თავის ანგარიშში (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ) პარლამენტის წინაშე.
PI - 27 წლიური საბიუჯეტო კანონის საკანონმდებლო განხილვები	A	A	→	ბიუჯეტის პროექტის და თანდართული ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის განხილვის მეშვეობით, პარლამენტი განიხილავს ფისკალურ პოლიტიკას, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს და საშუალოვადიან პრიორიტეტებს, ასევე ხარჯების და შემოსავლების დეტალებს.
(i) საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხილვის მასშტაბი	A	A		საკანონმდებლო პროცედურები მტკიცედ არის განსაზღვრული და სრულდება. ისინი შეიცავს შიდა ორგანიზაციულ მექანიზმებს, როგორც კომიტეტების მიერ სპეციალიზებული განხილვა და მოლაპარაკების პროცედურები
(ii) საკანონმდებლო ორგანოს პროცედურების განსაზღვრის და შესრულების მასშტაბი	A	A		2016 წელს 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარდგენილ იქნა 2016 წლის 23 სექტემბერს და საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცდა 2016 წლის 14 დეკემბერს. საკანონმდებლო ორგანოს ჰქონდა ორ თვეზე მეტი ბიუჯეტის პროექტის განსახილველად.
(iii) ადეკვატური დრო საკანონმდებლო ორგანოსთვის ბიუჯეტის პროექტზე შენიშვნების მოსამზადებლად, როგორც დეტალურ საპროგნოზო გათვლებზე, ისე საჭიროების შემთხვევაში მაკროეკონომიკური მაჩვენებლებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ციკლის ადრეულ ეტაპზე (პრაქტიკაში გამოყოფილი დრო ყველა ეტაპისთვის ერთად)	A	A		მკაფიო წესები არსებობს წლის განმავლობაში აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტში ცვლილებების შესატანად; დადგენილია მკაცრი ლიმიტები ცვლილებების მასშტაბთან და ტიპთან დაკავშირებით და მათი დაცვა თანმიმდევრულად ხორციელდება.
(iv) წესები წლის განმავლობაში ბიუჯეტში ისეთი ცვლილებების შესატად, რომელიც არ საჭიროებს საკანონმდებლო ორგანოს მიერ წინასწარი დამტკიცებას	A	A		ბიუჯეტის პროექტის და თანდართული ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის განხილვის მეშვეობით, პარლამენტი განიხილავს ფისკალურ პოლიტიკას, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს და საშუალოვადიან პრიორიტეტებს, ასევე ხარჯების და შემოსავლების დეტალებს.
PI - 28 გარე აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვები	D +	C +	↑	
(i) საკანონმდებლო ორგანოს მიერ აუდიტის ანგარიშების განხილვების დროულობა	A (C)	C		სიტუაცია 2013 და 2017 წლებში ერთი და იგივეა. სავარაუდოდ 2013 წლის შეფასება ზედმეტად მაღალი იყო.
(ii) საკანონმდებლო ორგანოს მიერ	C	C		სიტუაცია 2013 და 2017 წლებში ერთი და იგივეა.

	2013	2017	ცვლილების აღწერა	შესრულებული მოთხოვნების აღწერა და მიღწეული პროგრესი 2013 და 2016 წლებს შორის 2011 წელს განახლებული PEFA მეთოდოლოგიის გამოყენებით
ძირითადი მიგნებების მოსმენა				აუდიტორული შემოწმების ანგარიშების ძირითადი მიგნებების შესახებ სიღრმისეული მოსმენა წარმოებს აუდიტორული შემოწმების ობიექტების პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით. 32 აუდიტორული ანგარიშიდან (რომლებზეც გაცემული იყო კვალიფიცირებული ან უარყოფითი დასკვნები ან დასკვნის გაცემაზე უარი), მხოლოდ ორთან დაკავშირებით ჩატარდა მოსმენა, რაც შეადგენს 6 %-ს. საშუალო ეფექტიანობა იყო 53 %.
(iii) საკანონმდებლო ორგანოს მიერ რეკომენდებული ღონისძიებების განსაზღვრა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მათი შესრულება	D	B		2016 წელს მომზადდა უფრო მეტი რეკომენდაცია და რეკომენდაციების საპასუხოდ ღონისძიებების განხორციელების მაჩვენებელი იყო 50%.

დანართი 2: შიდა კონტროლის ჩარჩოზე დაკვირვების მოკლე მიმოხილვა

შიდა კონტროლის კომპონენტები და ელემენტები	მოკლე დაკვირვება
1. კონტროლის გარემო	
1.1 მენეჯმენტის და პერსონალის პიროვნული და პროფესიული პატიოსნება და ეთიკური ფასეულობები, შიდა კონტროლის მიმართულებით ორგანიზაციის მასშტაბით უწყვეტი მხარდაჭერის ჩათვლით	შიდა კონტროლის სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრულია და ხორციელდება ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო შიდა კონტროლის სისტემების შექმნას და განვითარებას და ახორციელებს ჰარმონიზაციის პოლიტიკის და პროცედურების კოორდინაციას და ჰარმონიზაციას. აღნიშნული მოიცავს შიდა კონტროლის მიმართულებით მენეჯმენტის და პერსონალის პიროვნული და პროფესიული პატიოსნების და ეთიკური ფასეულობების მუდმივ განვითარებას და ხელშეწყობას ორგანიზაციის მასშტაბით.
1.2 კომპეტენციისადმი ერთგულება	ჰარმონიზაციის ცენტრის არსებობა მიუთითებს კომპეტენციისადმი ერთგულებაზე შიდა კონტროლის დანერგვის მიმართულებით, რაც დასტურდება PIs 23, 25 და 26 ინდიკატორებისთვის მიღებული შეფასებებით.
1.3 'ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა ხელმძღვანელობის მიერ' (ე.ი. მენეჯმენტის ფილოსოფია და ოპერაციული სტილი)	არსებობს დადებითი მიდგომა შიდა კონტროლის დანერგვის მიმართ, რაც დასტურდება ორგანიზაციული სტრუქტურით, რომელიც გაძლიერდება რეკომენდაციებზე უფრო ფართო რეაგირების უზრუნველყოფით.
1.4 ორგანიზაციული სტრუქტურა	ფინანსური მართვის კონტროლის სისტემაში ჩართული სხვადასხვა მხარეების როლები განსაზღვრულია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც ჰარმონიზაციის ცენტრის საშუალებით ხელს უწყობს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემების შექმნას და განვითარებას და ახორციელებს პოლიტიკის და პროცედურების კოორდინაციას და ჰარმონიზაციას. კანონის შესაბამისად, მთავრობა დგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს მენეჯმენტის ანგარიშვალდებულების განვითარების და მოვალეობების დელეგირების მიმართულებით. კანონმდებლობის მოთხოვნების სრული შესრულება და შესაბამისობა საერთაშორისო სანიმუშო პრაქტიკასთან დროს მოითხოვს. საჯარო სექტორის ორგანიზაციებმა უნდა შექმნან ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შესაძლებელს გახდის ამოცანების მიღწევას და კანონით დაკისრებულ ფუნქციებთან შესაბამისობას. ის წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტური ფორმით, რომელშიც მკაფიოდ იქნება გადმოცემული ამოცანების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების დაყოფის წესები, ისევე როგორც იერარქიული და სათანადო ანგარიშგების მიმართულებები.
1.5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პრაქტიკა	შიდა აუდიტის და ფინანსური კონტროლის პროფესიული კადრები ხელმისაწვდომია და ასრულებს საჯარო სექტორის სტანდარტულ პოლიტიკას და პროცედურებს.
2. რისკის შეფასება	
2.1 რისკის იდენტიფიკაცია	რამდენიმე ინდიკატორი უკავშირდება იდენტიფიცირებულ რისკებს, კერძოდ: საინვესტიციო პროექტების ეკონომიკურ ანალიზს მიენიჭა შეფასება 'C' 11.1-ში – ეკონომიკური ანალიზი ხორციელდება ზოგიერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტის შესავსებად. ვალის მართვის სტრატეგიას მიენიჭა შეფასება 'D' 13.3-ში – ვალის მართვის ეფექტური პოლიტიკის გატარების მიზნით, საქართველოს 2016 – 2019 წლების ვალის მართვის სტრატეგია თვითშეფასების და მისი ვალიდაციის დროს შემუშავების პროცესში იყო. მაკროეკონომიკური სენსიტიურობის ანალიზს მიენიჭა შეფასება 'A' 14.3-ში – მთავრობა ამზადებს სცენარებს ფისკალური პროგნოზების შესახებ ალტერნატიული მაკროეკონომიკური დაშვებების საფუძველზე და ეს სცენარები პროგნოზებთან ერთად ასახულია

შიდა კონტროლის კომპონენტები და ელემენტები	მოკლე დაკვირვება
	<p>გამოქვეყნებულ საბიუჯეტო დოკუმენტაციაში.</p> <p>შემოსავლებთან დაკავშირებული რისკის მართვას მიენიჭა შეფასება 'A' 19.2 -ში – შემოსავლების უზრუნველყოფის ნაწილის ადმინისტრატორი სუბიექტები, შემოსავლების ყველა კატეგორიასთან მიმართებაში იყენებენ ყოვლისმომცველ, სტრუქტურირებულ და სისტემატურ მიდგომას რისკების შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისთვის. ეს ხორციელდება სულ მცირე, მსხვილი და საშუალო გადამხდელებისთვის.</p> <p>ფულადი სახსრების პროგნოზირებას და მონიტორინგს მიენიჭა შეფასება 'A' 21.2 -ში - ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი მზადდება ყოველწლიურად ფისკალური წლისთვის, რომელიც გაშლილია თვეების მიხედვით და ყოველთვიურად ხდება მისი განახლება ფაქტიური ფულადი შემოდინებებისა და გადინებების საფუძველზე</p>
2.2 რისკის შეფასება (მნიშვნელობა და ალბათობა)	იხ. რისკის იდენტიფიკაცია (2.1 ზეით)
2.3 რისკის შეფასება	<p>ჰარმონიზაციის ცენტრის ინფორმაციის საფუძველზე 2016 წლის განმავლობაში აუდიტის გეგმის 91 % შესრულებულ იქნა. იმ ორგანიზაციებში, სადაც ვიზიტი განხორციელდა საწყის აუდიტის გეგმაში შეტანილი ყველა ცვლილება დამტკიცდა ორგანიზაციის უფროსის მიერ დასაბუთების საფუძველზე. შიდა აუდიტორი თავის ანგარიშებს წარუდგენს მინისტრს და აუდიტის ობიექტის უფროსს (შიდა აუდიტორების და ანგარიშგების განხორციელება– 26.3 მინიჭებული შეფასება 'A'). თუმცა, ხარისხის შეფასების სისტემა შიდა აუდიტორული საქმიანობისთვის შემოღების და დანერგვის პროცესში არ გამოიყენება შიდა აუდიტის ყველა სუბიექტის მიერ (შიდა აუდიტის სახეები და გამოყენებული სტანდარტები– 26.2 მინიჭებული შეფასება 'B').</p>
2.4 რისკის აპეტიტის შეფასება	<p>რისკის იდენტიფიკაციის და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა მიუთითებს გარისკვის მიმართ დადებით დამოკიდებულებაზე, რომელიც გაიზრდება აღნიშნული სისტემის დახვეწასთან ერთად.</p>
2.5 რიკზე რეაგირება (გადაცემა, ტოლერანტობა/ შეგუება, რეაგირება, შეწყვეტა)	<p>საჯარო სექტორის სტანდარტული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია კონტროლის ყველა სფეროში</p>
3 კონტროლის დონისებები	
